

26m



ISSN 0182-599 X  
საქართველოს  
საქართველოს

# გეოგრაფია



11

---

1988



# ენათოკი

საქართველოს  
წიგნების  
კავშირის  
გამომცემლობა

საქართველოს წიგნების კავშირის გამომცემლობის  
საგონებლო-მეცნიერ-მედიკური უბნის

წელიწადი 64-0

№ 11

თბილისი, 1968 წ.

საქართველოს საგონებლო-მეცნიერ-მედიკური უბნის

## შინაარსი

ოთარ ბილაძე — გენეოლოგი დიპლომიდან . . . . . 3

### პროზა, პოეზია

არნოლ სულაიაური — მე და შინ. ლექსი	16
ნაწული გომეზაძე — და იმდენა ბრი, რომანი. უაპარტულო	18
თაღო ბაქთიშვილი — ლექსები	58
ჯანო ჯანელიძე — ლექსები	62
მამუკა ციციშვილი — ლექსები	65
მირაზ აბაშიძე — მოთხრობები	69
მუხა კვარაცხელია — ლექსები	73
ტაბუ მუხარბიშვილი — ლექსები	76
ნოდარ უამანაძე — გატყევილი სიყვ. მოთხრობა	78
გოგა აბაშიძე — ლექსები	102
სოსო ბერიძე — ლექსები	104
დანიელ გრანინი — ჯიბე კვალნი არ გაშვებულა. თარგმანა ვალენტინა ტატაშვილია	106

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ბილაძე ჯანელიძე — კართული მოთხრობის სალინდოლი დღე უფრო ნათელი იმდენა	128
კობა იმედაშვილი — სისულანი დღიების გატყენი	139
ზაზა სინარულიძე — სიტყვა „ბრინჯაოში უფრო დროგამწლი“	149

### მეცნიერება

ბააღარ მამულეშვილი — წოდების ტაბარი	153
-------------------------------------	-----

თბ. მეორე გვერდი



**მოგონებები, ფაქტები**

კავლი ინფორმაცია — კავლი ინფორმაცია წმინდობი, წინასიტყვაობა რუსულად  
დაუშვილის . . . . . 159

**წიგნების მიმოხილვა**

ამთხედოლ კოპიუმილი — იგი და იროველი თვითმცნობიბა . . . . 166

**მთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაური**

**სარედაქციო კოლეგია:**

ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამბუშაელი, მ. ბარძენიშვილი, ალ. გო-  
შიაშვილი, ბ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასური, მ. ლებანიძე,  
ე. მალაძე, ლ. მრალაშვილი, ბ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქ-  
ტორის მოადგილე), რ. პატარიაძე, ჯ. ჩარაგინი, ნ. წულუბსარი, თ. ში-  
ლაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

## მონოლოგი დიალოგიდან

ქართულ მწერალთა ერთ ნაწილს მიემართებ შეკითხვებით, ვთხოვთ, გამოუთქვან თავიანთი აზრი ლიტერატურისა და კულტურის, აგრეთვე ცხოვრებასთან შათი მიმართების შესახებ. ვუცხოობთ, მწერალთა მიერ გაცემული პასუხები საგულსიხმო და საინტერესო იქნება მკითხველთა ფართო აუდიტორიისათვის...

ჩვენი ქურნალის წინა მუშევიდე-პერვე-მეცხვე ნომრებში გვსაუბრათ აქაი ვაწერელია, ქვეშ ქართულ და გერამ გეგევიძე. ამჟერად გთავაზობთ ოთარ ჭილაძის „მონოლოგს“.

ნებისმიერ ადამიანს, რომელიც, მეტნაკლებად, დაინტერესებულია ლიტერატურით, ისიც კარგად ესმის (უნდა ესმოდეს), თუ რატომ იქმნება საერთოდ ლიტერატურა, რა განაპირობებს არა მარტო მის აუცილებლობას, არამედ მის მარადიულობასაც. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, ზოგადად მწერლობისა და კერძოდ მწერლის დანიშნულება, გარკვეული თვალსაზრისით, განსხვავებული არ იყოს, არათუ სხვადასხვა ეპოქებისთვის, არამედ სხვადასხვა ლიტერატურულ რეგიონებისთვისაც კი. ამით იმის თქმა მიიწინაა, რომ თითქოს მარადიული, თითქოს ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული შეხედულებაც ემორჩილება დროისა და გარემოს შემოქმედებას და, შესაბამისად, თვითონაც იცვლება. ამ, თითქოსდა, უბრალო მიზეზის გამო, არაფრით არ შეიძლება, ერთნაირად ესმოდეს თავისი მწერლური დანიშნულება, ვთქვათ, ქართველსა და, ვთქვათ, ფრანგ მწერალს, რამდენადაც ფრანგ მწერალს აზრადაც არ მოუვა ალბათ, მშობლიური ენისა და საერთოდ თავისი მშობლიური ხალხის გადარჩენაზე იფიქროს დღეს (მხედველობაში არა მარტო, რასაკვირველია, საერთაშორისო, მსოფლიო კატასტროფის შესაძლებლობა). ეს ეტაპი ფრანგულში მწერლობამ დიდი ხნის წინ გაიარა, თუკი გაიარა საერთოდ, ზოლო ქართული მწერლობა, ასევე დიდი ხანია, ამ ეტაპზეა „გაჩერებული“. ეს ამბავი, თავისთავად ცხადია, ქართულ მწერლობის ნაკლად ან დანაშაულად არ ჩაითვლება (ამ ზოლო დროს, დამეთანხმებით, ქართული მწერლობა ხშირად გვევლინება ბრალდებულის როლში), სამაგიეროდ, ამის

გამო, ქართულ მწერლობას, ნებისმიერ სხვა სერიოზულ მწერლობასთან შედარებით, გააცილებით მეტი სასიკაცულო ძალების დახარჯვა უხდება, მწერლობა რომ ერქვას დღესაც, ანუ, საკუთარი მეობაც დაიცვას და საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესებშიც მიიღოს მონაწილეობა. მისი „წვლილი“ მსოფლიო ლიტერატურაში, შეიძლება, მიახლოებითაც ვერ გამოხატავდეს მის „შესაძლებლობებს“, მაგრამ საჭიროებ მეტა იმის დასადასტურებლად, დღესაც უაღრესად ცოცხალ, უაღრესად მგრძობიარე და უაღრესად ენერგიულ ორგანიზმს რომ წარმოადგენს.

და მაინც, როგორც არ უნდა ცვლიდეს, როგორც არ უნდა ართულებდეს ან ამარტივებდეს დრო და გარემო, მწერლის დანიშნულება, საბოლოო ჯამში, დღესაც ის არის, რაც გუშინ იყო და ხვალაც ის იქნება, რაც დღეს არის — თანაგრძობა, დაიმედება, გამხნელება ცხოვრების ლაბირინთში მოხვედრილი ადამიანისა. ამიტომ, გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს მწერლის დანიშნულებას რომელიმე ერთი მწერალი, ანდა, თუნდაც, რომელიმე ერთი ლიტერატურული თაობა ასრულებდეს. როგორც „დანიშნულება“ მარადიული, ისევე მისი აღსრულების პროცესიც მარადიულია, განუწყვეტილი... სიზიფდეს ლოდისა არ იყოს, ერთხელ და სამუდამოდ ვერაიენ განთავისუფლებება მისგან და ის ლიტერატურაა მნიშვნელოვანი, რომელსაც ამ „ლოდის მთრეველი“ არ დაუტოვებ, ანუ, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, რომელსაც თაობათა უწყვეტობა ახასიათებს, რომლის ნებისმიერი წარმომადგენელი თავის

საკუთარ „სიზიფეს ლოდს“ ვიზიფება საკუთარი შესაძლებლობების მწვერვალისკენ. ლიტერატურის სიციცხლის უნარიანობას არა მარტო უკვე დაპყრობილ მწვერვალთა, არა მდებ (და აღზატ უფრო მეტადაც) ახალ მწვერვალთა დაპყრობის მოსურნეთა არსებობა განაპირობებს. უშთაპოვებლოდ მწერლობაც ისევე იღუპება, როგორც ოჯახი. ასე რომ, თხოვთმეტსაკუნოვანი ლიტერატურის პატრონები, ჩემი აზრით, იმითაც უნდა ვამაყობდეთ დღეს, ჯერ კიდევ რომ არ განდგომიან ჩვენს მწერლობას ამ ხელობის მიმდევარნი, ერთი ნაბიჯით რომ არ დაეჭებულან თავიანთი არჩევანის სისწორეში, თუმცა კი, არავის გაუკვირდებოდა აღბათ მათი მერყეობა, მათი შინაგანი ბუნების გაორება და ხშირი ცვალებადობა, მით უფრო დღევანდელ, უაღრესად დაძაბულ ვითარებაში, როცა მცირერიცხოვანი ხალხთა უნები სერიოზული საფრთხის წინაშე დგანან და არც თუ ისე იშვიათი შემთხვევაა (რასაკვირველია, მსოფლიო მასშტაბით), როცა ამა თუ იმ მწერალს უკვე დაზოუკადებოდა, პირადად ინიციატივით, მფგომარობისდა შესაბამისად გამოაქვს სათანადო დასკვნები — ან ენას იცვლის, ან, თქვენ წარმოიდგინეთ, ორი ლიტერატურის მსახურობას კისრულობს ერთდგროულად, ორენოვან მწერლად გვევლინება, რაც, თუკი სალად ვიმსჯელებთ, უკრიოზა და მტერი არაფერი, რაც უნდა მახვილგონივრული თეორიული მოსაზრებებით გაამართლონ თავად ამ მწერლებმა თავიანთი არჩევანი (ენის შეცვლა, ანდა ორენოვნება), მათ არჩევანს, მხოლოდ და მხოლოდ, გარემოსთან შეგუების, ანდა, თუ გნებავთ, თავდაცვის ბიოლოგიური ინსტიქტი წარმართავს და, ამდენად, თავის თავად უკვე არასაკადრის საქციელად აღიქმება ისეთი ინტელექტუალური, უაღრესად გონიერი პიროვნებისგან, როგორც არის, ანდა, როგორც უნდა იყოს მწერალი, მაგრამ საერთოდ არ ამოიღებდა კაცი ხმას ამ ამბავზე, მწერლის (განსაკუთრებით, ნიჭიერის) მიერ ენის შეცვლა, ანდა, მეორე ენის მიმატება, მხოლოდ და მხოლოდ, ერთი პიროვნების გადაარჩენის (თუნდაც, კეთილდღეობის), საქმეს რომ ემსახურებოდეს — ერთ მწერალს (გინდაც ნიჭიერს), მით უფრო მშობლიური ენის უარმყოფელს, ასე თუ ისე, მაინც შეეღვება ხალხი, დროთა განმავლობაში, დაივიწყებს კიდევ, მაგრამ ცუდი ისაა, რომ ენისადმი მწერლის დამოკიდებულება საერთო სახალხო მასშტაბის აქტია და ამ დამოკიდებულების ნებისმიერ შეცვლას, ისევე როგორც პირველ, გამაფრთხილებელ სენსიბლოგიურ ბიძგს, შეიძლება, გრანდიოზული ხასიათის კატასტროფები მოჰყვეს ერის ცხოვრებაში. ენის შეცვლა ადამიანს

(ესე იგი, ხალხსაც) ეროვნებასაც უცვლის და ერთი გენეტიკური ატმოსფეროდან უცვლურში გადაიყვება. ენის შეცვლა, უფრო მეტი უნდა ლისა, აზროვნების კონსტრუქციის და, აქედან გამომდინარე, პიროვნების შეცვლას იწვევს. მსგავსი რამ, ჯერჯერობით, ჩვენდა საბედნიეროდ, ქართული მწერლობისთვის უცხო და, მე ვიტყვი, მიუღებელი მოვლენაა. თუმცა, გულსტკივილით, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენშიაც იყო გარკვეულ ცდები მწერლის ახალი „სახეობის“ დამკვიდრებისა. ჩემმა ნათქვამმა მკითხველი რომ არ დააბნოს, აქვე ვიტყვი, რასაც ვგულისხმობ. პირადად ჩემთვის (იმედი მაქვს, ყველასთვის) წარმოუდგენელია, ქართული მწერალი ერქვას კაცს, რომელსაც ქართულად ნერა არ შეუძლია, ანდა, კიდევ უარესი, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, სხვა ენაზე ნერას ამჯობინებს. მწერლის „ეროვნულობის“ დასადგენად ერთადერთი კრიტერიუმი არსებობს — რა ენაზე აზროვნებს და რა ენაზე ნერს იგი. ხოლო ენის შეცვლა, როგორც უკვე ვთქვით, გენეტიკური სტრუქტურის შეცვლას ნიშნავს: იწვებს რა სხვა ენაზე ნერას, მწერალი თავის არსებაში იძულებით წვეტს ბუნებრივ გენეტიკურ ხაზს და, უნდა თუ არა, სხვა გენეტიკურ სფეროს უკავშირდება ხელოვნურად. ასე რომ, მე თუ მკითხავთ, გაოცების მეტს არაფერს უნდა იწვევდეს ზოგიერთი ჩვენი კრიტიკოსისა და ლიტერატორის მგზნებარება, როცა კიდევ ერთ რუსულენოვანი თუ კიდევ ერთი გერმანულენოვანი ქართველი მწერლის აღმოჩენას მოგვხარებენ ხოლმე პრესის ფურცლებიდან. ქართული მწერლობა, მხოლოდ და მხოლოდ, ქართულენოვანია და, დარწმუნებული ვარ, ასეთადაც დარჩება ყოველთვის (თუნდაც — ბოლომდის).

წლან ვთქვი, ჯერჯერობით, ჩვენთვის უცხოა ასეთი მოვლენები-მეთქი, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, ჩვენთანაც რომ არ მოხდება როდისმე (თუკი ფიზილად არ ვიქნებით), რაც სხვაგან უკვე მოხდა, ანდა ახლა ხდება. ვერც იმით ვინუღებებთ თავს, მოსახდენი მაინც რომ მოხდება, ანუ, თავისთავად, უჩველოდ გადაარჩება, რაც ღმერთს შეუძენია, ურთილი-სოდაც საერთოდ დაეკარგებოდა აზრი კაცობრიობის მრავალხმიან, მრავალფეროვან ცხოვრებას. ქართული ანდაზაა — წყალნაღებული ხავს ეჭიდებოდაო — და აქ არა მარტო წყალნაღებულის უიმედო მფგომარებაა ხაზგასმული, არამედ უკანასკნელ ნაბიჯად ზრბოლის, ცდის, შურირგებლობის აუცილებლობაც. ვიდეო ხავსი არსებობს, ყველაფერი არ არის დაკარგული. მწერლის პროფესიაც ხავსის მოჭიდებაა მხოლოდ — თუ ორი კაცი მაინც ლამაზაკობს მის ენაზე,



მწერალს უფლება არა აქვს ხელი გაუშვას ხატს. შორს რომ არ წაივად, ამის თვალნათელი, მე ვიტყვოდი, ამის კლასიკური მაგალითია დავით გურამიშვილის მთელი ცხოვრება და შემოქმედება. გურამიშვილის დროს ალბათ არავის გაუეყირაებოდა ენისა და რჯულის შეცვლა — ქვეყანა ისე იყო არეული, ძალიერ პატრონს ვეღარ სცნობდა, მეფეს არ უფლობებოდა საკუთარ სამეფოში — მაგრამ მან, მშობლიურ ფესვებს მონყვებტილმა, სრულიად უცხო გარემოში, უთვისტომოდ, არა თუ შეინარჩუნა ენა და რჯული (რასაკვირველია, მშობლიური ხალხისა და მშობლიური ლიტერატურის უკვდავების რწმენით), არამედ უაღრესად ქართველ ეროვნულ პოეტადაც ჩამოყალიბდა. ამიტომ, წინა ჩვენ ავუბნებთ მწერლებს თავგზას. დაე, ყველამ იმ ლიტერატურის ნიაღში სცადოს ბედი, რომელსაც განგებამ მიაკუთვნა და არა რომელიმე თეორეტიკოსის ტინმა თუ აქემებამ. ან ცხოვრება (თუ გნებავთ, ბედისწერა) აკუთვნს ჩვენს მაგივრად არჩევანს, ანდა ჩვენ თვითონ ვირჩევთ, ისევე და ისევე, ცხოვრებიდან გამომდინარე. მსგავსი შემთხვევა იმდენად ბევრია მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, მათი ჩამოთვლა შორს ნაკვეთვანს. ერთი კია, ვინც ირჩევს, ერთხელ და სამუდამოდ ირჩევს, ან აქედ დგება, ან — იქით, რადგან ერთდროულად დგომა აქეთაც და იქითაც, არ შეიძლება. ეს არამარტო ლიტერატურისთვის არის მავნე, უკადრისი საქციელი, არამედ საერთოდ მწერლური და, თუ გნებავთ, საერთოდ ადამიანური ზნეობისთვისაც.

წელან უკვე ვთქვი და, თქვენი ნებართვით, ერთხელაც გავიმეორებ, რომ ამა თუ იმ ლიტერატურის სიღიადეს მისივე მწვერვალების სიმარცხე კი არ განაპირობებს მხოლოდ, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი ყოველდღიურობაც — ანუ — მისი მსახურების ყოველდღიური, ხელუბრადაკანონებული შრომა, მიუხედავად ყველაფრისა, შრომა იმ რწმენითა და იმედით — რუსთაველობას თუ ვერ შესაძლებ, რუსთაველის ფენომენს მაინც შეუნარჩუნებ საიმედო (საკუთარი ოფლითა და სისხლით ჩაუღლებებულ) საფუძველს. ასე რომ, არა მარტო „თანამედროვე“, ანუ, მიმდინარე, არამედ საერთოდ ქართული ლიტერატურა თანამედროვე, დასაბამიდან დღემდე, რამდენადაც, ქართული ლიტერატურის ჩანახახშივე წამოჭრულ პრობლემათა უმრავლესობა დღეიაც გააფასურებლია. ნამდვილი ლიტერატურა ყოველთვის თანამედროვეა. ღმერთმა დაიფაროს, ასე არ იყოს. ეს იგავე სიყვედილი იქნებოდა ლიტერატურა. თუმცა, იმასაც გააჩნია, რას ვვულის-

ხმობთ თანამედროვეობაში, ჩვენი თვალსაზრისით, რა განაპირობებს ლიტერატურის თანამედროვეობას. პირადად მწვერვალზე ვასათანამედროვეობად სრულებითაც არ მიმაჩნია საჭიროდ ჯურნალისტური ჩარევა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ლიტერატურა თანამედროვეა არა ყოფის სურათების დეტალური აღწერით, არამედ ყოფის ერთი სურათიდან მეორეში გარდამავალი ენებისა და განწყობების მარადიულობით. ასევე არა მგონია, რამე საერთო ჰქონდეს ამ საკითხთან ქართველი მკითხველის ერთგვარ „გაცივებას“. მე მგონია, ეს ხელახლა აღმოჩენილი და, ამდენად, ჩვეულებრივი მოვლენაა, ვიდეო — ახალი, ჩვენი დამკინების დამადასტურებელი კოდექ ერთი უბედურებაა. ჩვენი ლიტერატურის მესვეურები ყოველთვის უჩიოდნენ მკითხველის ამგვარ „სიცივეს“, მაგრამ აქვე უნდა შევთანხმდეთ იმაშიც, რომ ნამდვილი მკითხველი ისეთივე იშვიათობაა, როგორც ნამდვილი მწერალი. ჩემი აზრით, ჩვენი ლიტერატურის მესვეურებაც ყოველთვის ის მკითხველი ყავდათ მხადველლობაში, რომელსაც, საკუთარი უნიგუნობისა და უკულტურობის გამო, თვალი სულ უცბოსკენ გაურბის, ყველაფერი უცხოური მოსონის, ენაც კი, თუნდაც იმიტომ, უცხოურს შემონებმა რომ აღარ სჭირდება, რაკი უცხოურია, კარგიცაა, შენი კი, მით უფრო შენი თანამედროვე, ჯერ საფუძველიანად არცაა შეფასებული და, ღმერთმა იცის, შეფასდება თუ არა როდისმე. ეს მარტო ქართველი მკითხველის ნაკლად ვერ ჩაითვლება, ეს ზოგადსაკაცობრიო თვისებაა, ძნელად მოსარევი, რამდენადაც, ჩვენივე ყოვლისმომცველი და მარად ამოუწურავი ცნობისმოყვარეობიდანაა ამოზრდილი. ამ სენითაა შეპყრობილი მსოფლიო მკითხველი და, მართლაც, განა ცოტა შემთხვევად და, როცა სამშობლოში შეუშინებლად დარჩენილი მწერლები სამშობლოს გარეთ აღმოუჩენიათ? აქვე ნამდვილი მკითხველის დასაცავად იმასაც ვიტყვი, რომ მე, რატომღაც, პირიქით „მეჩვენება“ — ამ ბოლო დროს, მე მგონია, იმატა ჩვენში ნამდვილი მკითხველის რიცხვი და, მიუხედავად მრავალგვარი, მრავალმხრივი დაუბრუნებისა, მაინც გაიზარდა ინტერესი სწორედ მშობლიური ლიტერატურის მიმართ. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, თითქოს მკითხველი (გინდაც, ნამდვილი) რაიმე მონაწილეობას იღებდეს შემოქმედებით პროცესში. უკეთეს შემთხვევაში, ის ამ პროცესს ასრულებს. მისი გამორჩენა იმის დამადასტურებელია, მწერალმა თავისი გასაკეთებელი უკვე რომ გააკეთა და გაკეთებულს, ანუ თუ კარგი, ვეღარც მიამატებს რამეს, ვეღარც მოაკლებს, მკითხველმა ისეთი უნდა მიიღოს ის (ან არ მიი-



ლოს), როგორც არის, მწერალი კი უკვე ახალ ნაწარმოებზე ფიქრობს, თუკი საამისო ძალა კიდევ შესწევს და საამისო სურვილიც აქვს, თუკი არ ირწმუნა, უკვე რომ დაწერა, რაც უნდა დაწერა, უკვე რომ შექმნა საკუთარ შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოხმატველი ნაწარმოები, „რომელსაც ვეღარ დამღუეს, ვეღარ აჯობებს შემოქმედებითი თვალსაზრისით“. როგორც კი ამას იწამებს მწერალი, მისი საქმე ნასულია, ვეღარაფერს შექმნის ფასეულს, როგორც არ უნდა პონტრესებდეს მკითხველს მისი შემოქმედება. ზემოთ ვთქვი, მკითხველი შემოქმედებით პროცესს ასრულებს მეთქი. ახლა კი დავამატებ, რომ მხოლოდ მისი აქტიური ჩარევის შედეგად იწყება სულ სხვა პროცესი: ნიგნის დამოუკიდებელი ცხოვრება, მისი მინიერი სიციველე და, შეიძლება, მისი უკვადავბაც-რაც უფრო ერთდარიებული და ადლოიანია მკითხველი, მით უფრო მალე აღმოაჩენს ხოლმე ახალ ნიგნს, თუკი, რასაკვირველია, საერთოდ ღირსია სიციცხლისა ის ნიგნი. პირადად მე, ჩვენი მკითხველის ღრმად ერთდარიებულობისა და შეუძვარი ადლოიანობის საუკეთესო, დადასტურებად მიმართა ნანა შენგელიას „მცირე განმარტება“ ლეო ქიაჩელის „გვაფი ბიგვას“ არასწორი ნაკითხვის თაობაზე; ეს მართლაც მცირე განმარტება, უპირველეს ყოვლისა, იმის მაუწყებელია, ყველაფრის მიუხედავად, ჯერ კიდევ რომ მიმდინარეობს ჩვენში ლიტერატურული ცხოვრება და, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ეს „მცირე განმარტებაც“ ქმარა იმის ნიშნად, თუ როგორ გვესმის დღეს მწერლობა და როგორ ვკითხულობთ საერთოდ მხატვრულ ნაწარმოებს. სხვათაშორის, ნანა შენგელიას მოსაზრებები მოგვიანებით პროფესიონალმა ლიტერატორებმაც გაიზიარეს, მაგრამ ეს კი არ არის მთავარი, მთავარია, მთლად ხელიდან წასული რომ არ ყოფილა ჩვენი საქმე და ჯერ არამარტო ნიგნის დაწერა, არამედ, რაც უფრო უფრო მეტია, ნიგნის ნაკითხვაც შეგვეძლება. შეიძლება ეს რომელიმე თეორეტიკოსის „თვალსაზრისს“ არ ამართლებდეს (სხვათაშორის, ყველაზე დიდი გულციკობა ქართულმა თეორეტიკოსებმა გამოიჩინეს ეგრეთწოდებული „ქართული პროზის ფენომენის“ მიმართ, რომელიც, გვირდოდა თუ არა, არაქართულმა ლიტერატორებმა „მოგახვიეს“ თავს), მაგრამ არც ჩემი დავკირეება უნდა იყოს მთლად უსაფუძვლო. თუმცა, მწერლის დავკირეებას თეორეტიკოსებისთვის დიდი ღირებულება არა აქვს: ჩვენ ხომ გულთ ვნობავთ და არა გონებით? მაგრამ, ასეა თუ ისე, ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, მე მხოლოდ ოპტიმისტურად ვუყურებ ჩვენი ლიტერატურის მომავალს, თუკი, რა-

საკვირველია, საამისოდ აუცილებელი ყველა პირობაც შევეიცნოვს ხელსაყრელად, როგორც კერძოდ საქართველოში, იქვე მათოდ მსოფლიოს პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური ცხოვრების ხვალისდელ დღეს, თორემ, მარტო იმის იმედზე ყოფნა, რომ „სამყაროს სილაზაზე იხსნის“, ჩვენს დროში, რბილად რომ ვთქვათ, გულუბრყვილობა იქნება და მეტი არაფერი.

მართალია, მე თვითონვე ვთქვი, ჩემი თეორიული მოსაზრებები დიდად არ ფასობს-მეთქი, მაგრამ სრულუბებითაც არ არის აუცილებელი, სიტყვაზე დამიჯეროთ. მწერალი ისეთი უცნაური არსებაა, შეიძლება, მოულოდნელად წამოსცდეს ის, რასაც ლიტერატურის მკვლევარები მთელი სიციცხლზე უშედეგოდ დაძებნენ. ამიტომ, გავკადნიერდები და ჩვენი მწერლობის დასაცავად კიდევ ერთ მოსაზრებას გამოვთქვამ: ლიტერატურა კულტურის საფუძველია, კულტურის საყრდენია და, თუნდაც ამიტომ, არაფრით არ შეიძლება წარმატებას მიადნოს, ანუ, გარკვეულ მსოფლიო სტანდარტებზე ამოღდეს, დაუშვათ, თეატრალური ცხოვრება და, რაც კიდევ უფრო ანგარიშგასანეცია ამჟამად ჩვენითვის, თარგმანის კულტურა იმ ქვეყანაში, რომელსაც მძღვერი ლიტერატურული ტრადიციები არ გააჩნია. ქართულმა თეატრმა მსოფლიოს ყურადღების მიპყრობა რომ შესძლო, ამაზე აღბათ იოლად შევთანხმდებით (თუმცა, ყველა სიხარულით როდი აღიარებს ამ ფაქტს). ასევე, არანაკლები მნიშვნელობის (რასაკვირველია, ლეოქიური, მხოლოდ და მხოლოდ, ჩვენი მწერლობის მასშტაბით) ფაქტად მიმართა, დევუშვათ, „უღისეს“ თუნდაც ასეთი დაგვიანებული დაბადება ქართული მწერლობის წიაღში (თარგმნილი ლიტერატურა ხომ მშობლიური ლიტერატურის განუყოფელი ნაწილია; ანდა, შექსპირის თხზულებათა სრული გამოცემა ქართულ ენაზე, რაც მსოფლიო მასშტაბითაც იმეთათი შემთხვევაა. როგორც მოგახსენებთ, ყველა ნიგნი თავისებურად რთული და ძნელად სათარგმნიელია. „უღისეს“ თარგმნა კი საერთოდ წარმოუდგენელია ისეთ ენაზე, რომელსაც ღრმა ლიტერატურული ტრადიციები არ ახასიათებს და რომელზედაც დღესაც არ იქმნება ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოებები. განვითარების ნებისმიერ საფეხურზე მდგომ ხალხს, მოსალოდნელია, ჰქონდეს საკუთარი ფოლკლორი, ანუ, თხზულებს, ლექსებს, ლეგენდებს, ზღაპრებს... და ცეკვა-სიმღერით მოგვიტხრობდეს თავის თავგადასავალს, გვიხატავდეს თავის ყოფნა — მაგრამ პროფესიული თეატრისა და თარგმნილი ლიტერატურის, მხოლოდ და მხოლოდ, უმადლესი კულტურის გამოხატულებ-



ბაა. მიხედვლობაში მივეს უშეღავათო, უკომპრომისო დამოკიდებულება, როგორც მეორე ადამიანის გარეგან სახესთან, ანუ, ხატთან, ისევე მის შინაგან ბუნებასთან, ანუ, სიტყვასთან. „უშეღავათო და უკომპრომისო“-მეთქი, რამდენადაც, ხელმოწერის ეს დარტყმები იწვევს „სულის მოთქმის“, „უკან დახედვის“ საშუალებას — სათარგმნელი ნაწარმოების თავისუფალი გადამხედრება, რასაკვირველია, გადკლებით იოლია, ვიდრე მისი ზუსტად (თუნდაც, მიქრომალური სიზუსტით) გადმოტანა მეორე ენის სტიქიაში. პირველ შემთხვევაში მთარგმნელს შეუძლია თავისუფლების სახელით გაამართლოს ნებისმიერი მარცხი; მეორე შემთხვევაში კი მთარგმნელი ორიგინალის მონაა და ეს ნებაყოფლობითი მონაბა აძლევს მხოლოდ სტიმულს, გაუტოლდეს ორიგინალის სიმაღლეს.

რაც შეეხება თქვენს მომდევნო შეკითხვას, „ველი თუ არა უახლოეს წლებში ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში „სასწაულს“ და ასე შემდეგ, თქვენი ნებართვით, პასუხისგან თავს შევიკავებ, რამდენადაც, ასეთ „შეკითხვობა“ მწერლის საქმე არ არის. შემოქმედებით პროცესს იმდენი წერტილიანი პრობლემა, ბუნდოვანი საკითხი, რტუსი, ქარავმა თუ ვარაუდი ახლავს თან, უბრალოდ, ერთი ნაბიჯი მაინც რომ მიაქციოს მწერალმა გურადდება, თანაც სერიოზულად, თავფეხიანად გაიხილარება შიგ. ეს კი ნამდვილად არ ეკადრება, უფრო სწორედრალა დაბნევა უნდა, როცა ისედაც დაბნეულია, ისედაც ალაღბებულად დაეძვბს იმას, რისი სახელიც წესიერად თვითონაც არ იცის ჯერ და, ვიდრე იპოვდეს, დაახლოებითაც ვერ წარმოიდგენს, როგორ გამოიყურება მიზეზი და მიზანი მისი უგზო-უკვლო ზეტილისა არსაიდან არსაით მიმავალ გზაზე...

შეიძლება, ვინმეს ესამუშოს, არ მოეწონოს შემოქმედებითი პროცესისა და ამ პროცესის ერთადერთი მონაწილის ასე არასახარბილოდ წარმოადგენა, მაგრამ, როგორც ასეთ დროს ამბობენ ხოლმე, ფაქტი უცუტია — მწერლის ნიჭსა და უნარს მისი საქმიანობისთვის უღალსადა, სისხლბორცვლად საჭირო მადონს ადგილსამყოფელის ცოდნა კი არ წარმართავს, არამედ ურყევი, ლამის ქუმშარიტებასთან გათანაბრებული რწმენა იმისა, აუცილებლად რომ უნდა არსებობდეს ბუნებაში მსგავსი მადანი, ამდენად, როგორც ნებისმიერი ძიება, მწერლური ძიებაც აღლსსიერი. მწერლური წარმატება-წარუმატებლობა ძირითადად ეტრეტნოლოგიულ „იღბლიანობასთანაა“ დაკავშირებული. რაც უფრო იღბლიანია მწერალი, მით უფრო უკეთ ეძებს და მით უფრო მეტსაც პოულობს. ყოველ შემთხვევაში, ეს განუწყვეტელი ძებნა და პოვნა მისი

დანიშნულება და არა ლიტერატურის თეორიის საიდუმლოთა, თუნდაც [ქართული] სინტერესოთა, ამოცნობა-აქრტყმე [ქართული], სპორტში კიდევ შეიძლება მსგავსი ექსპერიმენტის ჩატარება, დასაშვებია, თამაშის დაწყებამდე, უფრო ზუსტად კი, თამაშის მსულელობისას, მოვთხოვოთ მაცურებელს, ანდა თავად სპორტსმენებს, საუკეთესო მოთამაშის დასახელება, რომელიც მიმდინარე თამაშის ბედს აუცილებლად მისი გუნდის სასარგებლოდ გადაწყვეტს. თუმცა, ნებისმიერი სპორტული თამაშის ბედიც შემთხვევითობასა და მოულოდნელობაზეა დამოკიდებული — თავისუფლად შეიძლება, სახელგანთქმულ მოთამაშეს იქამდე ყველასთვის უცნობმა მოთამაშემ აჯობოს. მაგრამ, სპორტისგან განსხვავებით, ლიტერატურაში „სასწაულები“ არ ხდება. აქ ნებისმიერი „მოულოდნელობა“ უფრო კანონზომიერია და ხანგრძლივი, ერთობლივი მცვაფინგობის ნაყოფს წარმოადგენს. არადა, ლიტერატურული ცხოვრება, შინაგანი წესებითა და კანონებით, ალბათ დიდად არც განსხვავდება სპორტული ცხოვრებისგან. აქაც ხდება „მოთამაშეთა“ გადარჩევა, დახარისხება, დაჯგუფება, გამოცალკავება... აქაური ატმოსფეროც პროგნოზებითა და ვარაუდებითაა დამუხტული.

ლიტერატურაზე და საერთოდ ხელოვნებაზე ფიქრი, მსჯელობა და კამათი — ერთერთი უძლიერესი სულიერი მოთხოვნილებაა გამოვითქვობიერებელი ადამიანისა. ასე იყო დაახლოებით, ასე იქნება ყოველთვის. მაგრამ ყველა ახალ თაობას თავისი სინჯი და საზომი მოაქვს და ცდილობს თავისებურად, ახლებურად, თანამედროვეობის პოზიციიდან ახანას, განმარტოს, შეაფასოს ხელოვნების ესა თუ ის დარგი. თავისთავად ცხადია, ლიტერატურული ცხოვრება, გარკვეული თვალსაზრისით, ხელს უწყობს ლიტერატურის შემდგომ განვითარებას, მაგრამ აქაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თავად „ცხოვრების“ დონეს. ამიტომ, დასავლეთის მიზაძევა, ანუ, დასავლეთის მეთოდებით ცვლვაპირთა ჩვენს ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებისა ალბათ არ გამოგვაფეხება, არ გამოგვაფეხება თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, ლიტერატურული ცხოვრება შედარებით დაბალ დონეზე რომ დგას ჩვენში. ლიტერატურული ცხოვრების დონის დაცემა ინტელიგენციის შინაგანი გათიშვის შემდეგ გახდა მხოლოდ შესაძლებელი. ინტელიგენცია, რომელიც თავისი არსითა და მონადებით ქვეყნის მოაზროვნე ნაწილის გავრთიანებას გულისხმობს, ვინრო პროფესიონალურ სფეროებად დაიშალა და, რაც კიდევ უარესია, თვითუღმა სფერომ თავისი დანიშნულებაც პროფესიისდა შესაბამისად დააკონ-

კრება. „სხვათა“ სატიკიარი არა თუ არ ეს-  
 მით, გაგონებაც არ უნდათ. რასაკვირველია,  
 ძალიან სასიამოვნოა ჩემთვის, ნებისმიერ  
 ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით ხალხი  
 მაშინვე მხერლობას რომ მოიკითხავს ხოლ-  
 მი, მხერლები სად არიანო, მაგრამ განა ნა-  
 კლებად უნება იგივე საკითხი, დაუფრებთ,  
 მხატვარს, მუსიკოსს, ეკონომისტს, იურისტს  
 თუ ქიმიკოსს? განა პროფესია ინტელი-  
 გენტს ანთავისუფლებს მისი უპირველესი მო-  
 ვალუბობისგან — იყოს საკუთარი ხალხის  
 უნებათა და მისწრაფებათა გონიერი წარმარ-  
 თელი? მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ  
 ჩვენში ამგვამად ინტელიგენტის ახალი სახე-  
 ლბა გაერყელებული (დიახაც რომ გაერყე-  
 ლბული, რადგან თუკი მართლა წარმოად-  
 გენს ის ანგარიშგასაწინებ ძალას, მხოლოდ  
 თავისი სიმრავლით), რომელსაც, რასაკვირ-  
 ველია, არ შეუძლია აქტიურად ჩაებას ქვეყ-  
 ნისათვის სასარგებლო საქმიანობაში, რად-  
 გან ღირითადად საკუთარი ქეთილდღეობის  
 მოწყობითა და საკუთარი პატივმოყვარეობის  
 დაკმაყოფილებითაა დაკავებული. ასე რომ,  
 თავისუფლად შეიძლება ითქვას, ჩვენ ჯერ  
 კიდევ არ ვიცით „ლიტერატურული ცხოვრე-  
 ბა“, რამდენადაც ჯერ არც უნარი შეგვწევს  
 სიმართლის თქმისა, არ გავგანჩნა ქვეშარ-  
 ტი მხატვრული ნაწარმოების შესაფასებლად  
 საჭირო გემოვნება, გვიჭირს პირადულზე მა-  
 ლა დაუფრებოთ საზოგადო, არ ვფლობთ  
 ზუსტ, მკაცრ, ურყვე კრიტიკიუმებს, რის გა-  
 მოც ადვილად ახერხებს აღზვევას შემთხვე-  
 ვითი, თავისი არსითა და ბუნებით, ანტილი-  
 ტერატურული მოვლენა, რაც თავის მხრივ  
 საუკეთესო პირობებს შექმნის კარიერიზმს,  
 ამ უმძღაურეს და, ჯერჯერობით, ლამის  
 ერთადერთ სტიმულნიზატორს ჩვენი ლიტერა-  
 ტურული ცხოვრებისა. ასე კი იმიტომ ხდე-  
 ბა, რეალურსა და არსებულს ლეგენდა რომ  
 გვიჩვენია, ცაში გაბანრულ წეროებს ვეპო-  
 ტინებით, იფუმალისა და რომანტიკულს ბუ-  
 რუსში ვახვეთ ჩვეულებრივ ბანალობასაც კი  
 (რასაკვირველია, ისევ და ისევ ჩვენი უჭულ-  
 ტურობისა და პროვინციალობის გამო), საე-  
 რთოდ რომ არ შევამჩნიოთ ჩვენი მხერლო-  
 ბის მარადიული ქვრივობლობით გამოზრდი-  
 ლი ერთი-ორი, თუნდაც, შეუხედავი, უფერ-  
 ხორცო წინილა. ნედომის, ამოხსნისა და  
 სწავლის გინი, რაც ოდესღაც ნამდვილად  
 გვახსიათებდა, ჩვენდა შეუმჩნეველად, დრო-  
 თა განმავლობაში, წრეგადასულმა განურჩე-  
 ვლობამ და ყოვლად გაუმართლებელმა გულ-  
 გრილობამ შეგვიცალა. იმდენი ვიძახებთ —  
 არცოდნა არცოდნაო — უეცრობა ლამის პა-  
 ტიონების კრიტიკიუმად გვაცეცა. არადა,  
 უეცრობამ, შეიძლება, ისეთი ცოდევი ჩაგვა-

დენინოს, ლმერთმა კი არა, ეშმაკებაც ვლარ  
 მიგვიტევოს.  
 შერქმენული  
 „ცისფერი ყანელები“, უმზგანმზგანმზგან მიმი-  
 ტომაც იმსახურებენ ჩვენგან პატივისცემას,  
 არარსებული ლიტერატურული ცხოვრება  
 რომ გაითამაშეს არარსებული თეატრის სცე-  
 ნაზე. სინამდვილეში, ლიტერატურული ცხოვ-  
 რების ილუზია შექმნეს მხოლოდ და ეს იმ-  
 დენად ეფეტურული (რასაკვირველია, მათი იმი-  
 ტერების წყაღობით) და იმდენად მოულოდ-  
 ნელი (რასაკვირველია, ჩვენი მოუშნადებლო-  
 ბის გამო) აღმოჩნდა, აქამდე „ეცხოვრობთ“  
 იმ ცხოვრების ინერციით. დასაუღეთში კი  
 ლიტერატურული ცხოვრების დონე მაღალია.  
 ყოველ ათწლეულში, შეიძლება, არც იქ იმა-  
 დებთან ახალი სერვანტესები და პრუსტები,  
 მაგრამ სერვანტესისა და პრუსტის შემდგა-  
 ბელთა „თვალთახედვის არე“ განუწყვეტილი  
 იზრდება, მათდამი უდიდესი, უანგარო სიყ-  
 ვარულისა და პატივისცემის გამოც. დასავ-  
 ლეთის ლიტერატორები ხანდახან განგებაც  
 ტებენ ხოლმე განგაშს და ასე იმიტომ იქვე-  
 ნიან, უკეთ მომზადებულნი რომ დახედენ  
 ლიტერატურის მოსალოდნელ „ქრისიანება“  
 და „სიყვდილება“, თორემ, არა მგონია, ჩვენ-  
 ზე ნაკლებად იცოდნენ, ხელოვნების, განსა-  
 კუთრებით კი პოეზიის სიყვდილი წარმოუდ-  
 გენელი რომაა, ვიდრე ადამიანი იარსებებს  
 ამ ქვეყანაზე. პოეზია დედამიწასავით ბებე-  
 რია, მაგრამ იმავე დედამიწასავით, მარადი-  
 ული განახლებების და გაახალგაზრდაების  
 უნარიც გააჩნია. ადამიანი, შეიძლება, ყო-  
 ველთვის ერთნაირი გულისხმიერებით არ  
 ვუიფობოდეს ხელოვნების ამა თუ იმ დარგს,  
 მაგრამ ეს ხელოვნების ამა თუ იმ დარგის  
 სიყვდილზე კი არ მეტყველებს, არამედ ერთ-  
 ხელ კიდევ წარმოაჩენს ადამიანის ბუნების  
 ევოლუციურობას. წარმოაჩენს მის სულიერ  
 მდგომარეობას მისივე მარადიული გზის ამა  
 თუ იმ მონაკვეთზე და, ამდენად, მისი გაუ-  
 ცხოვებაც, ვთქვათ, პოეზიისადმი, ისეთივე  
 ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც დღელამში-  
 დასა და უელინდაის დროების მონაცვლეობა.  
 მაგრამ როგორც არ უნდა იყოს ადამიანის  
 სულიერი მდგომარეობა გზისა და დროისა  
 ამა თუ იმ მონაკვეთში, მიუღწეველსკენ  
 ღტობდა და იფუმალის ამოხსნის გინი მა-  
 ინც მის გამოსარჩევ თვისებად დარჩება, რაც  
 თავისთავად იმის გარანტიაცაა, ყოველ წამს  
 რომ შეუძლია სინათლისკენ შემობრუნება,  
 ყოველ წამს რომ შეუძლია ამაღლება, ოდეს-  
 ლაც, უკეთეს დროს, მისივე ხელით შექმნილ  
 შედეგებამდე. საამისოდ კი, პირველ რიგში,  
 ცოდნაა საჭირო. ცოდნა ყველასთვის კარგია,  
 მაგრამ ჩვენ, ქართველებს, მაინც სხვებზე  
 მეტის ცოდნა გვჭირთებს. იმიტომ კი არა,  
 სხვათა ჯობნის, სხვებთან თავის მონონების



ტინით რომ ერთ შეპყრობილნი (როგორც შეიძლება მოეჩვენოს ვინმეს), არამედ ჩვენი ყოფნა-არყოფნის ელემენტარულ საკითხებში რომ გავრცევთ ფრთულად.

როგორც უკვე ვთქვით, ქართული მწერლის დანიშნულება ცოტა განსხვავებულია და სასებით ბუნებრივია ეს ამბავი — ქართულ მწერალს ყოველთვის მზად უნდა ჰქონდეს პასუხი ნებისმიერ ეროვნულ, სოციალურ, ეკონომიურ, პოლიტიკურ, ისტორიულ, გეოგრაფიულ თუ კულტურულ კონფლიქტთან დაკავშირებით, მაგრამ, ამავდროს, რკინისბურთი მოთმინებით უნდა იკავებდეს თავს „წვრილმან კინკლაობისგან“, და, მხოლოდ და მხოლოდ, იმ გადამწყვეტ მომენტს ელოდება, როცა არ ჩარევა უკვე დანაშაულისა. პასუხის გაცემას, ემოციურ შეტად გონიერება და, თავისთავად ცხადია, კოფინა ყირფება მწერლსა პასუხი კი იგივე მთავრანარმობია, ანუ, მშობლიური ხალხის სულიერი პოტენციის ყველა ურთი თვალნათელი მთავალით. ამიტომ, ჩვენი ნებისმიერი ნაწარმოები ელემენტარულად უნდა გამოირჩეოდეს თავისი ადამიანურობით, კაცობრივობით, კეთილშობილური პოზიციით, სინათლით, გაგებისა და მიტევების რწმენით. საპირისპირო შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელია, ყველა ჩვენი ისტორიული უბედურება ისევე ჩვენს პირადულ თვითებებს მიანერონ და დანაშაულად ჩავითვალონ, რისი მაგალითობიც, სამწუხაროდ, ბევრია და უმად მოიმატებს, ვიდრე მოიკლებს მომავალში. რამდენადაც ჩვენი მაგინებლების უაღრესად არაუთუკური საქციელი, ზოგჯერ მათივე დაბნეულობითაა განპირობებული, ვიდრე ჩვენდამი მტრული დამოკიდებულებით. მართლაც, რა მტრობა უნდა ამოქმედებდეს, მაგალითად, ამერიკელ გამომცემელს, რომელიც, ჯავშვით, ჯვარსა და სტეტიცხოველს, ქართული სულიის სიმბოლოებს, სომხურ კულტურას მიიკუთვნებს; ანდა რა უნდა სჯადეს რუს მივინიკოს, რომელიც ჩვენივე დიდებურობით ხსნის „ჩვენს ქუჩებსა და ოჯახებში“ მშობლიური ენის იგნორირებისა და დანაგვიანების მაგალითებს. ღმერთმა ხომ იცის, ერთიც სედება და მეორეც! მაგრამ, გარკვეული თვალსაზრისით, ისინიც მართლები არიან: განა ჩვენი არხეირობის ბრალი არ არის, ასე დაუკითხავად რომ აფთხურებს ხელს ჩვენს ეროვნულ საგანძურში ყველა ამკლელ-ამხელელი? განა ჩვენი განუსჯადობის ბრალი არ არის, ძირითადად არაქართული წარწერებით რომაა გადაჭრებულნი ჩვენი ელემენტები და დაბა-სოფლები, ჩვენი ქარხნებიცა და ფაბრიკების ტერიტორიები, ჩვენი დასვენების კერები თუ სპორტული მოედნები? განა ჩვენი უკულტურობის ბრალი

არ არის (რატომ დაეცა ჩვენი კულტურა, ეს სხვა საკითხია) ჩვენი უკულტურობის ნაწილი ქართულად რომ აღარ ვადრულვს ღამარს, ქართულ სკოლებში რომ აღარ შეყავთ ბავშვები, აქაოდა, მაინცდამაინც, ჩვენი სკოლები უნდა გამოვიდნენ პარტიზმები და მეცნიერები, უზრუნველყოფილნი რომ იყვნენ მთელი ცხოვრების მანძილზე? ვაი ასეთ უზრუნველყოფას! მაგრამ საცა სამართალია, განა როდისმე ავუსვენით, განვუმარტობთ ობიექტებს, მისი საქციელი იგივე სამშობლოს ღალატია რომ არის? აი ავუხსნია, ანუ განვუმარტავს. სამაგიეროდ, ჩვენი პრესა, რადიო და ტელევიზია დაუზარებლად, დაუზოგავად ამთრახებს ნარკომანიას, ალკოჰოლიზმს, პროსტიტუციას, რითაც უმად აღვივებს კიდრე სპობს ამ მართლაც რომ საბოლოო მოკლენებს, თუმცა, მიზნად, რასაკვირველია, მათთან ბრძოლა აქვს დასაბული. უცილობა და პროვინციალიზმი გაცილებით სახიფათოა, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი მანკიერება. ნარკოტიკი რომ მაგნე ნივთიერებაა, ამის ცოდნა სრულებითაც არ ქმარა მის მოსასპობად. დიდი, მე ვიტყვდი, გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბრძოლის შეთოდებასა და ბრძოლის კულტურას. არ შეიძლება, მაგალითად, ექიმის ანდა მასწავლებლის სახელს ამოფარებული მოჩივი ვიგინდარას მხილვისას, საერთოდ ექიმი და მასწავლებელი ვაგინოთ, როგორც ვიქცევით ხოლმე, რადგან, სხვა თუ არაფერი, ყოველად წარმოუდგენელია, ჭეშმარიტმა ექიმმა ავადმყოფს წამალი მოპაროს, ანდა ჭეშმარიტმა მასწავლებელმა მოწაფეს ფული გამოსძალოს. ამიტომ, ჩვენი წინდაუხედაობისა თუ მოუთმადებლობის გამო, შეიძლება, გაცილებით დიდი ბოროტება ჩავიდინოთ, ვიდრე ათასი ცრუ ექიმი და ცრუ მასწავლებელი ჩაიფინდა; შეიძლება, საერთოდ ამ უკეთილშობილესი და უწმინდესი მცნებების გარეშე დავტოვოთ ადამიანი. ასე კი იმიტომ ხდება, ცუდს რომ ვანზოგავდებით, ხოლო, კარგს ვაფუჭებთ და ყველაფერი ეს არ სცილდება საგანთო ციბა-ცხულების ფარგლებს. ესე იგი, გარდა ღანძლევისა და დუმილისა, არაფერი კეთდება მდგომარეობის შესაცვლელად თუ არა, გამოსასწორებლად მაინც. ისევე არ გვიანტრუქებს, სად, რომელი რუსუბნელოცის უმადლეს სასწავლებლებში ჩაირიცხება ჩვენი „კოდნასმონყურებელი“ ახალგაზრდობა, რომლის უკანაც ამოუსვებულ სიყარვილედ რჩება მიტოვებული, სასიყვილოდ განიკრული სოფლები და რომლებსაც მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა, მატალიალური უზრუნველყოფა, „ხალხში გამოსვლა“ ინტერესებს და ამიტომაცაა სულერთი, სად მსწავ-

ლის, რას იხნავლის, რა ენაზე იხნავლის... ჩვენი მიზნები სიმრავლეს მივუძღვით ყველაფერში (ეგაა რომ, გამრავლება არ გვინდა, ანდა აღარ შეგვიღია) და გვაინფიცია (თუ შეგნებულად ვიფიქსებთ), სიმრავლე გავუფასურების საინფორმაციო რომაა. ერთი მეორეს განაპირობებს: სიმრავლე აუფასურებს, უფასურება ამრავლებს. „ასი ათასა აჯობებს, თუ გამორჩევით მწველიაო“ — ჯერ კიდევ რადის გვანაფლიდა რუსთაველი და, მართლაც, კაცმა რომ თქვას, რა ისეთი ძნელი მისახვედრია, ბევრ ცუდს ცოტა კარგი რომ სჯობს. მაგრამ ჩვენ (უბედურებაა, აბა, რა არის!) მიზნად ბევრი ცრუ ინიცირი, ბევრი ცრუ ექიმი, ბევრი ცრუ მისწავლებელი და, თუ გნებავთ, ბევრი ცრუ მწერალი გვიჩვენია.

სხვა რომ არაფერი ვთქვათ, სიკეთის ჩადენასაც ცოდნა ჭირდება. გაუზარებლად, უზინოდ ჩადენილი სიკეთე (რაც, სხვათაშორის, ყველას საკმაოდ გვეხერხება), ხვალ და ზეგ, შეიძლება, უკვე ბორტებად გარდქმნილი დაგვიბრუნდეს უკან. ჩვენი დღევანდელი ვითარებით თუ ვიმსჯელებთ, სიკეთე არც ერთგანზომილებიანი მცნება ყოფილა. ყოველშემთხვევაში, სხვათა თვალში, თურმე, სრულებითაც არ გამოვიყურებით: ისეთებად, როგორებადაც თავი წარმოგვიდგინია. ბევრს, თურმე, არა თუ მოსონს, აღიზიანებს ჩვენი ბუნება, ანუ, ჩვენი სულიერი მოთხოვნილება ყველას გამაჰინძნებინსა, ყველას მოეფრებინსა, ყველას დამეგობრებინსა და, რაც მთავარია, უკანასკნელი ლუკმისა და ისედაც პატარა ჭირის განიარებას ყველასთვის, ვინც კი უღუამაპურად და უჭეროდ დაუტოვებია ბედსა თუ უბედობას. ჩვენ რომ უფრო მეტი ვიცოდეთ, ვიდრე ვიცით, აღბათ იმასაც ადვილად შევამჩნიებდით, გუმინ სხვათა შემთარბლები, დღეს მიწვეამიწვე და-ჯერებულნი მასპინძლები რომ ვერა ვართ საკუთარ სახლში. რამ გამოიწინა ეს, ამის გარკვევა ახლა არ მოხერხდება, მაგრამ ამის გარკვევაში მხოლოდ მოგვეხმარება, თუკი გულისყურით მოვისმენთ დღეს ჩვენს მიმართ გამოთქმულ ნებისმიერ საყვედურს, დაცინვასა თუ გინებას, გამოვაცალკავებთ, რაც ნამდვილად ჩვენ შეგებება და მშვიდი გონებით განვსჯით, გავანადივნებთ, ავწონ-დავწონით („აწონ-დაწონე“ უნდა ვისწავლოთ, ცხოვრება თუ გვინდა) და გამოტანილი დასკვნების გათვალისწინებით გავაგრძელებთ ჩვენს უბოლოვო გზას. ჩვენგან რომ წასვლა არ უნდათ ჩვენს ყოფილ ხიზნებას და სტუმრებს, ეს ძალიან კარგია და (რაც არ უნდა ილაპარაკონ) მიზნად ჩვენს კაცთმოყვარობასა და ხელგაშლილობაზე მეტყველებს, მაგრამ, მშინია, ისე არ გამოვიდეს, ბოლოს, ჩვე-

ნივე გულუბრველობის გამო, ჩვენ თვითონვე აღმოვჩნდეთ ზედმეტად სტუმრად ქვეშ. ასე რომ, ჩვენგან, საერთოდ უარყოფილებისგან და განსაკუთრებით კი ქართულ მწერლებისგან და დაუფიქრებლად ნათქვამ ყველა სიტყვას, შეიძლება, ათასნაირი კუდი გამოვებას და ათასნაირი, ჩვენგან გაუთვალისწინებელი მნიშვნელობა შეემატოს.

მწერლის ძირითადი საქმიანობა წერაა. ის თავის სამუშაო მაგიდასა მიჯაჭვული სამუდამოდ, ამირანივით, და ღმერთმა ნუ ქნას, თავი აიშვას როდისმე. თავაშეხული, ანუ, მოვალეობისგან განთავისუფლებული მწერალი, თავაშეხულ ამირანისგან განსხვავებით, უმწლო, უფერული არსებაა — ვერც შურისმაძიებლად გამოდგება, ვერც ახალ-ახალი გმირობების ჩასადენად. მაგრამ თუკი გარემოება მოითხოვს, რასაკვირველია, მწერალმაც უნდა გადადოს გვერდზე კალამი. მწერალი გაცილებით რთული და გაცილებით ბევრის მომცველი მცნებაა, ვიდრე ჩვეულებრივი ინდივიდი და, უნდა თუ არა (უფრო სწორედ, გვინდა თუ არა ჩვენ), განუწყვეტლივ მონაწილეობს თავისი ერის ცხოვრებაში (სიკეთის შემდეგაც), გაჩენის დღიდანვე „ჩართული“, როგორც თქვენ ბრძანეთ, „ერისთვის კრიტიკულ, ექსტრემალურ სიტუაციებში“, ნათლად გამოხატული, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული და, რაც მთავარია, მისი ხალხისათვის მისაღები მწერლური პოზიციით. ყველა მწერლის შემოქმედება მისი ეროვნული კულტურის წიაღში იღებს სათავეს და, მშობლიური ხალხის სულზე გადავლილი, მსოფლიო საგანძურთა უკიდურეს ოკეანეს უერთდება. თავს ნებას მივცემ და ერთხელ კიდევ გავიმეორებ, რომ ეს გზა, თავისი ხიფათებითა და საოცრებებით, ოდისევის გზასა გავს და მწერლისგან დიდ შინაგან დამაბულობასა და სიჯიუტეს მოითხოვს — ამ გზაზე დამეგობარი არც ცდუნებებისგანაა დაზღვეული და არც გონების დაკარგვისგან. ამიტომ, შეუძლებელი რომ შესძლოს, მას თავისი პენელოპე სჭირდება, ანუ, მეორე ადამიანი, როგორც თქვენ ამბობთ, „განსაკუთრებულად ძვირფასი და ახლომელი“ (სულერთია, ჩვეულებრივი მკითხველი იქნება ის, თუ პროფესიონალი ლიტერატორი), რომელსაც სჯერა, რომელიც ერთგულია ოდისევისისა. როგორც უკვე ვთქვით. მწერალი, ამვე დროს, ჩვეულებრივი ადამიანია, ჩვეულებრივი მოქალაქე (ელიოტის ბიოგრაფები სწერან — ნემიან ამინდში კალმუბასა და ქოლგის ხმარობდნო) და არაფერი განსხვავდება ერის ნებისმიერი წარმომადგენლისგან. მართალია, ერთი ანტიკურ ხანის ფილოსოფოსისთვის პოეტი (ამ შემთ-

ხვევაში — მწერალი) „მსუბუქი, ფრთოსანრ არსება“, მაგრამ კაცობრიობა არაერთგზის გამოხდარა მონში ამ „მსუბუქი, ფრთოსანრ არსების“ დიადი, უკაცური ცხოვრებისა. ასე რომ, არც ერისთვის თავის განწირვა — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით — მისთვის უცხო რამ, რისი სამწუხარო მაგალითებიც მრავლადაა მსოფლიო ისტორიაში. „სამწუხარო“ კი ამიტომ, მწერლის დაღუპვა უკეთესი განსაკუთრებულ ფაქტის რამ ნაწილადაცნის და ურის ცხოვრების ყველაზე ბნელსა და მძიმე მონაკვეთის ემთხვევა, როცა, მტრისა და მტრების შორისგამიზნული ვერაგობისა და დაუნდობლობის წყალობით, თეთრისა და შავის გარჩევის უნარი ქვეყანაში ყველას დაკარგული ბქვს, ახალგაზრდობა უაზრო, უმიზნო დროსტარებით იკლავს თავს, გლეხი მომხდობლობის ფრთხილად შეკრობილი, ხოლო მწერლის გარწევი თანამემამულეთაგან აღარაფრია დაარწმუნო მისი ქვეყნარტი შესაძლებლობებისა და დანიშნულების მცოდნე.

ამიტომ, ცოტას ავტორები და ორიოდე სიტყვას ბარემ აქვე ვიტყვი მწერლისათვის „განსაკუთრებულად ძვირფასი და ახლოვლი“ ადამიანის შესახებ, რომლის არსებობაც, ჩემი ღრმა რწმენით, პერიოდით აუცილებელია ნებისმიერი მწერლისთვის და ვისაც ასეთი ადამიანი არ ჰყავს (საბედნიეროდ, პირადად მე მყავს და მისი „ვიზის“ გარეშე უფრო არცერთი ნაწარმოები არ გამოიტანია ფართო მკითხველის სამსჯავროზე), მთლიანი სიცოცხლე იმას დაეძებს, რამდენადაც, უმიზნობა გაცილებით დამტრგუნველია, ვიდრე ვთქვით, უსახარობა. ჩემი გაგებით ეს ის ადამიანია, რომელსაც არა მარტო მოსმენა შეუძლია, არამედ ჭკუის დარღვევაც. ასეთი ადამიანი, რასაკვირველია, იშვიათია არა მარტო ჩვენს სინამდვილეში, არამედ მთელი ჩვენი ლიტერატურული არსებობის მანძილზე და მაინც, ის რომ არა, ალბათ ბევრს დაკარგავდა საერთოდ ლიტერატურა. მხატვრულად რომ ვთქვათ, შემოქმედების უკიდურესო ოქანში შეტუტებულ მწერალს ის, ერთფეროვად, შეუჭრის მაგივრობასაც უნებს და იმ პატარა ძრავისაც [ანდა, სულაც ნიჩბის], რომლის მეშვეობითაც შეუჭრისკენ უნდა წაიყვანოს მწერალმა თავისი ნაწი. ხოლო, უფრო მარტივად თუ ვიტყვით, თავისი არსებობით, არა მარტო ამხნეებს მწერალს მუშაობის პერიოდში, არამედ რაღაც-რაღაცეებს „კარნახობს“ კიდევ რუმად, სხვების ზურგსულა. ამგვარი „თანააარსებობისა“ თუ „თანამშრომლობის“ შესახებ ყველაზე ბოლოს მკითხველი იგებს და ასედაც უნდა იყოს, რამდენადაც, მკითხველს მწერლის მხაროდუქვია აინტერესებს და არა ამ პროდუქციის შექმნის საიდუმლოებანი.

მწერალი ციდან არ ვარდებო. ისე ჩვენს შორის, ჩვენსათვის იზრდება ყოველწუგით, იმავე პერიოდით, იმავე ზღაპრულად მხატვრულად განდებით... და იმ ლიტერატურული ტრადიციების გამგრძელებლად გვეძლიება მომავალში (ამაზე, მაგონი, ზემოთაც ვილაპარაკეთ), რომელსაც თავიდანვე, ძალდაუტანებლად შევისისხლობრება ხოლმე. მაგრამ ეს სრულბობაც არ ნიშნავს, თითქმის მისთვის სხვა ლიტერატურული ტრადიციები არ იყოს ანგარიშგასაწევი. ოღონდ, სხვა ლიტერატურული ტრადიციები უფრო გონებრივი საზრდოა, ვიდრე სულიერი — ანუ — იმის შექმნაში კი არ ეხმარებიან ისინი, რისი შექმნაც ევალბა, არამედ, იმის ვარკვევაში — სწორედ ქმნის თუ არა, საერთოდ, რასაც ქმნის. ამიტომ, რაც მეტი იყოს მწერალმა, მით უკეთესია მისთვისაც და ჩვენთვისაც — მით უფრო ნათლადაა გამოკვეთილი მისი გზა სხვა უთვალავ გზათა შორის და მით უფრო ადვილი დასადგენია, თუ სად იღებს სათავეს და საით მიემართება ეს, მისგანვე შექმნილი, მისივე გრწმობებითა და ვნებებით მოკირწყლული, მისივე ცრმობითა და სისხლით მორწყული გზა. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ყველა ქვეყნარტი მწერალი თავის თავსაც არ აუთვინებდეს იმ მწერალთა რიცხვს, რომლებიც პირადად მოსწონს. სანინალობეგო შემთხვევაში, მას ბოლომდე არა აქვს ვარკვეული არც თავისი დანიშნულება და არც თავისი შესაძლებლობა. იმას კი არ აკეთებს, რისი გაკეთებაც ევალბა, არამედ, რისი კეთებაც მოსწონს. მწერალს კი თავისი საქმიანობა არა მარტო მოსწონს, არამედ უყვარს კიდევ — სერიგო, უნდა თუ არა, მაინც უნდა ვარკვევოს ბოლო როგორ, რანარად, დღის რომელ მონაკვეთში, „როგორი სულიერი განწყობილებისას“ ქმნის ის თავის ნაწარმოებს, დილით მუშაობს თუ ღამით, დამჯდარი თუ დანოლილი, პერიოდულად თუ სისტემატურად, ზომიერად თუ გონების დაკარგვამდე — ნაელბად საინტერესოა. უფრო სწორედ, ეს მაშინაა საინტერესო, როცა მწერალი უკვე სამუდამოდ იმეფდრება ადგილს, როგორც მშობლიურ, ისე მსოფლიო ლიტერატურაში და არა მარტო მისი შემოქმედება, არამედ მისი პირადი ცხოვრებაც საყოველთაო განსჯისა და კვლავადობების საგანი ხდება. რასაკვირველია, ამასაც დამსახურება უნდა — შემოქმედებითაც და ცხოვრებითაც — ამიკლი ნაბიჯებიდან სულის უკანასკნელ პიხობრამდე. ამის გამოცაა ალბათ, პრესის ფორცლებზე ახალი სახელის გამოჩენა განსაკუთრებულ ინტერესს რომ ბადებს ჩვენში. სულიერითა, რას გვთავაზობს ეს ახალი სახელი — რომანს, მოთბრობას, ლექსსა თუ პიესას, პუბლიცისტურსა თუ კრიტიკულ ნერლის — რადგან



მწერლის ნიჭიერების დასადგენად ღირსი კი არ არის გადაამწყვდელი, ანდა ავტორის გვარი და სახელი (თუნდაც უკვე ცნობილი), არამედ ის ახალი, „დღემდე განუფიქრელი“ ტიპიერი და სიხარული, სიძლიერე თუ უმწიბრობა, ბოლოს და ბოლოს, ის სიცრუე თუ სიმართლე, რომლის გაზიარებასაც ავტორი გვიპირებს, რასაკვირველია, იმ ოსტატობასთან ერთად, ურომლისოდაც ვერავითარი „გაზიარება“ ვერ აღიქმება მხატვრულ ნაწარმოებად. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა დაგვათავსოთ და მეც ვაღიარო, „სულ უფრო და უფრო რომ ჭირს, ძველდება ვერსილების გვერდების შეცვლა ნიჭიერი, საინტერესო, ორიგინალური ნაწარმოებებით“. განსაკუთრებით ჩვენთვის, მწერლებისთვისაა ძნელი ამის აღიარება. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რომელ ლიტერატურულ პერიოდს არ ანუხებდა მსგავსი პრობლემა? განა ყოველთვის ნამდვილის სიმცირესა და „ბანალურს, პროფანული ლიტერატურული პროდუქციის კატასტროფულ ზრდას“ არ უჩიოდნენ ლიტერატურის ნამდვილი გულშემატკივრები? ამის მიზეზები თქვენც ჩამოთვლილი გაქვთ შევითვისებ ბოლოში და ვერაფერს დავაშაბტებ, ოღონდ, რაკი თავიდანვე ვაღიარო ჩემი ოპტიმისტობა (თუ არ გჯერა, რატომღა წერ?), შევეცადები თქვენც გაგინელთო არც მთლად უსაფუძვლო, მაგრამ არც მთლად შეუვალი შიში. განა ტალანტის თვისება სიმრავლეა? განა შექსპირის ეპოქაში ყველა შექსპირი იყო? - განა შთაგონება ფეხბოულცვლელად დგას მწერლის სამუშაო მაგიდასთან? განა „სინამდვილის მუქისმეტეი ვაპროზაულება“, როგორც ერთხელ უკვე ვთქვით, მკითხველის გაუცხოებასთან დაკავშირებით, ჩვეულებრივი ეფოლუსცია არ არის იმავე სინამდვილისა? თქვენ, რასაკვირველია, ფაქტს აღნიშნავთ, ფაქტი კი ჯიუტია, მაგრამ თუკი ინტორიული მაგალითებით ვიმსჯელებთ შექსპირს სიტუაციაზე, აღნიშნული ფაქტი მომკვიდრებელი არ უნდა იყოს ქრემარეტი ლიტერატურისთვის. დროის ქურაში ხომ სწორედ შემთხვევითი და ყალბი იფერვლება! მარგალიტს თუ ფერი შეეცვალა, მაშალს ჩააყლაკებენ და მამლის კუჭნაწლავში გამოვლილი, პირველყოფილ ბრწყინვალეებს იპოვნებს. ეს, შეიძლება, არაპოეტური შეფასება იყოს, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, „ფერშეცილი“ ლიტერატურასაც უნდა ახასიათებდეს მარადიული „გამობრწყინების“ უნარი. ავტორების სიმრავლე კი, გარკვეული თვალსაზრისით, ლიტერატურისადმი, ანდა, თუ გნებავთ, ლიტერატურული ცხოვრებისადმი გაზრდილი ინტერესის გამოხატულება-ცაა და თუ არ ამტარებს, არც აფერხებს „კიდევ ერთი რუსთაველის“ დაბადებას. მაგრამ,

რალა თქმა უნდა, მისი „დასაჯერებელია“, დღიოდღე რომ ძნელდება მწერლის გარჩევა, თუნდაც იმიტომ, დღეს გვერდები ყველა ნიგნე, რეცენზენტებისა არ იყოს, ზოთაც ქართული ლიტერატურის შენაძნებად რომ მიაჩნიათ. კრიტიკისგან ყველას თავისი ადგილი რომ ჰქონდეს მითითებული, ეს მოვლენა, თავისთავად ცხადია, ნაკლებად შემაშფოთებელი იქნებოდა. განურჩევლობა ახინვეს მკითხველს; დაბნეულობა, როგორც მთგებსუნებათ, გულგრილობის საფუძველია; გულგრილობა, თავის მხრივ, ხელს უწყობს ზოგადად ლიტერატურისადმი აგაფებული, ცინიკური დამოკიდებულების დამკვიდრებას (დამერწმუნეთ, ძალიან მჭირს ამაზე ლაპარაკი მე-20 საუკუნის მიწურულს), აგაფებული, ცინიკური დამოკიდებულება კი ურის სულიერი და გონებრივი ცხოვრებისთვის მომკვიდრებელი სენია — აქედან იწყება ადამიანის დაბრუნება გამოქვაბულის წვედიადში, ინსტრუქტების სამეფოში, რაც ჩვენი მკითხველს დიახაც რომ არ ეკადრება — რუსთაველს, გურამიშვილს, პარათაშვილს, ილიას, აკაკის, ვაგა-ფშაველას, გალაქტიონის დიდებული აზრებები არ მისცემენ ამის ნებას — ამიტომ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიიყვანონ აქამდე არც იმ ავტორებმა, რომელთა ერთფეროვანი, ცარიელი და, ამიტომაც, არაფრის მძიმელი ნიგნები, ლოთის სიჯიუტით, მიიწვევენ ნიგნის მალაზიების დახლებსკენ, და არც იმ რედაქტორებმა, გამომცემლებმა თუ კრიტიკოსებმა, რომელთა შეგნებული თუ შეუგნებელი მონანილეობითაც გამოდიან ეს ნიგნები სამწიფოზე. რა თქმა უნდა, აღბათ სხვა, უფრო ძნელად შესაძრნევი და ძნელად დასაჯერებელი მიზეზებზე ვერც არსებობს, რომელთა გარკვევა ასე ჰიპარად ძნელია, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, „ფაქტი ჯიუტია“ და საქმეს მიხედვაც ჭირდება. „მეტი სინათლე“ — კი ვიმეორებთ ხშირად გოეთეს უპანასკნელ სიტყვებს, მაგრამ სინათლესაც დაანახვა უნდა. ყოველ შემთხვევაში, ზურგი არ უნდა შეეცციოთ, დარაბები უნდა გავულოთ, ოთახშიც რომ შემოვიდეს; კი ვუჩივით „პროფანული ლიტერატურული პროდუქციის კრიტიკულ ზრდას“, მაგრამ არავითარ ღონეს არ ვხმარობთ ამ პროცესის შესაჩერებლად. პირიქით, უნებლეთ (აღბათ უნებლეთ), ხელსაც ვუწყობთ ამგვარი პროდუქციის ხელგონურად გამრავლებას.

სხვათაშორის, ხელოვნებისადმი და კერძოდ პოეზიისადმი მკითხველის „ერგვარ გაცივებას“, რაზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ, ჩემი აზრით, ბუნებრივ გაიოლებამაც შეუწყო აღბათ ხელი. მაგრამ განა მართლა ასე უკიდურესობამდგან მისული ჩვენი მწერლობის

საქმე, როგორც ჩვენი კითხვა-პასუხიდან შეიძლება მოეჩვენოს კაცს? მე მგონი, იმედის მომცემიც ბევრი გაკეთდა და კეთდება დღესაც. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, შესამჩნევად რომ გაიზარდა, ამ ბოლო დროს, ინტერესი ჩვენი ლიტერატურისა და საერთოდ ჩვენი კულტურული ცხოვრების მიმართ, როგორც საკავშირო, ისე მსოფლიო მასშტაბით. რამდენადაც მე ვიცი, ბევრ ევროპულ ქვეყანაში ჩვენი დღევანდელი ლიტერატურის ნიმუშები თავიანთთვის მიუღწევალ დონედ მიაჩნიათ. მაგრამ ამაზე ლაპარაკი ჩვენი საქმე არ არის, ჩვენ, მწერლები, შორი გზის მგზავრები ვართ და ეპიზოდური ნარმატივებით თავია დამშვიდება არ გამოგადგება. „ჩვენ“ — მეტიც, ამ შემთხვევაში, სხვევას სახელითაც იმიტომ ვამბობ, ლიტერატურას კლდეტურნი შრომის ნაყოფად რომ ვთვლი მაინც, მიუხედავად მისი ნებისმიერი ნარმოადგენლის ხაზგასმული, უადრესი ინდივიდუალობისა. ყველა მწერალი თავის განსაკუთრებულ ყანას კი შკის, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ყველა ერთ საქმეს ემსახურება, ამ „განსაკუთრებულ ყანებში“ მოყვანილი ხორბლით ერთი, საერთო უპირი ცხვება. უფრო სწორად, ცალკე, სიმარტოვები მონეული მოსავალიც საერთო, ეროვნული საკუთრებაა და ამით არის სწორედ მნიშვნელოვანიცა და განუმეორებელიც. თუნდაც ამიტომ, ძალიან გამიჭირდება უკანასკნელ წლებში შექმნილი ყველა, შეტნაკლებად საყურადღებო ნაწარმოების ჩამოთვლა. ჩვენი შრომა კატორღულ შრომასავით მიიმე კია, მაგრამ რაკი ჩვენ თვითონვე ავირჩიეთ, თავჩადუნულებმა, პირში წყალჩაგუბებულებმა უნდა ვიშრომით ბოლომდე, არც ქებას ავყვეთ, არც ღანძღვას და ჩვეულებრივი მშრომელივით, მხოლოდ და მხოლოდ, საკუთარი ოფლით მოვიპოვოთ პური ჩვენი არსობისა.

აქედან გამომდინარე და მიუხედავად მოჩვენებითი, თითქოს გარდაუვალი შეხლა-შემოხლებისა, არ შეიძლება არ არსებობდეს სრული თანხმობა, „წმინდა სულიერი კავშირი“ ლიტერატურულ თაობათა შორის (თუკი, რა თქმა უნდა, ჟანრთვლები არიან ისინი), არ შეიძლება, არ აინტერესებდეთ სხვადასხვა თაობის მწერლებს ერთმანეთის „სულში“ ჩახედვა, ცალი თვალთ მაინც, რადგან არ არსებობს მწერალი, განურჩევლად ასაკისა და რანგისა, რამეს არ იღებდეს მეორე მწერლიდან, რასაკვირველია, გაქმეულის სანაცვლოდ. ჩვენ ერთმანეთს ეცრდით, ერთმანეთის „ნამუდგურობით“ ეიზრდებით, როგორც ერთი დედამაის შეილები. კი განვსხვავდებით ერთმანეთისგან სიმაღლითა თუ თვალის ფერით, მაგრამ ერთ დღესაც ვერ გავძლებთ უერთმანეთოდ. ასევე აუ-

ცილებელია ჩვენთვის საკუთარი კრიტიკის არსებობაც, მისი დგომა შეგნამსწერის, მისი ფიზიკურად აღქმა და შეფასება კრიტიკოსის მწერლობის კომპაგობას ნიშნავს და არა მწერლობის წინააღმდეგ გამართულ ლაშქრობებს. თუ ლიტერატურას საკუთარი, მისი ჭირვარამის მოხარე კრიტიკა არ გააჩნია, უბორბლებო ეტლივითაა და ვერასოდეს, ანდა საბედისწერო დაგვიანებით თულა მიადნევა საბოლოო სადგურამდე — მკითხველის გულამდე. მწერლისა და კრიტიკოსის ძარღვებში ხომ ერთი და იგივე სისხლი დგას და ერთის პირუთვნელობა, პრინციპულობა, მეორის ნაყოფიერების სანინდარია, ანუ, მხოლოდ მაშინ მყარდება მათ შორის სრული (სასურველი) პარმონია, როცა კრიტიკოსი დამსახურებულად აქებს მწერალს და ასევე დამსახურებულად აძლევს შენიშვნას. ერთსაც და მეორესაც (კომპლიმენტსაც და შენიშვნასაც) მარტო საკეთის მოტანა შეუძლია მწერლისთვის და მწერლობისთვის, თუკი, ვიმეორებ, ორივე დამსახურებულია. ამიტომ, რომელიმე მათგანისთვის უპირატესობის მინიჭება პირადად მწერლისგან გაცილებით ძელია, ვადრე ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ამავე დროს, ერთიცა და მეორეც, როგორც უკვე ვთქვით, აუცილებელი პირობაა კრიტიკოსისა და მწერალს შორის სავალდებულო ურთიერთობის დასამყარებლად და ისეთივე ზემოქმედების უნარი გააჩნია ორივეს, როგორც — ფულს, ჯილდოსა თუ ნოდებას, რის გამტრ, მათი გაყალბებაც დასაშვებია და მათი ბოროტად გამოყენებაც შეიძლება, თანაც, არა მარტო რომელიმე კონკრეტული მწერლის (აკი ვთქვით, მწერალი ჩვეულებრივი ადამიანისააო!), არამედ — საერთოდ მწერლობის მიმართ: თუკი დაუსახურებელი კომპლიმენტი (ნაცვლად დამსახურებელი შენიშვნისა) მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ მწერალს აკინებებს და აბითურებს, დაუსახურებელი შენიშვნა (ნაცვლად დამსახურებული კომპლიმენტისა) ზოგადად მწერლობის პრესტიჯს აყენებს ჩრდილს.

მწერლობის პირველი მცნება სხვათა სამსახურია. ხოლო, სხვათა სამსახური რომ შესძლო, ბევრ რამზე უნდა უთხრა უარი საკუთარ თავს. სხვანაირად არაფერი გამოვა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, მწერალმა შეგნებულად ჩაიგდოს თავი სიდატაკეში, შეგნებულად ააჩიფოს თვალი ამქვეყნიურ სიამოვნებებს. ნურას უკაცრავად! მწერალს ისევე ჭირდება ყველაფერი ამქვეყნიური, როგორც სხვა ნებისმეტრ ადამიანს. მაგრამ ასეთი შეკითხვა და, სხვათაშორის, ბევრი სხვაც, მწერლის ფენომენთან თითქოს ძნელად მისასადაგებელი, ალბათ იმიტომ დაგებადათ საერ-

თოდ — და ამისთვის თავიდანვე, საუბრის დაწყებამდე უნდა მიგვეცეთ სათანადო ყურადღება — შევეთრად, კატეგორიულად რომ არ გვაყოთ ერთმანეთისგან გამიჯნული ნამდვილი და თვითმარქვია მწერალი, ანუ, მწერლად დაბადებული და, გარკვეული მოსაზრებებისა თუ მიზნების გამო, მწერლობას გამოკიდებული კაცი. ეს კი დიდი დანაშაულია ყველასთვის, ჩვენი ჩათვლით, ვისაც მწერლობისა და ლიტერატურის თაობაზე თავისი აზრის გამოთქმა უხდება და ერთი საზომით კი ზომავს ყველას, ანუ, მწერლად მიიჩნევს ყველას, ვისაც მწერალთა კავშირის წინგაქი უდევს ჯიბეში. პირადად მე, ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩავთვლი მწერლად, დაფუშვით, ისეთ ადამიანს, რომელიც, როგორც თქვენ ბრძანებთ, თურმე, „საიუბოლეო დღეებში თვითონვე უნდეს ორგანიზებას რეცენზიებსა და ნერვლებს საკუთარი შემოქმედების შესახებ“. ამიტომ, არც ის მინტერესებს, თუ „რა მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ასეთ რეცენზიებს თვით ამ ავტორისათვის“. ჯანდაბამდის გზა ქონია! რა ჩემი საქმეა მაგრამ თუკი მართლა ხდება მსგავსი რამ (რასაც ვირველია ხდება!) იმიტომ ხდება, განურჩევლად რომ გვახატონთ ყველგან და თითოეულ ჩამოსათვლელ რამდენიმე მწერალს, რაც სავსებით საკმარისია ნებისმიერ ნორმალური კულტურული ქვეყნისთვის, მწერლის სახელზე მონადირეთა არმია დაუპირისპირეთ. ხოლო, რაკი დაუპირისპირეთ, კეთილი უნდა ვინებოთ და შევინახოთ კიდევ ეს არმია, ისევ და ისევ, იმ თითოეულ ჩამოსათვლელ რამდენიმე მწერლის ხარჯზე. მწერლის სახელის მამიბელი, რასაკვირველია, მწერალი არ არის, მაგრამ ისეთივე ადამიანია, როგორც ყველა ჩვენთაგანი და, თუნდაც ამიტომ, არაფერი ადამიანური არ ეუცხოება — არც კარიერა, არც მომხვეჭველობა, არც დემაგოგია, არც სიხარბე, არც დაუნდობლობა... კიდევ უარესი, ხომალდის თავკისა არ იყოს, პირველი ის რეაგირებს ამინდის ნებისმიერ მონაცვლეობაზე და პირველი იღებს სათანადო ზომებს, ცხოვრების ზედაპირზე რომ აღმოჩნდეს ისევ, აედრის გადავლის შემდეგაც. მას უაღრესად გამძაფრებული აქვს თავდაცვის ინსტირქტები და მასთან ბრძოლა, განსაკუთრებით თითოეულ ჩამოსათვლელ მწერლებისთვის, მეტი რომ არ ვთქვამთ, სახიფათოა. ამის მაგალითები მრავლად მოიპოვება მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ნებისმიერ ეპოქაში და, თავისთავად ცხადია, არც ჩვენი ეპოქაა გამონაკლისი. ამიტომ, მე მეგონი, უფრო სამართლიანი იქნება, თუკი, ლიტერატურაზე ლაპარაკის დროს მაინც გამოვაცალკავებთ მათგან ნამდვილ მწერლებს, რაც მხოლოდ მოგვეხმარება ვითარების გარკვევა-

ში, ზოგადად მწერლობის მაგნიტუდებს კი კოვზი ნაყარში ჩაუვარდუნებ. მართალია, ზოგადად მწერლობის გრძობა — ყირიანად მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი აპარატის გინებას გულისხმობს, მაგრამ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი აპარატის გაიგივება არ შეიძლება ქართულ მწერლობასთან — ეს ორი სხვადასხვა ცნებაა. ფაშისტური გერმანიის დაპყრობითი პოლიტიკა, ცინიკურად, სხვათაშორის, იმასაც ითვალისწინებდა, ხელეწინურად გარყვნილ ხალხებში, შემთხვევით, შეუბღალავად გადარჩენილ ერთეულებს უკვე თავისიანები რომ მოუღებდნენ ბოლოს. ხოდა, რაკი ანგარიშსწორების ამგვარი მეთოდი უკვე შეუქმნია ადამიანის გონებას, ჩვენც მეტი სიფრთხილე, მეტი ნინდახედულება გვმართებს, უნებლიედ იგავე რომ არ ჩავიდინოთ, ანუ, შეუბღალავად გადარჩენილიც არ ჩავითრიოთ უზნეობის საერთო ჭაობში.

როგორც ხედავთ, ყველანაირად ცდვილობ, განვაზოგადო ყველაფერი, რასაც თქვენ შეგნებულად აკონკრეტებთ თქვენს შეკითხვებში. მაგრამ ასე იმიტომ ვიქცევი, საკუთარ თავზე ლაპარაკი, ნამდვილად, ყოველგვარი „ბორბოტი“ განზრახვის გარეშე, ძალიან რომ მიძნელებდა (საბოლოო ანგარიშში, ამით ისევ მარტო მე უზარალდები ალბათ, რამდენადაც თვითრეკლამას, როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, დიდი გასაუვლი აქვს ჩვენი). საკუთარ თავზე ლაპარაკისას არავინ არ არის გულწრფელი და არც შეიძლება იყოს, რადგან გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, ყველა ადამიანი ერთნაირად ცდილობს უკეთესი გამოჩნდეს სხვათა თვალში. ეს მისი დამსახურება კი არ არის, ეს მისი თვისებაა და საკმაოდ მძლავრად განვითარებულიც. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა (გარდა პათოლოგიურისა), ვინმეს გუნებაში ენატროს, ნეტელი უარესი ვიყო, ვიდრე ვარო. ადამიანი ცუდაც იმიტომ ბაძავს, კარგი რომ ჭკონია, რასაკვირველია, მისივე მიუხვედრეულობისა და მოუშხაუბლობის გამო. გარდა ამისა, დარწმუნებული ვარ, ჩვენი საუბრიდან ყველაზე ნაკლებად საინტერესო სწორედ ის იქნება, რაც მე შემიხება პირადად. მართლაც, რატომ უნდა იყოს საინტერესო მკითხველისთვის, თუ რა რეაქციას იწვევს ჩემში, ვთქვამთ, კრიტიკოსის არაგულწრფელობა რომელიმე ჩემი ნაწარმოების შეფასებისას? იმიც არ მესმის, თუ რატომ უნდა იყოს ჩემი რეაქცია, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებული! აი, მარტო მე რომ მიაზიანებდეს ის, რაც საერთოდ ყველას ახარებს, კიდევ გამართლებული იქნებოდა საკუთარ განცდებებსა და შეგარმნებებზე ლაპარაკი. მე კი, რამდენადაც ვიცი, უაღრესად ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და, სა-

ბედნიეროდ (ჩემდა საბედნიეროდ), ნებისმიერი მოვლენის მიმართ ბუნებრივი რეაქცია მახასიათებს, თუმცა, არაგულწრფელი, ანგარებიანი კრიტიკის ობიექტაც ვყოფილვარ, თანაც ბევრჯერ (ერთხელ, აბსტრაქციონის-ტობაც კი დამნაშავე) და შეგნებული იგნორირების სიმწარაც მიგიმია. მაგრამ, გულწრფელად რომ ვთქვა, არც უანგარო, უმნიშვნელო ყურადღება მომკლებია მიმდევლისგან. ჩემი მკითხველი, თავისთავად ცხადია, უპირველეს ყოვლისა, ქართული მკითხველია, მას გაუთენის ყველაფერი, თუკი მისი ღირსი რამე შემოიქმნია, მაგრამ მწერლისთვის არც უცხო მკითხველის აზრია მეორეხარისხოვანი, თუნდაც იმიტომ, მისი მეშვეობით რომ შეუძლია შეიტყოს მხოლოდ, თუ რამდენად საჭიროა საერთოდ, რასაც ის მშობლიურ ენაზე ქმნის. ამიტომ, მწერლის სხვა ენებზე თარგმნაც, აუცილებელ პირობად მიმაჩნია ლიტერატურის განვითარებისათვის და ძალიანაც მაინტერესებს ეს საკითხი. თუმცა, როგორც თქვენ ამბობთ, არა მგონია, მწერლის „ნიკიტატივა“ აჩქარებულ მისი ნაწარმოებების თარგმნის პროცესს. ამ საქმეში მწერალი „პატარა კაცია“, ამ შემთხვევაში გამომცემლის ინტერესია მთავარი და არა მწერლისა, მაგრამ ასეთ „ცხოვრებისეულ წერილმანებზე“ ლაპარაკი მე მაინც მომავლის საქმედ მიმაჩნია, თუკი, რასაკვირველია, მომავალშიც საინტერესო იქნება ელცისათვის, რასაც დღეს ეკითხვობთ ამიტომ, თუკი თქვენც დამეთანხმებით, სჯობს ისევ ჩვენს ლიტერატურულ ახალგაზრდობაზე ვილაპარაკოთ, ოღონდ, უფრო მათ გასაგონად, ვიდრე — მათ შესახებ.

ახალგაზრდობაზე ილაპარაკებ თუ ახალგაზრდობასთან — ერთნაირად ძნელია, ერთნაირად საბიფთოთუცა, რადგან ისეთ ფენომენთან გაქვს საქმე, ვერათარ ჩარჩოს რომ ვერ ეგუება, განუწვევტივც, თვალსა და ხელს შუა იზრდება, იცვლება და ცვლილებათა ყველა ახალ საფეხურზე სწორედ საკუთარ თავსა გაეს ყველაზე ნაღლებად. მაგრამ ერთი მაინც უნდა ითქვას: ჩემი აზრით, ჩვენს ლიტერატურულ ახალგაზრდობას, ჯერჯერობით, ის აკლია, რაც ნებისმიერ ლიტერატურულ თაობას აკლდა თავის დროზე, ახალგაზრდობის პერიოდში — მყარი, მტკიცე პოზიცია ისინი, ჯერჯერობით, არც კითხვებს სვამენ, არც პასუხს იძლევიან კითხვებზე. ჩვენც იმივე უნდა ვიქონიოთ, ეს ის „გარდაამავალი ასაკია“, ნი რამ უსწრებს ნებისმიერი სერიოზული ცხოვრების დაწყებას. ასე რომ, ჯერჯერობით, „მოსამზადებელი სამუშაოებით“ უნდა იყვნენ ისინი დაკავებულნი — იმ ტერიტორიის გასუფთავებით, რომელზედაც მათი მომავალი შემოქმედება უნდა

ამოიზარდოს. ამასთანავე, სპარალელურად უფრო ღრმად, უფრო დაეწიერებოდეს სწავლობდნენ და აანალიზებდნენ მკერეშებს ბათა ლიტერატურულ მემკვიდრეობას, რათა დიდი გზის დასაწყისშივე იცოდნენ, რა გამოადგებთ, რას დაიტკეპენ იქიდან და რას მოიზორებენ, ზედმეტი ტვირთით. ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობა, რა თქმა უნდა, ჩემი დაკვირვებით, ამგანად იმ გასაღების ძებნითაა გართული, რომელიც დიდი ხანია მორგებული აქვს კარს და გადატრიალებულა აკლია, ახალ, დღემდე არარსებული საშუალო რომ გაიხსნას ჩვენს წინ. ვინ გადაატრიალებს გასაღებს, სულერთია, რამდენადაც ამ საპატრიო მოვალეობის აღსრულება მაინც მთელი თაობის დამსახურებად ჩაითვლება (ასეთია „პირველადმოჩენია“ ზეჯერი ლიტერატურაში). ყველა თავისთვის კი არ ალებს იქამდე არარსებული ქვეყნის კარს, არამედ — ყველა ყველასთვის! მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარია, თავიდანვე არ აგვიცრუდეს გული მოყვასზე, რომლის წინააღმდეგო ქომიგადავი, მაინცდამაინც, ვერ მოგვაგვლინა ღმერთმა ქვეყანაზე. ჩვენ ადამიანის სიგლახის, სიმდაბლისა თუ გარყვნილების ერთხელ კიდევ აღმოჩენა კი არ გვევალება, არამედ — კიდევ ერთი თანაგრძნობის გამოცხადება ადამიანისთვის. ის ხომ ღამის ფეხმოუცვლელად დგას აუხდენელი ოცნებებისა და განუხორცილებელი მიზნების კუბოსთან. ასე რომ, დიდი „ომები“ აქვს გადასატანი ჩვენს ლიტერატურულ ახალგაზრდობას და ღმერთმა ნარმატებით გადაატანინოს გადასატანი. თუმცა, ჩვენ ყველანი ერთად ვიქნებით იმ ომებშიც, ყველანი, ცურტყავლიან მოყოლებული ყველაზე უსასო თანამოქალაქემდე — მემკვიდრეობა მწერლობაშიც თაობიდან თაობაზე გადადის, მაგრამ მწერლები სიკვდილის მერეც აგრძელებენ ბრძოლას. ამიტომ, ნურასოდეს ნუ ავირიდებთ სიმახინჯეს თვალს, ნუ შევიზიზღებთ ცხოვრებისეული ჭუსჭყის ამშორებულ ნუშპეტებს — ჩვენის ყველაფერი ცოდნის წყაროა. ბიბლიოთეკებში გაზრდილი ექიმს ყოველთვის ის ექიმი აჯობებს, რომელიც, ჯერ კიდევ სტუდენტობისას, მარტო, უამხანაგოდ იპარებოდა საცხედრში და ჯიბის ფანრის შუქზე სწავლობდა სუნდაკრული გვამის აგებულებას. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ყველაფერი, კარგიც და ცუდიც, რისი მოცემად ცხოვრებას შეუძლია, საკუთარ თავზე უნდა ვინწინოთ და, რაც მთავარია, არა მარტო საკუთარის, არამედ სხვისი ცრემლის გემოც უნდა ვიცოდეთ. როგორც სხვათა მაგივრად არ გავჩენილვართ ჩვენ, ისევე სხვა არავინ მოკვდება ჩვენს მაგივრად.



არჩილ სულაბაძე

მ ე დ ა მ ე ნ

როდემდე გინდა, მიოზარი, კატილინა,  
ისარგებლო ჩვენი მოთმინებით.

ციცქრონა — სენატში წარმოთქმული  
სიტყვა კატილინას წინააღმდეგ.

ათასი წლის წინ რაც იყავი,  
შენ იგივე ხარ,  
ორი ათასი წლის წინათაც  
ამნაირი  
მახსოვხარ სწორედ:  
ნიკით,  
გონებით,  
სულით,  
ხორციით  
და ოცნების თვალსაწიერით.  
და, რა თქმა უნდა,  
მეც იგივე ვარ!

საუკუნეთა უღელტეხილი,  
გზა უკულმართი,  
დრო და სივრცე  
ერის სულსა და  
ბუნებას არ ცვლის  
ძირფესვიანად.  
იგი ეამითყამ დაღს დაასვამს  
სულსაც და ხორცსაც,  
რომელსაც მერმე თვითონვე ჰკურნავს.  
ერის სული და სულისკვეთება  
მარადიული და უცვლადია!  
ოღონდ მთავარი ის არის მაინც,  
თუ როგორია ეს მისწრაფება:  
ნათელი?  
ბნელი?  
მზისკენ მიილტვის,  
თუ ჰვესკნელისკენ?  
გამხელოლია,  
თუ დაფარული?  
მაღალი,  
უხვი და პირდაპირი,

თუ ნიღბით მალავს იქედნეს სახეს?  
ცხოვრების ზისგან ნაყოფს ირგებს,  
თუ ფესვებს უღრღნის?

ერის სული და სულისკვეთება  
მარადიული და უცვლადია.  
ოღონდ მთავარი ის არის მაინც,  
თუ როგორია ეს მისწრაფება.

შენ იგივე ხარ,  
რაც იყავი ათასი წლის წინ,  
ორი ათასი წლის წინათაც  
ამნაირი მახსოვხარ სწორედ.  
და, რა თქმა უნდა,  
მეც იგივე ვარ!  
შენ ისევე ცდილობ,  
დაამაჯრო,  
მარტო მე — არა,  
დააჯრო ჰვეყნიერება,  
რომ ანა-ბანა შენ მასწავლე,  
„დამითმე“ მიწა და ამ მიწაზე  
ამიშენე მერმე ტაძარი...  
და ასე შემდეგ...  
ლმერთმანი, მიკვირს,  
და შენს გამო სირცხვილით ვიწვი!  
როდემდე უნდა ვიტყუებდეთ თავს,  
როდემდე უნდა  
ვატყუებდეთ ამ ჰვეყნად ყველას?!  
ჩვენ ზომ ორივემ  
კარგად ვიცით,  
რისი შეძლება და უნარი  
მოგვანიჭა არსთა გამრიგებ,  
თანაც რაგვარი  
სულისკვეთებით ვართ აღკურვნი?!  
სულისკვეთებით ვართ აღკურვნი?!

მე ვიცი ნიკი  
 ნათელი და მზით გამსჭვალული,  
 ვიცი, არსებობს ნიკი ბნელი  
 და ღვარძლიანი,  
 დახლართული  
 ობობების უხილავ ქსელით,  
 დაფართული ანდა კაობის  
 მოჩვენებითი მდელოსფერი ბკით...

შენ კარგად იცი:  
 მე სხვის მიწაზე  
 არასოდეს მიწაწალია,  
 მე სხვის მიწაზე ჩემის ნებით  
 არასოდეს დავმკვიდრებულვარ,  
 მე სხვისი მიწა  
 ჩემად არასდროს მიმიჩნევია!  
 პირიქით იყო:  
 ჩემი სისხლით მორწყულ მიწაზე,  
 ჩემი მახვილით დაცვულ მიწაზე  
 ყოველთვის მქონდა  
 ადგილი, უბე, თავშესაფარი  
 სხვათა და სხვათა გადარჩენისთვის,  
 იმათთვის, ვისაც მძვინვარე მტერი  
 ზარდამცემი და ზართამხდელი,  
 მძაფრი ყიყინით  
 სამშობლოდან  
 საქონელივით ერეკებოდა,  
 ხომ ასე იყო?!  
 გულზე დაიდგ ხელი  
 ანდა ახსენე ღმერთი  
 და მითხარა:  
 ხომ ასე იყო?!  
 შეგახსენო  
 ისტორიის შავი დღეები,  
 თუ კვლავაც შესძლებ  
 აღიდგინო  
 „დაკარგული“ მენსიერება?!  
 —

მე გეუბნები:  
 თუ გავაყალბებთ  
 თავისთავად უკელმართ წარსულს,  
 მომავალი  
 უფრო მეტი უკელმართობით  
 წარმართება!

განა არ გვეყო?!  
 ხომ ჩავვიტარა  
 დაუნდობელმა ეპითა დინებამ  
 მზაკრობისა და თვალთმაქცობის,  
 გაუტანლობის,  
 ლალატის, შურის,  
 ფარისევლობის  
 შემზარავი გაკვეთილები?!

უმაღლურებას  
 ბასრი კბილი კქონია თურმე!  
 უმაღლურება-მაჩვენსა ღრღნის  
 და ძარღვებიდან  
 ავარდნილი სისხლის ნაკადი  
 ცას ეშხეფება და ალაჭავებს...

მე გეუბნები:  
 ახლა ორივეს  
 ბეწვის ბიდი გვაქვს გასავლელი,  
 ორივეს გეტყვია ძველი კრილობა,  
 საიდანაც ამოდის კვამლი  
 ნახანძრალეების,  
 გადაბუგული ჩვენი ყოფის,  
 დაღველფილი ჩვენი კაცობის,  
 თუ გზაზე ვდგავართ,  
 და თუ ეს გზა კეშმარიტია,  
 ერისა და ქვეყნის სახელით  
 კაცურად ვზოდოთ მძიმე ტვირთი  
 ურთიერთნდობის,  
 გაგების და კეთილი ნების...  
 ერთმანეთს ნულარ ჩავუსაფრდებით,  
 ანდა ნულარ დავემსგავსებით  
 წყალქვეშა კლდეებს,  
 რომლებსაც მაშინ  
 აღმოაჩენენ მეზღვაურები,  
 როდესაც გემი  
 ზედ შეემსხვრევა, შეველწება...  
 რასაც მე ვამბობ,  
 მხოლოდ ჩვენ გვესმის,  
 მხოლოდ ჩვენ ვიცით  
 საიდუმლო ჩვენი წარსულის,  
 ამიტომ მინდა, ვიცხოვროთ ისე,  
 რომ ყველასათვის ნათელი იყოს  
 ჩვენი ცხოვრება:  
 წარსული, აწმყო და მომავალი.

## და იქნება პერი

კონსტანტინე

\*\*\*

ვაჩემ და აღონმა ქალები არაგვისპირის სასახლემდე მიაცილეს, დაემშვიდობნენ და გზა გააგრძელეს. განზრახული ჰქონდათ განთიადამდე ასულიყვინენ ხევში, ამიტომ ურმები სოლონას ეზოში დასტოვეს და თვითონ ცხენებზე შესხდნენ.

ლამის სიჩუმეს მხოლოდ მდინარის ჩუხჩუხი და ცხენების ფლოქვების ხმაური არღვევდა. ვისაც არაგვის ხეობაში ზაფხულობით ვარსკვლავებით მოქედნილი ღამე უნახავს და მთაზე შეფენილი ტყის დიდებული იდუმალება განუცდია, მიხვდება, თუ რა გრძნობამ დაამუნჯა ჩვენი მგზავრები და იმასაც, თუ რატომ დაივიწყეს მათ, რომ სიყეთის გვერდით ამ ქვეყანად ბოროტებაც ბოგინებს, და ასეთ უკაცრიელ გზაზე მიმავლებს მეტი სიფრთხილე ჰმართებდათ.

ალბათ ამიტომ ვერ შეამჩნიეს ნაბდით ფლოქვებშებვეულ ცხენებზე ამხედრებული ოთხი კაცი, რომლებაც თითქმის კვალში მიჰყვებოდნენ კარგა ხანია.

ხეობის მოსახვევში, საიდანაც შედარებით ვიწრო ბილიკი თითქმის ციციბო აღმართზე გადას, უკან მომავლებმა ცხენები ააჩქარეს, ჭიჭურ მიეჭრნენ და ხმის ამოღებაც არ აცალეს, ისე ჩამო-

აცვეს თავზე ტომრები, მერე ცხენებზე მუცლებით გადაჰკიდეს და ტყეში ხელმარჯვნივ გადაუხვიეს.

მთელი გზის მანძილზე არც თავდამსხმელები დალაპარაკებიათ ერთმანეთს. ამიტომ ვაჩე და აღონი, ისე შიყვანეს და ისე შეაგდეს ჭურღმულში, რომ მათ ვერც მომტაცებელთა ვინაობა გაიგეს და ვერც იმას მიხვდნენ, თუ ქვეყნის რომელ მხარეს წამოიყვანეს და გადაშალეს. ჭურღმულში უკუნი სიბნელე იდგა, მაგრამ აღონი შეუცდომლად გრძნობდა დღე-ღამის შეცვლას. მესამე დღეს ჭურღმულის ვიწრო ხერეღადან სინათლის შუქი შემოიჭრა, რომელმაც დატყვევებულთა წინ დადგმული ორი ჯამი გაანათა.

აღონმა ჯამები თავისკენ მისწია და შუქიც გაქრა.

ვაჩემ ამოიკენესა, რადგან თავი აღონის მუხლებზე ეღო და მის მოძრაობაზე გააღვიძა.

— ჰერზე მაინც გაგვიყვანონ ამ უკეთურებმა. დავიხვრჩვი ამ შმორში. — ამოიგმინა და ღრმად ჩაისუნთქა ჭურღმულის ნესტი.

— გაგვიყვანენ. — დაიბედა აღონმა. — გასასყიდად ჩვენ არ ვარგვართ, ასაკის გამო, და არც სიმდიდრე გავგაჩნია, თუმცა კი არც უცდიათ ჩვენი გაძარცვა.



— მაშ რად ეუნდივართ, თუ იცი?

— ვფიქრობ, მძევლებად. იციან, ფარნაეზი უხვად გასცემს ჩვენს დასახსნელად ოქროს. ასე მოიქცევიან, თუ მხოლოდ ფული უნდათ და სხვა სარგებელს არ ეძებენ.

— ჩვენს გაუჩინარებას მეფე კარგა ხანს ვერ გაიგებს, რადგან ხევში ვეგონებით ორივენი. ხოლო ანათა ერთი თვის მერე მომიკითხავს, როგორც შემითანხმდა. ერთ თვეს კი ამ ჭურღმულში მე ვერ გაეძლებ, რადგან ძლიერ მტკიავა სხეულიც და სულიც. ვწუხვარ, რომ ვერაფერში გამოვადები ხევს, — ამოიხზრა ვაჩემ.

ადონმა საკმლიანი ჭამი პირთან მიუტანა და სთხოვა — ერთი-ორი ლუკმა მაინც გადაეცალა, ძალას მოგცემსო.

ორივეს გვარიანად აბტვრევდა, ნესტი შეამიანი გველივით დასრიალებდა სახსრებში, მაგრამ ადონი მაინც უფრო მხნედ იყო, ვაჩეს კი აქ შემოგდებიდან რამდენიმე საათის მერე შეამცოვანა, სიციხემ აუწია და ამ წუთამდე თითქმის უგონოდ იყო მისვენებული ადონის მუხლებზე.

— ეკ, როგორც ჩანს, ამ ქვეყანას არაფერი გაასწორებს. მეგონა, ფარნაეზის შიშით ავაზაკობა მოისპო-მეთქი და ხომ ხედავ, არც ჩვენ დაგვინდეს, ეს დროული ხალხი. სინათლის შუქი მაინც შემოადიოდეს, ასე მეგონია, საფლავში ვწევარ, — თქვა ვაჩემ მწარედ.

— ინდოელი გრძნეულები თავიანთი ცოდნის გამოსაცდელად მართლაც წვებიან საფლავში, საიდანაც რამდენიმე თვის მერეც უვნებელნი დგებიან. — უპასუხა ადონმა.

— უსმელ-უქმელი?

— კი, უსმელ-უქმელი. ოღონდ, მანამდე მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლობენ, სულს წვრთნიან, სხეულს სრულიად უმორჩილებენ მის ბრძანებას.

— მერე, რალად უნდათ ასეთი ცოდნა? — გაუკვირდა ვაჩეს.

— ღმერთამდე მისასვლელ ერთადერთ გზად მიაჩნიათ.

— არმაზიც ასეთ ცოდნეს დაეუფლა ალბათ ინდოეთში ყოფნის დროს. ნებით თქვა ვაჩემ, რადგან თვითონ მას სულის დასახსნელად სხეულის გვემა და ამქვეყნიური ჭირ-ვარაპის დათმობა დანაშაულადაც კი მიაჩნდა. — ამიტომ ვერ პოულობს ადამიანებთან საერთო ენას, ხოლო მთაში უკეთურ ძალთა მოციქულიც კი ჰგონიათ.

— უბირო იფიქრებს მასე, ქვეყანმა კი იცის, რომ დიდი ბედნიერებაა სულის ამაღლება და ამქვეყნიურ კავშირთა მიღმა გადასვლა. ჩვენს შორის, ალბათ, არმაზს ხვდება წილად ეს ბედნიერება. — უპასუხა ადონმა.

— მისთვის უმჯობესი იყო მთაში დარჩენილიყო, ჩემი ლაშჩირა ცოლად შეერთო და კარგი შვილები დაეზარდა ქვეყნისთვის. მე, პირადად, კაცის უბირველეს დანიშნულებად თავისი მოდგმის გამრავლება მიმაჩნია და ბედნიერებასაც ამაში ვხედავ.

— რით ვერ შეიყვარე ლენე?

— კარგი ვაყავია ჩემი სიძე, მაგრამ მე მუდამ არმაზი მომწონდა სამოყვროდ. ვოცნებობდი კიდევ ლაშჩირასა და მის ოჯახზე, მათ შვილებზე, მეჩვენებოდა, ერთმანეთისთვის არიან გაჩენილები და უერთმანეთოდ ვერც გასძლებენ მეთქი. ბედი კი, თურმე, ლენეს მიმზადებდა სიძედ.

— უცნაური კაცი ხარ. — გაელიმა ადონს. — ვინმემ რომ გისმინოს და ლენეს არ იცნობდეს, ეგონება, ამ საცოდავ კაცს უღირსი სიძე შეხვედრიათ.

— უცნაური კი არა, მართალი კაცი ვარ, რასაც ვფიქრობ იმას ვამბობ. დღემდე არ ვიცი, კმაყოფილი უნდა ვიყო თუ არა ლაშჩირას ბედით, თითქოს კარგადაც არის, მაგრამ გული მაინც მიტირის მის გამო.

ადონმა არაფერი უპასუხა.

\*\*\*

შვიდ ცათა ზევით, ღვთაებათა საკრებულო ველზე, იქ, სადაც მარადიული ნეტარება დამკვიდრებულა და სივრცე ღვთაებრივი სიმსუბუქისგან ნა-

რწაოდ ირწევა, ქვეყნიერების დიდმა დედამ უმაღლესს თავისი ცხრათვალა ქალიშვილის სათხოვარი გადასცა:

მზირა მადლობას სწირავდა სამყაროს გამგებელს და ევედრებოდა, კვლავაც მისთვის დაებრუნებინა იბერიი, რადგან ჩემმა ფერმკრთალმა ქმარმა — მთოვარემ ვერ უპატრონა ქვეყანასო.

შემოქმედს უკვე განელებული ჰქონდა ამირანის ურჩობით გამოწვეული გაბრაზება და იოლად შეუსრულა მზირას თხოვნა. მერე, როცა შვიდი მნათობი სათათბიროდ მოაწვია, აუწყა კიდევ მათ თავისი ნება.

მთოვარემ უმაღლესს სიტყვა ვერ შეჰკადრა, მაგრამ ფრიალ ეწყინა თავისი მწუყვილის საქციელი. ღვთაებათა ველიდან დაბრუნებულმა, ბედისწერის ღვთაება მოისყიდა და მისგან გაიგო, თუ ვისი იმედით ცდილობდა მზირა იბერთა მბრძანებლობის ხელშეორედ დასაკუთრებას.

ეს ამბავი ორი ასწლეულის წინ მოხდა და მთოვარე მთელი ამ ხნის მანძილზე ეძებდა მზირას რჩეულს, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ცხრათვალა მნათობის ხელახალი გაბატონება ქვეყანაში.

დრო გადიოდა. კავკასიონზე ამირანის გმინვა ისმოდა, იბერიაში სისხლის წვიმები არ წყდებოდა, ხალხი ისევ გულმზურვალედ ლოცულობდა მთოვარის ფერმკრთალ სხივებზე, მაგრამ მზირას რჩეული არ ჩანდა.

ბოლოს იხილა იგი. მდინარის პირას იჭდა ჩაფიჭრებული. თავზე წამოადგა, დააკვირდა და განცვიფრდა ფრიალ, რადგან ჩვეულებრივ მოკვდავად შეიყნო. ყური მიუგდო მის ფიჭრთა სვლას... აზრიც რჩეულისა მიწაზე რბოდა, იბერიას დასტრიალებდა და გული მისი მიწიერი ქალისთვის ძგერდა.

შერცხვა კიდევ ამ ერთი შეხედვით სუსტ არსებასთან გატოლება, მაგრამ როცა მისკენ აყარობილი არმაზის თვალები იხილა, მიხვდა, რომ არც მის არჩევანში შემცდარა სინათლის მატარებელი მზირა.

მდინარის ვერცხლისფერ ზოლს აწყვა ლამის მნათობი. მთაშენი წყნარ მხრთავესთან მომლოდინე დამბნის სისხლსაღვლინმა, მიუღერსა, კმუნვის მიზეზი ჰკითხა.

— ვერ დავიმორჩილე ფარნავაზის გული, რადგან არმაზი უდგას დარაჯად, სწორედ თავი ვერ შევავყარე ჩემს რჩეულს. დამებმარე მის დასჯაშიო. — შესთხოვა ნადირთ ღვთაებამ. გულს მოეფინა მთოვარეს. იცოდა, უმაღლესის ნებას ვერ გადავიდოდა და ბედისწერის საიდუმლო განაჩენს ვერ შეეცვლიდა, მაგრამ იმით მაინც გადაუხდიდა სამაგიეროს მზირას, რომ მის წარვლენილ ღვთაებათა ველზე გამგზავრებას დაუგვიანებდა, ახალ სატანკველს მოუვლენდა.

თმა აიკრიფა დალიმ. მთათა მწვერვალებს გადაეგლო და მანამ სვლა მთოვარეს, სანამ მზირას პირველი ამბავი არ შენიშნა. აუწყა არმაზის, რომ მზირასა და ფარნავაზის ამბავი, არც ფიჭრე დავიწყება და არც ოქროს სვეტი, რომელზეც ლამის მნათობის საიდუმლო სვლასთან ერთად მზირას ეტლის სავალიც იყო გაცხადებული. ისიც უთხრა — მზირას სავალი უპირატესადაა მიჩნეული შენსაზეო.

ბევრი იფიჭრა მის მერე მთოვარემ და ბედისწერის განჩინების წელს, თავისი სავსების ერთ ღამეს იძია შური მზის მოვლენილზე. იგი ღალატის მძიმე ცოდვას აზიარა. მისი სრულყოფილება შეარყია და დაუმძიმდა ღვთაებრივ გზაზე სავალი ბილიკი.

\* \* \*

არაფერი ისე არ უყვარდა არმაზს, როგორც წყალი. იგი თავისი ფიჭრების თანამგრძობლად, მესაიდუმლედ მიიჩნდა და მთელი დღის დაქანცული მუდამ მდინარისკენ, ტბისკენ, თუ ნაცნობი ნაკადულისკენ მიისწრაფვოდა. წყლის ღვთაება ყოველთვის გულითადად ხედებოდა მეგობარს, ტალღების უღამაზეს პანგს შეაგებებდა და მერე დაღლილ სხეულზე სათუთად შემოაბ-

ვევდა გამკვირვალე ხაზებში გარდატეხილ უთვალავ ფერს.

ახლაც ტბისკენ წამოვიდა წყლის წვეთით წმინდა და ამაყი. მიეახლა მეგობარს, აფორიაქებული სული მიანდო.

ლამის სიბნელეში ზანტად ირწეოდა ტბის ტანი. შედგა თუ არა ფეხი წყალში, ლამის მნათობიკ ამოცურდა ღრუბლის საფარიდან და უჩვეულოდ გაანათა მიდამო. არმაზმა თვალი გაუსწორა მნათობს. უცნაურად ილიმოდა მთოვარე, ხოლო წყალთა ღვთაება, ვით კეთილი მეგობარი, კვლავ სიღრმისკენ ეპატივებოდა და იქ, თავის გამკვირვალე საბრძანებელში, სრულ განახლებას პირადებოდა. ხოლო დაღლილობის დაძლევა ძლიერ სჭირდებოდა, რადგან დღევანდელ დღეზე დაფიქრება ეწადა არმაზს. ტბის ძირი ძაბრით ვიწროვდებოდა სიღრმისკენ. იქ წყალს მართლაც მაკოცხლებელი ძალა ჰქონდა, ხოლო ტბის ფსკერზე მოფენილ ნორჩ სიმწვანეს ყოველგვარი კმუნვის განქარება შეეძლო. კარგა ხნის მერე, ტბის ზედაპირზე ამოსულმა ისევ ახედა ზეცას და გაუცვირდა, უძრავად რომ იდგა ტბის თავზე მთოვარე. ისევ წყალში გაუჩინარდა, რადგან რატომღაც ვერ გაანდო ახლანდელი საფიქრალი ლამის მნათობს...

ამ დილით არმაზი გოგარენადან კამბისენასკენ მიმავალ გზას მიჰყვებოდა, რათა იქ იმ ხუთი ბავშვისთვის ეშველა გასულ ზამთარს ზეგეში რომ მოჰყვნენ. სიცოცხლე კი შეინარჩუნეს, მაგრამ დაბებირდნენ: სამი დაყოკლდა, ერთი დაბრმავდა, ხოლო ერთი ჰკუდიანაც შეცდა. ის საცოდავები მაშინაც იმან გადაარჩინა, რომ იმ დროსაც არმაზი მიდიოდა ამ გზაზე და კვენესა შემოესმა. თოვლი გაიხრიაკა, ბავშვები გამოიყვანა, ხოლო მათი მზღებელი შუახნის კაცი გარდაცვლილიყო უკვე.

შუადღისას, როცა წვიმამ გადაიღო და სიარულიც უფრო გაიოლდა, ჰალაში მისკენ მომავალი ოთხი მხედარი დალანდა. ისინი თოკით ერთმანეთზე გადაბმულ ადამიანებს მოერეკებოდნენ,

სპარსულად ლაპარაკობდნენ და ერთმანეთის ბილწსიტყვაობაზე მსარკინებდნენ.

არმაზმა დატყვევებულებში იბერიელი ჰაბუყები შეიცნო და მიხვდა, რომ დღეს დაუგვიანდებოდა ავადმყოფებთან მისვლა. მცირე ხანს მუხის ძლიერ ტანს მიეფარა, ავაზაკებს დააკვირდა. მათ შორის ერთი პირკანიელი უნდა ყოფილიყო; მეორე იბერი, მესამე კი სომეხი, ხოლო მეოთხე, თუმც კი დანარჩენებთან ლაზლანდარობდა, მაინც მათი მეთაური ჩანდა. ის მეოთხე უეჭველად სპარსი იყო, რადგან, სხვებისგან განსხვავებით, ჩინებულად ფლობდა ამ ენას.

როცა ავაზაკები მიუახლოვდნენ, მზის მოვლენილი საფარიდან უეცრად გამოვიდა და მათ წინ აისვეტა. თოკით ერთმანეთზე გადაბმულებს იმედი მოეცათ, ხოლო სპარსმა მთელი ხმით შეჰყვირა:

— თავს უშველეთ, დემონია, დაგვლუბავს! — და სანამ დანარჩენი სამი გონს მოეგებოდა, უკან გააქუნა ცხენი. სომეხი და პირკანიელი მალევე გამოუდგნენ მეთაურს, ხოლო იბერი ცხენიდან ჩამოვარდა და მიწას გაეკრა.

— ვინ იყვნენ ის კაცები, ან ამ ახალგაზრდებს საიდან მოერეკებით? — ჰკითხა მის წინ დაცემულს.

— სარკინესთან სალოცავს დავეციო. ქურუმი და მოხუცი მლოცველები ტამარში შევეკეტეთ და ესენი წამოვასხით! — ამოიღულულა.

— ისინი ვინ იყვნენ-მეთქი?! — წარბი შეჰყარა არმაზმა.

— არ ვიცი. ერთმანეთს სახელებით არ მივმართავდიო. სულ ახლახან შევეუამხანავდი. თავად კასპელს მეძახიან...

არმაზმა დატყვევებულები გაათავისუფლა და თოკი ერთ-ერთს გადასცა. მანაც კასპელი შეჰკრა იმ თოკით.

— სიცოცხლის ბოლომდე ვილოცებ შენზე, არმაზ. — კვლავ დასძრა ენა ავაზაკმა. — ოღონდ ნუ მომაყვდინებ, მოხუც დედ-მამას ნუ გამიმწარებ. უფლისციხის ვალავანზე გიბილე ცეცხლზე

მოსიარულე და მის მერე შენი სიღიძინისა მწამს. ნურც მოგვატოვებ, რადგან ისინი მობრუნდებიან და...

— ისინი აღარ მობრუნდებიან, ხოლო შენს საქციელს ხალხი განსჯის, იგივე წარგადგენს შენი ფუძის ღვთაების წინაშე სასჯელისათვის. დე, მან გაბატონოს, რადგან სისხლიან კაცად არ მეჩვენები, — მიუგო და გზა გააგრძელა. უკვირდა: ამ იბერიელს დიახაც შეეშინდებოდა ჩემი, რადგან ამის საფუძველიც კჳონია. ხოლო სპარსმა რატომ მიმიღო დემონად და რატომ არ შემებრძოლა სამ შეიარაღებულ კაცთან ერთად, რად განმერიდა და ნადავლი რად მიატოვაო.

ცოტა ხნის მერე კიდევ მოჰკრა თვალი ცხენოსნებს. გამოედევნა. მხოლოდ საუკეთესო მხედარი თუ შესძლებდა არმაზისთვის გაესწრო სირბილში. ის ორნი, სპარსის მიმდევრები, მალევე დაეცნენ. მაგრამ არმაზს ნაბიჯი არ შეუნელებია. მესამე მხადარი პირკანისის ზღვისკენ მიმავალ გზას დაადგა. არმაზიც მოჰყვა თითქმის ფეხდაფეხ და უცებ, თითქოს მიწამ შთანთქო, გაუჩინარდა ცხენოსანი. სამი მდინარის ხეობაში ბევრი ქვაბული ეგულებოდა არმაზს, მაგრამ ისიც იცოდა, მათში დამალული კაცის პოვნა თითქმის შეუძლებელი რომ იყო.

ხელმარცხნივ გადაუხვია და მთას აჰყვა, რათა თავის სადგომთან მოკლე გზით გადმოსულიყო.

მწვერვალიდან ჩამომავალმა იგრძნო მისჩერებოდა ვიღაც. მოიხედა. — არც თუ ლაჩარი ყოფილა ის კაცი, ჩემს სადგომთან დამლოდებიაო. — გაიფიქრა და ხეთა შორის გაეღვებულ მწვერული კაბა შეიყნო კიდევ. მხედარი კი არა, ფაირე ცდილობდა მასთან შეხვედრას. დანაწებით შეხედა სადგომის კარს, რომლის გამობხნა და მის უკან გაუჩინარება სურდა აჰ ამოსულს და სწრაფად ჩაიბრინა ფერდობი, ქალს განერიდა, ტბასთან მივიდა.

წყლის სიღრმეში მჭდომარეს უცებ გაახსენდა იმ გაქცეული კაცის სახე.

მოაგონდა, თუ სად უნახავს ეს არქელის, შავი თვალები, ნაეჩივრე და კვლავ მოელანდა ლეონტიძის მითითებით, ქვეწარმავალთა შორის დაგდებული კლიკე და მისი ორი მხლებელი. სწორედ ერთ-ერთი მათგანი იყო დღევანდელი ავაზაკი. — მით უმეტეს, მისი შეპყრობა და იბერიის საზღვრიდან განდევნა საჭიროო, — გაიფიქრა და დამშვიდდა სრულიად. რადგან გაქცეულის ვინაობა დაადგინა, იცოდა, ვერსად დამალებოდა ეს კაცი.

ახლა კლიკეს უმწეო თვალები მოაგონდა და კვლავ აემღვრა სული იმის გაფიქრებაზე, რომ ვერ უპატრონა, განუკითხავად მიაგდო ბედის ანაბრად. რაც მთის მცირე სალოცავი მიატოვა კლიკემ. მის მერე არც ერთხელ არ მოჰკონებია ის უბედური.

— სიყვარულიც დაუნდობელი ყოფილა, რადგან ჩემიანად მიანც ვერ ვიწამე კლიკე და შეიძლება ბოროტების მსახურადაც კი ვაქციე ეჭვიანობის გამო, — გული ეტკინა და ტბის ფსკერს დაჰკრა ფეხი, თითქოს წყლის ზედაპირზე ელოდა შვებას.

ზევითკენ მოცურავემ პატარა ხელის შეხება იგრძნო და მიხვდა, რომ დღევანდელი წილი მისი ცხოვრებისა ჭერ არ დამთავრებულა, იმასაც მიხვდა, რომ ბედისწერის ღვთაება ახლა არ მისცემდა გარდაუვალთან გაცლის საშუალებას. დაიბარა, ხელი შეაშველა ტბის ფსკერისკენ მიმავალ ფაირეს. წყლის სიღრმეიდან ამოიყვანა, სული შთაბერა, ცხელი ტუჩებით შთანთქა სხეულზე შემორტყმული სიკვდილის სიცივე. მკერდზე მიიკრა, თავისი სითბო უწილადა და, როცა ფაირემ თვალი გაახილა, ამ თვალებში ჩამდგარი სურვილის ტყვე გახდა.

როცა ღამის მნათობმა ზეცას ღრუბელი მოახია და საფარველად გამოეწოდა, მოეჩვენა მზის მოვლენილს — უცნაურად ხითხითებდა მთოვარი.

\* \* \*

დალაიმ სული მოითქვა, მაღლი მიუძღვნა თავის გადამრჩენელს არმაზისგან დახსნის გამო, გამოქვაბულის ნესტიან კედელს მიეყრდნო და ფიქრს მიეცა: კიდევ კარგი, რომ იმ დამთხვეულმა კასპელმა ჩვენი ასავალ-დასავალი არ იცის, თორემ ჩაუქენჯავდა არმაზს. მაინც როგორ გადაგვეყვიდა, გინდათ თუ არა, თქვენი ამხანაგი უნდა გავხედო. ფარნავაზის სატრფოს საცხოვრებლის ჩვენებასაც დაგვიპირდა, ყოველ კვირაში ერთხელ იქეთვე მიეშურება მეფეო. გული მეუბნებოდა: ჯერ იმ ქალის სამყოფელი გაიგე და მერე ეს იბერიელი ჩაძაღლეო. ყოველთვის წაგებული ვრჩები, როცა საკუთარ გულის ხმას არ დავეუქრებ. დღესაც ასე იყო. მეორე გზით მსურდა შეპყრობილების წაყვანა, მაგრამ რაღაც ბედად, ისევ იმ კასპელს დავეუქრე, ვითომც ერთი დღით გვიან მისულს არ მიმიღებდა ბერძენი და არ იყიდდა ჩემგან მიყვანილს. ყველაზე მეტად მეფის ძმადნაფიკის მეშინოდა და, იმ კასპელის გადამკიდე, სწორედ იმას გადავეყარე. ახლა არმაზი არ მომეშვება და ჩემს გზა-კვალს დაუწყებს ძებნას. შებმა მაინც არ მსურს. თუმც კი იბერებივით სულელი არ ვარ და იგი ღვთაებად არ მიმაჩნია, მაინც სული მითრთის მისი თვალების გახსნებაზე. არც სარანი იქცევა გონივრულად, როცა იმ ორ ბებერს საპყრობილეში ამყოფებს. თუ მეფის გამზრდელს ერთ თვეში უკან დაბრუნება ჰქონდა დაბარებული, უკვე მოიკითხავს მას ფარნავაზი, იქნებ აგზავნოს კიდევ კაცი მთაში და ისიც გაიგოს, რომ არ ასულან ადონი და ვაჩე იქ. არც ხევისბერია სანდო, მშისმარაა და საკუთარი ცხვირის იქეთ ვერ იხედება...

საერთოდაც არ იყო მოხუცების მოტაცების მომხრე დალაი. ეს საქმე სარანმა და ფარნავაზის ცოლისძმამ დაიჩემა. ალბათ ეგონათ, მისი გამზრდელების შეპყრობით იბერიის მეფეს ჩვენს ჭკუაზე ვატარებთო, ხოლო, როცა დალაიმ ძლივს შეასმინა, — თვით

მოხუცები არ ინდომებენ, რა უნდა ამოგვეფიქროთ დათმობაზე წაგიღებოთ. ახლა იმეცხუ კუთარ თავსაც რაიმე აუტეხონო, — დაფიქრდენ აჯანყების მოთავეები და გადაწყვიტეს პართიის მეფისთვის მიეყვანათ ადონი და ვაჩე. ამიტომაც უკეთეს სადგომში და რბილ საწოლზე გადააბრძანეს დილეგიდან.

ორი კვირაა დღე-ღღეზე ელოდებიან პართიის მეფის წარმოგზავნილებს. გასამჯელო, რასაც პართიის მეფე ამ ორ მოხუცში ჰპირდება შეთქმულების თავიკაცებს, გვარიანია. იმით ჯარის დაქორავებაც შეიძლება და ხელის მოთბობაც. როგორც ჩანს არ ჩქარობენ სარანი და ფარნავაზის ცოლისძმა, ხოლო დალაის ყოველი მომდევნო დღე მძიმე ტვირთივით აწვება გულზე და ბოლოით ავსებს. მას არც ვაჩე და ადონი მიაჩნია დიდ რამედ, არც პართიის მეფე, არც სომხური მიწების ბედი აწუხებს და არც სარანსა და მის „მეგობრებს“ სცივს პატივს...

ამ გამოქვაბულში, სიმწრის ნერწყვს რომ ყლაპავდა და თავისი ზრახვის ასრულება უსაშველოდ გაგრძელებულად რომ მიიჩნდა, დალაი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, ერთ თვეში უნდა მოეგვარებინა ფარნავაზის მოკვლის საქმე.

შეთქმულთა თავიკაცებს ვერ გააგებინა, თორემ მას კარგად ესმის, რომ გამარჯვება სწორედ მანამდე შეიძლება, სანამ ფარნავაზი არ დაეკვებულო და მათი მოქმედებისთვის გულისყური არ მიუბყრიო. ახლა დალაი იბერიის მეფის ყოველ ნაბიჯს ჩაუსაფრდება და თავისი რაზმით კიდევ მოუღებს ბოლოს. პოდა, თუ მართლაც რაიმე გავლენა აქვს ორ დატყვევებულ მოხუცებულს იბერიის სამეფო კარზე, უკეთესიც კია მათი სარანის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნაო. — დაასკვნა დიდი ფიქრის მერე და არმაზთან შეხედრით გამოწვეული აფორიაქება თავიდან მოიცილა.

\* \* \*

არც ისე გულუბრყვილო და უკეთუ იყო ჰერეთის ყოფილი მთავარი, როგორც დალაის ეგონა. მან ვაჩესა და ადონის დატყვევებიდან ათი დღის თავზე ზევის მეთაურს კაცი გაუგზავნა და დააბარა: — იბერიის ბრძენკაცს, ფარნავაზის გამზრდელს, ადონს ვინ არ იცნობს. შენც კარგად იცი მისი წონა და სიტყვის ფასი. მინდა გახარო, რომ ეს სახელოვანი ადამიანი, იბერიის მეფის მეორე გამზრდელთან, ვაჩესთან ერთად, ჩვენთან, ფარნავაზის ახალი კანონების მოწინააღმდეგე ხალხთან მოვიდა. თურმე ნუ იტყვი, მისაც არ მოსწონს ღვთაების მსახურთა დამცირება, ამბავი, იბერიის მეფე რომ აპირებს. და ისიც არ არის მოძარე ღვთაებრივი სიტყვის დამდაბლებისა. ამიტომაც პართიის მეფესთან წავაბრძანეთ და მერე იქედან ანტიოქიასაც გაემგზავრება. მისი სურვილია, ამ ორმა ღირსეულმა მეფემ ფარნავაზზე ზემოქმედება მოახდინონ და გადაწყვეტილება შეაყვლინონ. ხოლო ადონი მეფეს ეცრუა, რათა უჩუმრად ემოქმედნა და ფარნავაზს უთხრა, რომ ზევში ავდივარ დასასვენებლადო. ახლა შენ გითვლის ადონი: — თუ მეფის კაცები, ან ვაჩეს სახლობა მოგვიკითხავენ, უთხარი, რომ კავკასიონის გადაღმა გადავიდნენ მოხუცები და დამიბარეს, ერთი თვის მერე მოვბრუნდებითო. საერთოდაც ხმა დაარხიე ზევში, — ადონი და ვაჩე ერთი ღამით მესტუმრნენ და თავად გადავაცილე ზევს გადაღმა-თქო.

თავზევისბერს ძლიერ გაეხარდა ეს ამბავი და მორიგეს მადლი შესწირა ასეთი სასურველი მოკავშირეების მოვლინებისათვის. ხოლო მერე, როცა ვაჩესამ გამოგზავნილმა კაცმა ადონი მოიკითხა, ისეთი მონღომებით მოუთხრო ვაჩესა და მისი თანამგზავრის კავკასიანელებთან გამგზავრების ამბავი, რომ თავიდაც დაიჭერა.

ჰეფე შეფიქრიანდა, როცა ეს ამბავი შეიტყო. არა თქვა, მაგრამ ეწყინა თავისი გამზრდელისგან. — ჩემთვის გაუმ-

ხელელი რა საქმე უნდა გამოსჩინოდათ ვაჩეს და ადონს ქვეყნისგანდგენაში? — თავის თავს უფრო პირდაპირს საქმიან ამბავი მოუტანა და მხატვართუხუცესი სამუშაო ოთახში შეიყვანა.

— ქვეყნისთვის და მისი მეფისთვის საკეთილოდ გაირჩებოდნენ ადონი და ვაჩე, ხოლო რომ არ გაგიმხილეს, ამასაც ექნება თავისი გამართლება. ჩამოვლენ და გავგებთ კიდევ. — გაიღიმა ვაჩიკამ.

— არც ისე მხნედ არიან, ამხელა გზა უმსახუროდ და უმომგლლოდ განვლონ. — თავი გააქნია ფარნავაზმა.

— იბერიის მეფის ახლობლებს მომსახურე და მომგლელი არ მოაყლდებათ ჩვენს მეზობლებში. დედოფლის სახლობის დასაშოშმინებლად ხომ არ გადავიდოდნენ ადონი და ვაჩე დურბუკეთში? — ჩაილაპარაკა ვაჩიკამ და მეფეს თვალი მოარიადა.

— მირჩია და განვირიდე კიდევ იათა, თუმც ძლიერ მიკირს უმისობა, — სთქვა ფარნავაზმა. — ხოლო ჩემი პირადი გრძნობა რა იმხელა ყურადღების ღირსია, რომ ორი პატივცემული კაცი გრძელ სავალს დაადგა? ან კი რა არის მოსაგვარებელი? იქნებ ჰგონიათ, კავკასიანელთა დედოფლის გამო შემებრძოლებიან და ჩემთან ურთიერთობას გამწყვავებენ? თუ ამიტომ გაემგზავრნენ, ტყუილად გარჩილნი ჩანან და გულუბრყვილოდაც გამოიყურებიან. ასეთი ამჩატება მხოლოდ მათი ხნოვანებით თუ აიხსნება, თუმც კი ბებრული ავაღობა არც ერთისთვის არ შემიძინევი.

იბერიის მეფემ მაგიდაზე გაშლილ წიგნს დახედა.

— გაგიგონია ალბათ, ათენელთა ქვეყანი წინამძღოლი სოლონი. მის გამოცემულ კანონებს ვეცნობიანი წუხელ. არასტრატელე დოდად აფასებდა იმ შორეულ ბრძენკაცს.

— ეს ის არ არის, რკინის მძიმე ფული რომ მოჭრა და ამით ოქროს დაუკარგა ფასი? — იკითხა ვაჩიკამ.

— სწორედ იგია. თითქოს გაასწორა

კიდევ ქვეყანა. გამორჩეულად მდიდარი და გამორჩეულად ღარიბი აღარ ცხოვრობდა მაშინ ათენში, რადგან ორივე მდგომარეობა სირცხვილად ითვლებოდა. იყო პატიოსნება და ერთურობის სიყვარული. აღმატებულება უხერხულად მიაჩნდათ და ამიტომ ყველა ცდილობდა არაფრით გამორჩეულიყო სხვათაგან. თვით სოლონიც ჩვეულებრივ, რიგით მოქალაქესავით ცხოვრობდა. — თავის მხატვართუხუცესს მიაჩერდა ფარნავაზი, თითქოს პასუხს მოელის მისგანო.

— მე არ მესმის იმ კაცისა, ვინც ასე იფიქრა. ადამიანი მით არის საინტერესო, რითაც იგი გამორჩეული და აღმატებულია სხვაზე — მიუგო ვაეიკამ.

— სულიერ აღმატებულებას თვით სოლონიც არ უარყოფდა, ოღონდ გარეგნულად ერთნაირ ფორმას მოითხოვდა.

— და, ცდებოდა, როგორც მგონია. სულიერი სიმაღლე კაცისა, მის გარეგნულ სრულყოფილებაშიც ცხადდებოდა უნდა და გამომარჩევდეს კიდევ ბრძენს, მეფეს, მოღვაწეს, ხელოვანს ცხოვრების წესით.

— შენ იმ სოლონზე ბრძენი ხარ, ვაეიკა, — გაიციხა ფარნავაზმა. — მისმა კანონებმა ქვეყანა კი გააძლიერა, მაგრამ სულიერად დააქინა და ეს დაეტყო კიდევ მის მომდევნო ათენს, რადგან მის, ხელახალ აღზევებას ასწლეთულები დასკირდა. ცხოვრება თავად გვეარნახობს თავის კანონებს, ხოლო კარგი წინამძღოლი ივია, ვისაც მისი იღუმალი კანონზომიერება ესმის.

— შენ ისევ იბერიის ყოფას ჩაჰკირკიტებ და საკუთარ კანონებს ამოწმებ, ასე არ არის? — ჰკითხა მხატვართუხუცესმა მეფეს.

— ასეა, ჩემო ვაეიკა. ასე. არ მასვენებს ფიქრი იმაზე, შეცდომა ხომ არ დავუშვი, როცა ბერძნული და სპარსული მმართველობის წესი შევეუბრე იბერიის ცხოვრებას და მამა-პაპათა გამოცდილება არ მივიჩნიე გაყვეთილად, ქვეყნის ხელმძღვანელობის ის წესი არ

ვიწამე, რომელიც მთაში შემოიჭრა ჯერაც.

— კარგად იცი და ცხოვრებამაც დაგეგმოს, რომ მართალი იყავი, როცა მეთემეთა უფროსები გააზნაურე და ქვეყნის მმართველობის საქმეში ჩაერიე, ყოველ სამთავროში მუდმივი ჯარი ჩააყენე, როცა სავაჭრობები მოამარაგე და ციხე-სიმაგრეები მხოლოდ საომრად კი არა, საცხოვრებელ ადგილებადაც აქციე.

— ეგ მეც ვიცი, მაგრამ საქურუმოთა ძველი წესის გაუქმება მაფიქრებს. ერი საუკუნეებით დაქანონებულ ცხოვრების წესს იოლად არ შეეღებება, ხოლო ის, რაც ხალხისთვის და ქვეყნისთვის კეთდება, ხალხის ნდობას უნდა იმსახურებდეს უპირველესად. — ფარნავაზმა შეკლარავებულ თმაზე გადაისვა ხელი.

— შენს მეფობას იბერიაში ადამიანის პიროვნების დაფასება მოჰყვა. კაცმა თავისი ფსიქიკა და საკუთარი თავის რწმენა განუმტკიცდა. ეს დიდი ამბავია. ასეთ რამეს ადამიანები არ იეიწყებენ და არც იმ მეფეს, ვის დროსაც ქვეყანა გაერთიანდა, გაძლიერდა და დიდ სახელმწიფოთა გვერდით დადგა. მე თუ მკითხავ, სამშობლოს ძლიერებით აღძრული სიამაყის გრძნობა ყველაზე დიადია ადამიანის გრძნობათა შორის, ხოლო დღევანდელი ქართლოსიანი ამაყია იბერიის გამო. იქნებ ამიტომაც არასოდეს უღალატებს იგი თავის ფარნავაზს, მისას გაიგონებს და მასვე მიჰყვება ყოველ საქმეში.

სასახლის ეზოთმოდღვარი მძიმედ შემოვიდა მეფესთან. ვაეიკამ იგრძნო, რომ კარგი ამბის სათქმელად არ იყო მოსული ეს კლარა კაცი და წამოსასვლელად მობრუნებულმა ნაბიჯი შეანელა, ხოლო მერე, როცა მეფემ ანიშნა დარჩიო, ისევ დაიკავა თავისი ადგილი.

— ანტიოქიის დედათა ქურუმი ითხოვს შენს ხილვას, იბერიის მხსნელო! — თავი დახარა ეზოთმოდღვარმა.

— რა გასკირვებია იბერიის საპატრიარქოს სტუმარს? — მძიმედ იკითხა მეფემ.

— ამბობს, ერთ-ერთი მხლებელი ქა-

ლი გაუჩინარდა ათი დღეა და ვერ მივაკვლიე მის გზა-კვალსო.

— უხმე! — ბრძანა ფარნავაზმა.

— არმაზი იყო შემფოთებული ამას წინათ, მცხეთის გზაზე ათი-თორმეტი მხედარი დაულანდავს და არ მოსწონებია მათი დაფარული მოძრაობა, ლენესთან მიმავლავნა. მთავარსარდალმა შორს დაიჭირა. — უთუოდ პონტოელი ვაჭრების გამოგზავნილები იჭნებოდნენ ის მხედრები. სწორედ მათ სურთ თავიანთი მეფისგან დაფარულად იგაჭრონ იბერიის ებრაელებთანო. მეც სარწმუნოდ მეჩვენა ეს ამბავი და არ გითხარი მაშინ.

— ჩემს მთავარსარდალს რომ ჰკითხო, ჩიტყვი კი ვერ ფრენს ჩემს უკითხავად იბერიის გზებზეო, — ხოლო მკითხაობა, თუ ვინ იყვნენ ქვეყანაში მოსიარულე უცხო კაცები, მთავარსარდალს არ ეკადრება. ძლიერ დამშვიდდა ამ ბოლო დროს ლენე, მისი ათასისთავებიც მუდამ ზეიმის გუნებაზე არიან. უბრძოლველობამ სიზარმაცეს მიაჩვია მეომრებიც... არა და, ხალხს არ სჭირდება ომი. — თქვა მძიმედ მეფემ;

— არც იბერიის მეფეს უყვარს ომი!

— ჩაუბრუნე ვაიკამ.

— არც მე მიყვარს. სისხლი და ძალმომრეობა მძულს. ამის მიზეზი აღმათისაა, რომ აღონი, ვაჩე და პირქუში მზრდიდნენ. ხოლო მათ შორისაც მამაშენი ყველაზე უწყინარი კაცი იყო და ყველაზე მშვიდობისმოყვარეც.

დედათა ქურუმმა იბერიის მეფეს თავი დაუტრა და ვაიკას გახედა.

— ილაპარაკე. — დართო ნება ფარნავაზმა. — მასთან დაფარული არაფერი მაქვს.

— ფაირო დაიკარგა, მეფეო, ათი დღეა არ ჩანს. თავდაპირველად მეგონა, არმაზს დაუახლოვდა და თავისი დიდი სურვილი აისრულა-მეთქი, ამიტომაც მოვიტომინე და არ შეგაწუხებ, ხოლო ახლა, როცა იბერიელი ჰაბუტების გატაცების ამბავი გავიგე, შევშფოთდი ძლიერ. ავაზაკების ხელი ხომ არ ურევია ფაიროს გაუჩინარებაში-მეთქი. მეგონა: იბერი-

აში ტყვეთა ტაცება აღმოფხვრილი იყო!  
— ისევე დახარა თავი სამხრეთის მხარეში.  
— ზნელოცნივენი

— იმ სამ ავაზაკს, ვინაც კასპელი კაცი შეაცდინა, ვეძებთ და ვიპოვნით კიდევ. ამ ერთი შემთხვევის გამო მთელი ქვეყნის აუგად ხსენებას ვერ მოგიწონებ. შეპყრობილი ჰაბუტების დამხსნელი უთუოდ არმაზი იყო, რადგან იცნო კიდევ იგი კასპელმა. ეს ამბავი იმას ამტკიცებს, რომ თვითელი იბერიელი უვლის თავის ქვეყანას და მისი მეფის კანონებს იცავს. ახლა იმასაც გეტყვი, რომ ამოდ დააბრალებ ჩემს ძმადნაფიცს ქალის შეცდენა, როგორც ხედავ, იგი უფრო დიდი საქმით ყოფილა დაკავებული! — მძიმედ ლაპარაკობდა ფარნავაზი და გამკოლ მზერას არ აცილებდა დედათა ქურუმს.

— ტყუილად ფიქრობ. თითქოს მე იბერთა რჩეული კაცის შეურაცხყოფა მსურდეს. არც მიმაჩნია ფაიროს სიყვარული უკეთურად, რადგან სიყვარული ღვთაებრივი ძალაა და როგორც ყოველი ღვთაებრივი გამოვლინება, ისიც კეთილი და სათაყვანოა. მე იმის თქმა მინდა, რომ თუ არმაზთან არ არის ქალი, მაშინ გატაცებულია ავაზაკთა მიერ. ასეთ შემთხვევაში იბერიის სტუმრის დაცვა და მოძებნა მართებს.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ფარნავაზი კვლავ არ აცილებდა თვალს სტუმარს. გრძნობდა, რომ მთავარი სათქმელი ჯერ კიდევ არ მოუხსენებია დედათა ქურუმს.

— და, თუ არმაზი ღვთაების რჩეულია, როგორც იბერები ფიქრობენ, მაშინაც აქვს მას უფლება უყვარდეს და საუკეთესოც ამოარჩიოს სასიყვარულოდ. ხოლო ფაირო მალალი წარმომავლობისაა და ანტიოქიის უპირველესი ქალის გაზრდილია, დიდი ქურუმი კი, ანტიოქიის ყოფილი დედოფალი, არავის მოუწონებს ქალიშვილის გამოუცდელობით სარგებლობას და განრისხდება, თუ შესაფერ პატივს არ მიაგებენ მის გაზრდილს. იცის იბერიის მეფემ, რომ იმ უპირველესი ქალის აზრს

დიდად აფასებს ანტიოქიის ახლანდელი მბრძანებელიც! — ნელა ლაპარაკობდა დედათა ქურუმი.

ველავ არ უპასუხა იბერთა მეფემ.

— ისიც იცის იბერიის მეფე ფარნავაზმა, რომ მე მისი ერთგული მეგობარი ვარ და კიდევ დამიმტკიცებია ეს საქმიანთა. ახლაც მზადა ვარ სამსახურად და თუ ფაირეს მამოვინინებს პირობას ვაძლევ ვერავინ გაიგოს ფაირესა და არმაზის ამბავი! — დაუმატა ქალმა და გაჩუმდა.

ფარნავაზი მიხვდა, საითყენაც ბრინდა მშვილდის წვერს სტუმარი. ისიც იწამა, რომ ფაირესა და არმაზის სიყვარულის ამბავი მართალი იყო. გული ეტკინა ძმადნაფიცზე და, ალბათ, ამიტომაც ძლიერ ემწევა გაგონილი. ხოლო ფაირეს გამო მეფე ხანდახან იმასაც ფიქრობდა, გოგონას იბერიაში დავტოვებ, კარგ ვაყვაცზე გავათხოვებ და სიკვდილის წინ დავიბარებ, რომ მის შვილებს მეფის შთამომავლების თანასწორი პატივი მიაგონო.

თითქოს მიუხვდა ფიქრს სტუმარი.

— ვიცი, რომ ცული მოსასმენი ამბავი მოგიტანე, მეფეო. — გააგრძელა ისევ სიტყვა. — ისიც ვიცი, არმაზს ვერ მოუწონებ ფაირეს სიყვარულს. ოღონდ კი ნუ გაამტყუნებ. შენ ყველაზე უკეთ უნდა იცოდე, თუ როგორი თავგანწირული სიყვარული შეეძლება იმ ობოლ გოგოს. ბრძანე, არმაზი მოიხმონ და მან დააბრუნოს ფაირე!

ფარნავაზმა მხოლოდ ახლა გახედა ოთახის კუთხეში მჯდარ მხატვართუნუცესს.

— რაც იბერიის მეფე გავხდი, არც ერთხელ არ მიბრძანებია ჩემი ძმადნაფიცისთვის ჩემთან გამოცხადდი-მეთქი. — მტკიცედ წარმოსთქვა მეფემ. — მუდამ თავად ვესწრაფვოდი მასთან შეხვედრას და ბედნიერი ვიყავი, როცა კი იგი ამის საშუალებას მაძლევდა. არც ახლა დავარღვეე ამ წესს. არმაზი ერთადერთი კაცია, რომლისთვისაც მე მეფე არა ვარ... იგი უფრო დიდია იბერიის მეფეზე... არც მის საქმეში ჩარე-

ვის უფლებას მივცემ საუკეთარ თავს... ასე რომ, თუ ქალი მარტოა, მისი მზანაა, მაშინ დაბრუნდება, როცა ჩემი ძმადნაფიცი ისურვებს. ხოლო არმაზი ისეთს არაფერს ჩაიდენს, რაც იბერიას სხვა სახელმწიფოთა წინაშე შეარცხვენს. იგი თავისი ქვეყნის საუკეთესო შვილია. მსურს ეს იცოდეს ყველამ, ვინც ჩემთან საუბარს იწყებს.

დედათა ქურუმმა იბერიის მეფის სიტყვებში თავისი სტუმრობის უშედეგობა დაინახა და კარისკენ დაიხია, რათა სასწრაფოდ გასცლოდა აქაურობას.

— რაც შეეხება დიდი არმენიის მიწების საკითხს, რომლის გადაჭრაც დავგავალეს სომეხმა დიდებულებმა და მათ შორის აღმატებულმა არშაკმა, უმჯობესად მიმაჩნია თავად ვესაუბრო შენს წარმოგზავნილებს. ხოლო თუ მათ შენი მოციქულობა საუკეთესო საშუალებად მიაჩნიათ, მზად ვარ შენთანაც მოვითათბირო ეგრისის მთავრის პონტოს სამეფოდან მობრუნების მერე, რადგან ქვეყნის სამხრეთ მეზობლებთან ურთიერთობას ქუჩი განაგებს იბერიაში. შენი წინა სტუმრობიდან იმასაც მივხვდი, რომ ასურასტანის დიდი მბრძანებელი და ჩემი მეგობარი ანტიოქოსი, წინააღმდეგი არ არის სომეხთა ძველი ერთიანობის აღდგენისა. იბერიასაც ურჩევნია თავის მეზობლად მოძმე არმენების ძლიერი ქვეყანა ჰყავდეს. — დაუტრა თავი სტუმარს.

დედათა ქურუმი ახლა აღარ ჩქარობდა გასვლას.

— შენისთანა ბრძენაკი მთელი სამყაროს მბრძანებლობის ღირსია, მცირეა შენთვის იბერია! — თქვა მოწიწებით.

— ყოველი კარგი ქართლოსიანისათვის იბერია მთელი სამყაროა, ხოლო ფარნავაზს ვერავინ დააბრალებს ცუდ ერისშვილობას! — გაეპასუხა მეფე და წამოდგა.

— არმაზის გამო შევშფოთდი უცებ. — თქვა ვაჟიკამ ქალის გასვლის მერე და ფარნავაზს მიუახლოვდა.

— ნუ გეშინია. შეყვარებული ქალი მხოლოდ მეტოქისთვისაა საშიში. ხო-

ლო ფაიროს ახლა მეტოქე არცა ჰყავს. — თქვა მეფემ, მაგრამ ეტყობოდა, თვითონაც არ სჯეროდა თავისი ნათქვამის.

— არა მგონია არმაზს მოენდომები-ნოს იმ მშვენიერი გოგოს შეცდენა. ახლა ღრმად მწამს, რომ ყმაწვილკაცობაში ძლიერ ვცდებოდი, როცა მეგონა, ლამზირას თავი შეაყვარა და მერე მის ბედნიერებაზე არ იზრუნა-მეთქი. ვნახე მე, თუ ვინ უყვარდა მინდვრის დედოფალს, და ისიც, რომ ჩვენ სამივემ ლამზირასთან ერთად დავკარგეთ ჩვენი დიდი ბედნიერება...

— და შევინარჩუნეთ 'ერთმანეთი! — დაასრულა ფარნავაზმა.

— ხანდახან იმასაც ვფიქრობ, განაკარგი ვქენით, სამივემ რომ დავთმეთ ლამზირა? — იკითხა ვაჟიკამ.

— არ ვიცი, მე და შენ სწორად მოვიქცით თუ არა, ხოლო არმაზზე იმას ვიტყვი, რომ მას არც დაუთმია მინდვრის დედოფალი. რადგან ჩვენზე ძლიერ უყვარდა, ამიტომაც სიცოცხლე მიუძღვნა და ვერც შესძლო მისი დათმობა. გული მეუბნება, რომ ცუდად დამთავრდება ეს ამბავი, თუ იმ დამკვიწრარი ქალის ლაპარაკი მართალი გამოდგა. ღალატს ვერ აპატიებს არმაზი საკუთარ თავს...

ვაჟიკას წასვლის მერე ფარნავაზი დიდხანს იჯდა თავის სამუშაო ოთახში. მაკედონიის მეფის მიერ გამოგზავნილ წერილს კითხულობდა, მაგრამ ფიქრით შორს იყო, თავის ყმაწვილკაცობის ბედნიერ დღეებთან, მთასთან, ვაჩესთან, ანათასთან, ვაჟიკასთან, ლამზირასთან და არმაზთან...

\* \* \*

— მთიელნო, მინდა იცოდეთ, რომ იბერთა მეფეს, ფარნავაზს, რომელიც მთიელთა დახმარებით ქართლოსიანთა ბარის მბრძანებელი გახდა, განუზრახავს დეთაების წინააღმდეგ წასვლა და იბერიული ანბანის შემოღება, ქართლოსის დეთებრივი სიტყვის უკეთურ ხაზებში მომწყვედვია.

სამი მთის სალოცავმა უკვე გვაუწყა, რომ თუ ფარნავაზის სიტყვებით, სისბლის წვიმას მოგვივლენს მთოვარე. ჩვენი ვალია დავიცვათ დიდი მორიგეს ნება... იმასაც გეტყვით, რომ ფარნავაზს ხევის სალოცავების დაკონინებაც განუზრახავს, ზოგი ამბობს, რომ დედაკაცის პირველობის დაკანონება სურსო, რითაც დიდად შეურაცხყოფს მთოვარეს, თუმცა ვიცი, რომ მზირა მისი ღირსეული მეწყვილეა და ამიტომაც მასაც მივაგებთ საჭირო ღოცვასა და შესაწირს.

თუ ამას არაფრად ჩავთვლით და მორიგეს სიმალლის დაცვას არ მოვიწოდებთ, ღვთაება დავგვიცხის და შეიძლება ბარელებსაც დაუშონოს ჩვენი თავი. ხოლო მერე მართლ ღვთაებათა სამბრძანებლო კი არ იქნება ზევი, არამედ ერისმთავართა და ფარნავაზის მეგობრების საჭიროთოც. ისინი უტბოურ წესებს შემოიტანენ. ჩვენი შვილები ეტლებით დაიწყებენ სეირნობას და გაღაჩრდებიან. ხოლო დედაკაცები მამაკაცებთან ლაზღანდარობას შეეჩვევიან და აღარ გაგვიჩენენ შვილებს, ველარ დაგვიზრდიან ვაჟკაცებს.


ჩემი აზრი ასეთია: — ხელი მოვიკიდოთ იარაღს და ჩავიდეთ ბარში, ჩვენი სათქმელი ვუთხრათ მეფეს. თუ ჩვენს სიბრძნეს ენდო, ხომ კარგი, მაშინ ძველებურად მეგობრობა შევფიცოთ, ხოლო თუ არ დაიჯერა, ბრძოლის მეტი რაღა დავგვრჩენია. — მთელი ზმით გაპყვიროდა თავხევისბერი და მეტი მონდომებისგან გამხდარ ხელებს შლიდა.

მაინც კმაყოფილი დარჩა დღევანდელი დღით. ზემის დასაწყისი არ მოეწონა, ფხოველთა ხევისბერის თავხედობის გამო, მაგრამ რაც მთავარია, სათქმელი თქვა და, მისი ფიქრით, დიდი საქმეც გააკეთა.

ახლა გორაკის ირგვლივ ფხოველთაგან მცირენი იდგნენ, უფრო მთის გადაღმელები პასუხობდნენ:

— ჩავიდეთ, მოვთხოვოთ, თუ საჭიროა ვიომოთ კიდევ!

ვაჟიკა ბოლმას გულში იკლავდა და



სულმოუთქმელად ელოდებოდა ხატობის დამთავრებას, რომელწინადაც ყოფნა ძალაუნებურად მოუწია. მეფემ თავხევებისგან ნახვა დაავალა, ხოლო როცა მათში ავიდა შეიტყო, რომ იგი პირველების დღეობას ესწრებოდა ფხოველი.

პირველების ხატობა ფხოველთა ყველაზე საყვარელი დღესასწაული იყო. იმ დღით ადრინადად ივსებოდა ხალხით სალოცავის ეზო, მის ირგვლივ მდებარე მიწები და მთელი გორაკიც, რომლის თავზეც სახატე იდგა. ფხოველი ვაჟაკი თავდაპირველად მუხლისჩოქებით შემოუვლიდა სალოცავს გარშემო, მერე ხევებისგან ეახლებოდა და შესაწირს მიართმევდა, უმეტესად, ხანჯალსაც და ფულს, ბოლოს კი საზვარაკო პირუტყვს მიიყვანდა შემსხვერპლესთან.

შუადღისას ხევებისგან ხალხს აუწყებდა, რომ ხატის განაჩენის გასაგებად ქადაგთან მიბრძანდებოდა და ფხოველ უხუცესთა თანხლებით დანჯალ გაეშურებოდა მდინარის ქვით ნაგები, დაბალი სამისნოსაკენ, რომელიც იქვე, ეზოს კუთხეში იდგა საზვარაკოსა და სამარცვლე შენობების გვერდით.

ხევებისგან დაბრუნებამდე ფხოველნი ერთმანეთში დინჯალ ბაასობდნენ, წყნარად მიმოდრიოდნენ და ხანდახან გახედავდნენ წყლის გაღმიდან მათგან მომზირალ ადამიანებს, რომლებსაც ხატის განაჩენის გამოცხადების მერე ჰქონდათ უფლება პირველების მლოცველებში გარეუღიყვნენ და თავიანთ მუზობელ ფხოველებთან ელხინათ.

ვაჟიკამ და ტანჩიამ მოკლე გზით კი იარეს აქამდე, მაგრამ მაინც ძლიერ დაიღალნენ. ვაჟიკა იმასაც ნანობდა, რატომ არ დავეუქარე ტანჩიას და რად დავიჩემე, ურმით მგზავრობა არ მინდაო.

როცა სამისნოდან ახალგაზრდა ხევებისგან გამოვიდა და წყალს გაღმა მდგომნი ხიდისკენ დაიძრნენ, რათა განაჩენის გამოცხადებისთანავე მოზეიმე ფხოველებს შეერთებოდნენ, სალოცა-

ვისკენ მიმავალი თავხევებისგან მოახლოვდა თავისი ამალით.

ფხოველთა ხევებისგან ერთი კი გამოხედა მისკენ მიმავალ ხევის ახლანდელ მეთაურს, მაგრამ ხატის განაჩენის კითხვა არ შეუწყვეტია, წესი კი მოითხოვდა თავდაპირველად ხევის მეთაურისთვის ეცა თაყვანი. ამის შემხედვარე ტანჩიას უცებ გადაავიწყდა თავისი დაღლილობა და გამხიარულდა.

— ჰაი, დედასა, — გულზე დაირტყა ხელი, — ძველებურად რომ მიჭრადეს თვალი, დავინახავდი, როგორ მამლის ბიბილოსავით გაუწითლდებოდა გრძელი ცხვირი და სახედარივით აშვერილი ყურები თავხევებისგან. ვენაცვალე, ფხოველ ბიჭურსა, კაცი ვარო მაგან უნდა დაიკვებნოს.

— ძვირად დაუჯენს ამ შეხვედრას თავხევებისგან, — ჩაილაპარაკა ტანჩიას შვილმა და ხიდისკენ გაიწია.

— რაღაც არ მახსოვს ეს კაცი! — დაინტერესდა ვაჟიკა ბიჭურით.

— არ გეხსოვება. დიდი თავხევებისგან დროს იგი ამ სალოცავში ბერად მოიყვანეს მისმა მშობლებმა. ბავშვობიდანვე ავადმყოფი ყოფილა და მრავალჯერ სიკვდილის პირას მდგარა. ერთ ასეთ ხატობაზე იგი დიდ თავხევებისგან წარუდგინეს, უკვე გაჯანსაღებული და დაკაცებული, მასაც პირველების ხატის მსახურად განუწყესებია და აქ გამოუგზავნია. ხოლო ფხოველთა ხევებისგან, ათი წლის მსახურების მერე, ბიჭური თავის შემცვლელად გამოუცხადებია, რადგან ღვთაებას ძილში უბრძანებია მისთვის, ბიჭურს შენი ადგილი დაუთმეო. სწავთაშორის, იგი იყო ერთადერთი რვა ხევებისგან შორის, რომელმაც ახლანდელი თავხევებისგან არჩევას მზარი არ დაუჭირა. ბიჭური არასოდეს ესწრება თავხევებისგან თათბირებს, არც მის სიტყვას მიჰყვება.

— ჩვენ კი ვწუხდით, ხევში ღირსეული სამეთაურო კაცი არა გვყავსო, — გაიღიმა ვაჟიკამ.

ხატობის მერე დიდი შეჯიბრი გაიმართა. მთიელი ვაჟაკები თავიანთ ძა-

ლასა და თვალის სისწრაფეს ცდადნენ. თავდაპირველად, დიდი ლოდების აღმართზე ატანაში გაეჯიბრნენ ერთმანეთს, მერე კი მშვილდოსნობაში.

ბოლოს, მინდორზე პურმარილი გაშალეს და როცა თავბევისბერი საქადაგოდ შედგა, ბევრმა სუფრა მიატოვა და ამ საოცრების სანახავად გამოეშურა. ხევში ართქმული ამბავი იყო თავბევისბერის ასე ამჩაბება და ყოველგვარი გამოცხადების გარეშე თავისი ერის წინაშე წარსდგომა.

თავბევისბერმა გრძელი სიტყვა ჩაათვა და მის ირგვლივ მდგომ შეთხელეებულ ხალხს გადახედა. ქადაგობაში გართულს, არც შეუმჩნევია, როგორ ჩამოეკალნენ მსმენელები.

ვაიკამ ტახჩიას ჩაულაპარაკა: — მთერალი ჩანს ეს უგუნური. ფარნავაზის ერთგულიც რომ იყოს, მთაში საუფროსოდ მინც არ გამოდგება. ჩამოიყვანე გორაკიდან, დრო არ ითმენს, ხომ იცი. უკან უნდა გაგბრუნდეთ ამალმვეო.

ტახჩიამ გორაკი გადაჭრა და თავბევისბერს მიეჭრა. რომელსაც თუმც კი მსმენელთა სიმკირე არ ეკაშნიკა, მაგრამ, ეტყობა, მოწოლილ „სიბრძნეს“ ვერ იოკებდა და ქადაგების გაგრძელებას აპირებდა.

— ბევრს რომ ქადაგებ, ქვეყნის ერთგული და მოყვარული კაცი ვარო. რატომ გაიწყდება, რომ ბარში ჩვენი ძმები, ჩვენივე ძილავის ხალხი ცხოვრობს. ახლა ამაზე არას გეტყვი, რადგან ვხედავ, ირგვლივაც შენი ჭკუის ხალხი შემოგრჩა. იმაზე მიპასუხე: — სად არიან მთის სასიქადულო შვილები ადონი და ვაჩე, როდის ნახე და სად წაიყვანე ისინი. მეფეს სურს, შენგან მათი ამბავი მოისმინოს.

— როგორ მიბედავ სიტყვის წართმევას მე, მთის უპირველეს კაცს და მორიგეს შესაიდუმლეს? როგორც ვატყობ, ფარნავაზის ძველი მეგობრობის იმედით თუთავედები ღვთაების მსახურს და გაიწყდება, რომ თავბევისბერს კვირის კარავთან უდგას ტახტი! — სიბ-

რაზისაგან თვალეები გადმოუტყვიდა.

— შენი ტახტი საერაობის სიღაცას შენმა ქვეშევრდომებმა განსაჯონ, ახლა კი ჭურის გვერდით მდგარა და შენს დიდ „სიბრძნეზე“ უმოქმედნია ღვინის სუნს. რასაც გეკითხები იმაზე გამეც პასუხი.

თავბევისბერი მუდამაც გრძნობდა ტახჩიასაგან სიძულვილს და უფროთხოდა კიდევ, რადგან მისი ახალგაზრდაც კარგად ახსოვდა და მისი ვაჟაკობაც.

— მეფეს შევეთვალე უკვე, საით წავიდა მისი ორი გამზრდელი, ახალს ვერაფერს ვიტყვი.

— ანათა ამბობს, უწყალოდ ტყუის თავბევისბერიო; ზოლო მეფე გიბრძნებს: ან სიმართლე გამაგებინე, ან შენი ფეხით ჩამოდი და ამისენი, თუ სად გაამზავრე ის ორი ღირსეული აღამიანიო. ფარნავაზს რომ შენაირ ხალხთან ზუმრობა არ უყვარს, კარგად უნდა იცოდეს!

ალბათ ღვინომ თუ გაათამამა და თავი საბოლოოდ გამარჯვებულად წარმოადგენინა თავბევისბერს, როცა თქვა:

— არც ადონს და არც ვაჩეს ფარნავაზის მეფობა არ მოსწონთ, არც მისი ანბანისა სწამთ და არც მისი უგუნური კანონებისა. იმიტომაც წავიდნენ ისინი პართიის მეფესთან, რომ ფარნავაზს ჭკუა ასწავლონ... შენ კი გგონია, თავბევისბერი ჰაერში ფანტავს სიტყვებსო. დიახაც, გავიმეორებ, რაც წელან ვთქვი, მთიელებს ჩემს მეტი ვინ გააგებინებს, თუ ვინ არის მათი მტერი და ვინ მოყვარე?! ყველამ უნდა იცოდეს, რომ უახლოესი ხალხიც გადაუდგა მეფეს და სხვა სახელმწიფოთა მეფეებთან წავიდნენ საშველად.

ტახჩიამ ნერწყვი გადაყლაპა და ის იყო ყელში უნდა სწვდომოდა ამ ბერიკაცს, რომ მათენ მომავალი ბიჭური დაინახა.

ბიჭურმა თითქმის ძალით ჩამოაბრძანა თავბევისბერი სადგომიდან.

— მთიელნო! ნუ დაუჭერებთ თავბევისბერის სიტყვებს. სიბერის გამო

სულმთლად დაჰკარგა გონი ჩვენმა წინამძღვარმა. ვილოცოთ, რათა ღვთაებებმა მას დაკარგული ჰკუთა დაუბრუნონ. მე კი იმას გეტყვით, რომ ანბანი და წერა-კითხვა ხალხის სიდიადისა და სიბრძნის მაუწყებელი, ენის სიძველისა და მარადიულობის კავშირია. არ არის უკეთური საქმე ცოდნის მიღება, უკეთურობა მისი უარყოფა!

— სიტყვა ღვთაებრივია და მისი ხაზებში მოქცევა ბოროტი საქმეა. ტანჩია ჩემი მტერია, მაგრამ ახლა მას შეევეითებები, მართალს ვამბობ თუ არა? — მაინც არ თმობდა მთვრალი თავბევისბერი.

— მე მასეთ ამბებში არ ვერევი, ღვთაება თვითონ მოუვლის თავის საქმეებს, თუ არ თვლის საჭიროდ, ვერც მიიღებენ ჭართლოსიანები ანბანს, რადგან ღვთაება უძლეველი და დიადია. შენგან სიმართლეს მოველით, სად არიან ვაჩე და ადონი? პართიაში რომ არ აღმოჩნდნენ, რას ფიქრობ მერე? მეფის სამართალს არც დავუტედი, ისე გაგისწორდები. დაიხსოვე ტანჩიას სიტყვა. მთიელებმა იციან, რომ მას თავისი ნათქვამი არასოდეს გაუტეხია!

— ჩემთან რა გინდა? — აცახცახდა თავბევისბერი, — თავად მათ ჰკითხე, რატომ უღალატეს მეფეს? თუ სიმართლე გინდათ გაიგოთ, გეტყვით, რომ ყოველივე იმის ბრალია, რომ მეფეს უღირსი ხალხი ახვევია ირგვლივ. მისი ძმადნაფიცი არმაზი დემონთა მსახურია, ამაში ბევრი მთიელი თავადაც დარწმუნდა. ალბათ არმაზი უბნევს ფარნავაზს გონებას.

— მთიელნო, საბლებში წადით და სანამ ვინმეს დაუჩერებდეთ, საკუთარ გულსა და გონებას ჰკითხეთ, რამდენად მართებული იქნება ბარს რომ გადავეკიდოთ! — გამოაცხადა ბიჭურმა და სალოცავისკენ წავიდა, სადაც მას ვაყიკა ელოდებოდა.

თავბევისბერი ურმით წაბრძანდა და გზაში გვარიანადაც გამოიძინა, ხოლო, როცა მსახურებმა მატყლის რბილ ლო-

გინში გადაიყვანეს და საწოლში მარტო დასტოვეს, თავზე არმაზი წმინდადგას!! ეს ერთადერთი კაცი ზეცაზემსგავსებდა შეც თავბევისბერი ვერ ტყუოდა.

მესამე დილით ფარნავაზმა ისიც იცოდა, რომ მის წინააღმდეგ აჯანყება მზადდებოდა და ისიც, თუ ვინ მეთაურობდა ამ აჯანყებას.

\* \* \*

ადონსა და ვაჩეს სამჯერ გამოუცვალეს სამყოფელი დამტყვევებლებმა, ხოლო, როცა მეოთხედ ჩამოაცვეს თავზე ტომრები და ცხენებზე შესვეს, ადონმა იფიქრა, ახლა კი წარგვადგენენ თავიანთ უფროსთანო.

ამჯერად მშვენიერ სახლში დააბინავენ და უკეთესი პირობებიც შეუქმნენ.

ადონმა უკვე იცოდა, თუ ვისი ტყვეები იყვნენ ის და მისი მეგობარი. აქ წამოყვანის წინა საღამოს ორი სპარსის ლაპარაკი შემოესმა ქურუმთუხუცესს. მოსული, რომლის ხმა იმ წამსვე იცნო ადონმა, მათ მოდარაჩის ცხოვრების უკუღმართობაზე შესჩიოდა და დახმარებას სთხოვდა: — იქნებ როგორმე მიშუამდგომლო შენს უფროსებთან, მეც გამოსაღდეი კაცი ვარ და გამომცადონო.

დარაჩი, ეტყობა, გულჩველი კაცი იყო და თანამამულეს დახმარება აღუთქვა, ხოლო როცა ცეცხლს შეშა შეუკეთა, მოსულმა ჰკითხა: — ვის ემსახურები ასე გულმოდგინედ, ალბათ შენს უფროსებსო.

გაეცინა დამხვედურს, უფროსები კი არა, დატყვევებულები არიან, მაგრამ დიდი ხალხი ჩანს და ჩემი უფროსებიც ალბათ გვარიან ფულს გამოელიან მაგათ სანაცვლოდო.

— კარგი ვაყაიკი, კარგი ფულიც ღირს! — თქვა მოსულმა.

— ვაყაიკები კი არა, ორი ბებერია, მაგრამ დიდი ხალხია, როგორც ვითხარი, მგონი ერთი იბერიის მეფის მამა უნდა იყოს, ხოლო მეორე ბიძა ალბათ.

— კარგად გცოდნია. იბერიის მეფე ფარნავაზს არც მამა ჰყავს და არც ბიძა. გატყუებენ ალბათ შენი უფროსები.

ასე იციან. როგორც არ უნდა ემსახურო, მაგათ ნდობას ვერ მოიპოვებ!

— ყოველ შემთხვევაში, მეფის ახლობლები არიან. ხოლო ჩემი უფროსები კარგი და კეთილი ხალხია. ფულსაც მაძლევენ და სამსახურის მერე მიწასაც მაჩუქებენ და პირუტყვსაც. მათ შორის ერთი მეფეც ურევია, სწორედ მის სამეფოში შემპირდა სარანი საცხოვრებელს.

— ეს დროული ხალხი მაინც რაში სჭირდება. თუ იცი, შენს უფროსებს?

— ისევე იკითხა მოსულმა.

— რას გაიგებ მაგათსას. მგონი გასასყიდად ან, შეიძლება, მეფესთან მისაგზავნადაც. მიიხრეს, სარანისთვის მთავრობა წაურთმევეია ფარნავაზს, ალბათ თავისი დიდების დაბრუნება სურს ამ ორი კაცით. ხოლო მეორეს რა უნდა, სწორედაც ვერ გამოიგია. თვითონაც მეფეა და უკეთესს რას დაეძებს, არ ვიცი. მე თუ მკითხავ, მაგათ შორის ყველაზე საქმიანი და ვაჟკაცური დალაია. გულუხვიცაა. იმ დღეს ფულიც მაჩუქა და დამპირდა, მეორე მოსვლაზე ცხენს გარგუნებო. მგონი თვითონ სურს ამ ბერიკაცების ხელში ჩაგდება. ეს დალაი იბერიის ყოფილი მეფის აზონის ახლობელი კაცია, ახლა კი იმისთვის იღვწის, რომ აზონის შვილს, კილიკეს დაუბრუნოს მამის ტახტი. ის აზონი ნახევრად სპარსი ყოფილა. მე თუ მკითხავ, არ იქნება ურიგო იმ კილიკეს გამეფება, თუმცა კი გვარიანად დამთავებული და ქუთაგაწყალეული ჩანს. დალაი ისეთი ვაჟკაცია, სამ სახელმწიფოს უწინამძღვრებს, არა თუ ერთ იბერიას! — არ ჩუმდებოდა დამხედური.

— თუ გინახავს იბერიის მეფე ფარნავაზი?

— არა, არ მინახავს. რატომ მეკითხები?

— იმიტომ, რომ მე მინახავს. ტანად დევსა ჰგავს და ქუთით გველს. მისი დამმარცხებელი ახლა დედამიწაზე არ დადის. შენთან სამსახურს არც ვისურვებ, რადგან ერთ მშვენიერ დღეს ფარნავაზი თქვენს ზრახვებს გაიგებს და გა-

მკითხავს არ დაგიტოვებთ კაცხელს. მისი შიშით დიდი ხელმწიფე უნდა უნდა და შენი სარანი, დალაი და სხვები არის მათთან?

— მგონი, იბერიის დედოფლის ძმა — უპასუხა არც თუ უბრალოდ შეშინებულმა დამხედურმა.

— ჰო, ისინიც და თავისი ცოლისძმაც ერთ ლეკმად არ ეუფოა. გვარიანი უტყინოები ყოფილან შენი უფროსები.

— მართალს ამბობ? მართლა ასე ძლიერია ფარნავაზი? — ახლა დამხედური შეეკითხა.

— ლეთაებას ვფიცავ, რომ უფრო მეტი დავაკელო, ვიდრე მოვეუმატე. არც ის გაგიგონია, გამარჯვების თანაზიარს რომ ეძახიან? არც ის, რომ იგი ლეთაებათა რჩეულია?

— რა მეშველება. — აწუწუნდა დამხედური. — ავადმყოფი შვილი მყავს და მის გამო დავუდებო ამით მსახურად. ბევრჯერ მიფიქრია, რომ ჩემი უფროსები ბინძურ საქმეში არიან გარეულები და მთლად კარგი კაცები არ უნდა იყვნენ-მეთქი. მაგრამ როგორც კი ფულს მაჩუქებდნენ, იმ წამსვე მავიწყდებოდა მათი სიმრუდე.

— მეცოდები და გირჩევ, რომ ეცადე მაგ დატყვევებული კაცების გული მოიგო. მოეფერე და ერთგულად ემსახურე. ასე მგონია, ისინი უფრო მეტ სარგებელს გამოვინებენ! — დაარბია მოსულმა.

— მე კიდევ ჩემსავით ბოგანო და უქონელი მეგონა და შენი დახმარება მსურდა.

— სწორედაც რომ ბოგანო და უქონელი ვარ, მაგრამ სინდისიერ კაცად მიცნობენ და ამიტომაც ბინძურ საქმეში არც გავერევი. შენ კი იმასაც გირჩევ, რომ ენას კბილი დააკირო და ჩვენი საუბარი არავისთან წამოგცდეს, თორემ შენი უფროსები მოლაღატედ ჩავთვლიან და თავს წაგაჭრიან.

აი, ეს საუბარი მოისმინა აღონმა.

\* \* \*

ფაირემ მიწურის კარი გამოიხურა, მიმოიხედა და მთის წვერზე მდგარი არმაზისაყენ გაემართა.

— ზოგჯერ მეც ღვთაება მგონიხარ. ახლაც ისე მომეჩვენა, რომ ამ მაღალ ხეებს ზევიდან დაჰყურებდი.

არმაზმა თავი მოაბრუნა. ფაირე შეაკრთო მწუხარებამ, მის თვალებში რომ ჩაწოლილიყო.

— დაგპირდი წავალ-მეთქი და ვერ წავედი. დაებრუნდი და შენგან მოწყალებას ვითხოვ. — თქვა ქალმა და მის ფეხებთან ჩაიკეცა. — მთელი ღამე ისიდას ვევედრებოდი: — შეაყვარე არმაზს უბედური ფაირე-მეთქი, ნუთუ არაფრად ჩამითვალა ლოცვა სიყვარულის ქალმშობრთა?

— წადი, ფაირე. ჩემს სულში დაგუბებული მწუხარება ძლიერ დაგტანჯავს. წადი. შენანები ამ უსაზღვრო სატანჯველისთვის! — სივრცეს გადასცქეროდა არმაზი.

— არსადაც არ წავალ! — წამოდგა ქალი და მკლავზე შეახო ხელი. — ოღონდ შენს გვერდით ვიყო და სატანჯველს არარად ჩავთვლი.

— ცოდვა ხარ, ფაირე! — მოხედა არმაზმა.

— ვილოცებ. დღედაღამ ვილოცებ, შენს ღვთაებებსაც. შევავედრებ საბრალო ჩემს თავს, იქნებ ისინი გულმოწყალენი აღმოჩნდნენ და შეგაყვარონ ის, ვისთვისაც შენზე ძვირფასი თვით სიცოცხლეც კი არ არის ამ ქვეყანაზე.

— წადი ფაირე. არ მსურს ჩემი შეცდომისთვის შენც დაისაყო!

— და, შენ შეცდომას უწოდებ ჩვენს დიდ სიყვარულს?

— სწორედ ეგ იყო შეცდომა, რომ აღარ არის სიყვარული.

— მაშ, გული რად მითრთის სიტყბოებით? რატომ ვერ ვძლებ უშენოდ და რატომ მეჩვენება ეს უღამაზესი ქვეყანა ქვიშის უდაბნოდ, როცა ვფიქრებ, რომ უარყო ჩემმა რჩეულის ღმერთმა და შენს სულშიაც ჩამოიხედავს.

იქნებ შენც გაგეკურნოს! ამ სიტყვებით დაიწყო.

გარკვეული

— არა, არ მსურს განკურნება. ჰგავს ტყვიელმა, რომელსაც დიდი ხანია გულით ვატარებ, შემქმნა, მაცოცხლა და ძალით აღმავსო.

— ვიცი, ვინც გიყვარს ღვთაებრივი და დიადი გრძნობით, იგი შენი მოლატეა, რადგან ახალგაზრდა როცა იყავი, არ შეგეყვარა, ხოლო ჩემთვის კი შენი კალარაც ძვირფასია.

ხელი დაავლო არმაზმა მის გვერდით მდგომ ფაირეს, მალლა აიტაცა და თვალებში ჩახედა. მრისხანება, რომელიც მის სახეზე აღბეჭდილიყო, შიშის სიცივედ გადავიდა ფაირეს სულში.

— არასოდეს არ ახსენო მისი სახელი და ფიქრითაც კი არასოდეს გაეტოლო... გიჯობს, საერთოდაც გადაიფიქრო, რომ მე და ის ვარსებობთ ქვეყნად.

უხმოდ გამობრუნდა ფაირე. უხმოდვე ჩამოიარა ზაფხულის მზით განათებული მინდორი და არმაზის თვალთაგან უჩინარი გახდა.

\* \* \*

რაც აღონისა და ვაჩეს სამყოფელი გაიგო, სიმშვიდე დაჰკარგა მეფემ, არც თვითონ მოისვენა და არც ლენე მოასვენა, სანამ მთავარსარდლის კაცებმა შეთქმულთა შეკრების დღე არ გაიგეს და ის არ აუწყეს, რომ ტყვეები დიდ პატიებაში ჰყავთ შეთქმულებს.

ახლა ამ კარგი ამბის სათქმელად თვითონ მოეშურებოდა ანდასთან არაგვისპირის სასახლეში. გუნებგამოკეთებულს იათასთან შეხვედრაც და მისი ბედნიერი სიცილის გაგონებაც მოენატრა.

დილიდანვე წასასვლელად გაემზადა. ატილას გარდა არავის ხლება არ ისურვავა. მეფის გამორჩევით გახარებული ატილა მზიარულად ღიღინებდა და თვალს არ აცილებდა ფარნავაზის განიერ მხრებს, თეთრონის ამაჟ ქედზე რომ ირწყოდა.

სასახლის გაღვივანთან ცხენი შეანელა ფარნავაზმა, სურდა ატილა შეეშვა კიშ-

კარში და იათასთვის ეცნობებინა მისი მოსვლა. დაარიგა — უთხარი, ანათასთან ლაპარაკის მერე, ბაღში იქნება მეფე და იქ დაგელოდება-თქო.

ანათა ბანზე გამოეგება. მკერდი დაუკოცა, დალოცა, მოიკითხა და თვალეზი მიიპყრო, — ვაჩეს ამბვის გაგება სურდა.

— ისეთ პატივში ჰყოლიათ ჩვენთვის ძვირფასი ადამიანები შეთქმულებს, რომ მათ თავი დაპყრობილებად კი არა, დამსვენებლებად მიაჩნიათო, — გაიცინა ფარნავაზმა.

— როგორ აპირებ მათ დახსნას? შეთქმულებაში, ეჭვი რომ აიღონ, მოაკვდინებენ მოხუცებს.

— ვერ გაიგებენ. ვეცადეთ, არ გაგვეცა თავი. შეთქმულები კვლავ ძველებურად მოქმედებენ და ასე განსაჯე, შეკრებაც კი დათქვეს, რათა საბოლოო განაჩენი გამოიტანონ.

— არ გაუთენდეს მზიანი დღე ფარნავაზის ორგულსა და მტერს! არ ეღიროსო საშობლოს მიწაში მოსვენება, იბერიის ავის მოსურნეს! ღვთაებათაგან დაწყველილი და განწირული ყოფილყოს ყველა, ვინც შენს სააუგო საქმეში გაერევა! კვირია კარგიანს ხუთი ცხვარი შევწირე თუთეს დღეს. უკეთურთა გადაგვარება ვთხოვე. ოღონდაც მოგვეხმარებოდეს ამქვეყნიური ყოფის გამგებელი — მარჯვენა ხელი აღაპყრო ანათამ.

— ოღონდაც! — უპასუხა მეფემ და სასახლეში შევიდა.

ნასაუზმევს, სიცხისგან თავდასაცავად, მეფე ბაღში გავიდა. ანათამ კარგად იცოდა, რა სიცხეც აწუხებდა მის გაზრდილს.

— სასახლიდან ძლიერ შორს ნუ წახვალ, მეფეო, მაინც საშიშია, ხიფათს რასმე არ წაეყარო! — დაადევნა ანათამ, მაგრამ ფარნავაზს მისი სიტყვები აღარ ესმოდა — იგი იათასთან შესაბამედრად მიაქროლებდა თეთროსს.

ატილა შემოეგება: — ტყეში შეგიპატიეა ევკრიის მშვენებაჟო, — უთხრა და მიუთითა, თუ საითკენ წაიდა ქალი.

გული უმღეროდა, სიცოცხლე უხაროდა... მზის ცეცხლოვან დესკოს, ყვავილი გაუსწორა, მაღლივ მისწორა დღევანდელი დღისთვის და ტყისკენ გააქენა თეთრონი. კარგა ხანი იარა, სანამ იათას ხმა არ გაიგონა.

— ვისაც ვუყვარვარ, აქ ამოვა, ამ მაღალ ხეზე და თავად ნახავს, თუ როგორი სადგომი მოუშხადა მისი ნახვის ნატრულმა სატრფომ. — მუხის მაღალ ვარჯზე გადამომაღარიყო ქალი.

— რომ არ ვიცოდე, რომ იათა ხარ, ალი მეგონებოდი, რადგან ადამიანთაგანი შენებრ ლამაზი ძნელად თუ იპოვება ამ ქვეყანაზე. — შესცინა მეფემ. — ხომ არ აქობებს, ჭერ ჩამოხვიდე, მონატრებულს გული გამიხსნა და მერე ერთად მოვინახულოთ შენი ახალი სადგომი? იქნებ, ძველებურად გეშინია ხიდან ჩამოსვლის? — თვალს ვერ აცილებდა რჩეულს.

ღიანაბა მეფემ, სახე შეეცვალა იათას, შიში რომ ჩაუდგა თვალეზი და გაიფიქრა: — მგონი მართლა ეშინია ხიდან ჩამოსვლა, უნდა ვუშველო, თეთრონზე დაედგები და ჩამოვსვამო, — სწრაფად მიეჭრა მუხის ძირს და დაინახა, რომ გადმოფრინდა მისი სატრფო მუხის ტოტიდან, უცნაურად შეკვეთრა და თვალისდახამხამებაში მის წინ დაეარდა.

ფარნავაზი მიეჭრა, ხელი მოჰხვია... გულში გარკობილი ისარი ამოაძრო... იგრძნო, როგორ გაეყინა სისხლი ძარღვებში.

— თავს უშველე, მეფეო, — ძლივს წარმოსთქვა იათამ და თვალი დახუჭა. — ძნელი ყოფილა შენთან განშორება, ფარნავაზო.. — ბოლო სიტყვები ფარნავაზს არც გაუგონია, იგი ახლა იმ კაცს ეძებდა, ვინაც იათას ლამაზი სიცოცხლე გაიმეტა.

— შეჩერდით, უგუნურნო! — არმაზის ხმა გრგვინვასავით გაისმა ტყეში. — დალაი, დააგდე იარაღი და არ გაინძრე, რადგან მაგ გასროლასთან ერთად შეწყდება შენი სიცოცხლეც! და-

ნარჩენებმა დაიჩოქეთ იბერიის დიდი მეფის წინ.

ტყის სიღრმიდან გამოვიდა არესივით ძლიერი და შეუვალი.

— მომიახლოვდით! — ლვთაების ნებას ჰკავება და არა ადამიანის ბრძანებას.

ათი კაცი ამოფოფხდა საფარიდან და არმაზის ირგვლივ დადგა. — კილიკე, მომიახლოვდი! — ისევ გაისმა მისი ხმა და შიშისაგან ოთხად მოკეცილი კილიკე მზის მოვლენილის ფეხებთან დაეცა.

არმაზი მობრუნდა, იათას მკერდიდან ამოღებული სისხლიანი ისარი აიღო და კილიკეს გადასცა.

— არა, — გაასავსავა კილიკემ ხელს, — არ შემოძლია!

არმაზს სიტყვა არ დაუძრავს.

თავჩაგრულ დაღაის მიუახლოვდა კილიკე და მთელი ძალით ჩაასო ისარი ზურგში, მერე თვითონაც გულგახეთქილი დაეცა მიწაზე თავისი უკანასკნელი პატრონის გვერდით.

— მას ჩემთვის გამოზნული ისარი მოხვდა... თავისი სიცოცხლით ჩემი სიცოცხლე დიფარა... ვაი, იათას.. — ცრემლებს არ მალავდა მეფე.

არმაზი ერთხანს გვერდით მიჰყევბოდა ფარნავაზს, ხოლო, როცა მათკენ მორბენალი ანათა დაინახა, პირი იბრუნა.

— არმაზ, არ დამტოვო! — შესთხოვა ფარნავაზმა მამდნაფიცს.

იმ ლამით არაგვისპირის სასახლის დარბაზში თეთრად გაათენეს ლამე იბერიის მეფემ და მზის მოვლენილმა.

მეფეს არაფერი უკითხავს, მაგრამ არმაზი გრძნობდა, რომ მის მიერ ჩადენილი ცოდვა მკვიდრად ჩამდგარიყო მასა და მამდნაფიცს შორის, და პირველად მათი მეგობრობის მანძილზე, მზის მოვლენილმა თვალი ვერ გაუსწორა ფარნავაზს.

\* \* \*

— ოქროს ტახტზე მორკმით მჯდომარე, ქალთა იმედო და ბერავთა კეთილო თვალო, ამაყო და უდრეკელო, კარგო ისიდავ, ისმინე ჩემი, შენი მზრუნ-

ველი თვალი ლურჯად მიმბაყარ და გამოინათე ბნელი გონება, რუჩქელომეხვეოდ მეც მაშინებს თავის ტრბაჰმამქმმქმტ ზომ ტანჯული იყავ სიყვარულისთვის. გახსოვს? ეძებდი შენი სატრფოს გაბნეულ სხეულს და შეაგროვე, რათა ისევ მშვენიერი და სასურველი, კვლავ აღდგენილი გეხილა იგი.

ვიცი თ ჩვენ, როგორ გაიელვა შენმა მახვილმა, როცა ბორბტი სეტოსის გულს დაეც იგი. მითხარი ახლა, თუ დამშვიდდი ამის შემდეგ და თუ გელირსა ძილი ტებილი და წყნარი ისევ, ვით კეთილ ქალღმერთს და ცის დედოფალს შეეფერება.

და თუ ასეა, ძალი მომეც, რათა მეც შენებრ აღვასრულო ქალური ვალი და მოვაგროვო ჩემი სატრფოს გვემული სული, რომელიც ჩემს მტერს, დემონურად ლამაზ ლამზირას, მთელს ქვეყანაზე უმოწყალოდ განუბნევია. შენ დამეხმარე, რომ ეს სული ერთ კონად შეგკრა და ჩემი სატრფოს ძლიერ სხეულში კვლავ ჩაეაბრუნო, როგორც ხატი ჩემი გრძნობის უკვადვებისა...

დაჩაგრულთა დიდო იმედო, კარგო ისიდავ! მოდი მხსნელად ჩემი შევილის ნორჩი სიცოცხლის, რომელიც ახლა ჩემს წამებულ მკერდის ქვეშ ფეთქავს.

იცი შენ, ახლა, რა მორევიც ბრუნავს ჩემს სულში და თუ შენც ფიქრობ, რომ ჩემთვისაც შენგან განვლილი გზაა სწორი და მისიღები, მანიშნე, ცეცხლის გრძელი ენით ამ ცის ტატნობზე...

ფაირე დიდხანს ელოდა ქალღმერთის ნიშანს და როდესაც განთიადისას, შემოდგომის პირველ წვიმას ქვეაქუხილი მოჰყვა, მადლობა შესწირა ისიდას რჩევისათვის.

\* \* \*

შემოდგომის სუსხმა აღრიანად მოსრა მიდამო. ლამზირას ბაღში ყვავილებმა მიწაზე დააფინეს თავიანთი ფურცლები და ახლა შიშით ხვდებიან ქარის ყოველ გამოქროლებას, რომელსაც მათთვის ზამთრის ხანგრძლივი სიკვდილი მოაქვს.

ლამზირა კვლავ მათთანაა მოუშო-

რებლად. თავს ევლება. სიცოცხლის ბოლო დღეების სიმძიმეს უმსუბუქებს. ათბობს თავისი ნაზი ხელისგულებით, ღვთაებებს შესთხოვს სითბოს თავისი მეგობრებისთვის.

ზამთრის სუსხი მის ოქროსფერს თმებზე იბუდებს და ვერცხლის ფერად აქცევს მზისფერ ნათებას... ოღონდ ესაა, მის მშვენებას ვერას აკლებს ეს სახეშეცვლა... იგი კვლავ ბედნიერებისა და სიხარულის მომგვრელი რჩება, კვლავ ცისფრად ანათებენ მისი თვალები და განაცვიფრებენ თავიანთი სილამობითა და უმანკობით, ხოლო ტანი მისი, თუმც კი ლამაზი შეიღების შემოქმედია, მაინც სინორჩით და სიცოცხლით ჰყვავის...

და, ახლაც ისეთივე აღტაცებით შეპყრებს მას წყაროს პირას უჩუმრად მჭდარი არმაზი, როგორც მაშინ, ყმაწვილობის დროს. ახლაც ისე ძვერს გული ღვთაებრივი დიადი გრძნობით, როგორც მაშინ, დიდი ხნის წინათ. ახლაც ერთია და შეუცვლელი ლამზირა მისთვის, მუდამ შორეული და ახლობელი ყოველ სულდგმულზე. იცის არმაზმა, რომ მხოლოდ ლამზირაშია მისი შვება და რომ მხოლოდ იგი გაუგებს მის გატანჯულ სულს და დაიხსნის ცოდვისგან. გაუღიმებს და აპატიებს... ოღონდ ესაა, ვერ წარუდგამს მისკენ ნაბიჯი, რაღაც აკავებს და აჯაკვავს ამ წყაროს თავთან...

დაინახა ლამზირას ბალისკენ წასული სტუმარი. იცნო არმაზმა ის სტუმარი. და ზეწამოიჭრა. ამასობაში კიდევ მიუახლოვდა ფაირე ლამზირას...

ბალის კიდესთან მისულ არმაზს ლენე შემოხვდა, ღიმილით და პატივისცემით.

— გამეხარდა, ჩემი კიშკრის სიბზლოვეს რომ განახე, საბლში შემოდი, თავად განსაჯე მასპინძლად გამოვდგები თუ არა! — მხარზე ხელი გადააყვია და სასახლისკენ წაიყოლა.

ლამზირა მოიკითხა ქმარმა, სურდა არმაზის სტუმრობით გაეხარებინა... მოდგა კიდევ კარზე მინდვრის დედოფალი.

ღიმილი შეაცვივდა ტუჩებზე ლენეს. საკვილის ფერი დაბუნებოდა სახეზე მის მშვენიერ ცოლს.

არმაზმა იგრძნო ტკივილი გულში, გაუსაძლისი ტკივილი. ამოიგმინა მზის მოვლენილმა. ჩაიკეცა ლენეს მკლავზე ხევის მშვენება.

ლენემ არმაზს შეხედა, მისგან ათხოვდა შეველას... არმაზმა სისხლით შეღებილ გულისპირს დახედა...

ლამზირას გაცრეცილი ტუჩები შეიჩხა და სასოებით დამარცვლა მისთვის ძვირფასი სახელი — ფარნავაზ...

ლენე წამით გონს მოეგო. ბაღში გაიქრა და მკირე ხნის მერე ფაირე შემოათრია. სისხლიანი დანა წაართვა.

— ვინა ხარ და რას მერჩოდ! — შეპყვირა გამწარებით და დანა მოუღერა.

— შეჩერდი! — დაიყვირა არმაზმა. — იგი ფარნავაზის ქალიშვილია! გაგულახე, რომ ასეა! — დაუმატა ცოტა ხნის მერე და ლამზირას ცხედართან ჩაიკეცა.

ლენემ დანა გადაუღდო არმაზს და მზრით კედელს მიეყრდნო, რათა არ წაქცეულიყო. — აი, თურმე რატომ ახსენა ფარნავაზი სიკვილის წინ ლამზირამო, — გაიფიქრა.

დანაზე ფარნავაზის ყმაწვილყაცობის საბელი იყო იბერიული ასოებით ამოტვიფრული: — ბერა.

— დედაჩემის სახელითაც მიძიებია შური, გმადლობ, ისედაც! — მიწას გაწერათხა ფაირე.

\*\*\*

ღიმილით დაერთო შემოდგომის გლოვას. ქვეყანაში თითქოს ცხოვრებაც ჩაკვდა. ფარნავაზი კვლავ წინაპართა საცხოვრისში გადასახლდა და სასწრაფო საქვეყნო საქმეების გარდა, არაფერში მონაწილეობდა.

მეფის საპყრობილეში შეთქმულთა თავკაცები ერთად შეპყარეს ისე, რომ იარაღი არ აუხსნიათ. და, როცა ორი კვირის თავზე ფარნავაზს აუწყეს: — დედოფლის ძმა ხანჭლით მოჰკლა საჩანწაო, — მწარედ გაიღიმა, — ასეთ



ჰკვიანურ მკვლელობას, მივესალმებო, — თქვა.

გვიან ღამემდე ერთო სანთლები ფარნავაზის საწოლ ოთახში, ვერ ისვენებდა მეფე. ფაირეს სახე დღენიადაგ თვალწინ ედგა განაჩენივით.

— დედაჩემის გამოგზავნილი ვარ პადესიდან, გაიგე მეფევე, ის სამართალი გავარიგე, რომელსაც დედის სული მთხოვდა საიქიოდან. ნულა აყოვნებ, ბრძანე და უმალ მოგვისწრაფებენ სიცოცხლეს შენი ჯალათები, მეც და ჩემს შვილსაც. იმ სიცოცხლის ნერგს, ჩემს სხეულში არმაზის სიყვარულით რომ აღორძინდა... აღარც კი მინდა მე სიცოცხლე; რადგან დაგვარგე ცხოვრების აზრი. სიცოცხლე არ მითხოვია და ისე მიბოძე, ახლა სიკვდილს გთხოვ, არ იმეტებ, სამართლიანს კი გეძახიან შენი იბერნი.

როგორ უთხრას ამ უბედურ გოგოს თავისმა მამამ, რომ არ ეთობა სიყმაწვილის ტრფობის ნაყოფი და, რომ სწორედ ის, ასე უცხო და შორეული, ყველაზე ძლიერ შეუყვარდა თავის შვილებში, რადგანაც მასში გაცოცხლებულს თავის თავსაც ხედავს? ან რით უშველოს, როცა მისმა პატარა ხელმა, იბერიის მშვენიერება მოაკლო? ეშველება კი მის გატანჯულ სულს, თუნდაც დასტოვოს ის ცოცხალი?

ჰკვიანურად უთხრა დედათა ქურუმმა მაშინ: — სიკვდილი ბედნიერებაა ფაირესათვის ისე. როგორც დედამისისთვის იქცა შვებად. მაინც ნუ მოკლავ მას მეფეო, რადგან ნაყოფი, მისი ნორჩი მკერდის ქვეშ რომ ფეთქავს, იბერიისთვის საპირო კაცად შენ უნდა აღზარდო, თუ გსურს დანაშაულის გამოსკიდვა. ხოლო ფაირე ვერ აიტანს უარმაზობას. როცა იწამებს, რომ სამუდამოდ უარყოფილია, ისევე წყნარად დასტოვებს ამ ქვეყანას, როგორც დედამისმა მოიმოქმედა. მანამდე კი, მე მომანდე იმისი თავი.

„სამეფო კარი და დედოფალიც მოუთმენლად ელიან ფაირეს დასჯას...

ხოლო არმაზი დუმს და არა ჩანს...“ — გაიფიქრა ფარნავაზმა. *ერეკლე*  
„სად ხარ არმაზ! — *მეუბნები*“  
ფის სული ძმადნაფიცს, — ხედავ, რამდენჯერ გადაგვენასკვა ბედისწერის მსახურელმა ხელმა ერთიმეორეს? მოდი და ერთად გავიაროთ განსაწმენდელიც...“



ამოდ უხმობდა იბერიის მეფე ძმადნაფიცს. არმაზი წასასვლელად ემზადებოდა.

ახლა ვაჟიკას სახელოსნოში თავისი ხატების მიხედვით შექმნილ ოქროს ქანდაკს დასჩერებია და ფიქრობს ყველაფერზე, რაც საფიქრალი დარჩა: აღონზე, რომლის მოხუც გულს მისი უნახაობა ბოლოს მოუღებებს; ქუჩიზე და არტავაზზე, — ამ ორ საყვარელ და დუთმობელ ადამიანზე; ფარნავაზზე, რომელიც ამოდ ელის განაწამები სულის მკურნალად; უბედურ ფაირეზე, რომელიც ბოროტების ბრმა იარაღად გამოიყენა ბედისწერამ...

დედის შორეული და სანატრელი ხმა ესმის... მოუხმობს დედა, ძლიერ მონატრებია არმაზი... — შენთან წამოვალ, ოღონდ ლოცვა მასმინე, დედავ... ყური მიუგდო, ისეე გაიგონა სანატრელი ხმა. ნელა გამოსწია ოქროსფერი ქანდაკის ძირი და მთელი ტანით შიგ შევიდა. თქვა: ღვთაებო, თუ მე ღირსი ვარ შენი ხილვის, მიმიღე შენდა, მეჩვენე და შენს სიახლოვეს დამტოვე მარად, აღმამალე შენს ნეტარ ცამდე, მასმინე შენი ღვთაებრივი, მართალი სიტყვა.

შავი წყვლიანი გარსშემოკრტყა მის დაღლილ სხეულს და მოასვენა, ფიქრთ განარიდა. იგრძნო არმაზმა სულის ამოსვლის დიადი წამი და ისიც, რომ მაღალ სამსჯავროს წარუდგინა იგი შუქიამ, თურმე ნუ იტყვიოთ, ელოდებოდა დედა, რათა დახმარებოდა თავის ერთას, გაჰყოლოდა ცათ სიმალემდე... დედამ ერთგულად მიუთითა ბრწყინავ მნათობზე... მთოვარემ ყელზე დაიხვია მისი ცისფერი სული და დატრიალდა თავ-

უკუღმა თავის სავალზე. ემწვავა არ-  
მაზს და მიხვდა, რომ თუ არ დაიხსნა  
იგი არესმა, დააბრუნებს მის სულს ლა-  
მის მნათობი დედამიწაზე. შესთხოვა  
არესს დახმარება. ცეცხლისფერი ხმლით  
გამოეშურა მისკენ არესი და მოუჭნია  
მახვილი მთოვარეს. განერიდა მთოვარე  
მებრძოლს, გაატარა არმაზის სული. იქე-  
დან უკვე კარგად ჩანდა მთიების ტა-  
ნი... სიყვარულით შემოხვდა იგი ცათა  
მოგზაურს, მადლობა უთხრა მოსვლის-  
თვის და ისიც აუწყა, რომ მისი სატ-  
რფო ამირანიც მადლობას უძღვნის.  
მზირამ კაშკაშა სხივები ძირს გადმოფ-  
ინა და გაუთბო სული ღვთაებრივი,  
უქრობი ცეცხლით.

ფრთხილად მიიპყრო თვალი მოგზა-  
ურმა ცხრათვალა მნათობს და ამალ-  
ლება შესთხოვა კრძალვით.

— გაზაფხულამდე ამ ყვავილის გუ-  
ლში დარჩები... შეხედე კარგად, რით  
არა ჰგავს იგი ლამზირას... ხოლო, რო-  
დესაც აღასრულებს შენი ქვეყანა თა-  
ვის აღთქმას დიდი დედისთვის, როცა  
ილოცებს მარადიულ ქალის სახელზე  
და შენც შენს სიტყვას, ღვთაებრივი  
სურნელით სავსეს, მოასმენინებ შენს  
ქვეყანას, მაშინ ხატი შენი ღვთაებრივად  
დარჩება იბერიასში, ხოლო შენს სულს  
გზას გაუეხსნი უმალღესისკენ, რათა  
ღვთაებათა ველზე სამუდამო ნეტარებას  
დაეუფლო. და, უნაზესი თეთრი ყვა-  
ვილის გულში, რომლის ფოთლები,  
ღვთაებრივ ღრუბელთა მსგავსად, კე-  
თილ სურნელს აფრქვევდა ირგვლივ,  
დაევანა არმაზის სული, ხოლო ამ ყვა-  
ვილს უღამაზესს და ლამზირას დარს,  
მზირას ცხრათვალა დარაჯობდა გაზაფ-  
ხულამდე...

\*\*\*

მეორე დღით სახელოსნოში შემო-  
სულმა მარადომ და ვაეიკამ არმაზი რომ  
ვერ იხილეს, ფრიად გაუკვირდათ, რა-  
დგან მთელა თვე აქ გაატარა და მათი  
აზრით, არსად წასვლას არ ამირებდა  
გაზაფხულამდე.

მარადო არმაზის ხატებას მიუახლოვ-

და. დაინახა უცხო სხივი ალღა ვაეიკას  
ნახელავს...

უკუღმა

ვაეიკამ მუხლი მოიჭმინა მტკუნამდინ  
და ცრემლით დასველა მიწა. იგი მიხ-  
ვდა, მარადისობის დიად გზას რომ შეს-  
დგომოდა მისი მეგობარი...

\*\*\*

ტყვეობიდან განთავისუფლებული  
აღონი ლოგინად ჩავარდა. მთელი ზამ-  
თარი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე  
მიმოდიოდა. გაზაფხულის პირველ  
დღეს მოიხვდა, უფლისციხელი ქურუმი  
აღონ მცირე იხმო და ფარნავაზს სთხო-  
ვა, თავის მაგივრად ახლავე აღუზევები-  
ნა.

მეფე დაჰპირდა, რომ სურვილს შე-  
უსრულებდა, მაგრამ მაინც შესწიველ  
ქუჩის:

— სხვა ძალა ექნებოდა აღონის... ქუ-  
რუმთუბუცესობას. იმედიც მქონდა მისი  
და ვიციდი კიდევ, რომ იოლად ვერ  
გადავიდოდნენ მის ნებას ქურუმები.

— აღრე ინება ჩვენი მიტოვება აღო-  
ნმა. ავი უკეთ არისო, ამბობდნენ?

— აქიმი ახლოს არ გაიქარა. სამკუ-  
რნალო არაფერი მჭირსო, დაიჩემა.  
აღონ მცირე ახალგაზრდა და ჩემზე  
უკეთ შესძლებს შენს თანადგომასო.  
მოვიდა დრო, როცა აღონისა და არ-  
მაზის გარეშე უნდა გავუძღვე ქვეყა-  
ნას...

— არმაზის გარეშე? — შეშფოთდა  
ქუჩი.

— ასე მითხრა აღონმა, ხოლო არ-  
მაზი ლამზირას სიკვდილის მერე არცა  
ჩანს... ლენეც ერთიანად შეიცვალა მის  
შემდეგ, ვაჩემ და ანათამაც მთაში და-  
იდეს ბინა... სამეფო თათბირი უნდა  
დავნიშნო ამ თვის დასასრულს. მთვარის  
სავესების ბოლო დღეს ახალი ხანა  
უნდა დაიწყოს ქვეყანაში. აღონ მცი-  
რემ კანონად მისალები წიგნი მომართ-  
ვა. მცირე შესწორებები შევიტანე იმ  
წიგნში, მსურს შენც გაეცნო და შენი  
აზრი მითხრა თათბირის დღემდე. ხევში  
ახალი კაცი უნდა დავნიშნო თავხევას-  
ბრად, ხოლო ძველი დავსაჯო, რადგან.



ასე მგონია, შეთქმულთა თანამზრახველია ისიც.

ქუჯიმ არაფერი თქვა.

— ეგრისსაც ახალი უფროსი ქურუმის ეკვირება, აღონ მცირემ შენი უმცროსი ვაჟი, არტავაზი დამისახელა. მეც მომეწონა ეს აზრი. დროა ჩვენი შვილები გამოვიყვანოთ ქვეყნის სამსახურად.

— ხალხს ამიმხედრებს უფროსი ქურუმის, დიდი ძალა აქვს. ხოლო არტავაზი, ასე მგონია, ვერც შესძლებს მის მაგიერობას, ჭერ ყმაწვილია.

— ქვეყნის მთავარსარდლის პირველ თანამდგომად საურმაგი უნდა განვაწესო, სამეფო კაცი ბრძოლაში უნდა გამოიწვით უპირველესად. — უპასუხა ფარნავაზმა. — ხოლო, როცა არტავაზზე გეუბნებოდი, იმას ვგულისხმობდი, რომ საურმაგს კვიციან და ერთგულ თანამდგომს დავტოვებდი. მახსოვს, აქებდი სოანეთის ახლანდელ აზნაურს — პინას. დროა ბუდეებიდან ამოვაფრინოთმეთქი ჩვენი ბარტყები, არავე იცის კიდევ რამდენ ხანს ვეყოლებით გვერდში.

— ნება შენია! — თავი დახარა ეგრისის მთავარმა.

— რაც შეეხება ენას და აზრს, გამონაკლისი არ დაიშვება. დროა ყველამ იცოდეს, რომ ქართლოსსა ენა, რომელითაც მან ეს მიწა დალოცა, სავალდებულოა იბერიის ყველა მკვიდრისთვის. ქვეყანას ერთი მეფე, ერთი ენა და ერთიანი რწმენა უნდა მიუძღოდეს!

— მართალს ბრძანებ! — დამემოწმა ქუჯი.

— ლვათების რისხვა დავიმსახურეთ ძველად და, ამიტომაც, ძლიერად დავისაჩენით. მრავალ ენაზე ავგალაპარაკა და ერთმანეთს დაგვაცილა, ურთიერთის პირ-ვარამი გავვიუტხოვა და თავისი ძალაც გვიჩვენა ამით უმაღლესმა. ახლა მოწყალე თვალთ გადმოგვხედა დიდმა დედამ. ჩვენგან ურჩობა სიბრძოვეცაა და ქვეყნის ღალატიც. ასე გავიგებ ყოველ სიტყვას, რომელიც ჩემი ნების წინააღმდეგ იჩენება წარმოთქმული.

თვით შვილსაც არ დავინდობ ამ გზაზე.

ქუჯიმ თავი ასწია და თვალი გაუსწორა ფარნავაზს. — დიდმა დარდმა მრისხანე გაგხადა, მეფეო!

— უფლება არა მაქვს, სხვანაირი ვიყო. — მიუგო და საკუთარ ფიქრს გაპყვა ერთხანს. — არა მაქვს უფლება! — დაუმატა მცირე ხნის მერე და თავზე გადაისვა ხელი.

— პონტოს მეფე გთხოვს მცირე არმენიის მიწები უბრძოლველად დაუთმო, სამაგიეროდ, პართიის საქმეში ჩაურევლობას გპირდება. — თქვა ქუჯიმ, როცა მიხვდა, რომ ფარნავაზი მისგან მოელოდა სიტყვას.

— მითრიდატეს კარზე კაცი გაგზავნე, დარბაისელი და ჭკვიანი ადამიანი შეარჩიე, მსურს მისი დიდი ვაზირი ესწრებოდეს სამეფო თათბირს.

— შერჩეული მყავს გასაგზავნი კაცი და საჩუქრებიც მომზადებული.

— ხოლო დიდი ვაზირი ჩემგან მოისმენს სათქმელს... ძლიერ აღზევდა მითრიდატე, უმტეროდ დარჩა. მრავალი ხელიც გამოიბა სამეგობროდ. აქეთ ჩვენ, იქეთ ანტიოქოზი, პართიის კარსაც დაუხსლოვდა, ხოლო რომის გამგებელს ძმობას ეფიცება... ავიწყდება, რომ მიწები, რომელზედაც თვითონ გაძლიერდა, იბერიულია. მათი დათმობა არ ინება, აბლა სურს, არმენებიც დაიმონოს და კავკასიის ხალხების ძმობა მოაკლოს იბერიას. უნდა გაიგოს მითრიდატემ, რომ სომხეთი უძველესი ქვეყანაა და შემთხვევით გაძლიერებულ პონტოს არავე მისცემს მისი გადაშენების უფლებას. არმენიის მიწები იბერიისთვის შემოსაერთებლად კი არ მჭირდება, არამედ მსურს ქართლოსის მოძმე პაოსის შვილებს დავებმარო და საკუთარი თავი ვაპოვნინო. იბერიისთვის სიმშვიდე და აღმშენებლობა რომ არ ყოფილიყო აუცალკებელი, ვერც ასე გადიდგულდებოდა პონტოს ქვეყანა წინა აზიაში. — რისხვით ანთებოდა თვალეზი მეფეს.

— ანტიოქოზთანაც გამოიხაზა საერ-

თო ენა მითრიდატემ, რადგან თემც კი დიდ ვაჟკაცობაზე დებდა თავს სელევიკი, მაინც არ მოსდგამს მამის ძალა და გამჭირაობა. ისე შევატყვევინა აზიის ურთიერთშორის გაყოფა სურათ ასურასტანის მეფეს და პონტოს მბრძანებელს. ერთს რომის ეშინია, ხოლო მეორეს მისივე იმედი აქვს. — თქვა ქუჩიმ.

— ვეკვობ, მორიგდნენ. ორივეს ძლიერ სჭირდება იბერია. თუ გაყოფაზე მიდგება საქმე, მეც ჩემი მოსათხოველი მაქვს და არა მგონია, ანგარიში არ გაუწიონ ჩემს სიტყვას.

— მითრიდატემ მიმანიშნა კიდევ, რომ იბერიის მეფის იმედი აქვს სელევიკისთან მოსარიგებლად.

— და, მაინც უარი თქვა ჩემს თხოვნაზე? ხელს მიშლის, რომ პართიაში სომხები გაევაბტონო და მათი მიწა-წყალი გაეაერთიანო?

— დროზე ადრე არ ღირს მისი განაწყენება. — თავი დაუხარა მეფეს ქუჩიმ. — ისე კი, ხუთიათასი მეომარი და საჭირო იარაღი უჩუმრად გავგზავნე აჩანყებულ მცირე არმიის დასახმარებლად, როგორც მბრძანე.

ფარნავაზს გაელიმა.

— მითხრეს, პართიელ სომხებსაც დაკავშირებთან აჩანყებულნი. ჩვენი თანადგომა არ უნდა გამოჩნდეს ამ საქმეში.

— ნუ ნალვლობ. როგორც ანებე ისე მოვიქცევი. ეს ის ხუთიათასი მონაა, პართიასა და ბაქტრიაში გამარჯვების მერე რომ წამოვასხი ეგრისში. გახსოვს ალბათ, ლენემ არ ინება მათი სამეფო ქარში გაერთიანება.

— ლენე მოინახულე. შენებურად უწყალო იქნებ. ლაშქრის სიკვდილის მერე ჩემთან შეხვედრასაც გაურბის და თუ არ დაეიბარე, ისე არ ჩნდება სასახლეში. მთავარსარდლის მთელი სიმძიმე თავის ათასისთვის დაადო მხრებზე. თუმც კი საყვედური არ შეტყმის კახეთის მთავრის შემკვიდრის მიმართ, მაგრამ ქვეყნის დაცვას მაინც მთავარსარ-

დალი უნდა ხელმძღვანელობდეს/ მეფესთან ერთად.

— მსაჯულთხუცენა! <sup>მეფისთვის</sup> შენს კართან მდგარი! — შეახსენა ქუჩიმ. რადგან ეგონა მეფეს გადააიწყდა მოხუციო.

— ფაირეს დასჯას ითხოვს დედოფალი. ძლიერ განიცდის, რატომღაც, ლაშქრის სიკვდილს. — მწარედ გაელიმა ფარნავაზს, — აღონ მცირემ მთხოვა, შეტყმულების მონაწილენი და ფაირე ანბანის და ენის დაკანონების მერე გავასამართლოთო. მეც დავუჭერე, რადგან ძლიერ მოჭარბდა დანთხუელი სისხლი იბერიის სამეფო კარზე.

— ქვეყნის მოლაღატესა და მტერს რა გასამართლება უნდა, ისინი სიკვდილით უნდა დაისაჯონ... ხოლო ფაირე... — ქუჩიმ თვალი გაუსწორა მეფეს. — იქნებ დაბადებულყოფი ჩვილი. — ძლივს დაამთავრა სატყმელი და თავი დახარა. — იქნებ დაიბადოს არმაზის შვილი და მე მარჯუნო გასაზრდელად. მეც დამნაშავე ვარ იმ ქალიშვილის წინაშე, მახსოვს, ძლიერ გიშლიდი დედამისის ცოლად შერთვას. დაეისაჯე კიდევ, ასე მგონია, და სამუდამოდ დეკარგე არმაზი...

მეფემ არაფერი უპასუხა ეგრისის მთავარს, სასახლის ფანჯრიდან გახედა კერპის სადგომად გამზადებულ ბრინჯაოს კვარცხლებეს და არმაზს მიუხმო ფიქრით.

\*\*\*

მეფესთან საუბრის მერე აღონმა არავის ხილვა არ ისურვა. ქამაც აიკრძალა და ბოლოს დიდი დედის ახლადგებულ სალოცავში ინება ვადაბრძანება.

სალოცავის კართან მიმჯდარი კოხტა ერთგულად დარაჯობდა პატრონის სამყუდროვეს და ბებრულ ცრემლს ყლაპავდა ავი წინათგანობით შეპყრობილი. კიდევ საყვედურობდა გუნებაში ფუძის ღვთაებას, რად არ წამიყვანე, როცა ვკვდებოდი, ამ დღეს რად მომასწარიო.

არა მარტო აღონის სიკოცხლებზე ფი-

ჭრი აწუხებდა კობტას, კარგად იცოდა — კაცი ზეცას ვერ გამოეკრება და ერთხელაც იქნება უნდა მოკვდეს. მაგრამ მას უფრო ის უკლავდა გულს, რომ მისი კეთილი, ქვეყნის მიერ ბრძენკაცად აღიარებული პატრონი ამ ბოლო დროს ჭკუიდან გადასულად რომ მიაჩნდა.

აბა, სხვანაირად როგორ გაეგო მისი უჩვეულო საქციელი: უსმელ-უჭმელობა, აღამიანების მოძულება, საკუთარ თავთან საუბარი და, რაც ყველაზე საკვარველია, ყოველ საათში იმის კითხვა: — გაიხედე, არმაზი და ტიმოზი ხომ არ მოდიანო.

არმაზი კიდევ ჰო, არაფერ იცის სად არის, იქნებ ცოცხალიც იყოს, ხოლო უკვე დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ტიმოზის მოლოდინი რით აეხსნა კობტას, თუ არა ჭკუის გაწყალებით?

ღანანებით აკანტურებდა ქალარა თავს კობტა და იმას ფიქრობდა გუნებაშობამული, რომ არაფერი მუდმივი არ არის ამ ქვეყანაზე, თვით ადონის სიბრძნეც კიო.

ადონმა კი ამ ტაძარში შესვლისთანავე ყველაფერ ამქვეყნიურთან გაწყვიტა კავშირი და ახლა აღარაფერ ახსოვდა კარს იქეთ დარჩენილთაგან. ფარნაეაზის გარდა.

\* \* \*

ნელა შემობრძანდა დიდი დედის საბრძანისში გაზაფხულის ღამე. ნაცნობი სურნელი შემოიტანა და იგრძნო ადონმა, რომ მოაკითხა თავისმა შორეულმა მეგობარმა, მისმა ნაწილმა, მისმა მეგზურმა...

თვალი დახუჭა, დაელოდა, თუ როდის იგრძნობდა მტრედისფრთასავით ფრთხილ შეხებას მხარზე. ამაო გამოდგა ლოდინი. თვალი გაახილა და შეერთა. მის წინ ქალარათმომიანი, ჩაცვნილ ღაწვებზე ნაოჭებადასეული შავი ქალი იდგა.

— ამ უცხო ქალს ნეტა რა უნდა ტაძარში? ან სად არის ალდე? ადონი ხომ მის სიახლოვეს ცხადად გრძნობს? —

ხელი გაიჭნია ულონოდ, ავი ზმანების მოშორება თუ სურდა... შარქუნეშული

— ადონ! ადონ! — ზმანების რეზობელი და ახლობელი ხმა.

— ალდე!

ისევ უღიმოდა ნაოჭებადქცეული შავი ქალი.

— ვინ ხარ?

— მე ვარ ადონ, მე, ალდე!

კვლავ დახუჭა თვალი და იგრძნო მტრედისფრთასავით ფრთხილი შეხება.

— ალდე! ჩემო შორეულო და მიუწვდომელო ალდე!

ისევ ბრინჯაოსფრად ეღვარებდა ალდე. ისევ შრილებდა მისი თმა ნიავის კალთაზე.

— ასეთად დარჩი, ალდე! — სთხოვა ადონმა...

— შენც გეშინია სიმართლესთან შეხვედრას, ადონ?

— ჰო, გეშინია, იმ უცხო და უსახური ქალის გეშინია, ალდე!

— ის ხომ მე ვარ ადონ! შენი ალდე! შენი ბრინჯაოსფერი ალდე!

ტკივილმა გაისრიალა მკერდში.

— ამაღამ სიმართლესთან შეხვედრის ღამეა, ადონ!

კვლავ მოუჭირა ტკივილმა. ცრემლიც დაეცა ხელზე.

— ტირი, ალდე?

— მეცოდები ადონ, რადგან უნდა გითხრა, რომ ამ ღამისთვის მიყვარდი მუდამ. ამ ღამეს ველოდი, მინდოდა დაგენახე და ისეთი შეგყვარებოდი, როგორც ვარ სინამდვილეში.

— როგორი ხარ, ალდე?

— ქალარა, ნაოჭიანი, ისეთი, როგორც შენ...

— შემობრალე, ალდე და წადი!..

— ამაღამ შეერთების ღამეა ადონ! ერთად წავალთ მე და შენ...

— მართო არა ხარ, ალდე?

— შენი მოძღვარიც მოვიდა, ავი უხმობდი იმასაც....

— არმაზიც?

— არმაზი მოვა... განთიადისას...

— რად არ მითხარი, თუ ყოველივე მოჩვენებითი იყო ამ ქვეყანად?

ახლა ტიმოზს შეეკითხა ადონი.

— თავად უნდა მიხედვროლიყავი.

— ცრემლი დაევიდა ლაწვებზე ადონს. მკერდზე მიიღო ალდემ მისი გახურებული თავი და მოეფერა.

— იტირე, ადონ. ცრემლი თვალს დაგინამავს და გულს გაგიგრძობს. უფრო მშვიდად შეხედები სიმართლეს.

წინ მოდგა მოხუცი მოძღვარი. ორი აკვანი ირწყოდა მის ხელში.

— ღამეა ახლა და სძინავს ფარნავაზს. — დაიჩურჩულა ადონმა და მართლაც იგრძნო სიმშვიდე. — ღვთაების ძალაჲ დიდხანს აცოცხლე იბერიის მხსნელი.

— წამოხვეალ მის მაგიერად? — წყნარად შეეკითხა ტიმოზი.

— უკვე მოვდივარ!

— ჯერ მოიცადე. არმაზის ძილიც გაიხსენე. — ფეხთან ჩამოუჭდა მოძღვარი.

— იძინოს მშვიდად. სიმშვიდე სიკეთეა, ხოლო სიკეთე ფარნავაზს უნდა მიაგოს არმაზმა...

— მაშ, ერთი მეორისთვის გაგიწივარავს...

— ასე ვქენი. შეეცდი, მოძღვარო?

— შეეცდი, რადგან ერთ კაცს მეორეს გამო წაართვი ყოველი.

— უკეთესი ხედარი ვარგუნე. უმაღლესთან ასამაღლებლად მოვამზადე...

— მიტომაყ უწოდე ღვთაების სახელი, რომ შენს საქმეს შესწიროვდა?

— მე იგი თავზე მეტად მიყვარდა და, თუ ფარნავაზის ამქვეყნიური განდიდება მსურდა, არმაზის სახელის უკუდავეყოფაც მეწადა. განა შეეცდი, ეს რომ ვინდომე?

— შენ მე გიყვარდი მის ნაწილად, მასთან განუშორებლად და მისთვის. ასე არ არის? — მზის პირველ შუქზე მოაბიჯებდა მზის მოვლენილი.

— მე ყველაფერი მისთვის მიყვარდა, თვით ჩემი თავიც და...

— და?

— სიცოცხლეს... იგი ჩვენი მიზნის აღმსრულებელია.

— ჩვენთან ერთად! — თქვა არმაზმა.

— შენთან ერთად, არმაზ! შენ დიდი სამსახური გაუწიე ფარნავაზს მძღვარბელი ვარ და მამატიც...

— ტიმოზმა გააპატიოს, შენმა მოძღვარმა. მე ჩემსას გეტყვი: — იმ დღესვე დამარჯვე სახელი, როგორც კი მნახე. იმ დღესვე შესთხოვე უმაღლესს ფარნავაზისთვის ძმობა გაეწია შენს ნაპოვნ ბიჭს. პირველი დღეებიდანვე მის ნაკვალევს მიმაჯაჭვე, მისი წუხილის მომრჩენლად მიმიჩნიე, მისთვის ტკივილის აცდენას შესთხოვედი უმაღლესს და ეუბნებოდდი, მე მარგუნე მისი ტკივილი ან მის ძმადნაფიცსო... მამა დამიკარგე, თუმც კი გრძნობდი, მშობლიური ალერსი მენატრებოდა, წამოვიზარდე და სიყვარულის უფლება წამართვი, გადამკარგე... დედასთან მიმიყვანე და მაჩვენე, რომ იგი უბედური იყო... დიდი ტვირთი ამკიდე და უკან მომიხმე, რათა შენი მიზნისთვის შემსახურა... შორეულ ქვეყანაში მიღებული ცოდნით ზოგჯერ ღვთაებად და ზოგჯერ უკეთურ ძალთა მსახურად წარმოადგენინე ჩემი თავი ჩემს ერს და ერთადერთ ახლობელთანაც, ფარნავაზთანაც დამაშორე, რადგან მის აჩრდილად მაქციე, თუმც კი იცოდი, საგანი თვითონ არასოდეს ეძებს თავის ჩრდილს. მერე, როცა ყველამ დაიჭერა, რომ მე ღვთის მოვლენილი ვარ, დაფიქრდი და ევკვიც შეგეპარა, იქნებ მართლაც მოვლენილი არიხსო. შენ ხომ გჯეროდა, რომ მე ჩვეულებრივი კაცი ვიყავი და კაცური ბედნიერება მეწადა? რად გამიმეტე? რად გადაიბირე ფარნავაზი და დააეჭვე ჩემს კაცობაში?

— მამატიე, არმაზ!

— მოძღვარმა გააპატიოს.

— ალდემ შეუწრო ლოყაზე ჩამოგორებული ცრემლი.

— მომისმინე არმაზ, ჩემიც გაიგე და მამატიე, შენ ხომ კეთილი ხარ!

ხელები დაუკოცნა არმაზმა. აკანკალებული თითებით უხერხულად მოეფერა გაზრდილს და შეეკითხა:

— შენც სტირი, არმაზ?

— მეცოდები, აღონ, ძლიერ მეცოდები!

— შენ კეთილი ხარ, არმაზ! მითხარი, რომ ვცდებოდი, როცა ვორჭოფობდი და რომ მხოლოდ კაცი არა ხარ?!

— ახლა მე მიპასუხე, აღონ! — მასწავლებელი მოდგა არმაზის წინ. — რატომ გადაუხვიე შენი სავალი გზიდან, რად ამჯობინე ღვთაების სამსახურს საქვეყნო საქმე?

— შენი და დიდი აღონის ბრძანებას ვასრულებდი.

— სტყუი, აღონ, რადგან კი არ დაუხალოვე, არამედ დააცილე ღვთაების საქმე საქვეყნოს. მეორე დააწინაურე და პირველი მის სამსახურში ჩააყენე, პირველ უნდა გექნა.

— ვიფიქრე, თავისუფალი და ძლიერი ქვეყანა საუკეთესო ადგილი იქნებოდა უმაღლესის სამსახურისთვის.

— და, გეგონა, რომ სწორად იქცეოდით?

— კი არ მეგონა, ასე მიმაჩნდა. განა შეეცდი?

— შეედი. ქვეყანა უმაღლესის ნებით უნდა გეშენებინათ შენ და შენს გაზრდილს. ხოლო შენ ფარნავაზი ყველაზე აღმატებულად წარმოიდგინე, თვით ღვთაებასაც დაუპირისპირე იგი.

— უბრალოა მეფე იბერიისა, ნუ განსჯით!..

— იგი ურწმუნოდ აქცია შენმა შეცდომამ.

— მან აღაშენა დიდი ტაძარი, ბევრი ძველიც აღადგინა და გააძლიერა... სწამს უმაღლესის ძალისა და იცის, რომ ღვთაებრივი წიგნი თავისი მეფობის გვირგვინად უნდა აქციოს.

— თუ თავისი მეფობით ღვთაებრივი წიგნის სილიადისთვის უნდა ემსახურა? მკირადმორწმუნეა მეფე იბერიისა, მეტად კი საკუთარი ძლიერებისა სწამს!

აღონმა თავი ჩაღუნა.

— აღამიანი უმაღლესმა თავის დარად შექმნა. განა ამაზე არ მიგვანიშნებს ებრაელთა სიბრძნე და ბერძენთა აღამიანური ღმერთები?

— აღამიანი თავისი ნების აღმსრუ-

ლებლად მოავლინა უმაღლესმა და არა თავის დარად!

— მე მწამს ფარნავაზის ღვთაებრიობისა. — თვალი გაუსწორა აღონმა მასწავლებელს, — სხვანაირად იგი ვერ შესძლებდა ქვეყნის დახნას და იმ მიზნის აღსრულებას, რასაც ღვთაებრივი წიგნი მიგვანიშნებს. ხოლო ფარნავაზი უპირველესად მაინც კაცია და მით მისაბაძი ერისთვის, რადგან ერი შიშით კი აღაპყრობს თვალს ღვთაებათაყენ, მაგრამ მაინც თავისი მსგავსის სიყვარულით ცხოვრობს.

— აღონ!... აღონ! რით უნდა გიშველოს შენმა აღდემ ამ სიტყვების მერე? — ატირდა აღდე.

— არცა მსურს შველა. მე ისიც მწამს, რომ განდევილი, რომელმაც ჩემი ერის ისტორია შექმნა, ღვთაებრივი კაცი იყო და არა ჩვეულებრივი მოკვდავი. მაგრამ მაინც კაცი იყო, აღამიანი, მით უფრო პატივსაცემია იგი იბერთაგან...

— არმაზიც ჩვეულებრივზე უკეთეს კაცად მიიღე, ასე არ არის?

აღონმა კვლავ ჩაღუნა თავი.

— ასე მივიღე. ჩვეულებრივზე უკეთესად. ღვთის კაცაც ამას ჰქვია, ასე მგონია.

— და, არ იყავი დარწმუნებულნი, რომ იგი მართლაც მოვლენილი იყო? აღონმა თავი გააქნია და თვალი აარიდა არმაზს.

— მაშ, ვით შეჰბედე უმაღლესს, შენთვის კაცად შეცნობილისთვის ღვთაებრივი გეწოდებინა?

— იბერიის და ფარნავაზს ასე სკირდებოდა. — წარმოთქვა აღონმა.

— ჩვენს დიად მიზანს შეეწირე ისიც და... ჩემი სულიც, — ჩაილაპარაკა, და ცრემლი დაუგორდა ლაწვზე. — განმსაჯე მოძღვარო...

ტიმოზმა ხმა არ ამოიღო.

— მაპატიე, არმაზ! თუ იმაზე მეტი მოვიტხოვე შენგან, ვიდრე შეგეძლო! — შესთხოვა აღონმა.

— მოძღვარმა გაპატიოს, აღონ! — კვლავ უპასუხა არმაზმა.

— ჩვენ ორივეს ერთად გავსჯიან სულთა საუფლოში. ამოდ არ გელოდებოდა ჩემი სული. — სთქვა ტიმოზმა.

— შენ უბრალო ხარ, თუ დასასჯელია ვინმე, მე უნდა დავისაჯო. ცუდად მისწავლია შენი სიბრძნე! — შეწუხდა ადონი.

— ორივენი წარვსდგებით, რადგან თავადაც გეთანხმები და რადგან ჩემი სწავლებით თავად წაგიყვანე ამ გზაზე. შენს გამო მეც მომეთხოვება პასუხი. მეც მწამდა ადამიანის ღვთაებრივი ძაღლისა. ხოლო არმაზის გამო, მარტო შენ აგებ პასუხს.

— არმაზი მოვლენილია, იგი ღვთაების ნაწილი და მისი ხატია. — სთქვა ალდემ.

— მძიმეა სასჯელი: ადონს ეკვი ეპარებოდა და მაინც წარმოაჩინა არმაზი ღვთაებად.

— არმაზი მოვლენილია, იგი ღვთაების ნაწილი და მისი ხატია. — სთქვა ალდემ უფრო ხმაძალა.

— წამოდი, ადონ! — მოუხმო ტიმოზმა. — ერთად მივიღოთ სასჯელი.

— წადი, ტიმოზ და გამოგყევი, — უპასუხა ადონმა მძიმედ.

— წადი, ტიმოზ, მე მოვიყვან ადონს შენამდე! — თქვა ალდემ.

— წადი, ადონ! — სთქვა არმაზმა, — დრო დაგვაცილებს ერთმანეთისაგან, მაგრამ მაინც შეგხვდები ბოლოს. ვიცი, გააბტიებს უმალღესი შენს დიდ შეცდომას, ხოლო მე მიპატიებია...

— გმადლობ, არმაზ! შენი ღვთაური სიკეთისთვის, გმადლობ. ოღონდ იმას გეტყვი, რომ დახმარება არ მსურს არც შენგან. თუ სული ჩემი ფარნავაზის და იბერიის გამო უნდა დაისაჯოს, დაე, დაისაჯოს.

— ცოდვა ხარ, ადონ! — ატირდა ალდე.

— ბედნიერი ვარ, რადგან გამარჯვებულს ვტოვებ იბერიას და ჩემს შვილობილს. მსურს კიდევ მის სამყოფელს არ გავცილდე და აქვე ვეწამო იბერიის მადლიანი მიწის წიაღში, ზეცათა ველ-

ზე აუმაღლებელი და შერისხული ღვთაების მიერ.

— მეცოდები, ადონ! — დაიხურულა კვლავ ალდემ.

— ნუ გეცოდები, ალდე. ჩემს სულს თავად არ სურს ამ მიწას და მის ხალხს გასცილდეს. თუ საჭიროა ტანჯვად თავად დავდგები... ვგრძნობდი მუდამ, რომ განგების ნებაც ასეთი იქნებოდა. მოვდივარ, ტიმოზ... — დაადევნა მოძღვარს.

— წადი ადონ. ნეტართა ველზე გაპყევი მასწავლებელს, რადგან გამოცდას გაუძლო შენმა მტკიცე სულმა. არც ჩემში ცდებოდი, კაციც ვიყავ და ისიც, რაც შენ გსურდა ვყოფილიყავი... ტიმოზმაც გითხრა წელან, კარგი მოსწავლე სწორედ ისეთია, როგორც მის მასწავლებელს სურს იხილოსო...

— ადონ! ადონ! — მისძაბოდა ბრინჯაოსფერი ალდე და ძლივს ეწეოდა სატრფოს.

ადონი უკვდავების შესახედრად მიიჩქაროდა.

\*\*\*

კობტამ გაიგონა რაღაც დავარდა ტაძრის სიღრმეში და კარი გამოხსნა. დაინახა, მისი პატრონი დიდი დედის ფეხებთან დაცემულიყო ღვთაებისკენ ხელგაწვდილი. მოეჩვენა კობტას, ღვთაებად ღმობილით და სიყვარულით დაპყურებდა ადონის უსიცოცხლო სახეს. დიდხანს სტიროდა თავის მოამაგე პატრონს, ცრემლით უსველებდა ავადობისგან გაღელულ სხეულს და დღამეზას ელოდა.

შუალამისას შავ სუდარაში გამოხვეული გვამი უჩუმრად გამოიტანა სადგომიდან და ღამის სიბნელეს შეუერთდა.

მეორე დღით ფარნავაზმა ადონის წერილი მიიღო: — „ფარნავაზ! უკეთ გაეზღი და ამიტომაც ჩემი უკანასკნელი საქმის ასასრულებლად განდგომილის ტაძარში მივემგზავრები. წინათაც მითქვამს, რომ ასე მსურდა. ვიცი, ყველაფერი ისე კარგად იქნება, როგორც უმალღესს განუხაზღვრავს შენთვის და

იბერიისთვის. გფარავდეს უმაღლესის თვალი და არმაზი. ილოცე მისზე, იგი ღმერთის მოვლენილი იყო იბერიაში. შენი მეფობისთვის გვირგვინის დასადგმელად. ვიცი, რომ დიდხანს იცოცხლებ და შენს დიად საქმეს დაგვირგვინებულს იხილავ. გამარჯვება არ მოკლებოდეს შენს მოდგმას და ქვეყანას ჩვენსას.

მადლობას ეწირავ უმაღლესს, შენი და არმაზის აღზრდა რომ მარგუნა წილად. ენას, ანბანს, ცოდნას, ერთობას, ქვეყნის თავისუფლებას გაუფრთხილდი! შენზე და იბერიაზე მლოცველი აღონი“.

ერთი კვირის მერე, იბერიის დედა მდინარე ზღვისკენ მიაქანებდა აღონისა და კობტას განსივებულ გვამებს.

\* \* \*

სამეფო თათბირამდე ახალი ქურუმთუხუცესის კურთხევა ინება მეფემ. ამიტომაც სამთავროთა უფროსს ქურუმებს, თავხევისბერს და ზოგიერთ ერისმთავარს რამდენიმე დღით ადრე მოუბმომ სატაბტოში.

ბევრ მათგანს წინასწარ ესაუბრა და, როცა დარწმუნდა, მისი ნების ასრულებას არაფერი შეაფერხებდა, დანიშნა კიდევ კურთხევის დღე.

ყველაფერში გარკვეულობა უყვარდა იბერიის მეფეს. იმას ვერ ეგუებოდა, კაცი ნაფიქრალს რომ აწვალებდა, ცომივით აგუნდავებდა და ბოლოს პურის მაგივრად ხშიადს გამოაცხობდა მოულოდნელად. ამიტომაც არ მოეწონა კლარჯთა ერისმთავართან საუბარი და, თუმცა კი ბოლოს მეფის ნათქვამი ყოველი დაიჭერა მთავარმა, მაინც სანდოდ არ მიიჩნია იგი.

ეგრისის უფროსმა ქურუმმა ავადობა მოიმიზეზა და დანიშნულ დღეს არ გამოცხადდა სასახლეში, ამიტომაც მის მაგიერ უფლისციხიდან არტავაზი მოაყვანინა ფარნავაზმა. გაუხარდა კიდევ გუნებაში უფროსი ქურუმის მოუსვლელობა: — თავად მოგვცა განრისხების საბაბო.

თავხევისბერი ახლოს არ გაიჭრა მეფემ, თუმც კი იცოდა, მისი უხუცესი ყენებდა ამით ხევის მეთაურს, მაინც არ იკადრა ისეთ კაცთან შეთანხმება, რომელსაც თავის მტრად სთვლიდა და რომლის სიტყვასაც არ ენდობოდა. არც კუხთა ქურუმის ნათქვამი დაუჭრა კვუაში, — როგორც უმრავლესობა ინდომებს, მეც ისე მოვიქცევიო, რომ უთხრა.

მცხეთის უფროსმა ქურუმმა, რომელსაც, მეფისა და მთავარსარდლის მერე, თავი სატაბტოს პირველ კაცად მოჰქონდა, ეს შეჰბედა მეფეს: — სწორედაც ვერ მოვუწონებ მცხეთის მთავრის შთამომავალს, ფარნავაზს. უფლისციხელთა ნათესავი გააუფროსოს სატაბტოში. ძლიერაც მომწონს ერთი ძალის ხელქვეით საქურუმთა მოქცევა, მაგრამ ამ ძალას გამოცდილი კაცი. შენი ნათესავი და შენი ერთგული ქვეშევრდომი უნდა წარმართავდეს. თანაც არაფერი გამიგია უფლისციხელი ბერის სიმდიდრის შესახებ. როგორც ამბობენ, მას საკუთარი მამულიც არა ჰქონია და ცხადია, არც მონათა შრომით იქნება განებივრებული, ხოლო ღარიბი, სიმდიდრეზე მეოცნებე ადამიანი მლიქვნელი და მშიშარაა. როგორც ვიცი, ეს ორი თვისება კაცისა თავადაც სძულს იბერიის მსხნელს.

მიხვდა მეფე, რომ თავისი თავი შესთავაზა მისმა შორეულმა ნათესავმა ქურუმთუხუცესად და ეს მიუგო მცირე ფიქრის მერე: — სწორედაც სიღარიბის გამო გადაეწვევით მისი აღზევება. ქურუმთუხუცესი ჩემზე და ჩემს მიერ ბოძებულ გასამრჯელოზე უნდა იყოს დამოკიდებული, რათა დანარჩენ უფროს ქურუმებთან ქონება კი არა, იბერიის პირ-ვარამი გაიყოს და საზრუნავიც სხვა არა აწუხებდეს რა. ხოლო სიმხდალე და მლიქვნელობა ძლიერ შორსა აღონ მცირესგან. ვიცი, ქვეყნისა და ჩემი სიყვარული გალაპარაკებს, ამიტომაც მადლობელი ვარ შენი. გარწმუნებ: დიდი ხანია ვაკვირდებით მე და ბრძენი აღონი მის მოღვაწეობას და

კარგადაც შევისწავლეთ მისი ხასიათი, იბერიისთვის საჭირო და გამოსადეგი კაცია აღონ მცირე.

მეფეს სურდა მცხეთის უფროს ქურუმს წარედგინა აღონ მცირე შეკრებილათვის, მაგრამ მასთან ლაპარაკის მერე, ეს აზრი უკუაგდო და თავად წარვადგენო, გადაწყვიტა.

\* \* \*

დიდი დედის ხატის წინ უხმოდ მიმოდიოდა თორმეტი ქურუმი, აქვე იყვნენ ეგრიისის მთავარი და იბერიის მთავარსარდალი ლენე.

ტაძრის მსახურმა შეკრებილთ იბერიის მეფის მოზრძანება აუწყა.

ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა მეფე სამლოცველოში, საღამო უძღვნა დამხედურებს და დიდი დედის ხატის წინ დადგმულ ერთადერთ სავარძელში ჩაბრძანდა. თვალი გადაავლო ქურუმთა ჩაფიქრებულ სახეებს და ბრძანა: „— დიდი და მნიშვნელოვანია დღევანდელი ჩვენი შეკრების მიზეზი. აციტ ყველამ, რომ საქურუმთა შეუთანხმებლობა აფერხებს იბერიის გაძლიერებას. უფროს ქურუმებს ღვთაებებთან მიახლოების საზრუნავი, მათი მალალი ნების ერისთვის გამოცხადების რთული საქმე გაეკისრიათ და, ალბათ, ამიტომაც ვერ მიადევნებთ ზოლმე თქვენს მალალ აზრს ყოველდღიურ, საჭირობოროტო წვრილმანებს. ამას ისიც ემატება, რომ იმავე მიზეზის გამო ერთმანეთთანაც ვერ ამყარებთ კავშირს. ამიტომაც საქვეყნო საქმიდან მოწყვეტილი რჩება ის უდიდესი ძალა, ქართლისიანთა სარწმუნოება რომ ეწოდება. უმაღლესმა საქურუმთა გაერთიანების საჭიროება ჩამაგონა და იმაზეც მიმანიშნა, თუ ვის უნდა ვატვირთოთ ჩვენი სარწმუნოების წინამძღოლობა. ღვთაებამ აღონ მცირეზე შეაჩერა მზერა.

თუ ვინმეს სურს აღონ მცირეზე თავისი აზრის გამოთქმა, მოუესმენ. იმედია, პირადულა, მცირე გრძნობები არ დაგვძალავს, როცა საქვეყნო საქმეზე ვბჭობთ.

ერთხანს სიჩუმე სუფევდა, დიდი დედის სამლოცველოში, უნდა ვთქვათ, ქურუმებს კლარჯთა უფროს ქურუმს გამოეყო.

— მე ვიტყვი ჩემს აზრს აღონ მცირეზე, თუ მეფე და შეკრებილი წინააღმდეგი არ იქნებიან...

არ იცნობდა ფარნავაზი ამ ქურუმს და შეშფოთდა მცირედ, ხოლო მერე, როცა ქუჩის გაღივებული სახე დაინახა, ნება დაართო, ილაპარაკეო.

— ჩემს თავს უფლებას არ მივცემდი ამ წმინდა საკრებულოს წინ წარმომეტქვა სიტყვა, ფრიად კარგად რომ არ ვიცნობდე აღონ მცირეს, ბრძენი აღონის სკოლაში ერთი წელი მის გვერდით ვსწავლობდი და მერეც, როცა კლარჯთში საჭირობოროტო საკითხები მომქმანებოდა, ხშირად მიმიმართავს მისთვის.

დიადად განსწავლული და ღვთაებრივი ცოდნით დატვირთული რომ არის აღონ მცირე, მამაზე არას ვიტყვი, რადგან თვით მისი მტრებიც ვერ უარყოფენ მის სიბრძნეს, თუ მაინც ჰყავს მტერი, სიკეთით რჩეულს. მე მხოლოდ იმას გეტყვი, რომ იგი თავის ღვთაებრივ ცოდნასთან ერთად, საუკეთესო მამულიშვილიცაა და მიმანიშნა, რომ საქურუმთა წინამძღოლი ამ ღირსებებითაც უნდა იყოს გამორჩეული. გულმოწყალება მეფე იბერიისა და, ალბათ, ამიტომაც არ გვითხრა პირდაპირ, რომ ხშირად საერისთაოთა წაყიდებაში ზოგი ქურუმის ხელიც ურევია. არც ის გვაკადრა, რომ თუ ერთმანეთს ვუკავშირდებით, მხოლოდ იმისთვის, რომ გაძლიერებულ სამეფო კარს საქვეყნო საქმეში შევეშალოთ ხელი, ვცდილობთ ჩვენი მრავალრიცხოვანი და მდიდარი საღვთო მამული კიდევ უფრო გამოვიცალკეოთ და გავამდიდროთ. გვაიწყობება, საერო და საღვთო საქმე განუყოფელი რომ არის, ამიტომაც ისეთი კაც გვინდა წინამძღოლად, რომელიც ჩვენს საგანგებოდ ბოძებულ ტაძრებს შეაკავშირებს და იბერიის ძლიერების სამსახურში ჩააყენებს. სწორედ ასეთი კა-

ყად მიცნია აღონ მცირე. ეგროსის განთავისუფლებასა და იქ ქართლოსიანთა ზნე-ჩვეულებების განმტკიცებაშიც უდიდესია მისი ღვაწლი, ხოლო მისი მასწავლებლობა და გამუდმებული მზრუნველობა ახლახან შექმნილ იბერიულ სკოლებზე, მართლაც განუსაზღვრელია. იგი კეთილია, ამიტომაც გულღვარძლიანობა შორსაა მისგან. არც განდიდებას მიეღტვის და არც სიმდიდრის დაგროვებაზე ფიქრობს. იგი ქვეყნის სამსახურისთვის გაჩენილი კაცია და ალბათ ამიტომაც შეაჩერა უმაღლესმა მისი მოწყალე თვალი აღონ მცირეზე.

ისევ სიჩუმემ დაისადგურა ტაძარში. მეფემ კმაყოფილებით გადახედა კლარჯეთის უფროს ქურუმს და ბრძანა, მსურს მცხეთის უფროს ქურუმს მოვეუსმინო.

დიდხანს ილაპარაკა მცხეთის უფროსმა ქურუმმა, ხოლო, როცა გაჩუმდა, თავხევისბერმა იწეხა სიტყვა.

— აქ ბევრი ითქვა საქურუმოთა ერთიანობის შესახებ. ბარელებმა უკეთ იციან თავიანთი საქმისა. მე მთის ამბავი მაინტერესებს. არც მეფემ და არც ქურუმებმა მთის შესახებ არაფერი თქვეს. ვაი, ყოველ წვრილმანში ჩახედულნი რომ ხართ აქ შეკრებილნი და არც ის გაქნებათ დავიწყებული, რომ ზევი ღვთაებათა საბრძანებლო ადგილია და ერისკაცთა მორჩილებას მიუჩვეველი.

აქედან წასულმა რა ვუთხრა მთიელებს. თავისუფალნი არა ხართ და მორჩილებას შეეჩვიეთ მეთქი?.. ვერ ვიზამ მგას. თავხევისბერს არა აქვს უფლება, ხატის მსახურებთან მოუთათბირებლად გადაწყვიტოს მთიელთა ბედი.

— არც ეგროსის საქურუმო მოითმენს სხვის უფროსობას. — ეგროსის უფროსი ქურუმის ცივი ხმა გაისმა ტაძარში. მეფემ ქუჩის გადახედა. — ავადმყოფი წამომაცენა ფეხზე ეგროსის ფუძის მწყალობელმა ღვთაებამ, იგი ნებას არ მაძლევს. ოდითგანვე დამოუკიდებელი მამული ვინმეს დაუღმორჩილო. სწორია თავხევისბერი. ჩვენ, ღვთაების მსახუ-

რებს, ვინ მოგვცა იმის უფლება, საღვთო მამულის ბედი ჩვენს ვაგოთ? იბერიის დიდი მეფესა: სიტყვას ვერ მოვეუსწარი, ამიტომ ვიმედოვნებ, არც მეფეს მოეწონება ჩვენი აჩქარება.

— ცუდად ნუ გავიგებთ უმაღლესის ნებას, ღვთაებათა მსახურნი! დიდმა დედამ ერთობა რომ გვიბრძანა, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ვინმემ დამონებულად იგრძნოს თავი, ან რომელიმე სალოცავის დაკნინება გვესურდეს. — წინ მოდგა აღონ მცირე.

— სწორედაც ასე ფიქრობ შენც და იბერიის მეფეც. — ვერ მოითმინა თავხევისბერმა. — კარგად ვიცი, რომ თავად ბრძენთაბრძენ აღონს არ მოსწონდა მეფის ეს გადაწყვეტილება. მეფეს ხევის დამორჩილება სურს და სწორედ ამიტომ მოიგონა საქურუმოს ერთმართველობა. თქვენი თათბირის არაფერი მჭერა. ზევი თვითონ გადაწყვეტს თავის ბედს.

— ხოლო თავხევისბერის ბედი, როგორც ვხედავ, ჩვენი გადასაწყვეტია. — ბრძანა ფარნავაზმა და თვალი გააყოლა სალოცავიდან თითქმის სირბილით გასულ ხევის მეთაურს.

— არც მე, ეგროსის უფროს ქურუმს, მეკადრება ღვთაებათა საწინააღმდეგო საქმეში გარევა! — ცივად წაისისინა ეგროსის უფროსმა ქურუმმა და თავხევისბერს გაჰყვა.

— როცა იბერიის მეფე უმაღლესის ნებას ასრულებს, იგი დაუნდობელი იქნება ყოველი მისი მოწინააღმდეგის მიმართ. ხოლო ახლანდელი ჩვენი შეკრების ჩამშლელს მტრად მივიღებ და ისე გავუსწორებ, როგორც მჩვევია მტერთან ბრძოლა. რაც უგუნურმა თავხევისბერმა თქვა ბრძენი აღონის მისამართით, მისი მონაჩამზია. შემოიყვანეთ ფხოველთა ხევისბერი! დაე, მან გაუწყოთ მთიელთა აზრი თავიანთ მეთაურზე.

ბიჭურმა მცირე ხანს ილაპარაკა, მაგრამ მისი სიტყვის მერე ვერაფერს გაბედა თავხევისბერის გამართლება და, საერთოდაც, სიტყვის დაძვრა იმის ში-

შით, რაიმე არ შეგეშალოს და მეფეს არ ეწყინოსო.

ფარნავაზმა თვითონ დაჰკიდა ქურუმთუბუცესის ნიშანი მკერდზე ადონ მკირეს და ბრძანა: ყოველ თქვენგანს ორი ღლის მერე სამეფო თათბირზე გიწვევთ, რათა ანბანისა და ქართლოსიანთა ენის დაჯანონება ვაუწყო ქვეყანასო.

ქურუმთაგან ძლიერ ცოტას თუ მოეწონა დღევანდელი შეკრება, მაგრამ იბერიის მეფის წინაშე არ შეიმჩნიეს და ახლა იმაშიც კი გაეკიბრნენ ერთიმეორეს, ვინ უფრო ადრე ემთხვეოდა ახალი ქურუმთუბუცესის კაბის კალთას.

\* \* \*

დიდი სამეფო დარბაზი ხალხით იყო გადაჭედული. ერისმთავრებთან, ქურუმებთან, აზნაურებთან, სასახლის კარის მსახურებთან და მეფის ჯარის მეთაურებთან ერთად, უცხოელი სტუმრების დასწრებაც ინება მეფემ ამ თათბირზე. სურდა ფარნავაზს მეზობელი სახელმწიფოების წარმომადგენელთათვის იბერიელთა უძველესობა, სიბრძნის სიღრმე და დღევანდელი სიძლიერე ეჩვენებინა. ამიტომ ფრთად საზეიმო ელფერი მისცა ამ თათბირს, საგულდაგულოდ მოართვევინა დარბაზი, ფინიკიური, ბერძნული და არაბული ანბანით წარწერილი ეტრატები ჩამოჰკიდა, საგანგებოდ დადგმულ თაროზე უძველესი კოლხური ოქროთწერილი ტყავები გამოფინა, განდგვილის შედგენილი რუკებით დაამშვენა კედლები. კუთხეებში დადგმული მაღალი სასანთლებების ახლოს ქართლოსიანთა ზელოვნების საუკეთესო ნიმუშები დააწყო, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი მიუჩინა ბერბეროს უკვდავ ქმნილებას.

დარბაზს უხვად ამშვენებდა ოქრო და ვერცხლი, ბრინჯაო და ძვირფასი ხის ნაკეთობები.

ერისმთავართათვის განკუთვნილი ბრინჯაოსფეხებიანი მაღალი სავარძლები სამეფო ტახტის მარჯვნივ იყო ჩამწკრივებული. შედარებით ახლოს ტახტ-

თან და სხვებისგან განცალკევებით ეგზარქოსის დიდი მთავრისა და იბერიის მთავრის სარდლის სავარძლები იდგა.

სამეფო საჯდომის მარცხნივ შავი ხის სწორზურგის სკამები, ხოლო დარბაზის სიღრმეში სამხრეთის კედლამდე ჩამწკრივებული მომკრო სავარძლები უფროს ქურუმთათვის, ჯარის მეთაურებისთვის, აზნაურებისა და სამეფო ჯარის მომსახურეთათვის იყო განკუთვნილი.

დარბაზის მნემ აღმოსავლეთის კედელთან მდგარი სპილოს ძვლით მოკედლულ, მწვანე ფერის აბრეშუმგადაკრულ სავარძლებისკენ მოიყვანა უცხოელი სტუმრები და შეკრებით ადგილების დაკავება სთხოვა.

კართან მოდგა ეზოთმოძღვარი და ეგზარქოსის მთავრისა და იბერიის მთავრის სარდლის მობრძანება აუწყა თათბირის მონაწილეებს.

მძიმედ შემოვიდნენ სპილენძის აბჯარში ჩამჯდარი ლენე და მხრებზე თეთრ, მოკლე მოსასხამმოგდებული ქუჩი, თავდაკვრით მიესალმნენ დამხედურებს.

— მეფე იბერიისა, სრულიად ქართლოსიანთა მბრძანებელი, მპყრობელი დურძტვთა, გამგებელი და მფარველი კავკასიანთა, შეილობილი დიდი ანტიოქოზისა, რჩეული უმადლესი ღვთაებისა, ძე ქართლოსისა, ღვთაებრივი ფარნავაზი!

— იბერიის სამეფოს საქურუმთა მეუფე, ღვთაების უპირველესი მსახური, იბერიის ქურუმთუბუცესი ადონ მკირე! — გამოაცხადა ეზოთმოძღვარმა და დარბაზს უმადლესი ღვთაების სალოცავის ტკბილი ჰანგი დაეფინა. გალობდნენ ღვთაებათა მსახურები, მეფისა და ქურუმთუბუცესის შესახედრად მუნღმოყრილი.

ფართოდ გაღებულ კარებში გამოჩნდა გამარჯვების თანაზიარი ფარნავაზი, აღისფერი გრძელი მოსასხამი მარჯვენა მხარზე ჰქონდა შეკრული, ჭაღარა თავზე ოქროსავე გვირგვინი უბრაწყინავდა და ხელს ოქროს ყდაში ჩასმული ღვთა-

ებრივი წიგნი ეპყრა. მოდიოდა ზვიადი, თავაწეული, დინჯი და ბრძენი. არწივის თვალს ავლებდა დარბაზს და ილიმებოდა აღმატებულის თვითდაჯერებული. მრავლისმთქმელი ღიმილით.

მეფის მარცხნივ, ოდნავ ჩამორჩენით, მოაბიჯებდა შავ გრძელ მოსასხამში გახვეული ადონ მცირე.

ფარნავაზი სამეფო ტახტის წინ დადგა და ოდნავ დაბარა თავი, სალაში უძღვნა დარბაზს.

— იბერიის მეფე ფარნავაზს, მის სიმტკიცეს და უდრეველობას, იბერიის მწყალობელ ღვთაებათა ნებას კვლავაც დარაჯად ეყოლება მისთვის თავგანწირვას ჩვეული. ბრძოლებში ნაწრთობი და დაუმარცხებელი ლაშქარი სამეფოსი. გვიმსახურე და მოწყალე თვალს ნუ მოგვაკლებ, მეფეო! — მუხლი მოუყარა ფარნავაზს მთავარსარდალმა და წამოდგომის მერე ქურუმთუხუცესს დაუდგა გვერდით.

— ვგრისის უძველესი სამთავროსა და სოანეთის მებრძოლა ერი, ღვთაებათა მსახურები, ბედნიერნი არიან მათზე შენგან ბოძებული სიკეთის გამო. ისინი კვლავაც ერთგულად მოემსახურებიან თავიანთ დიდ მეფეს, ფარნავაზს! — კაბის კალთაზე ემთხვია ქუჩი.

— უმაღლესი ღვთაების მოწყალე თვალი ფარავდეს იბერიის მხსნელს, ბრძენ და ამაღლებულ ფარნავაზს. მრავალრიცხოვან საქურუმთათა შლოცველი ერი შენს ერთგულ შვილად სთვლის თავს და მოწყალეობას მოელის ღვთაებათა რჩეულისგან! — მარჯვენა ხელი აღაპყრო ზეცისკენ ადონ მცირემ.

ლენემ ქურუმთუხუცესის ფარნავაზის ტახტთან ყველაზე ახლოს მდგარ დაბალ ოჭროს სკამამდე მიაცილა და თავის სავარძელში ჩაეშვა, ქუჩის გვერდით.

სათითაოდ მიეახლნენ და თავვანი სცეს იბერიის მეფეს კახეთის, ხუნანის, კუხეთის, სამშვილდის, წუნდის, კლარჯეთის ერისმთავრებმა. მათ მიჰყვნენ აზნაურები, ქარის მეთაურები და სასახლის მსახურები...

დარბაზის საზეიმო სიჩქმე ფარნავაზის ხმამ გაჰკვეთა.

— იბერო, ვერაფერ მტკიცეს ჩანავაზი თავისი ხალხის გვერდით არ იყო ჳირსა და ლბინში. სიცოცხლეს ჩემსას არად ჩავთვლიდი იბერიის ძლიერებისთვის რომ არ გამეხარჯა მისი ყოველი წამი. ხოლო ჳვეყნის ძლიერებას დედის სიყვარული კვებავს. ვისაც დედა არ უყვარს, იგი ვერც მოყვარის დფასებას შეძლებს. ვერც თავისი მიწის თაყვანისმცემელი იქნება და ვერც მშობელი ხალხის უნის სიმდიდრეს ჩასწვდება.

სამი უწმინდესი საფიცარი ამაღლებს აღამიანს: — დედა, დედა-სამშობლო და დედა-ენა.

სამშობლო დედისავით ერთადერთია, ხოლო ენაში ამაღრებულაია ეს სიყვარული. ენა ხალხის სინდისის, სიბრძნის და მშვენიერების გვირგვინია.

აზონმა თუმც კი სისხლის გუბეებით აავსო იბერია, მაინც ვერ შესძლო ჩვენი დამორჩილება, ვერ ამოძირკვა ჩვენი სულიდან დედა-ენის ძლიერი ფესვი, რადგან ჳართლოსის ენა ყოველი ახალშობალის აკვანთან ხელმეორედ იბადებოდა.

უცებ შეწყვიტა სიტყვა, ეზოთმოძღვარს რალაც ანიშნა.

წუთის შემდეგ ჳართიის მეფის ნავაზირალი შემოიყვანეს ხელდაბორკილი.

ისევ მოავლო დარბაზს თვალი.

— ყოველმა იბერმა იცის, რომ სულ რამდენიმე კვირის წინ შევიპყარი იბერიის სამეფოს მტრები. მოჯანყები, რომლებიც თავიანთი სამშობლოდან მოშორებით, ჩვენს მიწა-წყალზე შეიკრიბნენ და ჩემი სიკვდილი ვანიზრახეს. კითხოთ ამ უცხო კაცს რა ამოძრავებდა, როცა სამარცხვინო შეთქმულებაში ებმებოდა, რა სურდა ჩვენგან, რას მიელტვოდა ჩემი სიკვდილით.

დარბაზი აფუგუნდა.

— განძი გვიწოდოდა, მთელმა ჳვეყანამ იცის, რომ ფარნავაზმა დიდი განძი იპოვა ტყეში. აურაცხელი ოჭრო და

ძვირფასი თვლები. ვიფიქრეთ, მისი ნაწილი ისევ სამეფო ხაზინაში იქნებოდა. რადგან მთლიანად მის დახარჯვას თვით გულუხვი და ხელგაშლილი ფარნავაზიც კი ვერ შესძლებდა. — ბერძნულად დაიღუღლულა შეპყრობილმა.

— იბერო, ალბათ თქვენც გსმენიათ იმ განძის შესახებ მე რომ ვიპოვე.

— გვსმენია, მეფეო, მაგრამ გვჭერა, რომ ყოველივე იბერიის აღორძინებას მოახმარე! — სიჩუმეში გაისმა პასუხი.

— ეს უცხო კაცი და მისი მეგობრები მხოლოდ იმ განძის მოსაპოვებლად როდი შეერთდნენ. კიდევ რას მოელოდით ჩემი სიკვდილით?

— ხელში ჩაეიგდებდით მეფობის წესის წიგნს, ღვთაებრივ დარიგებებს, რომლის წყალობით უძლეველი გახდი. იმ წიგნის მოპოვება დიდი ამბავი იყო. პირადად მე მისი მოტაცება და პართიის მეფისთვის გადაცემა შევალეზობდა.

— საერთო საქმესთან ერთად ყოველ ჩვენს მტერს საკუთარი მიზანიც ამოძრავებდა... თითქოს უმნიშვნელო იყო ეს კაცი აჯანყებულთა შორის, დიდი საქმე კი ჰქონია დაკისრებული!

— ბევრს სიმდიდრე და შენი სიკვდილის მერე იბერიის მდიდარი მამულების ხელში ჩაგდება სურდა. შენი ცოლისძმა მეფობას და შენს ტახტს მიეღობოდა. ხოლო მე და სომეხ მთავარს ვაგანს გვსურდა სიბრძნის წიგნი ჩაგვეგდო ხელში! — ისევ ამოიდგა ხმა დატყვევებულმა.

— იბერო, თქვენ თუ გსმენიათ იმ წიგნის შესახებ?

— გვსმენია, მეფეო, მაგრამ არ ვჭყერა. რადგან ფარნავაზს იბერიის წინამძღოლობა თვით უზენაესმა დაავალა. ხოლო ღვთაებათა რჩეულს წიგნი არ სჭირდება...

ისევ გახედა ეზოთმომღვარს მეფემ. ანიშნა დატყვევებული გაიყვანეო. — ამ უცხო კაცმა სიმართლე გათხრათ. — გააგრძელა ფარნავაზმა მცირე ხნის მერე, — მე მართლაც ვიპოვე უძვირფასესი და ერთადერთი განძი. ისიც მართალია, რომ იგი მკარნახობდა ყოველ

ნაბიჯს ჩემი მეფობის ვახზე. იგივე მასწავლიდა და ახლაც მასწავლის. მისი სულის სიღიადეს, მის სიმაღლეს მიმანიშნებს და მას მართლაც სიბრძნის წიგნი ეწოდება. ოღონდ ერთს ვერ მიხვდნენ გადამთიელი — ის წიგნი მხოლოდ იბერიისთვის გამოსადეგ სიმდიდრეს ფლობს და სხვათა ხელში მოუხმარელია.


მე ვთქვი ქართლოსის ენის ღვთაებრიობაზე და მისთვის უბირველესი და ერთადერთი ადგილის დამკვიდრებაზე იბერთა ცხოვრებაში. ამით თვითელი თქვენგანის ნებაც გამოვხატე. ახლა იმას დავუმატებ, რომ ყოველი ენა, თუგინდ ისეთი ღვთაებრივიც კი, როგორც ჩვენი დედა-ენაა, მკვდარია საკუთარი დამწერლობის გარეშე.

ისიც იციან ქართლოსიანებმა, რომ ჩვენს ენას უძველეს დროში საკუთარი ნიშნები ჰქონდა. მაგრამ ძნელებლობამ ის ნიშნები გადაგვავიწყა... ხოლო ენა ჩვენი გამდიდრდა და ხალხი ჩვენი სიბრძნით აღივსო. იგი ელოდა ღვთაებათა მადლცხებულ ქართლოსიანს, კაცს აღმატებულს, რომელიც ხალხის ცოდნას, ნიჭსა და სულეერ სიმდიდრეს ერთ შუქურად აღანთებდა. და ასეთი კაციც გაუჩნდათ ქართლოსიანებს. მას ბრძენი აღონი დიდ კოლხს ეძახდა. იმ კოლხმა კაცმა იცოდა, რომ ქართლოსის ყველა შვილი წინათ თურმე ერთ ენაზე ლაპარაკობდა და შეუქმნა მათ ერთი ანბანი. ამით ჩვენ, მის შთამომავლებს ქართლოსიანთა განუყოფლობა და ერთიანობა ჩაგვაგონა.

წიგნი, რომელშიც ქართლოსიანთა ანბანი იყო გამოხატული აზონის შემოქრამდე იბერიის მთავარის ტაძარში ინახებოდა. შემდეგ დაიკარგა. განგებამ მე მარჯუნა წილად მისი პოვნა.

მე ვთქვი, იმ გადამთიელის პასუხად, რომ ჩემგან პოვნილი განძი მხოლოდ იბერთა მოსახმარია-მეთქი. ახლა ყოველი თქვენგანი დამეთანხმება ამაში.

დადგა დრო, რომ ის განძი თავის ნამდვილ პატრონს, ქართლოსის მიწის მკვიდრ ქართლოსიანებს დავუბრუნო;



ზოლო, როცა მისში დაფარულ ცოდნას დავეუფლებით, მანათობელ ღვთაებათა საიდუმლოს ჩავეწვდებით და იმასაც ვნახავთ, რომ ამ ანბანით ჩვენი ენის განსაკვიფრებელი ტკბილზმიანობა უხინჯოდ გაცოცხლდება, ვიწამებთ, რომ მართლაც უმდიდრესნი ვართ დედამიწაზე.

მადლობა უზენაესს და დიდ დედას, რომლებმაც წილად მარჯუნეს პატივა ქართლოსიანთათვის ახალი ცხოვრების დასაწყისი შემცნო, წელთა ათვლის ახალი ხანა შემომგელო და დამწერლობის გავრცელებისთვის დამედო სათავე.

მწამს, რომ მეფობა ჩემი სწორედ ამ დიადი მიზნის აღსასრულებლად იყო გამაზნული ღვთაებათა მიერ.

ანბანის წიგნი მზის ღვთაებასთანაცააა წილნაყარი, მისი ბრწყინვალეების გამომხატველაა, ამიტომაც მოჰყვა მის კვალს მზის მოვლენილი, არმაზ ღვთაება — ამიერიდან ჩვენი პატრონი და შუამდგომელი ღვთაებებთან და უზენაესთან.

მე ვთქვი, რომ ჩემი სიცოცხლის და მეფობის მიზნად სწორედ ქართლოსის ანბანის დამკვიდრება და მისი ენის სიწმინდის დაცვა დამისახა უზენაესმა, დიდაც ეს მიზანი და მისთვის საკედლიც არად მიიღოს.

გაჩუმდა, დარბაზში ჩამოწოლილ სიჩუმეში ვაიგონა ხმა მონატრებული და ახლობელი:

— ქართლოსის ენა და ანბანი დალოცვილა უზენაესის მიერ. მისი ამქვეყნიური დამკვიდრება ფარნავაზს ერგო წილად. ანბანი უზენაესთან მიახლოების გზაა, ფარნავაზი და აღონის მოწაფეები ამ გზას დაადგნენ უკვე... მიჰყევით იბერნო თქვენს მეფეს, ღვთაებათა რჩეულ ფარნავაზს!...

კართან მომდგარიყო მზის მოვლენილი, ხელთ სიბრძნის წიგნი ეპყრა... ღვთაებრივი შუქი იღვრებოდა ამ წიგნიდან და ანათებდა ირგვლივ ყოველივეს.

დაეცნენ იბერნი მზის მოვლენილის წინაშე, მადლობა უძღვნეს მობრძანებისთვის და შეპფიცეს: სიცოცხლეზე

მეტად ჰყვარებოდით სამშობლო, დედა-ენა და ფარნავაზი!

სამშობლო, დედა-ენა და ფარნავაზი!

\* \* \*

სამეფო თათბირის ღამეს არმაზის კერპი უნდა აღეშარათა მხატვართუხუცესს სასახლის მთაზე. დაღამებისთანავე მობრძანდა ფარნავაზი ვაჟიკასთან, მთავარსარდლის თანხლებით. სურდა თავად დასწრებოდა კვარცხლბეკზე ქანდაკის შეშენებას.

ვაჟიკასა და ტანჩიას შვილებს უკვე შეეფუთათ ქანდაკი და ურმებზე დაესვენიბინათ გადასატანად. ლენემ ჩირაღდნები ჩააწყო ცხენზე გადაკიდებულ აბჯაში და შუალამისას დაიძრნენ კიდევ.

კვარცხლბეკის გვერდით დადგმულ სახელდახელო ამზიდზე მსხვილი თოკები გადმოჰკიდეს, ქანდაკი აიტანეს და ფრთხილად დაუშვეს ფუძეზე. მეფენ არ ინება საბურველის მოხსნა ქანდაკისათვის და, როცა განთიადისას სამუშაო გასრულეს, თავისთან წაიყვანა მხატვართუხუცესი, ლენე და ტანჩიას შვილებიც.

დანარჩენები დასაძინებლად გაისტუმრა, მხოლოდ ვაჟიკა შეიყვანა თავის სამუშაო ოთახში. იცოდა, ამ ღამით ძილი რომ არ ეწვეოდა მხატვართუხუცესსაც და ამიტომ თათბირამდე დარჩენილი დროის მის სიახლოვეს ვატარება ინება.

ორი სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისთვის ფარნავაზს და ვაჟიკას, მაგრამ ორივე კარგად გრძნობდა, რომ ერთსა და იმავე საფიქრალს მიჰყვებოდნენ, ერთ საგანს დასტრიალებდნენ და ერთნაირ ტკვილს განიცდიდნენ. ორივე გრძნობდა, რომ ამიერიდან უფრო შეუკავშირდებოდა მათი სიცოცხლე ერთმანეთს, უფრო გადაიხლართებოდა ერთმანეთში მათგან გასავეული ცხოვრების გზები.

\* \* \*

მთაში ასვლისთანავე თავბევისბერი მთიელთა გადმობირებას შეუდგა. ხე-

ვისბერები დამოდვრა და ერს თავისი სურვილი მორიგეს ნებად გამოუცხადა. ვისი თავის ქუთაზე მოქცევაც ვერ შესძლო, სამლოცველოებში გამოპკეტა და ხევის საომარი მზადყოფნა იწეა.

ქვეყნის დამცველთა სისხლით გაპატიოსნებული მთის სამლოცველოთა დროშები გამოიჩანა და მორიგეს ერთგულებაზე დააფიცა ხალხი.

ბიჭურის სახლსა და სამლოცველოს გარსშემოერთყა. აუწიოკა მისი ოჯახი და შეურაცყო მისი მოხუცებული, უსინათლო დედა. შვილის დასწყევლა მოსთხოვა და, როცა ქალი არ დაეთანხმა, მანდილი გადაახდევინა თავიდან და ფეხით გათელა წმინდა თავსაბურველი უკეთურმა. დაწყევლა ფხოველთა ხევისბერი და მთელი მისი მოდგმა მთიდან მოკვეთილად გამოაცხადა. ყველას იგივე სასჯელით დაემუქრა. ამიტომაც საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაშქარი დასძრა იბერიის სატახტოსაკენ.

გზად მიმავალმა, არაგვისპირეთში მცხოვრები იბერები შემოიერთა, ტყუილით და ფარისევლობით დააბნია და თავისი უბადრუტობა სიწმინდის სამსახურად მოაჩვენა. ის უთხრა შემოერთებულებს, რომ იგი მორიგეს ბრძანებით მიდის იბერიის მეფესთან, რათა ქვეყანა ბოროტების მსახური არმაზისგან და ქურუმთუხუცესისგან იხსნას. არიგებდა გზაბნეულებს, უპირველესად ვთხოვით მეფეს, დაგვიჩეროს, ნუ დაქცევს ქვეყანას, მუხლი მოვუყაროთ და შევგონოთ. მორიგეს რომ არ ეცნობებინა ჩემთვის ქადაგის პირით, დაილუბებოდა იბერიის, — იცემდა გულზე ხელს და მეტი მონდომებისგან ცრემლიც კი აღგებოდა თვალზე. მე თავად მივეახლები მეფესო, არწმუნებდა ყველას, ხოლო თქვენ სანამ ნიშანს არ მოგცემთ, არ გაბედოთ იარაღის აღმართვა, თუგინდ უკვე შემცდარი იყოს ფარნავაზი და უკეთურთა მსახური არმაზი ღვთაებად აღიარებულნი. გულმონწყალეა მორიგე და აპატიებს იბერიის მეფეს შეცდომას. თუ იგი მის გამოსწორებას არ დააყო-

ნებს და დროულად დაამბობს არმაზის ხატებას... თუ არა და, — გულმონწყალე, რომ მათა სისხლით უხდა შეიღებოს ჩვენი ხმლებიო.

ანათასა და ვაჩეს არაგვისპირეთის საცხოვრისთან მოსულმა, მეფის მოამბეები არ დაინდო და ხალხს უთხრა, რომ არმაზის გამზრდელების დასჯაც მიზრძანა მორიგემ. თუმც კი მიქარს მეფის ახლობელი ადამიანების მოძულეა, ღვთაების ნებას ვერ გადავალო.

დაანგრის და ცეცხლს მისცეს ლაშქარის სიკვდილის მერე ისედაც გაპარტახებული კარ-მიდამო. საცხოვრისში დარჩენილი თხუთმეტობდე მსახური შეკოკეს და წინ გამოიგდეს, ხოლო პირუტყვი დახოცეს... ამოძირკვეს და ამოაგდეს სიკოცხლის ყოველი თესლი ანათასა და ვაჩეს ეზო-კარში.

გუნებაში ნიშნს უგებდა ვაჩეს და ტანჩიას. ჩემი უპატივეცემლობისთვის ხომ მოგზღავით სამაგიეროო. ტანჩიას სახლ-კარსაც იგივე დამართა, რადგან ისარგებლა მისი ვაჟების მცნეთაში ყოფნით, ხოლო თავად ტანჩია კილიკეს ძველ სამლოცველოში ამოკეტა და დაწყევლა.

მცნეთასთან მოახლოებულთ თავხევისბერის მძინწული შემოხვდათ. მთიდან დაძრულებს აუწყა, რომ სატახტო ქალაქს სამეფო ლაშქარი იცავდა დღისით და ღამით. ფარნავაზის ბრძანებაც გააცნო, რომლითაც მეფე ღვთაების წინ სალოცავად უხმობდა ერს და დარჩიდა კიდევ აჩანყებულნი: იარაღი დამალეთ, მორჩილად აჩვენეთ თავი ქალაქის მცველებს, თქვენგან ურჩობას მეფე არ მოელის, რადგან თქვენს საღალატოდ წამოსული ორი მთიელი, მე და ჩემს მეგობრებს ჩავვივარდა ხელში. მცველებს უთხარიო, რომ მეფის ბრძანების ასასრულებლად გამოვიარეთ ამხელა გზა და ნუ დაგვიშლით ღვთაებასთან ლოცვას და თავყვანისცემასთქო და, რაც მთავარია, დაიშალენით, სხვადასხვა მხრიდან მიადექით ქალაქს, რათა თქვენმა სიმრავლემ ღენეს ეჭვი არ აალებინოსო.



თავბევისბერს ჭალაქში შესვლის სიძნელეც გათვალისწინებული ჰქონდა, ამიტომ ზუთასი ცხვარი გამოიყოლა, ვითომც შესაწირად. მდინარესთან მეცხვარეს დაელოდნენ აჯანყებულები და სამოქმედო გეგმაც შეიმუშავეს მეორე დილისთვის. გადაწყვიტეს: ჭალაქში შესულები ადრიანად შემოერტყემბოდნენ არმაზის მთას და ახლად აღმართულ ქანდაკის ახლოს განლაგდებოდნენ თავიანთი შესაწირავით, როცა მეფე და სამეფო სახლი, ერისმთავრები და უფროსი ქურუმები არმაზის ლოცვად დამდგარ ქურუმთუხუცესს მიაპყრობდნენ ყურს და თავადაც მუხლებზე დაეცემოდნენ, სწორედ მაშინ იშვილებდნენ მახვილს და მორთგეს ნებას აღასრულებდნენ ან შეეწირებოდნენ.

\* \* \*

მზით სავსე დღე დადგა იბერიის სატახტოში. არმაზის მთაზე წამომართული ოქროს ღვთაება მზირას ცხრა თვალში ეღვარებდა და უჩვეულო სინათლით ავსებდა ჭალაქს. აფრიანად მოაშურეს მცხეთელებმა ღვთაების საბრძანებლოს.

დიდი დედის ტაძრის კართან ქურუმთუხუცესი იღვა და სასახლის ეზოდან მეფისა და დიდებულთა გამობრძანებას ელოდა.

სამეფო გვირგვინით თავდამშვენებული გამობრძანდა ფარნავაზი, ხელთ უნიშნო თეთრი ბატკანი ეპყრა. უკან მოჰყვებოდა სახლობა მეფეს. დედოფალი — მოახლეებით და საურმაგი — ეგრისის დიდი მთავრის ვაჟებთან — დედესთან და არტავაზთან ერთად.

ქუჩის გვერდით ანო მოაბიჭებდა, მათ უკან აღანთა მეფე და ფარნავაზის უფროსი და, დედოფალი აღანთა.

სამეფო საღაროს გამგებელი უხვად აბნევდა იბერიულ თეთრს და ღიმილით უცქერდა მის ასაკრეფად მორბენალ ყმაწვილებს.

დიდი დედის სამლოცველოში შესული ფარნავაზი მზირას სალოცავი დარ-

ბაზიდან პირდაპირ არმეზეს ეფიქრებოდა წინ აღმოჩნდა.

გაკვირება და აღფრთოვანება ვერ დაჰფარა ერმა, როცა ტაძარში გაუჩინარებული მეფე მსწრაფლ იხილა არმაზის წინ მდგარი. მის მხლებელ დიდებულებს ფარნავაზამდე კარგა მანძილი ჰქონდათ ჯერ კიდევ გასავლელი.

ხალხმა, რომელმაც არ იცოდა ტაძრის გაწყობის საიდუმლო. უმალ დაიჯერა, რომ ფარნავაზის მფარველმა და მამანდფიქმა არმაზმა იტაცა და თავის წინ დააბრძანა იბერთა მეფე. კიდევ მიაჩნდათ აქამდე თავიანთი მეფე ღვთიურად, ხოლო ახლა ცხადადაც იხილეს მისი არმაზთან თანაზიარობა. გაიხარეს და უფრო შეიყვარეს არმაზი ფარნავაზის სახალოვისთვის.

ქურუმთუხუცესი მთისკენ მიმავალ დიდებულებს ჩაუდგა სათავეში და დინჯად მიუხალოვდა მეფეს, თავიანი სცა. შესაწირი ჩამოართვა, თავისი ხელით დაუნთხია სისხლი, წმინდა სითხე მეფეს მხარზე სცხო და ლოცვა აღავლინა მუხლმოდრეკილმა.

— იბერიისა და ფარნავაზის მფარველო, არმაზ! ისმინე შენთვის მლოცველი და შენი ძლიერების მორწმუნე ქართლოსიანთა ვედრება. დაიფარე მიწა იბერთა და მასზე მცხოვრები ყოველი სულდგმული. გვიშუამდგომლე ქვეყნიერების დიდ დედასთან, რათა მზირამ და მთიებმა არ მოგვკალონ თავიანთი ნათელი, რათა მთოვარემ თავისი ღვთებრივი შტქით კვლავ გაგვინათოს ბნელი ღამე.

ავვისრულეთ სათხოვარი და შენზე ვილოცებთ, არმაზ!

— ავვისრულეთ სათხოვარი და შენზე ვილოცებთ, არმაზ! — გაიმეორა ქურუმთუხუცესის ვედრება ერმა.

— იბერიისა და ფარნავაზის მფარველო, არმაზ! გვიშუამდგომლე უმაღლეს ღვთაებასთან, მოგვეცეს ძალა. ჰეშმარობის რთულ გზაზე სავალი. კვლავაც ყოფილიყოს ქართლოსიანთა მიწა ღვთაებათა გმირთა სავანე.

— მოგვეცე მშვიდობა და შენზე ვი-

ლოცებთ არმაზ! — გაიმეორა ერმა.  
— იბერიისა და ფარნავაზის მფარველო, არმაზ! დაგვეხმარე და დაგვიცავე უკეთურთაგან. ამრავლე კეთილი თესლი ქვეყანაში. მოგვეც საზრდო, მიწაზე დაღვრილი ოფლის სანაცლოდ, გამარჯვება — დაღვრილი სისხლის სანაცლოდ. მოგვეც სიკეთის სიყვარული და შენზე ვილოცებთ, არმაზ!

— მოგვეც სიკეთის სიყვარული და შენზე ვილოცებთ, არმაზ!

— იბერიისა და ფარნავაზის მფარველო, არმაზ!

ნუ მოაკლებ შენს მზრუნველ თვალს იბერიის მხსნელს! მიეც დღეგრძელობა და სიუხვე იბერთა მეფეს, შენს კეთილ მზერას ნუ დაუძმომებ მის მოდგმას და მიეც ტახტი საბრძანებლად მის მონაგარს. მოგვეც იბერთა მეფის დღეგრძელობა და შენზე ვილოცებთ, არმაზ!

— მოგვეც იბერთა მეფის დღეგრძელობა და შენზე ვილოცებთ არმაზ!

— იბერიისა და ფარნავაზის მფარველო, არმაზ! შენ გებარებოდეს ღვთაებრივი ანბანი ქართლოსიანთა. მოგვეც ნიქი სიბრძნის დაუფლებისა და შენზე ვილოცებთ, არმაზ!

— მოგვეც ნიქი სიბრძნის დაუფლებისა და შენზე ვილოცებთ, არმაზ!

არმაზის ფეხებთან თავდახრალი ფარნავაზი უცნაურ გრძნობას ატანა. ასე ეჩვენებოდა, აქვე, ახლოსაა არმაზი და საცაა გამომეცხადება ისევე უჩვეულოდ და მოულოდნელად, როგორც იცოდაო.

\* \* \*

მთიელების ჩამოსვლა არავის გაკვირვებია და არც არვის შეპარვია ეჭვი მათ კეთილგანწყობაში. აღრიანად მისულები ყველაზე ახლოსაც აღმოჩნდნენ მეფესთან. ბერის საბურველში გახვეული თავბევისბერი ქურუმთუხუცესის ლოცვას ისმენდა და ბოღმით იგებოდა ერთიანად — მე თვითონ ფარნავაზზე ხელს არ აღვმართავ, ხოლო თუ რომელიმე მთიელი ამას გაბედავს, არ დავუღწე. დაე მოკედეს ხევის უარყოფელი შედე, მის შემცვლელს კი ვიშო-

ვით, მაგრამ დაკარგულ თავისუფლებას ვეღარ დავიბრუნებთ. უკეთესია მკობა და ჩვენი დამარცხება შესწლოო.

ელოდა წუთს, როცა ფარნავაზი დაიწყებდა ლაპარაკს, მაგრამ დრო მიდიოდა და მეფე ლოცვის თქმას არ აპირებდა, ბოლოს გაუწყდა მოთმინების ძაფი, საბურველი მოიხსნა და დაიძახა:

— მორიგეს გამოგზავნილო მთიელეზო! დროა თქვენი ძალა აჩვენოთ მთავარეს უარყოფლებს და უკეთური არმაზის მლოცველებს!

სანამ გონს მოეგებოდნენ, იბერიის მთავარსარდალი მიეჭრა თავბევისბერს და რკინისებურ მკლავებში მოიძწყვდია. წამოიშალნენ და მახვილი იშიშვლეს თავიანთი მეთაურის შეპყრობით განრისხებულმა მთიელებმა.

ლენემ სიმწრის ნერწყვი გადაყლაპა და ინანა, რად არ შეეპყარი დიდი დევუღის ტაძარში მოსული თავბევისბერი, რად დავუჭერე აღონ მცირეს და რად მიეცი მთაში დაბრუნების საშუალებათ.

მეფე არ წამომდგარა. არმაზს მოუხმო ფიქრით, რადგან უმალ მიხვდა, რომ სამეფო ლაშქრის ამოსვლამდე გასწყვეტდნენ თავბევისბერის მიერ გაბრიყვებული მთიელები მის უიარაღო მხლებლებს და ალბათ მასაც არ დაინდობდნენ. ლენეს გახედა და დაინახა, როგორ მიავლო მთავარსარდალმა თავბევისბერი და როგორ იშიშვლა ხმალი.

თითქოს გრგვინვამ გადაუარა მიდამოს, ცეცხლის ენამ გაჰკვეთა ცის აღუმალება, თითქოს გაისმა ამირანის ბორკილის ზრიალი და ალაპარაკდა არმაზ ღვთაება.

ლენეს მარჯვენიდან ოქროს ხმალმა არმაზის ხელში გადაინაცვლა. მიწას განერთხა მლოცველი ერი, იარაღი დაჰყარეს აჯანყებულებმა და აგრძნო მეფემ, რომ სიყვარულით დასცქეროდა არმაზი მაღლიდან.

თავბევისბერი ფორთხვით მიუახლოვდა, ფეხებზე შემოეხვია არმაზს. — მამატიე უგუნურსო! — აღუღლულდა საცოდავად და კიდევ გაგორდა მისი მოკვეთილი თავი ფარნავაზის წინ.

— ყოველი კაცი, რომელიც ეცდება ჩემი სამფარველო იბერიის ძლიერების შესუსტებას და ქართლოსიანთა ღვთაებრივი მეფის, ფარნავაზის სიცოცხლისა და მბრძანებლობის ხელყოფას გაბედავს, ასევე დაისჯება ჩემგან! — გაიგონა მეფემ ძმადნაფიცის მონატრებული ხმა. — გულმოწყალე და კეთილია ღვთაებათა რჩეული და ჩემი თანაზიარი ფარნავაზი. იგი არ ინებებს მთიელთა დასჯას ურჩობისათვის, არ დაღერის მოძმისა და მისი გამზრდელი ხალხის სისხლს ჩემი ხატის წინ. ფხოველთა ხევისბერს ვებრძანებ ჩემი სახატო შექმნას მთაში და ლოცვით გამოასყიდინოს ურჩობა მთიელებს!

— შენზე ილოცებს ყოველი კუთხე იბერიისა, შენი წყალობა არ მოგვაკლო. არმაზ! — შესთხოვა ქურუმთუხუცესმა ღვთაებას.

— იდიდოს მეფემ იბერიისა! მისი მხსნელი და აღმშენებელი, ენის, ანბანისა და რწმენის დამკანონებელი ფარნავაზი, ჩემი თანაზიარი და ღვთაებათა რჩეული. — კვლავ დაიგუგუნა ქანდაკმა და გაჩუმდა.

— არმაზ! არმაზ! — კივილით მოუყვებოდა მთის ფერდობს ფაირე, ხელთ ჩვილი ეჭირა და მიწაზე განრთხმულ მლოცველთა შორის ძლივს მოიკვლევდა გზას.

ფარნავაზს გული შეეკუმშა უდროოდ გაჰალარავებული ქალიშვილის დახევაზე. წამოდგა და მისკენ გაექანა უნებურად. ჩვილის ჩამორთმევა თუ სურდა ფაირესათვის. მეფეზე ადრე მიეჭრა ლენე, მაგრამ ვერ შესძლო ფაირესთვის მახვილის მოქნევა.

— არ მომეყარო! — დაიკვილა ფაირემ განწირული ხმით და თავს ზემოთ ასწია ჩვილი. — შეხედე არმაზ! ვით არის ყოველ ბავშვზე უმჯობესი, ჩვენი პატარა! მე მას ლამზირა ვეწოდებ, რადგან ვიცი, მისმა სიყვარულმა წაგიყვანა ჩემგან... ნახე შენეული თვალები აქვს და ჩემი თმა. უთხარი ამ ხალხს, რომ შეიბრალონ მისი ნორჩი სიცოცხლე, ნუ მოაკვდინებენ, ახარონ შენი

ნერგი იბერიის მიწაზე, გაზარდონ და მისად მიიღონ, ისე როგორც შენეულ ფარეს უთვისტომო და მიუსაფარი. ხოლო მე შემობრალე და ახლა მიინც წამიყვანე შენთან... ამას შეგთხოვ განშორების დღიდან და გამიგონე... წამიყვანე, გამაცილე შენს გარეშე ჩემთვის უცხო იბერიას... არმაზ! არმაზ!

ქუჩი მიუახლოვდა, ფაირემ ბავშვი გადასცა მიახლოებულს და არმაზის ფეხებთან ჩაიკეცა. ახლოს არავინ მასულა, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ მოკვდა ფაირე.

ქურუმთუხუცესი მძიმედ დაუყვა დაღმართს. ნელა დაიშალა მლოცველიერი.

მარტო დარჩა ფარნავაზი თავისი უბედური ქალიშვილის გვამთან და არმაზთან.

ფრთხალად დაასვენა მიწაზე, თვალები დუბუჭა, გაციებულ შუბლზე გადაუსვა ხელი, პირველად და უკანასკნელად მოეფერა. მერე მიეახლა ძმადნაფიცს, ფეხთან ჩამოუჭდა და — ნუ მიმატოვებო, — შესთხოვა, — იცი, მარტო ვარ გახირული სიკვდილ-სიცოცხლის, ბოროტების და სიკეთის ზაწერილზე. კვლავ მეშინია შეცდომისა, რადგან ჩემი მცირე შეცდომაც ბოროტებად მოველინება და გააწამებს ჩემს ხალხს. გებრალეობოდე ეული და მარტოსული, შენგან და აღონისგან მიტოვებული, რომ შემძლოს ჩემს სულსაც მოგადევნებდით და ტკივილით შეპყრობილ გულსაც ავეუკრძალავდი ფეთქვას. ვაგლახ, რომ ვერ შევძლებ ვერც ერთს, რადგან არც ტკივილით გათანგული გული და არც სული განაწამები და დაწეწილი. მე არ მეკუთვნის, ორივე ჩემს გაჩენამდე შესწირვია იბერიას. რათა დაბადებამდე შეწირულს, მძიმე ბვედრი მრგებოდა წილად.

— მე კი შენი სიცოცხლის დასაცავად ვიყავი მოვლენილი იბერთა მიწაზე ამიერიდან შენს სულში გადმოვიწაცვლებ და შენი ნაწილი გავხდები. — თი-

თქოს კვლავ გაიგონა ძმადნაფიცის ხმა. — გიხაროდეს და გწამდეს რომ მართო არა ხარ, რომ შენში გადმოვვდილი ჩვენ ყველა: სამარაც, დუღეც, დიდი აღონიც, ტიმოზიც, ჩვენი მოძღვარი აღონიც და მეც. ახლა შენ მრავალი ხარ, ფარნავაზ! ადექ და ნახე, როგორ ბრიალებს მზირას შუქით გაბრწყინებული შენი იბერიო, ნახე შენი ხალხი ერთ აზრად, ერთ ძალად, ერთ სულად შეკრული შენი მარჯვენით და კეთილი ნებით.

გამოსცილდა ფარნავაზი არმაზის ქანდაკს, მთის სიმალიდან მზეში მოცურავე ქვეყანას დახედა.

— იდიდე მეფე იბერიისა, გამარჯვების თანაზიარო, ღვთაებრივო ფარნავაზ! — გუგუნებდა ერი თავისი წინამძღოლის სადიდებელს.

— კვლავ შემადლებინე შენი სამსახური! — გულით შესთხოვა თავის უბირველეს და უუმადლეს სალოცავს — იბერიას, მისთვის მსხვერპლად შეწირულმა ფარნავაზმა.

\* \* \*

შელამისას ეგრისის მთავარი მიუახლოვდა ოქროს ხატს. მის წინ დაემხო და ცრემლით დაუსველა სადგომი მიწა.

— ვაი, შენს უბედურ, შენი ალერსის მონატრებულ მამას, შვილო. მის გამწარებულ სიციხეს შენი ამ ქვეყანაზე ყოფნა აღამაზებდა თურმე. ვაი, რა სქნას შენმა მამამ, რომელმაც ისიც არ იცის, გაიხაროს თუ იტიროს შენს გამო. შენც ხომ იცოდი ჩემი სისხლი რომ იყავი და აღონმაც ხომ იცოდა... როგორ ვეძებდი შენში ჩემს დაკარგულ ბიჭს, რად არ მითხარით, რად გამიმეტეთ სატანკველისთვის ორივემ. ვაი, რომ ახლა კარგად ვიცი, რომ ჩემი იყავი, უშენობამ დამარწმუნა ამაში, არმალს არტავაზი მაინც რატომ არ შეიბრალებს, ბიჭო! შენი სიახლოვე მასაც ხომ მოენატრება ჩემსავით.

ჩემო დაუტრებლად დაკარგულო, შვილო! არმაზ! ვით გიშველო, ან ჩემს თავს ვით ვუშველო, უბედურმა აქამ-

დე ვერ გითხარი ჩემი სოტქმელი, ახლა გუებნები. ვაი, რომ გემანქნევილი ჩვენი უკვე, გაიგებ კი, რაღა ვეცლებოდათაზე ძვირფასი იყავი ჩემთვის?!

ხატის უკან, ქანდაკის საყრდენზე მიყრდნობილ ვაიკას მოეჩვენა, რომ მისი შექმნილი ოქროს ხატებაც ტიროდა ქუჩისთან ერთად.

\* \* \*

ორი თვალდამშრალი ბერიკაცი საუბრობდა ჩამქრალ კერასთან.

— ჰოდა, მითხრა მაშინ არმაზმა, რომ ლამზირა უცილობლად დაბრუნდება მთაშიო. მის მერე ველოდი და აქ დაბრუნდა კადეც... — ამბობდა ერთი.

— კი, დაბრუნდებოდა. მშვენიერების სამყოფელია მთა და აბა სად წავიდოდა იგი, აღამიანო, თუ არა აქ! — პასუხობდა მეორე.

— ჰოდა, როცა ვხედავ პატარა ლამზირას მინდვრად მორბენალს, ვრწმუნდები: მართალი მითხრა არმაზ ღვთაებამ.

— ღვთაება მუდამ სიმართლეს ამბობს, აღამიანო!

— ისიც მითხრა მაშინ არმაზმა: — ფარნავაზი ეპატრონება მინდვრის დედოფალს და ეგრისის მთავარი ქუჩიციო.

— ასეც იქნება, აღამიანო! იბერიის მეფე ყოველი სიკეთის მეპატრონეა ჩვენს მიწაზე... მიტომაც დღეგრძელობს. ფარვიდეს არმაზი!

— მაინც მეცოდება ფარნავაზი. კეთილად შობილს და სიკეთის მთესველს, მშვიდი ცხოვრება არ არგუნა უმადლესმა.

— კი, ასეა, კეთილ მეფეს ვერ არგუნებს სიმშვიდეს ღვთაება. მე და შენ საკუთარი სატყვივრის ზიდვა გავგვირგებია, აღამიანო, იმის ტვირთი კი აუწონელია. მაინც ეზიდება და კვლავაც უნდა ზიდოს!

— ეჰ, ცხოვრების ტრიპლს ვერას გავუგებს მოკვდავი. ამდენი ხანი მოვლიე და მაინც უვიცი დავრჩი. ვერც ერისა და ვერც ღვთაებისა ვერაფერი გავიგა! — გული სწყდებოდა ერთს.



— კი, ასეა! ამოუხსნელია წუთისოფელი! — უდასტურებდა მეორე.

**აოლოთჳა**

ასწლეულები გადიქროლებენ მის მერე იბერიის ჳალარა თავზე და მოვა ამ მიწაზე თავისი ერის წარსულზე ჩაფიქრებული კაცი. ერისავე განჩინებით დასწერს იბერთა უძველეს ისტორიას და მასალათა სიმცარის გამო, რაიც ჩენი ბედუქულმართი ყოფის ბრალია აღბათ, იტყვის ქართლოსიანთა პირველ მეფეზე: ოცდაშვიდისა წლისა მეფე იქ-

მნა და სამოცდაბუთ წელს მეფობდა ნებიერ.

და, ნებიერად მოეჩვენება ფარნავაზის შორეულ შთამომავალს დაბადებითვე იბერიისთვის შეწირული კაცის ცხოვრება. ყოფა იმ მეფისა ვისაც ხანგრძლივი სიცოცხლე საყუთარ სულთან და სამშობლოს მტერთან ჳიდილში გაულეგია, ვის თვალსა და გონებას ერთად არასოდეს დაუძინია და ვისაც მუდამ ენატრებოდა, დაუმადლებელი სიბზო და სიყვარული.

1-2  
3-4  
5-6  
7-8  
9-10  
11-12  
13-14  
15-16  
17-18  
19-20  
21-22  
23-24  
25-26  
27-28  
29-30  
31-32  
33-34  
35-36  
37-38  
39-40  
41-42  
43-44  
45-46  
47-48  
49-50  
51-52  
53-54  
55-56  
57-58  
59-60  
61-62  
63-64  
65-66  
67-68  
69-70  
71-72  
73-74  
75-76  
77-78  
79-80  
81-82  
83-84  
85-86  
87-88  
89-90  
91-92  
93-94  
95-96  
97-98  
99-100

## თადო გაქიშვილი

### სიმართლისათვის

თითქოს მათრახით აგვიწვევს წელი,  
თითქოს გაიხსნა უცებ გალია —  
ამდენი კითხვა მწარე და ძნელი  
საიდან გაჩნდა, რისი ბრაღია?

მხოლოდ სიმართლე! ვესმინოთ სინდის!  
სიკრუეს მუდამ შხამი ამოაქვს...  
დროშას სულისას რომ დაბლა ვხრიდით,  
ბევრი ტკივილი ამის გამოა.

რომ ბევრჯერ ეშმაკს მივეციოთ მხარი,  
რომ ეს სიყალბის დავიშვით ჭერად...  
ვინა ვთქვით, მეფე შიშველი არის,  
ვინ გავუწვორეთ სიმართლეს მზერა?

არავინ! სანამ არ გახსნეს კარი,  
სანამ ნათელში არ გვითხრეს გასვლა!  
ჩვენ ახლაც გვიჭირს გავიდეოთ გარეთ,  
ვლულულულებით მხოლოდ და სიტყვებს  
ვმარცვლავთ.

ცივი გონების სასწორზე ვწონით  
ხმამალა სათქმელ აზრსა და სიტყვას,

ვინც თვალთმაქცობით მოიკრა ქონი:  
დღეს ზოგჯერ გულზე მუშტებს ის —  
ირტყამს,

ის გვამუნათებს, გვმოძღვრავს,  
გვარიგებს...  
მგელი — ცხვრის ქურქში შემძვრალი  
ლაღად...

რა ენაღვლება, თუ ვერ გაიგებს  
მრევლი მის ყალბად აღვლენილ  
ლაღად!

შემართული აქვს ზეცისკენ ზელი,  
წერს, ლაპარაკობს, პირფერობს  
ზალბთან...  
წერა არასდროს ყოფილა ძნელი,  
ძნელი სიმართლით ცხოვრება გახლავით!

დღესაც მწარეა მისი ეკლები,  
დღესაც ისე, ვით ყოფილა ძველად...  
მაშ, მოდიოთ, ეშმაკს ნუ შევეცკრებით,  
მართლად ცხოვრება ვისწავლოთ  
ყველამ!

### და ვღუგვარ ხშირად...

როდესაც მესმის,  
როდესაც ვხედავ,  
ვილაც უმწუო მოითხოვს შველას  
და მე არ ძალმიძს,  
რომ ძმურად ზელი  
გაუწვოდო და მოვწმინდო ცრემლი,

როს არ ვარგივარ სიმართლის მცველად..  
როს მოქანავე ზნეობის ხიდი  
ჩაწყვეტაზეა —  
ასეთ დროს სცადე  
და თავი მშვიდად ბალიშზე დადე...  
როგორ იქნები ასეთ დროს მშვიდი?



როდესაც ახლოს,  
როდესაც ცხვირწინ  
ვიღაცა ურცხვად ამ ყვავილს თელავს,  
რომელზეც თვალი გვეჭირა ყველას —  
გული რომ სკდება — რატომღა  
გიკვირს!

როდესაც ოდენ ცარიელ სიტყვით  
აღარ ტუთვდება ყველაზე უფროსად  
ხომ უნდა ვდუმდე  
და ვდუმვარ მშირად  
და ვნატრობ სიკვდილს!

### ლექსები ჩემი

ლექსები ჩემი —  
უძილობის მწარე ნაყოფი  
და ტყვიანობის ქვიშრობებში  
გამოკონილი...

მოისხით მაღლი,  
მომასვენეთ, მარტო მამყოფეთ,  
ნუ დამტრიალებთ  
მუდამ თავზე ერთგულ ცოლივით.

ლექსები ჩემი —  
მოვაბუზრეთ ერთმანეთს თავი!  
სხვა ღვინით მინდა რომ დავითრო,  
ღვინით ახალით.

ახალს დავეძებ მოსაწყვეტად ჩადოსნურ  
ყვავილს,  
დამტოვეთ ჩემთვის,  
სხვა წალკოტი მაქვს სანახავი.

ლექსები ჩემი —  
დასჯილნი ვართ ჩვენ ერთმანეთით,  
ერთად დაგვაზრა  
აღერილი საღი ყლორტები,  
ალბათ შეგვრჩება  
თუ რაიმე გვემონდა საერთო,  
ალბათ ოდესმე კვლავ შევხვდებით...  
დღეს კი გშორდებით!

### თოვლის კარავი

სიცივე. თოვლი. ირგვლივ არიან.  
გადათოვლილი მხოლოდ გარემო.  
მოდით, დავიდგათ თოვლის კარავი,  
მუდამ თოვლივით მიუქარებო!

ვინ გაგვაძევა გაზაფხულიდან,  
რომ ამ თოვლეთით სული აგვევსო?  
რომ სიყვარულის მძაფრი წყურვილი  
თოვლად გვექცია, უძვირფასესო?


წმინდაა თოვლი, მაგრამ ცივია.  
გულს ყინავს. გული სითბოს  
ნატრულობს.

ჩიტები თოვლზე შავად ცვივიან, —  
გულში ჩავისვათ და ჩავათბუნოთ...

სიცივე. თოვლი. ბინდი მოცურავს,  
სიცივით ვარსკვლავებს, ცაე, უსასოო...  
მიწა და ზეცა ყინვით მოცულა,  
რომ მხოლოდ ყინვა დავიმახსოვროთ.

ღიაა ჩვენი თოვლის კარავი,  
გათოვნილია ირგვლივ გარემო,  
სადაც შენს გარდა არ ჩანს არავინ,  
მუდამ თოვლივით მიუქარებო...

## თოვლი მოვიდა



თოვლი მოვიდა. ქალაქზე უცებ  
თეთრმა ღიმილმა გადაიარა.  
ფიფქები ისე ედებო ქუჩებს,  
როგორც მალამო ტკივილს, იარას...  
თოვლი მოვიდა. ქალაქზე უცებ  
თეთრმა ღიმილმა გადაიარა.

გარინდებულან თოვლქვეშ ნაძვები,  
თეთრი რტოები მძიმედ ეხრებათ,  
ღუნღუნა ქულებს დაბლა დაცვნილს  
თავს ვუშვებ, თოვლი თავზე მეყრება...  
გარინდებულან თოვლქვეშ ნაძვები,  
თეთრი რტოები მძიმედ ეხრებათ.

ახლა ღამეა. ხვალე ქალაქში  
ამ სისპეტაკეს ფეხით დალახავს,  
აიზილება თოვლში ტალახი  
და მოიქცევა თოვლი ტალახად...  
ახლა ღამეა. ხვალე ქალაქი  
ამ სისპეტაკეს ფეხით დალახავს.

მიეყვები ქუჩას თეთრად დაფერილს  
და მტკივა გული, რომ აქ არა ხარ...  
დაკეცილია ძველი აფრები  
მე მარტო ვივლი თოვლში ამოდამ.  
რომ უფრო მწარედ და გამძაფრებით  
მომწყურდეს შენი თოვლში დანახვა...

## სიმღერა ჩვენი

ანზორ ერქომაიშვილი

საიდან მოდის ეს პანგი,  
პარი-პარალი-პარალო?  
ხმა-აწეული ზეცამდის,  
ხმა — უსაშველო ვარამი?

ხან მთიდან ზეათა გრილი,  
ხან გამჭვირვალე კრისტალი.  
ხან ნაკადულთა თქრიალი  
ჩახლართულ-ნაგვირისტალი.

პარი-პარალი-პარალო,  
მზით იქსელება სერები —  
დაუღვეველი საღარო  
ქართული სულიერების...

ხმა რომ ხმას ეძებს. იმგვარად  
გულია გულის მძებნელი.

სიმღერამ შეკრა მზარიმზარ  
ჩვენი სამშობლო სევბნელი.

პარი-პარალი-პარალო,  
შეურყვენელ-შეურყველი,  
როგორც ეს ზეცა მაღალი,  
როგორც ეს ჩვენი ტყე-ველი.

ესაა ჩვენი ტაძრები,  
ჩვენი ზვრები და ბაღები,  
ზეიმი ქართულ აზრისა —  
ქართული სულის ნაღები.

შოთას პოემის ბადალი,  
თუ რაღაც უფრო მაღალი...  
პარი-პარალი-პარალო —  
ძველი და მზარად ახალი!

## ქოხივით

რაღაც საერთო, წრფელი, ორმხრივი —  
მკუდრო-კუნძულზე ჩაღვმულ  
ქოხივით —  
ქოხივით, რომლის ღია კარებშიც

ვერ შეიხედავს უცხო თვალები —  
როგორ გვაკლია!  
მშვენივრად ვიცით,

ამიტომ სანთლის უმწეო ციმციმს  
ხელებს ვაფარებთ, რომ ავმა ქარმა  
არ დაუბეროს, ან უცხო მგზავრმა  
თვალი არ გვეიდოს ბოროტი მზერით...

ჩვენს ქოხს ახდელი ჭირდება პერი,  
რომ ვარსკვლავებმა გააბან სხივი,  
რომ იმ სხივების ნათელი ცივი  
გულში ამღერდეს შვებებისმომგვრელად,  
თავისთვის, როგორც კრიკინობელა  
მღერის და ღამეს სიცოცხლით ავსებს...

თუ გულგრილობის ავარდა ქარი,  
რომ არ გაჭირდეს გამოსვლა გარეშე...  
ჩვენს ქოხს ფოთლების ჭირდება კარი,  
ვინ დაუეცტავს სიყვარულს კარებს?!

ჩვენს ქოხს კედლები ჭირდება წნელის,  
რომ მზის მხურვალედ გაწვდილი ხელი  
შემოიბაროს ამ კედლებს შორის...  
რომ ვიყოთ ქვეყნად მარტოდენ ორი  
და... ჩვენთან იყოს ქვეყანა მთელი!

### ლექსიანიერა

(ახალი სევანური სოფელი ჭანდარში)

ავთანდილ მარგიაშვილი

აქ, სადღაც ახლოს,  
აზიიდან გადმოქროლილი  
უდაბნოს სუნთქვა მოჰქონდა ქარებს.  
თვალეები — ქვიშის გრივალეებით  
ამოქოლილი,

ბერთუბნის თავზე —  
სისხლიანი, შემკრთალი მთვარე.

აქ, სადღაც ახლოს,  
წარღვნის ტალღა ამოყალყული,  
თბილისს ურტყამდა წამლეკავ  
შხეფებს...

დაწრეტილ იყო  
წვეთწვეთობით სისხლი ქართული,  
კრწანისის მწარე  
ბრძოლებიდან გაჰყავდათ შეფე.

აქ, სადღაც ახლა  
ამართული კოშკი სევანური,  
ქორული მზერით გასცქერს  
ტრამალებს —

საბედნიეროდ,  
კვლავ ნედლდება ფესვი მამულის,  
კრელმა გველებმა  
ცხელ ქვიშაში თავი ჩამალეს.

კერიის კვამლი  
კვლავ ღვივდება ძველი ნავლიდან.  
ზვავებმა ბნელი უფსკრულები  
ჩაიგრიალეს...

უკუნის ნაცვლად  
მზე ამოდის აღმოსავლიდან,  
და სევანურ კოშკზე  
სამომავლო დროშა ფრიალებს!



## ჯანო ჯანელიძე

### კვლავაც ზვარაკად

ბევრჯერ ვიზილე მე ვარსკვლავთ ცენა,  
სისხლის წვეთებიც ბევრჯერ ვიზილე.  
ვით აღმაფრენას და ბედისწერას, —  
ვეც ვაგროვებდი პეშვით მზის სხივებს.

მეც ვაგროვებდი პეშვით მზის სხივებს,  
ღმერთის წილია, რაც კი დავღვარე.

სამგზის პირვეარი გადავიწერე  
და ვუგალობე მამულს საყვარელს.

თუნდაც ზედ ჯვარზე მსხვერპლად  
გამაქრან  
(ისედაც მხრებზე მადევს მტრის ტორი),  
ვიტყვი: „აღირსე კვლავაც ზვარაკად  
იბერს იბერი ილიას ტოლი!“

### საზღაური

ო, პრილობავ ჩემო ღია,  
სისხლის ფასად ფასობ ვერც კი,  
კიდევ მრავალს მოგიძღვნიან  
დაფნის არა, გვირგვინს ეკლის.

ისე არა, შენ რომ გაწყობს,  
შენ რომ ფიქრობ,  
შენ რომ წინდავ,  
გასუსტული შენი აწმყო  
კვლავ საზღაურს ითხოვს წმინდას.

ეს გოლგოთა და ეს ჯვარცმა  
არის მხოლოდ ნება ღმერთის,

მიმოფანტულს ცრემლის მარცვლად  
კვლავ ნაკადი სისხლის გერთვის.

როცა კვლავაც და მრავალგზის  
აგათრევენ ეშაფოტზე, —  
ჯვარი მცხეთის და ვარაზის  
მარად ტანჯვის ტვირთად გქონდეს.

ისე არა, შენ რომ გაწყობს,  
შენ რომ სჯი და შენ რომ წინდავ,  
გატრუნული შენი აწმყო  
კვლავ საზღაურს ითხოვს წმინდას.

### არა ვართ ჩვენ აქაური

რად ვიცით ბევრი ხმაური,  
აურ-ზაური სიკვდილიდან,  
არა ვართ ჩვენ აქაური  
და წასვლა რად გავგვივირდა?!..

რა საღამოა მშვიდი და  
და საღამოა წყნარი,  
მალე მეც იქით მივდივარ,  
შევყოვნებულვარ წამით.



მთვარე ცად დაველურს დაუვლის,  
ქარი იქცევა ქილიკად.

არა ვართ ჩვენ აქაური  
და სით მოველით, იქ შევალთ

### დათმენა

რაა გაძლება, მე შენით ვიგრძენ,  
მე შენით ვიგრძენ, რაა დათმენა,  
თავი მე მთვარის მუხლებზე მიდევს  
და შენზე ფიქრით შემომათენდა.

და შემრჩა ხელში  
და შემრჩა ხელში  
მე მოწყობილე ცრემლების აცმა,  
ცხელი ცრემლებით საესე მაქვს პეშვი,  
ვით კრიალოსანს, მე ცრემლებს  
ვმარცვლავ.

### ჰ ა ი ლ ე ბ ი

ნესტანს და იას

ისევ გამოჩნდნენ შვიდფერადი ცად ჰაიდები,  
გარემოსილნი უკვდავებით, ცრემლით, დიდებით.

კვლავ დასტირიან ძმას დალუპულს, ლამაზ ჰაისის,  
დღეს ცრემლი სცვივათ, ნაკვერჩხლებად მოვლენ ზვალისთვის.

ეს ჭვითინია, თუ ვარსკვლავთა ზარის ხმა ისმის?!..  
აქ, ნაცრემლარზე ტანს აიყრის ვარდი ზვალისთვის.

ო, სიყვარულო, ერთგულებავ, ძმათა და დათა,  
ზევსი მაღალი ვარსკვლავების შუქით რომ გნათლავთ.

მზეა თუ მთვარე, — დღეს ორთავე შებლშეკრულია,  
ბედნიერებაც, უბედობაც — სიყვარულია.

ცრემლიც, ღიმილიც, მე რომ დიდხანს, დიდხანს ვმალავდი,  
ო, არა ლხინი, მწუხარება არის მარადი.

ისევ გამოჩნდნენ შვიდფერადი ცად ჰაიდები,  
დამშვენებულნი უკვდავებით, ცრემლით, დიდებით.

## მარადისაქნე



საქართველოს  
მწიგნობართა კავშირი

უბედურება ჩემი ოქროს პოსტამენტია,  
უბედურები ბედნიერზე ბევრად მეტია.

შენ კი რას ფიქრობ, უდარდელად რად იღიმები?!  
წუთისოფელი შენც გამოგზავს მგლებს კბილებით.

თუმც ილაღობე, დასანანი არაფერია,  
ეს წამისყოფა მარადისკენ ასაფრენია.

## შ უ რ ი

ვახტანგ ჯავახიძეს

ბევრს ჰკლავდა დარდი გალაკტიონის,  
შური წესია ლაჩართა, მხდალთა,  
არც ჭიბრი გახლავთ საქმე იოლი,  
როცა საკუთარ ბილიქს თვით ხლართავ.

რამდენი დაფნის გვირგვინი დაწნეს,  
მაგრამ სად არის შუბლი სადაფნე?!  
კვლავაც სიმღერით მე ვხვდები ამ წელს,  
შეთარებული მყუდრო სარდაფებს.

და ჩაფიქრებით დამცქერს სიონი,  
ვიღაც ქედს უხრის მძიმე გვირგვინებს,  
არც დაფნის ზიდვა არის იოლი,  
თუკი შემთხვევით ჩამოგირიგეს.

ბევრი შენატრის სიმალღეს და მზეს,  
მაგრამ კარგია მყუდრო კარავიც,  
დიდება ყველა მეფეს და რამზესს,  
მკერდზე კრილობით დაუმალავით!..

## რომანტიკა დამთავრდა

რომანტიკა დამთავრდა —  
(სტვიათაშორის — ქურდულიც!) —  
ვიდრე შუბს გამართავდა  
ხალთაში აბსურდული  
ჩემი მიაპიტობა  
და ზნეობის სისრულე.

ახლა საქმეს ვართულებ  
და თუ რაშე ვისურვე —  
მიბმული ვარ მავთულებზე  
ჩემივე სისულელეს.

ოდეს ერთი ვიყავით —  
არ ვიყავი მარტო მე,  
როდესაც გავიყავით —  
ცეცხლს მე დავებატრონე.

აღარავის ვუნდოდი  
მოდარაჯედ ცეცხლისა,  
ვიდრე არ დავხურდავდი —  
მონა გავხდი ვერცხლისა.

მოვიარე ქვეყანა —  
(არ მცნობენ და არა ვცნობ!)  
თავი რომ მოვიყარე —  
ფარნავეაზმა განმავრცო.

ათადან და ბაბადან  
კამათით და დავითა —  
დავიბადე თავიდან,  
მკვდრეთით აღვსდექ დავითთან.

თვალი მომჭრა სინათლემ  
სხივის თვალში ნაცარის —  
თავი დიდხანს ვიმართლე  
დედოფალით თამარით.

აღში ვმალე ალაში  
კვლავ იმ ცეცხლის ამარამ —  
კვალი დასამალავი  
რუსთაველმა დამალა.

უკუღმართი ყოველი  
წალმით წაწყმედილია —  
მიეწია აღმართში  
ტყვია წმინდა ილიას.

ვწირე შესამოსელი  
ამირანს და ტარიელს —  
და მივიღე სოსელი  
მაგიერი სტალინი.

იყო და — არა იყო,  
არ იქნება — იქნება...  
რაიც ერთხელ გაიყო,  
ჭირს იმისი მიგნება,

ახსნილია ურდული  
ყველა საიდუმლოსი —  
ყველასავით უნდო ვარ,  
ყველასავით უფროსი.

ყველაფერი გართულდა,  
გაბუნდა და დამიწდა —

ბული გადამქართულდა,  
სიტყვა გადამავეიწყდა.

ძველი მოვისაკლისე,  
ნატრული ვარ ახლისა —  
ბრძენი მამასახლისი  
წერტილს ვეძებ ათვლისას.

შიგნი-შიგან-შიგნისა,  
დაფარულის მართლისა,

მწერალი ვარ წიგნისა,  
საწამებლად ქართლისა.

რომანტიკა დამთავრდა —  
თენებობამ გამქურდა —  
დედამიწა ქალამნად  
მიმაჩნია,  
ცა ქუდად.

• • •

დიდი კაცი გეგონა — დიდკაცი აღმოჩნდა,  
ვაყკაცი გეგონა — ჯაბანი აღმოჩნდა,  
ჰკვიანი გეგონა — ეშმაკი აღმოჩნდა,  
კეთილი გეგონა — სულელი აღმოჩნდა...  
ბევრი იყვირე ამის გამო და ვილაცას რაღაცა შენც ეგონე —  
არ აღმოჩნდა.

სიმართლე შენი ძმა გეგონა — არ აღმოჩნდა.  
ბოლოს,

საქმე საქმეზე რომ მიდგა,  
აღეჭი და ყველას თავისი სახელი დაუბრუნე —  
აღმოჩნდა, რომ

ვისაც დიდი კაცი ჰქვია — დიდი კაცია.

ვისაც ვაყკაცი ჰქვია — ვაყკაცია.

ვისაც ჰკვიანი ჰქვია — ჰკვიანია.

ვისაც კეთილი ჰქვია — კეთილია და

არის კიდევ გამონაკლისები, რომელთა რიცხვსაც შენ არ ეკუთვნი.

ყველაფერი შედარებითიაო, თქვი და ამით დაკმაყოფილდი.

მერე,

სულ მალე,

სიზმარიც დაგიწვრილმანდა და

ახლა შენზე ამბობენ:

დიდი კაციაო.

ვაყკაციაო.

ჰკვიანიაო.

კეთილიაო და

რა ვიცი, კიდევ რას არ ამბობენ შენზე...

შენ ჩემგან აბა, რა გესწავლება —

ყველაფერი რომ შედარებითია, თვითონაც იცი და  
გიკვირს:

„თუ არ აღიდევ, ბიჭო, დიდი, როგორ იქნება დიდი?“

სიმართლე ახლა

შენი არიფი ძმადნაფიცია,

რომელსაც ყიდი!



• • •

კაცს თუ სიკვდილის გეშინია —  
 სიყვარულისაც გეშინია და  
 გულწრფელობა აბა, რას გიშველის?  
 ან ვის რას უშველი,  
 შენი თავისთავისაც თუ ვერ გიშველია?  
 გლახაკი —  
 შენ კი არა,  
 მეფეც შიშველია!  
 (ბეჭეები თუ უკანალზე ვიწრო გაქვს,  
 პლაჟზე თავს ვერ მოიწონებ, ტკბილო!)  
 ლექსი იმან უნდა სწეროს,  
 ვისაც უყვარს!  
 ვინც უყვართ,  
 ან ვისაც უნდა, რომ უყვარდეს ყველას —  
 სისტემატურად  
 უნდა იწონებოდეს დილა-სალამოს  
 ლოგინის ქვეშ მიმალულ საეჭიმო სასწორზე,  
 სიკვდილზე უნდა იფიქროს გამუდმებით და  
 არაფერი უნდა აკეთოს საქმიანად და გულმოდგინედ;  
 თავისი განათლებული აზრი უნდა გააჩნდეს სიყვარულის  
 თავისუფლებაზე და პურს არ უნდა ეძალებოდეს, რათა  
 ჰაეროვნება შეინარჩუნოს  
 ბურბუშელის!

• • •

მესიზმრა,  
 თითქოს ნადიდკაცარი მეეზოვე  
 ვიყავი და  
 მზის გულზე ვთვლემდი,  
 ღიმილზე ღიმილით გპასუხობდი, მაგრამ  
 არაფერი მესმოდა შენი...  
 ვერ გცნობდი...  
 მომწონდი, როგორც  
 ცისარტყელა უცხო ქალაქში.

• • •

ეეპ,  
 თქვენ მაინც რალა დაგემართათ,  
 ჩვენი უბნის კაი ბიჭებო?  
 რად გადასცვალეთ ჩვენი უბანი

ზოგმა  
 „სიცილის ოთახებზე“,  
 განათუ ჩვენი აღტაცების სარკეებში  
 თქვენი თავი გეპატარავთ?



ჩვენ  
ქიციც ვიცი და  
ქიცმატურიც,  
ვიციც,  
რა გვინდა,  
ვიციც,

რას ვშვრებით,  
მაგრამ —  
მაგარო! —  
საქმე ის არის...  
არ გვბატიობენ ტყუილს  
ბავშვები!..

• • •

დამდგარ წყალში გაისროლე,  
როგორც კენჭი,  
ეჭვი.  
ის, რაც მაშინ აისრულე,  
როგორც ბიჭვი,  
გეწვის.

გაგიტაცა ზედაპირზე ცქერამ ლამაზ  
წრეწირების —  
ახლა იმ ბიჭვს და იმ ეჭვებს  
იმ კენჭივით ეწირები...  
იძირები.

• • •

ზღვა,  
აგარაკი,  
თეთრი კედელი,  
სამი კედრის ხე  
და მწვანე მოლი;  
მზე  
და ღიმილი შენი — სინაზე  
მდიდარი კაცის კეთილი ცოლის...  
დიღბანს,  
ო, დიღბანს იდექი ასე,

ვით ნაწვიმარი ქალაქის ცენტრი  
ზაფხულის ღამეს,  
ათასსანთლიან ნათურებით  
საზეიმოდ განათებული...  
და კიდევ დიდბანს შურდათ შენი  
გარეუბანში  
ტიპიურ სახლებს...  
და იმ თეთრ კედელს,  
სურომ რომ სჭამა,  
პაერში  
რევედა  
უჩუმრად  
სიო...

### დემოგრაფიული პრობლემა

აღარ არიან გიეპოეტები,  
გაჩეჩილი ფილოსოფოსები,  
გამოჩერჩეებულნი პროფესორები...  
საგარძნობლად იკლო

არიფების,  
გოიმების,  
კეკელკებისა და  
მყუდროების რიცხვმაც.

## მშვენიერი საცთუნებელი

მოთხრობები

სალამი ბატონებო! მოკითხვა ზოოპარკის მუზეუმიდან!.. რკინასა და მინაში ჩასმული გველებისგან! მათი სახელით ვწერ ამ წერილს. მომიტევეთ, თუ რაიმე ისეთი წამომცდა, რაც გაგალიზიანებთ. ჩვენ არ ვაპირებთ დიდაქტიურ ბარათის მოწერას. წმინდანები რომ არა ვართ, ვიცით. უბრალოდ. გვინდა გაგიზიაროთ ზოგიერთი გამოცდილება. ერთი შეკითხვაც გვაქვს.

ბატონებო! გალიიდან ხშირად გაკვირდებით და ეხედებით, რომ... არ გიყვარვართ. აქამდე ვერ გაგვიგია, რა არის ამის მიზეზი. ნუთუ ის, რომ სლიპნი და ხორკლიანნი ვართ? მართალია, ზოგიერთი თქვენგანი ლამაზადაც გვთვლის... (პოეტური ბუნების ადამიანები, უფრო ქალები), მაგრამ... უმრავლესობას მაინც ვეზიზღებით.

თუმცა, რასაც ვამბობ, შეიძლება ჩვენი კომპლექსის ბრალიცაა. ჩვენ ხშირად ვიცვლით ტყავს და ტყავის გამოცვლისას ამაზრზენნი ვართ ხოლმე. ეს კი საყმაწვილო სენს გავს (რა უნდა იყოს იმაზე საშინელი, როცა ლამაზ ყრმას ან ქალწულს საბეზე ან ტანზე გამოაყრის?). სწორედ ეს საბედისწერო ფერისცვალებაა ალბათ (ტყავის გამოცვლისას) ჩვენს არასრულფასოვნების კომპლექსს რომ აყალიბებს.

მაგრამ, ამაზე შემდეგ...

ჩვენდამი შიში ჩვენივე შხამით არის გამოწვეული. რაზეც ღმერთს მადლობას ვწირავთ. უშხამოდ ხომ ჩვენ საზოგადოებრივი კიბები ვიქნებოდით და სხვა არაფერი: გონიერ არსებებადაც გვთვლით... მაგრამ რაც არ უნდა გონიერი ვიყოთ. თქვენ მაინც ვერ შეგედრებით მოხერხებითა და ეშმაკობით. აქი მოახერხეთ ჩვენი დაჭერა და რკინასა და მინაში ჩასმა. ამას კი ადამიანის გარდა ვერაფერს მოახერხებდა.

ბატონებო, შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ რასაც ახლა გეტყვით, ლამაზი სიტყვისთვის არ ვამბობთ. ჩვენ გვიყვარხართ თქვენ!

ღიან, სწორედაც რომ არ გვძულხართ და ალბათ ეს არის სწორედ სიყვარული... თუმცა, როგორც გავიგეთ, არსებობს სხვა სიყვარულიც. როცა თურმე მოყვასი საკუთარ თავზე მეტად გიყვარს. მაგრამ ეს მე მგონი სისულელეა და თქვენშიც ალბათ ძალიან ცოტაა ამგვარი ბრაყევი.

ახლა კი გვინდა ავიხსნათ ჩვენი აღმშოთების მიზეზი იმ ერთი შემთხვევის გამო, რომლის მიმართაც, იმედი გვაქვს. გულგრილი არ დარჩებით და პირობას მოგვეცემთ, რომ ამიერიდან მსგავსი ინციდენტი არ განმეორდება. (ჩვენი აზრით, მსგავსი რამ არც უნდა მოხდეს ცივილიზებულ სამყაროში).

ეს ორი კვირის წინ მოხდა.

სალამო იყო.

უცებ მუზეუმის კარი გაიღო და 10 წლის გოგონა და მალალი, შედარებით ახალგაზრდა, გამხდარი მამაკაცი შემოვიდა (ეტყობა, მამა-შვილი იყო, რადგან საშინლად გავდნენ ერთმანეთს). რაღაც უცნაური იერი ელო ამ მამა-შვილს. ორივეს მალალი, სპეტაკი შუბლი და ცეცხლოვანი, თუმცა ნაღვლიანი თვალები ჰქონდათ.

მამაკაცი ჩვენს დანახვაზე მოიღუწა, მერე სახეზე ღიმილმა გადაუარა, ილლიდან უცნაური ნივთი გამოიღო, რომელიც აქამდე არც შეგვიჩნევია (და რომელიც ვიოლინო გამოდგა), ერთი ნაბიჯი წინ წამოდგა და... ააჭვითინა ჯადოსნური საყრავი.

ამას არც ერთი ჩვენგანი არ ელოდა.

მთელი საგველეთი მივაწყდით გალიის მინებს, რათა არაფერი გამოგვპარვოდა ამ ღვთაებრივი მელოდიიდან... სულმოუთქმელად ვიჭერდით ჰაერში მოფარდებულ, მშვენიერ ზეგონებს, თვალზე ცრემლი გვადგებოდა... გვაგონდებოდა თავისუფლება... დიახ. ჩვენ შეგვეძლო დაუსრულებლად გვესმინა ეს მელოდია... დაბოლოს, დაკვრა შეწყდა.

მამაკაცი ერთხანს მდუმარედ გვიყურებდა. მერე დაბნეულად გაიღიმა, ბავშვს რაღაცა უთბრა და... ორივენი გავიდნენ.

ახლაც კი, როცა ვიგონებ ამ წუთს, სიბრაზისაგან ვკანკალებ.

რა იყო ეს? დაციწვა თუ სიბრალული? თუ დაციწვა იყო, კიდევ არაფერი, მაგრამ ამ კაცს ნაღვლიანი სახე ჰქონდა... ბავშვსაც! ის დაბნეული ღიმილიც არ ამომდის თავიდან! ჰო! რა თქმა უნდა სიბრალული იყო, დასწყევლოს ეშმაკმა! ალბათ შეებრაღა გალიაში გამოკეტილი თავისუფლებამართებული გველები და... შეგვიბრაღაჰ!!!

ამას კი ნაღვლად ვერ ავიტანთ, ბატონებო!

იმ დღეს ჩვენ მზად ვიყავით გაგვემსხვრია მინები და რკინები, მოგვეძებ-

ნა ის ბავშვი და კაცი, დაგვეპოვა. დაგვეგესლა, დაგვეგლიჯა. დაგვეტყუა. მერე თუნდ მოვკვდავდებოდა.

მაგრამ ის მუსიკა! ღმერთო ჩემო! ის მუსიკა ხომ ჩვენში დარჩება სამუდამოდ! არა, ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს! ყველაფრის ატანა შეუძლია გველს, მაგრამ სიბრალულისა კი — არა! იმ მუსიკის მოსმენის შემდეგ კი საშინლად დამკირებულად ვგრძობდით თავს. ერთმა განსწავლულმა ასპიტმა თქვა, ეს — შუბერტის „ავე მარია“ იყო. შეიძლება ასეც არის, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას? ჩვენ მასხარად აგვიგდეს... არა, რას ვამბობ... შეგვიბრაღეს! მტერსაც არ ვუსურვებ ასეთ რამეს. სწორედ ეს უნდა გვეკითხა თქვენთვის, ბატონებო! საიდან ჩნდებიან თქვენში ისეთი ადამიანები, ვისაც თავისი წყეული ნიჭით და გაუაზრებელი მოქმედებით ძალუძთ ალაშფოთონ უნასებიც კი, რომლებიც ყველაზე ცივსისხლიან არსებებად ითვლებიან? არადა, იმ ადამიანის მოჭედება მართლაც გაუაზრებელი იყო. მას ეს თავისი ეგრეთწოდებული კეთილშობილებით მოუვიდა ალბათ. ისე კი, გეტყვით რომ ჩვენ ამაზე დიდი დამკირება არ გადაგვიტანია. ახლა კი კმა-რა! რის ცივსისხლიანები ვართ, თუ თავს ვერ შევიკავებთ (რაც არ უნდა დიდი იყოს შეურაცხყოფა).

ჩვენ არ გვითქვამს, რომ ტყავის გამოცვლის უამს განმარტოვებას მიველტვით ხოლმე. ჰოდა, უნდა გითხრათ, რომ იმ მელოდიის მოსმენის შემდეგ ბევრ ჩვენგანს გაუჩნდა სურვილი განმარტოვებისა.

დიახ... ვეყარებით ცალ-ცალკე გალიის ფსკერზე და მკმუნვარედ ვუმზერდით, ჩვენს მნახველებს. ერთი სიტყვით, ჩვენ ტყავს ვიცვლიდით. მაგრამ ეს სხვაგვარი ტყავის გამოცვლა იყო. საშინლად უმწეონი გვეგონა თავი. საჭირო იყო სიმხნევის მოპოვება და ეს იმ ასპიტმა მოახერხა, რომელმაც მელოდიაში „ავე მარია“ შეიკნო.

იგი ნელა მიუახლოვდა დედალ კრელ

უნასს, რომელიც თავისი ლამაზი ტანით გამოირჩევა და ახლოს მიუწვა. ჭრე ყურადღება არ მიგვიქცევია მათვის. ისინი ფრთხილად გაეხახუნენ ერთმანეთს, მერე მძლავრად, დაბოლოს ერთ ერთ გორგალად იქცნენ. ერთ-ერთმა დაგვიარა. ყველამ მათკენ მივაბრუნეთ თავი, ისინი კი თავგამოდებით ეტრფოდნენ ერთერთს.

და უცებ... ასპიტმა თავისი შხამიანი კბილები ყელში ჩაასო სატრფოს. ერთბაშად შევკრთით! მერე... გონება გაგვიანათდა და... ასპიტის სიბრძნით საშინლად კმაყოფილნი, საზარელი ზმით ავისისინდით. მივხვდით, რომ ტყავის გამოცვლა დამთავრდა.

ონე  
თე  
ინი

## ილუზიონისტი

ქუჩაში მივდიოდი. ცივი. უსიამო დღე იდგა. ცრიდა. ქარი ჭროდა და ციოდა. უცებ ზურგზე ხელის შეხება ვიგრძენი. შემოვბრუნდი. ჩემ წინ მალაღლი, ჩამომხმარი კაცი იდგა. რომელსაც რალაც ანათროსმაგვარი ტანსაცმელი ეცვა. იგი ჩემკენ გადმოიხარა, გაიღიმა და ჩურჩულით თქვა:

— მე შენ გიყვან!  
დაბნეულად მივაჩერდი.  
მან ხელმკლავი გამოიყარა და თავისი გზით გამიტაცა.  
— აქ შევიდეთ! — მიმითითა რომელიღაც ეზოზე.

ანგარიშმიუცემლად მივეყვი.  
ეზოში ნაძვების ბეივანი იყო. მან ბეივანში შემიყვანა, სკამზე ჩამოჯდა და მეც მთხოვა, დამეჯდარიყავი. დავჯექი. იგი გაბრწყინებული თვალებით მიმზერდა.

— მაშ ეს შენა ხარ? — მეითხა და ისევ გაიღიმა.  
მხრები ავიჩეჩე.  
არაფერი მიბასუბია.

— ეს ცის განსნასავიო იყო, — ყვებოდა იგი. — ჩაუთქვი, რომ თუ დღეს ქუჩაში გავიდოდი, მე-12 შემხვედარი

ჩვენ ავითვისეთ ახალე კრებულებას!  
— სიყვარული სასიკვდილო სიხვედრებზე ბელაია!

(სიყვარული აქ ზოგადი მნიშვნელობით იხმარება, ქალბატონო!)  
მართლაც, სიყვარული ახლაც და წინა შემთხვევაშიც ხაფანგი გამოდგა.

ამ შემთხვევამ ისევ შეგვმატა საკუთარი თავის რწმენა და ღიმილით გადავხედე ასპიტს, რომელიც თავისი მკვდარი სატრფოს სხეულს კედლისკენ მიათრევდა, მადლობა შევწირეთ და გავიტრუნეთ რალაც სიახლის მოლოდინში... თუმცა, რა უნდა ყოფილიყო ეს სიახლე, რომ გეკითხათ, ვერავინ გეტყოდით...

ჩემზე უფრო ტანჯული სულის მქონე ადამიანი იქნებოდა. ვინა ხარ? — ჭიქურ შეშეკითხა იგი.

— ადამიანი, — მივუგე მცირე ხნის დუმილის შემდეგ.  
მან თავი დაიქნია.  
— პო, — თქვა. — ადამიანი... მაგრამ ხელობით... რა პროფესიის ხარ?  
— ამას რა მნიშვნელობა აქვს, — ვთქვი მე. — მთავარია, რომ დიდად მზიარული ადამიანი მართლაც არა ვარ.  
— შენ ხელოვანი ხარ! — თქვა მან უცებ.

თავი დავექნიე.  
— პოეტო? — მეითხა.  
გაკვირვებით შევხედე.  
მას სიცილი წასკდა.  
მან მზიარულად გადაიხარხარა. მერე უცებ მოსხიპა სიცილი. ერთხანს გარინდებულ იქდა. შემდეგ პირი ყურთან მომიტანა და ჩუმად, სისინით თქვა:  
— სულელიც ყოფილხარ!  
— არ შესის! — ვთქვი ოდნავი გაბრაზებით.

ხელი ჩაიქნია.  
უცებ ცისკენ აღმავრო თვალეები, ხელები საყვირივით მიიღო პირზე და

ხმამალა, ყვირილით, სიმღერასავით დაიწყო:

— გეტანჯავ ხოლმე, უფალო, რისთვის?! ცოდვილად გვაქცევ ხოლმე, რისთვის? ჯვარზე გვაჯრავ ხოლმე, რისთვის?! გვსრავს ამოების ტვირთქვეშ, რისთვის?! რისთვის! რისთვის! რისთვის!

ცივად წამოვდექი.

— მოიცა! — წამოხტა იგი, — სად მიდიხარ?!

— მეჩქარება! — ვთქვი მე.

— ეწყინა, — ჩაფიქრებით თქვა მან, მერე თითი მომაშვირა. — გეწყინა? — გაიმეორა.

მხრები ავიჩეჩე.

მან ხელები პეშვებად შეკრა.

უცებ მის პეშვებში ცეცხლმა იელვა.

— ნახე! — ჩამახედა პეშვებში.

იქ ორი, დიდი ბრილიანტი ენთო.

— ერთი ჩემი სულაია, მეორე კი ჩემი სატრაფოსი, — თქვა მან. — იცი, ვინ არის ჩემი სატრაფო?

თავი გავიქნიე.

— მშვე-ნი-ე-რე-ბა! — დამარცვლით თქვა მან. — ჩვენ ყველას ხელში გვიკირავს როგორც საკუთარი თავი, ასევე ჩვენს შემეცნებაში არსებული მშვენიერება. ხედავ, როგორი მხურვალე, თვალისმომკრელი ალით იწვიან ორივენი? მაგრამ, რაც უნდა დაგვწვას ამ

საუნჯებ, მაინც არ უნდა გვფიქვოდ დაგვიღიან. ასე არ არის? ბიზლირეთეჰ

— არ ვიცი! — ვთქვი ყრუდ.

მან ბრილიანტები ძირს დაყარა.

ისინი უბრალო ქვის კენჭებად იქცნენ.

— ხედავ? — თქვა მან. — საკმარისია ხელიდან გაუშვა ისინი და ფა-ფუ!

— მაგრამ ისინი ახლა იმას წარმოადგენენ, რაც ნამდვილად არიან! — ვთქვი მე.

იგი დაკვირვებით მომაშტერდა.

— აჰ, ასე, — თქვა და მოილუშა.

ერთხანს დუმილი ჩამოწვა.

— წავალ, — ვთქვი ბოლოს და წამოვდექი. მას არაფერი უთქვამს.

მივდიოდი და მეღიმებოდა, როცა იმ საბრალო ილუზიონისტს ვიგონებდი, რომელსაც რაღაც მანქანებით შეეძლო ცეცხლი გაეჩინა უბრალო ქვებისთვის... ჰო, ცეცხლს ეთამაშებოდა ილუზიონისტი... მაგრამ მე იგი ვიცანი. ამ ათიოდე წლის წინ ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა. ცირკიდან ლოთობისთვის გამოაგდეს. ამის შემდეგ არ მინახავს... ამბობდნენ, საღლაც რაიონებში გამოდიოდა...

მივდიოდი და მეღიმებოდა. მაგრამ უცებ ღიმილი პირზე შემეყინა და გავიფიქრე — ნუთუ მართლაც სასაცილო იყო ყველაფერი ეს?

## ვგანდო უკედოდ?

ბადე ბაილებს...

ბ. ჩიქოვანი.

აბლაბუდაზე წმინდა,  
აბლაბუდაზე თხელი  
ბადე გაგბანდო, მინდა,  
თუ მომემართა ხელი.  
აბლაბუდაზე მჩატე  
მინდა მოვექსოვო ბადე.  
მაგრამ გამირბის წვერი.  
ხედავ, მახსოვდა არც კი  
ჩემი მუღმივი მტერი —

ჩასაფრებული მარცხი!  
დაბედებულად დაბუ-  
დებულა  
სამუდამოდ.  
უიმედობას ბადებს.  
ვბანდო  
უბედოდ  
ბადე?

## პატარა აზგაპი

ამთქნარებს ველი.  
გათენება უკვე აუწყეს.  
გაიზმორა და  
დილის რბოლას  
ფეხი აუწყო.  
ადრე ამდგარი  
სამი მტკაელით უკვე წინ არის.

აი, გვირილა არ ილვიძებს,  
თავს იმძინარებს —  
სურს, ბოლომდე ნახოს სიზმარი,  
ის კი გაუწყდა.  
კვდება ტირილით.  
ვინ გადაუბამს  
სიზმარს  
გვირილას?

## მამალი ციცარი

ამ ეზო-ყურემ გამახსენა  
(არ ჩანან არსად)  
ჩვენი ციცარები:  
დედალი მზეზე ნებივრობს ნაზად,  
მამრი კი!...

მამრის მთელი ღირსებით  
თავს დაჰფოფინებს  
და უფარეშებს —  
ხმაურის,  
კვებნის,  
ჩხუბის გარეშე.

## სურათი



ხილის ფარდულთან  
დგას მოხუცი, ხელს ვერ ინაცვლებს.  
აღგილს ეძებს და საზამთროს ვერ  
დებს.

ხილის ფარდულის  
მოშორებით, გაჩერებისკენ  
მოდის ტრამვაი და მოარბევს უზორცო  
ფერდებს.

## წვიმა და ქალაქი

ზაფხულის წვიმა იწყება ასე:  
მტკრიან ასფალტზე  
უცბად მოყრის აბაზიანებს;  
გარბი-გამორბის  
ხალხი, თავზე იფარებს გაზეთს.  
წვიმა ყველასთვის მოდის ზიარი.  
ისმის ტკაპუნი მსხვილი წვეთების.

— ამ ღია ცის ქვეშ  
თავლია ნუ ხართ.  
ჩვენთან შემოდით, ყველა ვეტყვიო! —  
უზმობენ უცნობ ადამიანებს.  
წვიმა კი ისევე ჩამოდის უხვად,  
დაქსაქსულ ქალაქს  
კვლავ ამთლიანებს.

## ერთი...

„ერთი ფერდელა მედგას შრამელი,  
ერთი შქერის ღობე ეკრას“ —  
ნატრობს სრა-სასახლის პატრონი,  
სახსრებს იზელს და იგერიებს  
ნეკრესს.

„ერთი შუბლკიოფა  
უშობელი მყავდეს და

ვატყსა და ეიოჟი  
ფებუცმელი დავდედე.  
ერთი ეს პოდაგრა  
ასე არ მკლავდეს და  
ბალახში ვწვებოდე,  
და ქვაზე თავს ედებდე“.

## სამძიმოდ მიჩანს

ენა და გული  
როცა ერთურთს არ ემოწმება,  
განა ტყუილს და მართალს შორის  
ვერ ვხედავ მიჩანს?

მაგრამ ისეთი გულწრფელობით  
არავლწრფელობ,  
რომ გულწრფელი ხარ...  
და გამხილო,  
სამძიმოდ მიჩანს.

## შვილი

რა უნდა გთხოვო?  
არ გეკამოს არსად სირცხვილი.  
ამ საფქვეს ვერ ფქვეს

ჩემი,  
შენი,  
ჩვენი



წისქვილი.  
 იმაზე მეტი  
 არ გენახოს, შვილო, დარცხვენა,  
 მარჯვენა ფეხზე  
 ფეხსაცმელი გაცევა მარცხენა,

ორი მჭილი რომ მოგეტანა  
 შემცბარ თვალებთან *ეროვნული*  
 და თავჩაქინდრულს *ბიბლიოთეკა*  
 ყურის წვერი გიპარპალებდა.  
 ამაზე მეტი არ გეკამოს,  
 შვილო, სირცხვილი.

### ქველი ბერძნები აზოგდნენ

ამბობდნენ ქველი ბერძნები, რომ  
 ვერ გადადის ნათელში ბნელი,  
 სიცივე — სითბოში;  
 ბოროტისაგან ვერ წარმოქმნის

ვერავენ კეთილს.  
 უბრალოდ, უნდა მოვიდეს ერთი  
 და მეორე  
 განდევნოს კეტით.

### შუაყვარდა


სხვისგან არაფრით გამოჩნეულ,  
 უფერულ გოგოს  
 ფერიული განეცადა  
 ფერისცვალება —  
 მზე დაეკვირა ფართო თვლებით  
 და ელვარებდა.

ბიჭებმა პირი დაადეს და  
 გოგოებმა ღაწვზე იპყინეს —  
 გაოცება ნახეთ უბირთა!  
 აბა, უსზივოდ  
 ბრილიანტიც ხომ ვერ იბრწყინებს,  
 რა გაუკვირდათ?

### როგორ ვცხოვრობდით

როგორ ვცხოვრობდით?  
 — არა გვიშავდა,  
 შესაფერისად დროთა.  
 საერთო ბევრი გვქონდა ყოველთვის,  
 განსხვავებული — ცოტა.  
 როგორ ვცხოვრობდით?  
 — არა გვიშავდა,  
 შესაფერისად დროთა.  
 „ბევრი“ მაინც ვერ გვაკავშირებდა,  
 უმალ გვთიშავდა  
 „ცოტა“.

როგორ ვცხოვრობდით?  
 — მოკლედ, ღმერთივით!  
 დავუმატებდი ერთსაც:  
 კენტ-კენტად იყო ყველა კეთილი,  
 ყველა ბოროტი — ერთად.  
 P. S. როგორ ვცხოვრობდით?  
 — ისე! ვწვავლობდით!  
 იმედი როგორ არ მოგვეკლა —  
 იმას ვსწავლობდით.



## ბაბუ მუხარინი

### სიცოცხლისადმი

ო, სიცოცხლეო, მიყვარხარ ისე,  
დაკარგვის წუთში როგორაც უყვართ  
უსაყვარლესი არსება, ვისზეც  
ხამს სიკვდილამდე ლოცვა და ნუკვა.

ერთხელაც გთმობდი, მაგრამ ვისთვისაც  
გთმობდი,  
ის ღმერთმა მიჩუქა კვლავაც

ანუ ხელახლა ამიგიზგიზა  
ცა კუქუნახი და უვარსკვლავო.

წასვლის ზარი რომ დარეკავს ყოლთს  
და მოინატრებს სული ტატნობებს, რა  
მე შენს სიყვარულს არ გავიყოლებ  
თან,  
უკანასკნელ ცრემლში დაეტოვებ.

### მერე რა...

ვამჩნევ: კოჭლია ყველა ანდაზა  
და განკითხვაა ყველა მხილება,  
მიბრმავდებიან თვალნი გზადაგზა,  
გზადაგზა თვალნი მებხილებიან.

მიბრმავდებიან, რომ ვერ ვიხილო,  
რომ დავინახო, მებხილებიან,

რომ ვერ გაგებდო და ვერ ვიხილო,  
ირგვლივ ისეთი ხეხილებია.

მაგრამ მე მაინც ვიხილო უნდა,  
უნდა ბოლომდე შევსვა ფიალა...  
მერე რა,  
სვე თუ გამიდიდგულდა  
და ბედისწერაც სინჯავს იარაღს.


### შენ მოხვალ დღეს

ცრემლით რომ ვიხმობ არ გესმის,  
არ გეყურება ოხვრაც,  
სიკვდილით რომ დაგიძახებ,  
ნეტავ მაშინ თუ მოხვალ.

ჯავრი არ გჭონდეს, მოგიხმობ  
უკანასკნელი მხსნელით —  
სიკვდილით,

გულზე ოღონდაც  
შენ დამიკრიფე ხელი.

სიცოცხლეს მერე დავიწყებ,  
მერე,  
შენ მოხვალ ოდეს...  
და შური ჩემი სენაკის  
გულზე გაბეთქავს ოდებს.



• • •

თავდასაცავად კუს ბაკანი აქვს,  
სიმამაცა ჩემი ბანაკი;  
რომ მაქვს,  
მანამდე ვერ დავამტკიცებ,  
თუ დღეშმანს თავი არ შევცავალი.

• • •

სულო თითქოს მიდგახარ,  
არც მიდგახარ ამავე დროს,  
დაშრეტილხარ ცრემლებად,  
ვცადო ვერ გაგაავდრო.

თითქოს ამოწვალული  
იყო...  
ხარ და არცა ხარ,  
რანაირი მშიშარა,  
რანაირი ცახცახა!

კირში გამოხარშულო,  
ლხინში გამოხარშულო,  
მღვარი სიკვდილის პირას  
თქვი რის გამო ხარ, სულო.

— შორს წაგვიყვანს ძალიან  
რაც მკლავს, მაგის მოყოლა...  
თან არც ვინ დამიჭერებს,  
თვით ძმა მყარის ქოქოლას.

### როგორ დაილიე

მთვარევე, წუხელ მშობლიური თრიალეთის  
ქედის გასწვრივ, მთელი ღამე, დილაამდე  
ზაფრანისფერ ნათლით როგორ ბღღვრიალებდი,  
ცასა და ხმელს პფენდი რა სიღიადეს?!

უსტკენს ჩიტი, მაგრამ სტვენა მე არ მესმის,  
ვკვრებ: უკვდება ჩინარს ჩრდილი წერწყეტა...  
იმოდენა სინათლისგან ერთ ღამეში  
მთვარევე, როგორ დაილიე წვეთ-წვეთად?!

### მაინც დამინდო

ამიტომ და იმიტომ,  
იმიტომ და ამიტომ  
დასანდობი არ ვიყავ.  
ღმერთმა მაინც დამინდო.

როგორ გამომჯობინდი  
ბედისწერის ამინდო?!  
სიხარულის ცრემლებმა  
სასთუმალი დამილტო.

ნოდარ შამანაძე

## გატყუნილი სეიფი

მოთხრობა

ადამიანის ცხოვრებაში ზოგჯერ გამოერევა ისეთი დღე, არასდროს რომ არ დაავიწყდება. ჩემთვის ასეთი დღე 1957 წლის ხუთი ივლისია... მეორე სემესტრის გამოცდები როგორც იქნა გადავახიორე და უკვე შესაძენ კურსის სტუდენტი იენისის ბოლოს მშობლიურ სოფელში ავედი, საზაფხულო არდადეგები ლაღად და მზიარულად რომ გამეტარებინა. კაცმა რომ თქვას, კი მქონდა მზიარულების საბაბი: რაღაც უჩვეულო ფაზი ჩამოვდგა, უნულთ შებოჭილი ცხოვრების მდინარე ერთბაშად დაიძრა, აბოლოქდა, ბევრ რამეს ფარდა აეხადა და უჩინარი საჩინო გახდა. თუმცა მე ისევ ჭურში ვიჯექი, მოულოდნელი პოლიტიკური ცვლილებები მაეჭვებდა, მაღიზიანებდა. ბაღლობიდან ტვინში ჩაკერული კერპების დაცემასა და დამსხვრევას ვერ ვუარიგებოდი. მეც იმ ახალგაზრდაებში ვერვი, მარტის სუსხიან დღეებში მტკერის სანაპიროზე აღმართულ ძეგლთან რომ იდგნენ, ღამეებს ათვებდნენ და სახელდახელოდ მონყობილ ტრიბუნაზე სახოტბო ლექსებისა და დითირამების თქმაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

ჩემი ერთი მამიდაშვილი რაიონის მილიციის უფროსი იყო.

რაიონში ჩასვლის დღესვე მატარებლიდან პირდაპირ მილიციას მივაშურე. მამიდაშვილი არ დამიხვდა, მივლინებაშიაო, მითხრეს. რამდენიმე დღის შემდეგ ვინახულე, ხუთ ივლისს... თურმე ისიც მოუთმუნლად შელოდა.

— ნუხელ სეიფში ისეთი „საგანძური“ აღმოვაჩინე, მილიციის გამოცდილ მუშაკად ვითვლები და ზოგი რამ მეც კი გამიკვირდა, თანაც, ცოტა არ იყოს, შეეწუხდი. ვერც ვერანგს გაუწუხილდე. შენ განატრე. სწორედ კარგ დროს მოხვედი. თუმცა კერპების გამოუსწორებელი მუხობე ხარ, იმ „საბუთებს“ რომ ნაიკითხავ, ბევრ რამეზე თვალი აგვიხილება და, მე მგონი, სულ სხვა პანგზე

აქიჭვივები, — გამიცინა მან და ხელი მომხვია, მერე კი წინ გამიძღვა, გისოსებიან ოთახში შემეყვანა.

ის ოთახი საგანგებო განყოფილების მუშაკს ეკუთვნოდა თურმე, ყველას შიშის ზარს სცემდა, კარს რაიკომის მდივანიც კი ვერ შეუღებდაო. ორმოცდაათექსმეტი წლის ბოლოს განყოფილება გაუშქმებიათ. ოთახი და მისი ავეჯი მილიციას გამოუყენებია. მხოლოდ რკინის სეიფი მდგარა კუთხეში ხელუხლებლად. თავდაპირველად მისი გამოყენებაც უცდიათ, მაგრამ გასაღები ვერ უძოვიათ. მერე კი მიჩრჩენილა და მიჩრჩენილა.

— ამ ბოლო დროს ცნობისმოყვარეობამ წამძლია, დავინტერესდი, ვნახო ერთი, ამ სეიფში რა საგანძური იმალება-მეთქი. ნუხელ ერთი ხელმარჯვე ხელოსანი მოვიყვანე და გავატეხინე, — მითხრა მამიდაშვილმა, მერე სეიფის კარი გამოაღო და კონა-კონად შეკრული, გაყვითლებული ფურცლები მაგიდაზე დამიხვავა: ნაიკითხე, მწერალი კაცი ხარ, იქნებ რამეში გამოიყენო, ოღონდ არავისთან დაგცდეს, თუმცა ახლა ასეთ საჩუშაოთ რამეებს ყურადღებას აღარ აქცევენ, მაგრამ მაინც თავდაჭერილად უნდა ვიყოთ, ვინ იცის, შეიძლება დრო ისევ შებრუნდეს, ეშმაკი არც ხნაჟს და არც თესასოს.

მან კარი გაიხურა და გავიდა. შევჩინე ვამგადასულ, გაყვითლებულ ქაღალდებს პირისპირ მარტოდმარტო. ყოველმა ფურცელმა სული შემიძრა და ამიფორიაჟა.

ის ზაფხული სეიფის „საგანძურზე“ ფიქრში გადატარე. ზოგი რამ მე თვითონ გამახსენდა, ზოგიც ახლობლებსა და მეზობლებს ვაამბობინე, ამონაწერები ახალი ცნობებითა და მოგონებებით გავამდიდრე.

ახლა მთელი ეს მასალა წინ მიდევს მაგიდაზე. ვინ იცის, მერამდენად კვითხოლობ, ვფიქრობ, უხმოდ ვმსჯელობ. ჩემი გასაკეთებელი საქმე სრულიად უმნიშვნელოა: მინდა

ენობრივი შეცდომები გავასწორო, ალაგ-ალაგ კოჭლი წინადადებები გავმართო, გაეშალა მინო, თანაც ნომრების მიხედვით დალაგებული ფურცლები ხელახლა დავაჯგუფო, მთავარი არა თორიადისგან გამოვეყო, აგრეთვე შენიშვნები დავეურთო, ზოგი რამ განემარტო... სათქმელს კი სეიფის „საგანძურის“ იტყვის.

დანოზირილი ფურცლები

№ 129

...სოფელ ნაგუთნარში დღეს დილით კონტრევოლუციური დანაშაული მოხდა. სოციალისმის დაუთინებელმა მტერმა, ხალხის პირნაწარდნილმა მოლაღატემ გზის პირას, ტყემლის ხეზე, ჩამოკიდა გამზრჩავლი დედალი, ფეხზე კი პროკლამაცია გამოაბა. ზედ უწერა: „ველარ შევიდელი 75 კვერცხის დადებამა იძულებული შევიქენი, გამწარებელი სოცოცხლე თვითმკვლელობით დაშემთავრებინა“.

ეს ანტისოციალისტური ამბავი იმ ადგილას მოხდა, ორი პარალელური შარაგზა „მაატა-ოზე“ რომ გამოდის. იქ ხალხი ყოველთვის მიდი-მოდის. მე ნისტქელი მივეშურებოდი. შეჯგუფული ხალხი დავიწახე თუ არა, ფეხს ავურქარე. კიდეც მივედი და იმ მანებლური განცხადების ნაკითხვაც მოვასწარი, ერთი ცილაც ქაბუკი კატასავით შეხტა, ცალი ხელი ტოტს ჩააღო, მერე ტანი ხსარტად აიქნია, მეორე ხელით პროკლამაციას მისწავა, ჩამოხია და ნაკუნ-ნაკუნად აქცია, თანაც გაბრაზებულმა შესძახა: ვინ ოხერმა იმამაძალა, ამ ამბავმა შარსა და შარამათს არ გადაგვიდოსო.

იმ შეჯგუფულ ხალხში გოჩა ბატვარაძეც უნა, ოღონდ ცოტა მოშორებით იდგა. რალაც ნამეტანი დაძებული ჩანდა, გაფაციცებით იყურებოდა აქეთ იქით, არ გამოშვებოდა ვინ რას იტყვისო. ვველა წარბშეყრული და შეცბუნებული ჩანდა, გოჩა კი უღვაშებში იღიმებოდა. ქაბუკმა ქალადი რომ დაანაკუნა, გოჩამ ჩუმად ჩაილაპარაკა: ანი გინდ დახი, გინდ არა, რა ბედენაა, მაცან თავის საქმე უკვე გააკეთაო.

ძალიან ენანობ, პროკლამაცია ხელში რომ ვერ ჩაეჭდებოდა ის რომ თქვენთვის წარმოშედგინა, ხალხის მტერს აფილად გამოიჭყრდით ხელნაწერის მიხედვით. თუმცა დამნაშაუის ენაობის დადგენა ძნელი სულაც არაა. როგორც ორჯერ ორი ოთხია, ასე დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ქათამიც გოჩამ ჩამოკიდა და ზედ პროკლამაციაც მანვე მიაქრა.

წარმომიდეგნის დამამტყიცებელ საბუთებს: 1. გოჩას ენობი თუ გადაიხებდავთ, დანახავთ ზუსტად ისეთ დედლებს, ხეზე რომ იყო

ჩამოკიდებული ისეთივე მრგვალები ტანმო-რჩილები, ერუნები, კისერშეჭეტილები სიტყვით, ოტისოფენა განტყუებულნი მოაჩნენ.

11. სარკმლიდან დაკინახე: გოჩა დღეს დილით აღიონზე გავიდა ჭიშკრიდან, ხელში რალაც ეჭირა ფუთასავით. შემცბარი ჩანდა, გაფაციცებით იხედებოდა აქეთ-იქით, თვალს ხომ არავინ მადევნებსო.

111. როგორც უკვე ვთქვით, იმ მნევე ეითარებაში თითქმის ვველას სახე დაძმარებოდა, თითქმის მგლოვიარეები არიანო. გოჩა კი გაჯგომული იდგა და ამრეზით იყურებოდა. იმ ნუთში რომ შეგეხებათ, იფიქრებდით: გამწარჯვებას ზეიმობსო.

1V. განა შემთხვევით წასცდა: ამ ქალადმა თავისი საქმე უკვე გააკეთაო? მის ხმაში სიხარული იგრძნობოდა.

...ამ ამბავთან დაკავშირებით თუ კიდეც რამე გავიგე, დაუყოვნებლივ შეგატყობინებთ. მინაწერი:

პროკლამაცია რომ დახია, იმ ქაბუკის ეინობას უეჭველად დაგიფგენთ.

ვასიკო ბატვარაძე, 1935 წ., 12 მაისი.

შენიშვნები:

1. ვველა ფურცელი იწყება მიმართვით: „ველადებული ვარ, გაცნობით, რომ...“ ამ მიმართვის გაშეორებანი მომამებრებელი იქნებოდა. ამიტომ სამი ნეკტილით შევეცადეთ.
2. სამამულლო ომის წინა წლებში, აგრეთვე ომის დროს კვერცხის გადასახადიც იყო. სოფლის ყოველ კომლს ნელინადში 75 კვერცხი უნდა ჩაებარებია დამზადებისათვის.

№ 147

...ის ქაბუკი, პროკლამაცია რომ დახია, ნიკა წიგნიანე ყოფილა — სოფელ ბერისიდან: როგორც ვატყობ, კაი სულის ვინმე არ უნდა იყოს. რა უნდოდა ბერისელ კაცს ნაგუთნარში იმ უთენია? კაი, ექვქათ, სოფელში შემთხვევით მოხვდა, პროკლამაციას რალატომ ხედა, მასთან რა ესაქმებოდა? გამზრჩავლი ქათამიც რომ ჩამოგლიჯა? ქათამს რალას უჩნოდა? აიღო და ძაღლებს მიუჭდო. გოჩას დედლებთან მისი შედარების გზა გადავიჭრა.

გოჩა და ნიკა უეჭველად დანაშაულებრივ კავშირში იმყოფებოდნენ ერთმანეთთან. აღბათ, სხვა თანამოაზრეებიც ჰყავთ. ეს იმ ტყემალთანაც შეინიშნებოდა, გამზრჩავლი დედალი რომ იყო ჩამოკიდებული. იქ დამსწრე ხალხის ჯგროში მხოლოდ ორიოდე კაცი თუ ვიქნებოდათ შემთხვევით მისული, სხვები კი ნამდვილად თანამზრახველები იყვნენ.

ისე დაბარბულებივით ძაღლები მაინც საიდანღა გაჩნდნენ? ორი ძაღლი იყო, ერთი დიდი, ბობობრა, შავი ფერისა, მხარზე თეთრი ნიშანი ჰქონდა ხალივით, მეორე კი მონითალო იყო, ტანად მორჩილი. ქათამი ნუ-

თში დაგლოჯეს და გადაყლაპეს, ერთი პინკუცი არ დარჩენიათ. მე მგონი, ის ძალღებოც საგანგებოდ მოიყვანეს.

...იმედი მაქვს, ბორტება თანდათანობით გამოაშკარავდება.

ვასილ ბაძგარაძე, 1935 წ., 23 მაისი.

შენიშვნა:

1. ნიკა ნინგაძე და გოჩა ბაძგარაძე ნოთელი ხაზებიდან აღნიშნული საერთოდ, საკუთარი სახელები თითქმის ყველა ფურცელში ხაზგასმულია უმთავრესად ნოთელი ფანქრით, ზოგჯერ — ლურჯით.

№ 176

...გუშინ საღამოს ასეთ ამბავს შევესწარი: აღმასხან და გოჩა ბაძგარაძეები ხარებს მიდგინდნენ საძოვარზე (მოგეხსენებათ, ინდივიდები არიან და საკუთარი ხარები ჰყავთ). ხარტყვილები რომ გავიდნენ, შევხედეთ და, ხარებსა მარცხნივ მიღებულს, გოჩამ თავს დაუარა, უნდოდა მარჯვნივ მიებრუნებინა. ხარები გაჯიუტდნენ, ისე და ისე მარცხნივ ცდილობდნენ განაუარებლად.

— ა დალოცვილებს რა კორტიზი შეუჯდათ, ნეტა! — შესძახა აღმასხანმა და ხარებს ისიც გამოიკიდა, სურდა თავის „კაი შეილს“ მიხმარებოდა.

— მე ვიცი, რა კორტიზი შეუჯდათ! — გაიცინა გოჩამ, — ამ შტერებს ჰგონიათ, ქვემოთ იმიტომ გვეძალებიან, სურთ თავიჯდომარესთან მიგვეკონ, კოლეტივი შეგვიყვანონო!..

— თუკი ამდენი იციან, შტერები კი არა, ტყუიანები ყოფილან, — მიუგო აღმასხანმა.

— ჩვენში დარჩეს და, პირუტყვს, მართლაც, მეტი ჭკუა აქვს ზოგიერთ ადამიანზე.

— საუბარი განაგრძო გოჩამ, ხარები რომ მოაბრუნა და გზას ქვემოთ დაუყვა, — თუნდაც ჩვენს მეზობლებზე ვთქვათ. რომ იშურებს ფული და შევიკიდნენ კოლეტივში, რა ეგონათ? ინვალონ და იჯახირონ ახლა ორი კვანჩხა სიმინდისა!..

გოჩა კიდევ აპირებდა რალაციის თქმას, მაგრამ უცებ თვალი მოჰყრა და გაქუმდა.

ვასილ ბაძგარაძე, 1935 წ., 15 ივნისი.

შენიშვნა:

1. „თავის კაი შეილს“-ო, დაცინვით წერს. თუმცა აღმასხანი გოჩას, მართლაც, „კაი შეილს“ ეძახდა თურმე.

№ 191

...გოჩა ბაძგარაძე 1934 წელს თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პირველ კურსზე სწავლობდა. 1935 წლის თებერვალში სოფლად ჩამოვიდა და მის მერე სულ აქაა, ქალაქისკენ აღარც გაუხუდია. ხმა გააერყელა: თბილისის კლიმატმა დამცადა, ანუ გახვდი და აკადემიური შეე

ბუღება ავიღო. ამ ამბავმა მამინეკი დამაქვა. რის ანუ, რა ანუ. უკანმოუხედავად რა უგავს, ბუღას კუდში ხედავს, რა უკანმოუხედავად, კისრამდე ტყავს გააძრობს. ეჭვი გამართლდა: აგერ უკვე ორი თვეა ახალი სასწავლო წელი დაიწყო და გოჩა ისევე შინ დაიბრუნება, ხარებს მიყვებ-მოყვება, მოსაუბლს აბინავეებს, შეშას უზიდება [აქედ გაბოსარკვევია, შეშა საიდან მოაქვს? საკუთარი ტყე არ გააჩნია. პოდა, ვინ აძლევს ნებას, ინდივიდმა საზოგადო ტყიდან შეშა მოიტანოს?].

დავუბრუნდეთ მისი სტუდენტობის ამბავს. ძაღლის თავი აი სად მარხია თურმე: გოჩა უნივერსიტეტიდან გამოგდებული ყოფილა. ამას ნინთ ცოლისძმა მესტურია და მან მოთხრა. ჩემი ცოლისძმა — თომა ჩიჩუა სამტრედიელია. ისიც უნივერსიტეტში სწავლობს, ეკონომიურზე. სტუდენტთა ქალაქში ერთად უცხოვრიათ. მე პირველ ხართულზე ებრძობოდი, გოჩა კი — მეორეზე. უფროსობას გოჩა სამჯერ გაუფრთხილებია: ცნობა მოიტანე, მამამეინი კოლეტივი თუაო. წვენი რომ არ ბრძანდება, რას მიიტანდა?!

თომა გაოცებულია გოჩას საქციელით. რამდენი ეჩიონა, ნუ ჯიუტობთ, შედით კოლეტივში, ხომ ხედავ, სწავლაში ხელი გეშეზაბო? გოჩამ, იცით, რა უპასუხა? ისეთ სწავლას და ისეთ უნივერსიტეტს თავსლადი დავასხი, სტუდენტს ლექციებზე დასასწრებლად დაბდური კალისტრატეს ხელმოწერილი ცნობის წარდგენა რომ სჭირდებაო. კალისტრატე ქიმაძე სერგო ორჯონიკიძის სახელობის ნაგუთნარის კოლეტივურეობას თავიჯდომარეობას, მედგარი ბოლშევიკია, კონტრრევოლუციის წინააღმდეგ შეუპოვარ მებრძოლად ითვლება. გოჩას რომ ჰკითხო, დაბდურიაო. დაბდური მიტომია, კერძო შესაკუთრების ღდინს რომ აცოდის და თავებზე აწყვეტილებს. ასე უნდა, აპა, რა, ვინც სოციალიზმის აშენებაში ხელს გვიშლის, კლასობრივი მტერია და მისი დანდობა არ შეიძლება.

თომამ ისიც თქვა, გოჩას სტუდენტობაში ყველა ჰეგელისტს ევახებითო. თურმე სულ ჰეგელი ეყრა პირზე, აქებდა და იყო ერთ ამბავში ჰეგლისებლა მოახროვედ კაცობრიობას არც ჰყოლია და არც ჰყავსო... სინამდვილეში კი ის ჰეგელი ვინ ყოფილა? გერმანელი ფილოსოფოსი — გამოუსწორებელი იდეალისტი-რეაქციონერი, რომლის მოძღვრება პირსისხლიან პიტლერსაც კი მოსწონს თურმე.

მინანერი:

გოჩა საღამოობით რალაც რუსულ, სქელ წიგნს ჩაკრიკტებს ხოლმე. იქნებ ჰეგლის ნაწარებია? შევამოწმებ და შეგატყობინებთ. ვასილ ბაძგარაძე, 1935 წ., 7 ოქტომბერი.

...ზემო ნაგუთნარის გზაჯვარედინთან დიდი კაკალი დგას. იმ ხის ძირას ჩვენი უბნის საფიხნოა. საღამომობით ზოგჯერ თავს მოვიყრით ხოლმე. ჩამოსხდებით სახელდახელოდ ჩამწკრივებულ ქვებზე და ვლამპარაკობთ იქითურს-აქითურს... გუმინაც ვისხედით რამდენიმე კაცი: მე, ბესო ბარბაქაძე, ფორცია გაბაძე, აღმასხან ბაძგარაძე, თედო ფალავანდიშვილი და გივი ბახტურიძე. შეეხედოთ და, ორშარაში გოჩა ბაძგარაძე გამოჩნდა, ნელი ნაბიჯით მოდიოდა, თან გაზეთს ჩასცქეროდა. რომ მოგვიახლოვდა, გყიხე ახალი ამბავი რა არის-მეთქი. არაფერი.

— რაა არაფერი, გაზეთი ხო ახალია? — დაინტერესდა ბესო.

— გაზეთი ახალია, ამბები კი ძველი, — ჩაილაპარაკა მან და ქვაზე ჩამოჯდა. ერთხანს კვლავ უხმოდ ჩასცქეროდა გაზეთს. შერთებ გვერდზე რომ გადავიდა, უცებ ხალისიანად შესძახა: აგერ ახალი ამბავიც ყოფილა, და კითხვა ხმამაღლა დაიწყო: „საქართველოს რადიოკომიტეტის მოწვევით, ბჭრჩალოს რაიონის ფილიპე მახარაძის სახელობის კოლმეურნეობიდან თბილისში ჩამოვიდა 120 წლის კოლმეურნე კიკო ზაქალაშვილი“.

— კითხულობ თუ ზეპირად ამბობ? — შეანწყვეტინა თედომ.

— რა ზეპირად! აგერ წერია, აი — სტრიქონებს თითი გააყოლა: „კოლმეურნე კ. ზაქალაშვილი დადის ჯოხზე დაყრდნობით, მხედველობა მას უკანასკნელ წლებში შეუსუსტდა, მაგრამ საერთოდ კარგად გრძნობს თავს“.

— კაცი ვარ და ქუდი მხურავსო, მაგან უნდა დაქადოს, 120 წლამდე მიუღწევია! — გაიკვირა ფორციამ.

— საუკუნე ნახევარი თუ მოლუნა, მერე იქნება ამბავი. მის ქებაში გაზეთები ერთმანეთს შეეჯიბრებიან, — ჩაურთო ბესომ.

— რაღა უკლია, 30 წელიწადი... იცოცხლებს, რა გგონია! — დარწმუნებით თქვა გივიმ.

— აჰ, მაგი ველარ იცოცხლებს! — ხელი ჩაიქნია გოჩამ, — სულ მალე სულს განუტევებს!

— რატომ, კაცო?! — ჩაეძია ფორცია.

— კოლექტივში შესულა... — ჩაივინა ნიშნის მოგებით.

გოჩას ამ სიტყვებმა ყველა ჩვენგანის გულსწყრომა გამოიწვია. მხოლოდ აღმასხანი იჯდა გაყურებული. თუმცა შეეატყვე, შეილის აშკარა, მტრული გამოსხივება არც მას ეჭამნიკა.

მინანარი:

ის გაზეთი, გოჩას ხელში რომ ეჭირა, აღ. 6. „მწათობა“, № 11.

მოჩნდა „კომუნისტი“, შვიდი წომიჭრისა... იმ ნომერში ისეთი საინტერესო [წინწკლები], როგორცაა: „მთლიანი ფრეზილი [წინწკლები] მის წინააღმდეგ“ [კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის მონოდება], „სოციალიზმის მზე“, „საშვიდნომებრო ამბები“... თუმცა გოჩას ასეთი სტატეგია არ აინტერესებს. კიკო ზაქალაშვილის ამბავიც იმიტომ გაგვაცნო, კოლექტიურ მეურნეობას კიღში რომ ჩასდგომია.

ვასიკო ბაძგარაძე, 1935 წ., 8 ნომებერი.

— დღეს დილით თედო ფალავანდიშვილი ნისქვილიდან მოდიოდა ხარ-ურმით. ახალი ნაწივიმარი იყო. დიდი გზიდან ორღობეში რომ შემოუხვია, ურეში ორივე თვლით ტალახში ჩაეფლო. კაცი გასაჭირში დაივიწყლევდა რააა არ მივეშველებოდი! მივედი. სულ მალე გივი ბახტურიძემაც მოიჩბინა. აქეთა ხელნას მე მივანეჭი, იქეთას გივი დაუქიშ-მაჩდა. თედომ კი ხარებს შეუძახა, თანაც უღელს ხელი წააშველა. მარა საქმეში ხარ? თვლები ღერძამდე ჩამჯდარიყო აფალო. მინაში, ურემს ძვა ვერ ვუყვავით. არადა, ცო იქუფრებოდა, წუთი-წუთზე წევიბ იყო მოსალოდნელი. აღმასხანის ხარები თუ გვიხსნის, სხვა არაფერი გვიშველისო, თქვა თედომ და მასთან გაეშურა. აღმასხანი შინ არ ყოფილიყო, ხარები გოჩამ მორეკა.

— აბა, გამოხსენით უღელს ეგ თქვენი ბედაურები! — შესძახა გოჩამ და გივის თვალი ჩაუჭრა. მისმა ხარებმა იმარჯვეს, ურემი პირველივე მუჭარაზე ამოაგდეს ტლაპოდან.

მინანარი:

გოჩამ არც ეს შემთხვევა გაუშვა ხელიდან... ჩვენს საკოლმეურნეო მშენებლობას, რომელიც გოლიათური ნაბიჯებით მიდის წინ, მან კვლავ ჩრდილი მიაყენა... ბედაური ხარები, მართლაც, შენა გვაყვს, რაღას უფურბე, კოლექტივში შემოიყვანო, უჩრია თედომ. რომ შემოიყვანო, ესენიც თქვენს ხარებს დაემსგავსებიანო, უპასუხა გოჩამ.

ვასიკო ბაძგარაძე, 1936 წ., 31 იანვარი.

...ამ ბოლო დროს რამდენჯერმე მოვისმინე არაკი კუზიან ძმებზე. პირველად ბოლშევიკური სიფიზზე ვერ გამოვიჩინე. ამ ამბავს უგულისყურად მოვეყიდე. თუმცა სიამაღე და სიღაბე რაფერ მეფიქრა, განა არაკის ხამი ვიყავი? ზღაპრებისა და არაკების მეტრ რა გამიგონია? ბავშვობისას სხვა რა გვერწნდა გასართობი და გულის გადასაყოლებელი, ენაკეიმატ მოხუცებთან მოვიყრიდით თავს ხოლმე და ზღაპარ თქმულებებით ზამთრის გრძელ ღამეებს ვიმოკლებდით. მაგრამ კუზიანი ძმების არაკი გასართობად და

მინანარი:

ის გაზეთი, გოჩას ხელში რომ ეჭირა, აღ. 6. „მწათობა“, № 11.



გულის გადასაკლებლად არ მოუგონიათ თურმე. მასში კონტრევოლუციური აზრი უფილა შეფარული, თუმცა ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, უწყინარი არაკია:

„კუზინი ძმები“

იყო ორი ძმა. ერთს პეტრე ერქვა, მეორეს — პეტრიკელა. ორივენი ჯანსაღნი და საღვინაობითი იყვნენ, ოღონდ ერთი თანდაყოლილი სიმანჯვე უთოთქავდათ გულს: პეტრესაც და პეტრიკელასაც ზურგზე, კისრის ცოტა ქვემოთ, ვეება კუხი აჯდათ.

ერთხელ პეტრიკელა ტყვეში მიიღოდა. ხევის რომ მიუახლოვდა, რაღაც უჩვეულო ყვირინა და ღრინაყვილი მოესმა. ჩავად ერთი, ენახავ, რა ამბავიაო, თქვა და ჩავიდა. ეშმაკების ჯგროს უზარმაზარი, ტოტბგაბარჯღული მუხის გარშემო ფერხული ჩაებათ, ცეკვადენენ, თანაც შეუსვენებლივ ღრიალებდნენ ერთი და იგივე სიტყვებს: „მუხას ვაშლი ასხია“. „მუხას ვაშლი ასხია“... პეტრიკელამ არც აცია, არც აცხელა, მყისვე ჩაება ეშმაკების ფერხულში და მათთან ერთად აღრიადდა: მუხას ვაშლი ასხიაო. ბიჭოს, ეს ჩვენი ქუთისა უფილაო, გაუხარდათ ეშმაკებს და, მადლიერების ნიშნად, ზურგზე ჯადოსნური ბალახი მიუსვე მოსუვეს სამჯერ, კუხი გაუქრეს და შინ გახარებული გამოუშვეს.

პეტრემ უკუხო ძმა რომ იხილა, კინლამ გააგოდა. მასწავლე ამ ბედნიერებას რა გზით ენიო, სთხოვა. მან ეშმაკების ხევი მისწავლა. პეტრე ჩავიდა ხევიში, მაგრამ ეშმაკების ფერხულში არ ჩაება, მოშორებით დადგა. ეშმაკებს ხმას არ იღებდა, ავსულთა გულის-ამრევ ღრინაყვილს გატრუნული უსმენდა. მერე კი, მოთმინების ფილა რომ ავესო, თვითონაც ყვირილი შორთო: მუხას რკო ასხიაო. იქით ეშმაკები ზრიალებდნენ: მუხას ვაშლი ასხიაო. აქეთ კი პეტრე იჭიფებოდა, რაც ბალი და ღონე ჰქონდა: რკო ასხია მუხასო. ეშმაკები გაბრაზდნენ: ვინ არის ეს გიფი, ჩვენს აწყობილ ფერხულში ბზარის შეტანას რომ ცდილობსო, პეტრეს სტაცეს ხელი და ზურგზე ჯადოსნური ბალახი — მიუსვე-მოსუვეს ცხრაჯერ. ჰოდა, იმ საცოდაუს იმ წამივე მეორე კუხი ამოეხარდა კიდე უფრო დიდი, უფრო შემაზარხნი. პეტრე ძლივსა მიღალდასა შინ, ჯავრით გულგასიებული.

...გოგა ბაძგარადე გაიძახის: ეს არაკი ჩემზე და ჩემს ძმაზეა ნათქვამიო. ჩემი ძმა პეტრიკელასავით გაჰყვირის: მუხას ვაშლი ასხიაო. ამიტომ უშეღავათეს, დაბეგერისაგან გაათავისუფლესო. მე კი პეტრე ვიყავი და პეტრედ ერქვები: მუხა ვაშლს არ მოისხამს, ხოლო რკო რომ ასხია, თვალით ვხედავ და კიდევ ვამბობო. ამიტომ ორმაგად და სამმაგად დაამბეგრეს, ზურგი ვეება კუხებით და-ნიმინესო.

მინანქრო:

„კუზინი ძმები“ არ არის ძველი არაკი. უაქველია, იგი ახლანდელ გემოვნებას მიერ პირველი მთქმელი შეიძლება იტყვიან. მან ბევრთებით ვერ ვიტყვი. მოხერხდება ამის დაზუსტება. შევეცადები, შედეგს გაცნობებთ.

ვასკო ბაძგარადე

შენიშვნა:

თარიღის დაწერა დაეწყინია.

№ 326

...ხანდაზმულ კაცს რა უნდა უთხრა ისეთი, გული რანაირად უნდა დაუკოლო, თვალზე ცრემლი რომ მოადგეს და ნერვები ველად დაიმორჩილოს? სწორედ ასეთ მდგომარეობაში იყო გიგა თოდად, გუშინ საღამოს რომ შეგვხვდი. მღელვარებისგან ენა ებმოდა, მხრები უთრთოდა, ხელში ცარიელ ტომარას აწვადებდა, გაშლიდა ხოლმე თავისდა უნებურად, მერე ისევ დაკავდა... ვიფიქრე, საუბარს გულს გადააჟღელეს-მეთქი, კუთხე იქითური, აქეთური და მანამ არ მოვეშვი, სანამ შეჭირვების მიზეზი არ გამოიხილა.

ჭირნახული შემოღვეია და აღმასხან ბაძგარადესთან მისულა, იქნებ ერთი ტომარა სიმინდი მასესხოსო. მინები თქვენს ხელშია, მე კი ყანა-ვენახი ჩამომართვით და სიმინდზე ჩემთან მოდიხართო? — მიუხილა აღმასხანს, თუმცა მერე მოუბოდიშებია და შინაც შეუპატებებია. ის იყო ტომარა ჩამართვა თურმე და ბელისკენ აპირებდა ნასვლას, გოგაც წამოადგომიათ თავს.

— გიგაა მე სიმინდს არ ვასესხები! — განუცხადებია გოგას.

— რატომ, შვილო, მეზობელია, გაუშაროთ ხელი. — თქვამს აღმასხანს.

— გოგა, შენგან არ მიყვირს? რა დაგიშავე, ბიჭო? — უსაყვედურებია გიგას.

— ცხრაას ოცდათერთმეტ წელს ხომ მოვიდა ჩვენს რაიონში ასეთი ბრძანება: კოლექტივში ვისაც გინდათ ყოფნა, დარჩით, ვისაც არ გინდათ, კერძობას დაუბრუნდით, ნება თქვენიაო? მამაჩემი გავიდა კოლექტივიდან, ნესტორი კირვანიძეც გავიდა, ზაქარია სადუნოვილიც... კიდევ სხვებიც გავიდა. შენ არ გახვედი, ზოგიერთმა შენისთანებმაც უფრო არ გააპარტყუნეს. თქვენც რომ გასულიყავით, კოლექტივი დაიმღებოდა, ერთხელ და სამუდამოდ მოვრჩებოდიოთ განაშინის.

— კოლექტივი ცუდი სულაც არაა... — ნამოინჯო გიგამ. გოგამ შეანწყვტინა: — რა მარა? შრომაღლეებზე წელს რამდენი ბერი სიმინდი გერგო?

— ორი მერგო, შვილო.

— ოო, ჩვენ ნაბდისტოლა მინა დაგაკოტოვებს და შეივ ხვირზე მეტი სიმინდი მოკინით. თორმეტი ბათმანი ლობიოც გამოუცხებეთ,



სოიაც ამდენივე კიდევ იტყვიოთ კოლექტივობა სჯობია კერძობასო?

ნელს გვალა იყო, გაინად ნახეთ, რამდენ ქორწინებულს მინილაფებენო, დაუქადნია გიგას. ეს ვინ უოფილა, იხტიბარსაც რომ არ იტებსო, გაბრაზებულა გონა, ტომარა აღმასხანს გამოსტაცა თურმე და გიგას მიუფაფო: ნელსაც მათხოვრები ხართ, მომავალშიც ასევე დარჩებითო.

სომინდი რომ არ ასესხა, ჯანაბას, მაგრამ გალანძღვას რაღას ემართლებოდა? მეშველა, უკონელი და უპოვარი გლეხი თავისუფლებას და საამურ ცხოვრებას ძლივს ვუღიროს, იმ უსინდისომ კი მათხოვარი მინოდაო, აღმფოთებით მითხრა გიგამ.

მინანერი:

გიგას ჰგონია, გოგამ თითქოს მარტო მას უნოდა მათხოვარი. არა, მან მთელ კოლექტივს დასცინა, აბუჩად აიგდო.

ვასიკო ბაძგარაძე, 1936 წ., 18 თებერვალი.

№ 349

...კუზიანი ძმების არაკმა ვინრო, პირადული საუბრებიდან უკვე საზოგადოებრივ შეკრებებზე გადაინაცვლა. გუშინ სერგო ორჯონიკიძის სახელობის ნაგუთნარის კოლმეურნობაში საერთო კრება იყო. გამგებობის თავმჯდომარე — კალისტრატე ქიმაძე მისთვის ჩვეული პირდაპირობით და ბოლშევიკური სპეციალდო უსაზღვრო ერთგულებით ღაპარაკობდა იმ დიდ სიკეთეზე, საკოლმეურნეო მშენებლობამ სოფელს რომ მოუტანა.

— რავა პეტრიკელსავით იმეორებ ერთი და იგივეს, გადადი საქმეზე! ... — შეანწყვტინა ტარციელ დეკანოიძემ, ნინა რიგებში რომ იჯდა და თვალებს ქორციით ატრიალებდა.

— პეტრიკელა ვინ ოხერია! — გაბრაზდა კალისტრატე.

— კუზიანი ძმების არაკი ნამოგდახა! — შეახსენეს კალისტრატეს დარბაზიდან. აქა-იქ დამსწრეთა სიცილი და ფხუკუნეც გაისმო.

...ტარციელ დეკანოიძეს ის ვაგებატონი ბრძანებდა, 1924 წლის კონტრრევოლუციურ გამოსვლებს რომ თანაუგრძნობდა. საშუალო გლეხად იცნობენ, მაგრამ გამოუსწორებელი კულაკის ყველა ნიშან-თვისებას ამტკაუნებს. გვიანობამდე კერძობდა, არტელში მხოლოდ შარშან ეკადრა შესვლა და ისიც იმიტომ, რომ ციხე-სიმაგრის გატეხვას შიგნიდან შეეცადოს.

მინანერი:

ამას წინათ ბერისელი ნაცნობი შემხვდა. მხარულ გუნებაზე იყო. მისალმებისთანვე მითხრა, უნდა გაეცინო... და „კუზიანი ძმები“ ნაპოინყო. ეგ უკვე ეციო, შენ ვინ გიამბო-მეთქი, ვკითხე. ნიკა ნიგნაძემოა.

ნაგუთნარში — გონა ბაძგარაძე და ტა-

რიელ დეკანოიძე, ბერისაში — ნიკა ნიგნაძე — რა თქმა უნდა, სხვა სტრუქტურულ მხარეებთან თანამშრომლები. ტარციელს კი კლასობრივი ბრძოლისათვის იყენებენ.

...აქვე მინდა გავწყობო ერთი ამბავი. გონას რამდენიმეჯერ შევამჩნიე: გახეთს რომ ნაიკობხავს, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკებს ხოლმე: რაც მესმის, ვერ ვხედავ, რასაც ვხედავ, არ მესმისო... მე მგონო, ამ კალამბურშიც რაღაც მანვე აზრი იმალება.

ვასიკო ბაძგარაძე, 1936 წ., 27 თებერვალი.

№ 416

...ნაგუთნარის კოლმეურნეობის კლუბში კონტრრევოლუციური გამოხდომების მონშე გახვდით გუშინ საღამოს. შევეცდებო, ეს ამბავი ისე აგიწეროთ, რომ სრული ნარმოდგენა შეეძქმნეთ.

ქუთათისიდან გვესტუმრა ლექტორ-პროპაგანდისტი ვარლამ კვაჭაძე. პატარა აუდიტორიაში ლექციის ნაიკობხავს დაჩვეული არ ვარ, რაც შეიძლება მეტი მსმენელი შემოკრიბეთო, გაგაფრთხილა. ჩვენც დაუფაცურდით, მიუფექ-მოუფექით და, მართლაც, კარგა ბლომა ხალხს მოუფყარეთ თავი, კლუბში ტევა აღარ იყო. მომხსენებლის გულის მოგება იმითაც შესადეთ, ნინა რიგებში მანდილნსები დაფსხით, თანაც ტრიბუნა ცინცხალ-ცინცხალი ყვაილების თაიგულით დაეამშვენეთ. საქმეს კაი პირი უჩანდა, ხელს თითქოს არაფერი გეოშლიდა, საპატივეცმლო სტუმართან პირნათელნი რომ ვყოფილიყავით. მაგრამ რომ იტყვიან, ქორნილი უძალდლოდ არ ჩაივლისო, სწორედ ისე მოხდა. მსმენელთა შორის აღმოჩნდნენ შენებლური განზრახვით მოხეტებული ევიგინდარები, რომლებმაც ყველაფერი წყალში ჩაგვიყარეს.

ლექციის თემა იყო „კაპიტალიზმის სისტემის კრიზისი“. საკითხი, რა თქმა უნდა, მეტად რთული და ძნელად აღსაქმელია. თუმცა შენი თავი ხომ შენ გაბარია, დაჯექი და იცავი შენთვის, რა უჩიხრები ისეთ ამბებში, რისი ინჟი-პინჟიც არ გაგეგება? მაგრამ ტარციელ დეკანოიძეს შეასმენ რამეს? სხვებაც რომ აიყოლია? აბულ ქემერტელიძე, ილუმა ბერიშვილი, გივი ბახტურიძე...

ლექტორმა ჯერ ფამისტური გერმანიის ეკონომიურ კრიზისზე ილაპარაკა, მერე მუსოლინური იტალიის სავალალო მდგომარეობა დაახასიათა, ბოლოს კი ამერიკასა და ინგლისსაც გადასწავდა. ერთი კაცივით ყველა სულგანაბული რომ ვუსხებდით, სიწუმე უცებ ტარციელ დეკანოიძემ დაარღვია, რაღაც მჭახე, გამომწვევი ხმით იკითხა:

— ვინ არის აგი ოხერი კრიზისი, ამდენ ქვეყნებს განადგურებო ხომ უქადის?

— კრიზისი კაცის სახელი ნუკი გგონიათ,

— გაიცინა ლექტორმა, — ესაა საქონლის პერიოდული წარმართვა, რომელიც იწვევს წარმოების შეკეცას, წერს მწარმოებელთა გალატაკებასა და უმუშევრობის ზრდას კაპიტალისტურ საზოგადოებაში.

— ვერ გაეგეთ! — ნაშობიბა ახელ ქემურტილიძემ.

— მდებარეად გაცხეთ, — შეგვირდა ვარლამ კვაჭაძე და ცოტა ჩაფიქრების შემდეგ განაგრძო, — აი, მაგალითად, პეტრეს ჰყავს ძროხა, რომელიც ოც ლიტრ რძეს იწველის. პეტრეს ოჯახს ხუთი ლიტრიც თავსა სდის, დანარჩენი რძე კი უნდა გაყიდოს. მაგრამ როგორ გაასაღებს, როცა მისი მეზობლებიც რძით ყელამდე საყენი არიან. პოდა, სწორედ აქ იწყება პეტრეს კრიზისი, მისი ოჯახის გაჩანაგება.

— ი მაშაცხოვრებულმა წყლის მაგივრადაც რძე სვას, ოჯახს რატომ იჩანაგებს?! — გაიცინა გივი ბახტურიძემ და ტუჩები გაანკლავუნა. მას თანამოაზრეებმაც მხარი დაუჭირეს:

— სხვას თუ ვერაფერს მოახერხებს, ჯიქანზე ხბო მიუშვას!

— თუ მოჭარბებული რძე ღუპავს, გადაღვაროს და ის იქნება!

— ძროხა გაყიდოს!

— თხა იყიდოს!

შეიქნა ერთი ზრიალი და ყურთა გლეჯა ხალხი ცოტა რომ მიწყნარდა, ისევ ტარიელ დეკანოიძემ წამოყო თავი:

— ამხანაგო ლექტორო, თქვენ რომ პეტრეზე ბრძანეთ, ეს თუ კრიზისია, ავი რაღა იქნება, პედლისა ღლაპებს ოცი ლიტრი რძე რომ სჭირდებათ და ერთი ჭიქაც არა აქვთ?!

სახენამოჭარბებული ვარლამი მოღუშული იყურებოდა იქით-აქეთ. რომ გვეგონა ტარიელს ან ახლა უნასუხებს, ან ახლავ, მან ხმაშალა ჩაილაპარაკა: ლექცია დამთავრებულიაო, მერე პორტვლი აიღო და ღია კარებისკენ გაეჭქარა.

მინანერი:

ტარიელ დეკანოიძე დღეს უთენია გაჩნდა ჩვენს უბანში, გოჩა ბაძგარაძის ქიშკარს მიადგა. მეგობარი შინ დახვდა. ლექტორის გაცუცურაგების ამბავი ჩაუთქავა და გაახარა, აღბათ.

ვასიკო ბაძგარაძე.

შენიშვნა:

თარილის დანერა აქაც დავიწყნია.

№ 465

...დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-19 წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგის მონაწილენი წაგონარის კლუბმა ვერ დაგვტოვა. საზეიმო მიტინგი კანტორის ეზოში ჩავატარეთ. მგზნებარე სიტყვები წარმოთქვეს პარტიის რაიკომის ინსტრუქტორ-

მა, კომმუნისტების თავმჯდომარემ, მარტორგანიზაციის მდივანმა და სხვათა მიხედვით გამომსვლელს ხალხი მტყუნარე ტანსაცმელზე ბოდა. ბოლოს სიტყვა სოსიკო საყვარელიძემ მოითხოვა. სოსიკო მოწინავე კომმუნენა. მისი მოსვენება არაა, დღე და ღამე გასწორებული აქვს. შარშან ექვსას შრომადღემდე ავიდა. ისე ჩანს, წელს კიდევ უფრო მეტს გამოიმუშავებს.

სოსიკო ტრიბუნას რომ უახლოვდებოდა, ტარიელ დეკანოიძემ თელი გააფოლა და რაღაც საეჭვოდ ჩაღიმა. აღბათ, შეამჩნია, შარვაღზე სხვადასხვა ფერის საყვარელები რომ ეკრა. პოდა, მან როგორც კი შესძახა: ჩვენს ბედნიერ და აყვავებულ ცხოვრებას გაუმარჯოსო, ტარიელმა ჩაილაპარაკა: ცხოვრების რა მოგახსენო და შარვალი კი მართლაც აყვავებული გაქვსო. თანაც ჩაიქიქილა. მინანერი:

დღეს ტარიელ დეკანოიძე და გოჩა ბაძგარაძე შეხვდნენ ერთმანეთს ჩვენი უბნის ორშარაში. მე ღობის პირას მარგელს ვასობდი, თანაც ყური მათგან მქონდა. ტარიელმა საოქტომბრო მიტინგზე ჩამოაგდო სიტყვა და სოსიკოს „აყვავებული შარვალი“ გაისუნა. ყოჩაღ, სიტყვა მიზანში მოგირტყამსო, გაუცინა გოჩამ და მხარზე ხელი მოუთათუნა.

ვასიკო ბაძგარაძე, 1936 წ., 6 ნოემბერი.

№ 627

...ნატვრა აუხდა გივი ბახტურიძეს, ბიჭის მამა გახდა. ახლო მეზობლები ძეგობაზე მიგვიწვიან. თავი მოიქაჩლა: გულუხვი სუფრა გაგვიშალა. თამადად გოჩა ბაძგარაძე დაგვიყენა. შეედა, სათამაოდ კაცი ზაზა ბერიძეა, ნაღდი კომკავშირელი, ჩვენი პარტიის ერთგული ქაბუკი, რომელიც ლენინ-სტალინის იდეებზეა აღზრდილი და დავაგაკაცებული. ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტს ამთავრებს, საასპირანტოდ ემზადება.

გოჩამ იცოდა ზაზას ამბავი, დაუკრეფაქე-ბში გააღასვლას რომ არ ამატიებდა. ამიტომ ფრთხილობდა, მანებლური არაფერი წამოცდებოდა. თუმცა უწყვეტად მინც ჩამოვარდა...

— ვადღეგრძელებ პოლიტიბიუროს: სტალინს, მოლოტოვს, კაგანოვიჩს, კალინინს, ანდრეევს, ჩუბარს, კოსიორს! — ასე ტუნდად და მშრალად წარმოსთქვა თამადამ ყველა საბჭოთა მშრომელის ეს საწუკარი სადღეგრძელო.

— ვოროშილოვი? — წამოუხტა ზაზა, — ვოროშილოვი რატომ გამოტოვე?

— ხომ ვთქვი?

— არ გითქვამს!

— როგორ არ ვთქვი, აგერ ეს ხალხი დამემომწმება!

არ უთქვამს და რას დავემომწმებოდი?



— ესპანეთში ფაშისტი გენერლები ხალხის სისხლს ღვრიან, ცდილობენ თავისუფლების ჩახშობას. გერმანიიდან პირდორბლანინი პიტლერი იშუტრება, ხოლო იტალიაში მუსოლინი ფარფაშობს. ასეთ მიძიმე ვითარებაში მსოფლიო პროლეტარიატის იმედი და სასოება გმირი წითელი არმია და მისი სარდლობაა. პოდა, შენ კი ვოროშილოვის სადღეგრძელოს არ სვამ! — შეუტია ზაზამ.

— ვინ თქვა არ სვამსო, ესვამ კაცო! — მოტყდა გოჩა და მერე მასპინძელს სთხოვა: — გოგი, მომეცი ყანნი, თუ ძმა ხარ, ვოროშილოვის სადღეგრძელოს განსხვავებული სასმისით შევსვამ.

— ეგ არ გამოვა! — შემოუძახა ზაზამ, — განსხვავებული და განსაკუთრებული სასმისით დიდი სტალინის სადღეგრძელო უნდა დაგვლია. თუმცა შენ რას დალევდი, სტალინი ცალკეც არ გამოყავი, პოლიტიბუროს სხვა ნეტვებს მიათვალე.

— მაგაში კი შეცვდი, — აღიარა გოჩამ.

— კი არ შეცდი, ეს უმსგავსოა განგებ ჩაიდინი! — მიახალა ზაზამ.

— ეჰ, თქვენთან პურის ქაბა არ ღირს! — ჩაიქნია ხელი გოჩამ და სუფრა დატოვა. მასპინძელი წინ გადაუდგა, მაგრამ ველარ მოაბრუნა.

მინანური:

ზაზას საქციელი საშარტილიანი იყო. გოჩამ სტალინი განგებ არ გამოცალკევა, ვოროშილოვსაც შეგნებულად აუარა გვერდი.

ვისიკო ბაძგარაძე, 1937 წ., 29 მარტი

№ 649

...გაზეთის ყოველ ცალს ყარაულს ხომ ვერ დაუწყებო, — ეს რა ბრძანა გოჩა ბაძგარაძემ? თუმცა თქმაც არის და თქმაც. ისე დაც გაბრუნებული ტურჩი კიდეც უფრო აიბზოა, თედოს თვალი ჩაუკრა, მერე კიდეც ჩაიცილა.

ბოდვის გიხდით, ისე ვარ აღღვებულნი, სათქმელი ბოლოდან დავიწყე.

გიაგობოთ, რავარც იყო:

ბესო ბარბაქაძეს ხარები მიეურგეე დასაქვდად გუშინ საღამოს. გოჩა ბაძგარაძე და თედო ფალავანდიშვილი იქ დამხვდნენ. გოჩასაც ხარები ქვავდა დასაქვდო. ბესომ უარ უთხრა თურმე. გამაფრთხილეს, კერძო მესაკუთრეს არამც და არამც არ მოეშასხურო, თვარა მკაცრად დაისჯებო. გოჩა თედოს შეხვეწინა, მიშუამდგომლე, ეგებ უარი გააბათქმევირო. რომ მივედი, თედო ყელგანედიოთ ეღრიჯებოდა. როგორც იქნა, დაითანხმა.

ბესო ხარების დაქვდეას რომ მიორჩა, მარანში შეგვიპატივა. მისმა მუღღლემ მუხლდაბალი ტაბლა მოიტანა და წინ დაგვიდგა. ის იყო თითო ლუკმა გადაყვლაზე და ჭიქებ-

საც მივსწვდით, ბესომ ელფეჩეფეჩეფეფეცხადა:

გინგლინიძე

— დარეჯენ, ეს რა გიქნია?

— რა იუკაცო?

— მოდი, დახედე სუფრას!

დარეჯანი საქციელდაკარგული მოგვიახლოვდა. სუფრას ჩვეუც გაფაციცებით დავაშტერდით. ახალა შევამჩნიეთ: ბესოს თედოს ერთ კიდესთან დიდ სტალინს მხოლოდ შუბლი მოუჩანდა. დარეჯანი გონს გვიან მოევო. ღმერთო მოშალი, ეს რა მომსვლიაო, შემოირტყა კალთაზე ხელი, თედოში სწრაფად აილაკა და გაზეთი შეეცალა. სუფრა ხელახლა რომ გააწყო, გავიდა და ცოტა ხნის შემდეგ სათუთად შეკრული გაზეთები შემოიტანა და გვარქვანა:

— სახათრო გაზეთებს ყოველთვის დიდის მონინებით ვინახავ და ცივ ნიავს არ ვაკარებ. ახლა რა დარდუბალა მომივიდა, რამ დამაბნია მე სასიკვილი!

— ასე იცის, საქმეს უტვლისყუროდ რომ მოეკიდები! — უსაყვედურა ბესომ. ისეც გაბრაზებული ჩანდა, სამეომოტუფრული იყურებოდა.

— კაი ახლა, დანყნარდი, შე კაცო, უნებურად მომივიდა და რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდი! — შეეხვეწა დარეჯანი.

— არ უნდა მოგსვლოდა... — კვლავ შემოუძახა ბესომ.

ველა გასუსული ვიყავით. სიწუმე გოჩამ დაარღვია. ბოლოსდაბოლოს, გაზეთის ყოველ ცალს ყარაულს ხომ ვერ დაუწყებოთ, თქვა და მერე თედოს თვალი ჩაუკრა, თანაც გაიცილა.

მინანური:

გაზეთს პირველ გვერდზე ბელადის დიდი სურათი ამშვენებდა მარცხნივ, მარჯვნივ კი — ლავრენტი ბერიას მომცრო პორტრეტი. გოჩას თედოში თურმე ბერიას სურათს ფარავდა. ის ვაგბატონი კი არხვინდა ილუკმებოდა. დაივიკრო, ვერ შემამჩნია?

ვისიკო ბაძგარაძე, 1937 წ., 16 აპრილი.

შენიშვნა:

საუბარია 1937 წლის 14 თებერვლის „კომუნისტზე“.

№ 671

...ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო... ტარიელ დეკანოიძემ გოჩა ბაძგარაძესთან მეგობრობით ზნეც იცვალა და ფერიც. მისებურად ბუნტობს და ბოინობს, მუშურ-გლეხურ წყობილებას კრიჭაში უდგას. ვითომ ისიც ნასტუდენტარი ბრძანდებოდეს, გოჩასებურად ცდილობს ფარული აზრი იგავარაკებით შემოგვაპაროს.

წუხელ წისქვილში მივედიოდი და ტარიელი დამემგზავრა რალაც ეშმაკურად, ურემი



საფუძვლით დამოკიდებულია, გული კი — უთავბოლო ლაქლაქით.

ერთმა თათარმა ტყეში ღორი დაიჭირა, გამოაბა თოკი და სახლის გზას გაუყენა, — ნამოინყო დიდის ამბით, — მიჰყავს იმ თათარს ღორი, თანაც ტუქსასაც: ტყეშია ღორტუნებ, შენ ღორი კი არა, ცხვარი ხარო. მოწმუნე მაშინდაინებო ღორის ხორცს არ სჭამენ, ცხვრის ჩიჩიას კი უპირველეს უღუფად მიიჩნევენ. ღორის ღორობა ჩვენს თათარსაც არ აძლევდა ხელს, იმდენი ტუქსა, იმდენი ურტყა, ღორტუნს გადააჩვია. ბოლოს თვითონაც დაიჯერა: ღორის კი არა, ცხვრის მებატონე ვარო, ჩვენც იმ ღორის მდგომარეობაში ვართ, ყოველმხრივ გვაკონრობენ, ცდილობენ ცხვრებად გვაქციონ. თუ ვინმე გაგებდავთ და დავიღრუტუნებთ, მაშინვე დაგაკაცხრებთან, დაგაკვტუსავენ, თავშიც ჩაგვარტყამენ... ჩემს დედაშვილს უკვე ჩაარტყეს — ოთარ ნოზაძეს: რატომ დაიღრუტუნეო. მერედა, როგორი დაუზარელი და მუყაითი მუშაკი იყო! ჯერ კომკავშირში გაიოქვა სახელი, შემდეგ პარტიის წევრადაც მიიღეს. როგორც პოლიტიკურ საკითხებში გათვითცნობიერებული, ნაკითხი და ენაშტევერი პროპაგანდისტი, დახელოვნების კურსებზე მიაღწინეს ჭიათურაში. სწორედ იქ დაუღრუტუნებია იმ საცოდავს... მარქსმა ზომ თქვა ერთ ქვეყანაში სოციალიზმი ვერ აშენდებაო?!, ვაითუ, მართლა ვერ ნაკვირვადეს კარგად საქმე, ამიტომ მსოფლიო რევოლუცია დავაპაროთო. ეს რა ნამორიზოაო, გადარეულან. სადაცაა სოციალიზმს საბოლოოდ დაეგვირგვინებთ და კომუნისმის მშენებლობას შევუდგებით, ეს კი გაიძახის ერთ ქვეყანაში სოციალიზმი ვერ აშენდებაო. ამდგარან და პარტიიდან გამოუგდიათ. ეს ამბავი გაზეთშიც გამოაქვეყნეს, რაიკომის მდივნის წერილი ამოვიკითხე.

— ოთარი რას ამბობს, რაა შეეგუა ამ უბედურებას? — ვკითხე მე.

— რა დავაშვე ასეთიო, უკვირს. მე მხოლოდ ის ვთქვი გულდაღად, რასაც ვფიქრობდი. ჩემი სიტყვით სოციალიზმი არც აშენდება და არც დაინგრევაო.

მინანური:

რასაც ფიქრობდა, ის რომ თქვა, სწორედ მიტოვია დამნაშავე. ვისაც რა მოგვეპირინება, ყველამ ის თუ ვილაყაყავთ, სწორედ კაც დახლი დაგვიდგება.

ვასიკო ბაძგარაძე, 1937 წ., 7 მაისი.

შენიშვნა:

„კომუნისტი“ (1936 წ., 15/X) მართლაცაა გამოქვეყნებული ჭიათურის რაიკომის პირველი მდივნის გ. კალმახელიძის წერილი, სადაც, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ გამოამხდლავ-

ნა პროპაგანდისტთა კურსების წამყვანი კონტრევოლუციონერ-ტროცისტური ნაშრომები რომელიც იცავდა აზრს ენუგაჟაციური სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობის შესახებ“.

№ 761

...მოგახსენებთ, მთისძირი ზემო იმერეთში ერთ-ერთი ყველაზე მივარდნილი, ყურ და დუხჭირი სოფელია. იქ საბჭოთა ფული არ გადაისო, ამბობენ. რა თქმა უნდა, ეს ხუმრობითაა ნათქვამი, მაგრამ ერთი რამ ცხადია: მთისძირი შორეულ სოფლად ითვლება, მისვლა-მოსვლა ჭირს. მინა მთა-გორიანია, ბერნი და უნაყოფო. ვაზი არ ვარგობს, არც ხეხილი. მხოლოდ სიმინდს და შვრიას თესავენ, ეგ არის და ეგ! თუმცა არც ეს ნათესობა უქნია ღმერთს. ერთადერთი სიკეთე ესაა: ტყეები და საძოვრები აქეთ ბლომად. ბევრ პირუტყვს ზრდიან, ხარ ძროხის ნახირითა და ღორის კოლტით ითქვამენ სულს.


იმ სოფელზე იმიტომ ჩამოვაგდე სიტყვა, თქვენთვის გასაგები რამ იყოს, მთისძირელები თუ რატომ მათხოვრობენ. როგორც კი გაზაფხულდება და სარჩო შემოვლევით, ზოგი მათგანი აიკიდებს გუდას, სოფელ-სოფელ დაწანალობს, დახეტიალობს და თითო-თითო კვანჩხობით მცირეოდენ ჭირნახულს აგროვებს. ორმა ასეთმა მათხოვარმა გუშინაც ჩამოგვიარა. ერთი ხნიერი ჩანდა, მეორე უფრო ახალგაზრდა იყო. სამოცდაათს გადავაბიჯეო, მითხრა ხნიერმა. მე მგონი იცრუა, სამოცდაათის არ იქნებოდა. ბერიკაცს ცუნცულით სიარული ჩვევია. ის კი წელგამართული დადიოდა, ნაბიჯი ღორიანი ჰქონდა. ორი დღეა, კაცის ნამუშევარი პირში არ ჩამსვლია, სახელდახელოდ შემახადებელი მხალეულით დაებორჯალობ ამ ცოდეულ მინაზეო, შემეცოადენ. კიდევ ვასადილე და გუდებიც ცოტა შევუბარაქიანე. ის იყო ნასვლას აპირებდნენ, გოგა ბაჭყალიძე შემოგვესწრო.

— „ცხოვრება გაუმჯობესდა, ამხანაგებო, ცხოვრება საამური გახდა! — ისე რიხიანად უნძძახა გოგამ, თითქოს ტრიბუნაზე იდგა და თამარა ხალხს მიმართავდა. მერე უცებ ხმას დაუნია: — თქვენ კი მათხოვრობთ, არ გრცხვენიათ?

— მათხოვრობა სიკვდილზე უფრო გვიძიმს, მარა რა უქნათ, შვილო, გვიჭირს, გასამძრავი ღონე არა გვაქვს, — ამოიკენესა ხნიერმა.

— „ცხოვრება გაუმჯობესდა, ამხანაგებო, ცხოვრება საამური გახდა! რატომ გიჭირთ? — არ ეშვებოდა გოგა.

— წინათ საყოლებელი მინც გყავდა და ამით გაგვქონდა თავი. ახლა ისიც ჩამოგვართყეს და კოლექტივში გააერთიანეს. თითო



ბეკენელა ძროხა დაგვიტოვეს, ეგ არის და ეგ ჩვენი ქონება!

— „ცხოვრება გაუმჯობესდა, ამხანაგებო, ცხოვრება საამური გახდა!“ — კვლავ გამომწვევად შესძახა გოჩამ და მერე უცებ ჩაიქირქილა.

მთისძირელები მოხათრებულად იდგნენ, ერთი სული ჰქონდათ, როდის გაგვიორდებოდნენ. მათ არ იცოდნენ, ვინ თქვა ის სიტყვები, გოჩა ასე დაფინებით რომ უმეორებდათ, თორემ, ალბათ, კიდევ უფრო შერცხვებოდათ. მათ მაგიურად მე ენერგიულობდი, კინაღამ ჩემს კანში დავიწვი.

ვასიკო ბაძგარაძე, 1937 წ., 19 ივნისი. შენიშვნა:

„ცხოვრება გაუმჯობესდა, ამხანაგებო, ცხოვრება საამური გახდა!“ თქვა სტალინმა საკ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1937 წლის 5 მარტს.

№ 823

„ნაგუთნარს ღელე ჩამოუღმის, ნაგუთნურას ეფახებით. ღელე კი ჰქვია, მაგრამ აუღარსა და ნეშმა-თქემში ისე ადიდდება, მდინარეს დაემსგავსება ხოლმე ხოლო თუ გვალვამ და ხვტვამ მიუტრინა, თვალდათვალ იკლებს, ფსკერზე კენჭები დაეთულება. თუმცა მისი საქმე ისე არასდროს ნაშბდარა, ხმა ჩასწყვეტოდეს და ბუტბუტო-ლიკლიკო იქაურობა არ დაეტკბოს. ამ ხაფხულს კი თვალნაცემივითაა, სულს ძლივსა ითქვამს. შუადღისას რომ ნახო, იფიქრებ, საღამომდე ველარ მიატანსო.“

გუშინ მეზობლები ესაუბრობდით. სიტყვა ნაგუთნურაზე ჩამოვარდა

— ჩვენი ღელის საქმე ცუდადაა, ღელესა თუ ხვალ ისე ამოშრება, ღორჯო დარანვივე შეინდება მზიგულზე! — მოიმწუხრა თედო ფალავანდიშვილმა.

— სხვისის არ მისხრივლა, ასე, ახლა რა მები დაეცა! — თქვა ფორცია გაბაძემ.

— მები მაშინ დაეცა, ყანებთან ერთად ღელეებიც რომ გააერთიანეთ და გულმხურვალე პატრონები დაუკარგეთ! — უპასუხა აღმასხანამ.

— ვინ გითხრა დაუკარგეთო! პატრონები ჩვენა ვართ აგერ!

— ვინ თქვენ?

— მე, ის, ეს... ყველა! — ხელი გაშალა ფორციამ.

— საქმეც ეგაა, ყველასათაო ამბობთ, ნამდვილ ჭირისუფლობას კი არავინ კისრულობთ, — მიუგო აღმასხანამ, — ყანები კერძოდ რომ გქონდათ, თქვენ თქვენი ღელის სანაპირობსაც ცოცხ ნიაფს არ აკარებდით. ახლა კი შეუსიეთ ცულებით, ვერზვისა და თხმელის კორომები მიკაფ-მოკაფეთ, საბრალო

ღელე გააშიშვლეთ და მზის მხურვალეს მიუგდეთ მოძულებულივით!

— არა, ეგ არაა მიზეზი, — უპასუხა გოჩამ, — ყველამ პირში წყალი ჩაივტურეთ, დაშრება, აბა რა მოუვა!..

მინანერი:

გოჩას როგორ უნდოდა, მის უკბილო ხუმრობაზე გაგვიცინებოდა. მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. მხოლოდ მამამისი გაიღრინა, სხვებმა კი მიუყრუეს და საუბარი სხვა ღრზე გადაიტანეს.

ვასიკო ბაძგარაძე, 1937 წ., 9 ივლისი. № 851

...გზის პირას ვიდექით და ესაუბრობდით: მე, ბესო ბარბაქაძე, ღორცია გაბაძე და გოჩა ბაძგარაძე. იქვე ბიჭუნები ასკინკილას თამაშობდნენ. გოჩა გამოვლასპარაკა ცეროდუნებს, მერე შეაგულანა: აბა, რომელი ხართ მარჯვე ბიჭი, ლეისებს რომელი გვეტყვიოთ. ხვეწნა არ დასჭირვებიათ, ჯერ ერთმა ჩაანციწყია: „ჭყინტილი ყველის ჭამა მიყვარს, კბილის გაკრახუნებო...“ მერე მეორემ წამოიწყო: „ყველიერში ყველი ვჭამე, აღდგომასა ხეჭაპური...“ მან რომ დაამთავრა, მესამე ბიჭუნა გასწორდა ნელში, ისიც მოემზადა ლეისის სათქმელად.

— ახლა ამ ბალანამაც „ყველის შაირი“ თუ გვითხრა, გადავირევი კაცი! — გაიცინა ბესომ.

ბიჭუნამ ერთი ჩაახველა და მერე თითქოს განკვებ დაიწყო:

თუკი ყველს არ დამიძვირებ, ხშირად მაჭმევ ყველსაო, ძროხას სათიბში შევიყვან, ბურთად ვუტყეც ფერდსაო.

— ბიჭოს, ამ ბაღების ამბავი მაკვირვებს, წინასწარ ხომ არ შეთანხმდნენ, ყველზე ვი-შაირითო? — კვლავ გაიცინა ბესომ.

— რაც ენატრებათ, იმაზე შაირობენ, რას ერჩით! — გაიცინა ფორცია გაბაძემაც.

— ყველი მაგათ კი არა, მეც მენატრება, მარა სად არის! ძროხები აღარავის შეგერჩა და ყველი საიდან გვექნება? — თქვა ბესომ.

— კოლმეურნეობა ყველს არ გინაწილებთ შრომადღეებზე? — იკითხა გოჩამ და თანაც დამცინავად ჩაიღიმა. ეითომ არ იცოდა, კოლმეურნეობა ყველს რომ არ ანანილებს და არც შეუძლია გაანანილოს. დამზადების გემას ხომ ვერ ჩაშლის?!

— ძროხების პრობლემა სულ მალე გადაიჭრება. დიდმა ბელადმა ხომ განაცხადა: „ჩვენ ბოლშევიკები ვიზრუნებთ იმაზე, რომ ჩვენში ყველა კოლმეურნეს ჰყავდეს თითო ძროხა“. — ვთქვი მე.

— მაგი მეც ნაუკითხვ, შარშან ადგილო.



ბრივ გაზეთშიც გადმობეჭდეს, — დაიმონმა გორკიამ.

— აბა, რაღა გინდათ, ყველი რომ მოგე-  
სურვოთ, გაზეთი დაიდეთ წინ! — ჩაიტირქი-  
ლა გორამ.

მინანერი:

პროტესტის წინადა, ყველანი წამოვდექით  
და ჩვენ-ჩვენს საქმეს მივაშურეთ. გორა კი  
კვლავ ბავშვებს მიუბრუნდა, „ყველის შაი-  
რები“ ხელახლა ათქმევინა.

ვისაცო ბაძგარაძე, 1937 წ., 21 ივლისი.

№ 885

...გორა ბაძგარაძემ სამტრედიიდან დეკემბე  
მიიღო. ყოფილი თანაკურსელი ატყობინებ-  
და, მამა გარდაამცვალაო. მანაც არ დააყოფ-  
ნა, წავიდა დასაფლავებაზე. რომ ჩამოვიდა,  
ახალი ამბავი ჩამოიტანა. ვისაც კი შეხვედბა,  
ყველას უყვება, თანაც სიცილით ბერძნობა...

თანაკურსელი ეწერელი ყოფილა. მიცვალე-  
ბული რომ დაუსაფლავებიათ, ენერში სწო-  
რედ იმ დროს „ემადინი“ შეგრილებულა.  
შეეხედოთ და, „ემადინიდან“ ფილიპე მახა-  
რაძე არ გადმოსულა? თურმე ბათუმში მი-  
ემგზავრებოდა და გზად იმ სოფელში გაუფ-  
ლია, ერთი ძველი ნაცნობის მონახულება  
სდომია. ის ნაცნობი ენერის სასოფლო საბ-  
ჭოს თავმჯდომარეობს თურმე.

— კოლექტივის საქმეები როგორ მიდის?  
— უკითხავს ფილიპეს.

— ჩინებულად, ამხანაგო ფილიპე!  
— ეგრძო მუშაკუთრე თუ შუამოგრაზთ ვინ-  
მე?

— არის ერთი... ჯიუტი და ღეთის პირი-  
დან გადავარდნილია, ვერ იქნა და ვერ და-  
ვიყოლიეთ.

ფილიპეს მოუსურვებია ჯიუტი გლეხის  
ნახვა. მისულან ჭიშკართან. შემოგებებია ის  
გლეხი. ფილიპეს ხელი ჩამოურთმევია და მე-  
რე უთქვამს:

— ხომ ხედავ, საკოლმეურნეო მშენებლო-  
ბამ როგორ წარმატებებს მიაღწია, შენ რა-  
ტომ გვიდგახარ განზე?

— მე ჩემთვის ყოფნა მიჩვენია, თუ და-  
მაყენებთ ბატონო!

— შენთვის იქნები, აბა, რა! — უბასუხნია  
ფილიპეს და გოჭზე თვალი შეუჩერებია, ეხო-  
ში მიწას რომ ჩიჩქნიდა თურმე, — აგერ ეს  
გოჭი ისევ შენი იქნება, ოღონდ კოლექტივის  
სახელი ერქმევა.

— ბატონო ფილიპე, რაიონს ხომ შენი სა-  
ხელი ჰქვია? შენი სახელი ჰქვია აგრეთვე  
სოფელს, ბაღს, ქუჩას... ხოდა, ამ ლინტილა  
გოჭს ერქვას ჩემი სახელი, რა მოხდება?

გლეხაკის მოსწრებულ სიტყვაზე ფილი-  
პეს გასცინებია, მერე ხელი ჩაუქმევია და  
ნასულა.

მინანერი:

არა მგონია, ეს ამბავი მხოლოდ იყო.  
ფეიქრობ, გორამ შეთხზა. რა სიფეხი ასეთი  
ფარული გამოხდომები. თუმცა პოეთს და  
აბუტეს მტერი რა უნდა, სწორედ ასეთ ამბებ-  
ზე აქვთ ყური გაფაციცებული. გივი ბახტუ-  
რიძე მარწმუნებდა, ენერულ გლეხს ფილიპე  
მახარაძინთვის სიტყვა მოუჭრია, საქვეყნოდ  
ცნობილ ორატორს და ენამჭერს ველარაფე-  
რი უთქვამს, ციკად შებრუნებულა და წა-  
სულაო.

ვისაცო ბაძგარაძე, 1937 წ., 3 აგვისტო.

№ 913

...ნაგუთნარულმა მიხაკო ბედნიანძემ მშო-  
ბლიური კოლმეურნეობისა და თანასოფლე-  
ლების წინაშე სამარცხვინო დანაშაული ჩაი-  
დინა: ღამით შუიპარა არტელის ყანაში, მო-  
ტება სიმინდი და მიიტანა შინ. იმ რეგვენს  
ემშაკი შეჯდომია, თუ რა იყო, ოდნავი სი-  
ფრთხილედ არ გამოუჩენია. დაბაზებული  
ტარობები დანის წვერით უჩიჩქნია და უჩიჩ-  
ქნია, ძლივს-ძლივობით დაუშარცვლია და  
ფილით ეხოში გაუფენია მზიგულზე გასახ-  
მობად. ეს რომ შეველეს დაუნახავს, შეეჭყვე-  
ბულა, მიხაკოს საკარმიდამო ნაკვეთში საა-  
დერო სიმინდი არ უთესია, მამ, როგორ  
იშვავო? ეს ამბავი მყისვე კოლმეურნეობის  
თავმჯდომარეს მოახსენა თურმე. მას კი მი-  
ლიციისთვის შეუტყობინებია. ქურდი იმ დღე-  
სვე დაუპატიმრებიათ.

მიხაკოს სასამართლო გუმინ შედგა კოლ-  
მეურნეობის კლუბში. პროკურორმა მკაც-  
რად, მაგრამ სამართლიანად ილაპარაკა.  
ბრალდებულმა შელახა კოლმეურნის წმინდა-  
თა წმინდა სახელი, ხელეყო ხალხის საკუთ-  
რება, საკოლმეურნეო მშენებლობას მორა-  
ლურ-ზნეობრივი ზიანი მიაყენა, რის გამოც  
მის მიერ ჩადენილი ქურდობა უნდა შევაფა-  
სოთ როგორც კონტრრევოლუციურ ტროცკი-  
სტული დანაშაული და შევეფარდოთ ათი  
წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რე-  
გიმიით.

საზოგადოებრივ დამცველად ნაგუთნარის  
საშუალო სკოლის დირექტორი გამოვიდა.  
მან სთხოვა სასამართლოს, რომ გაეთვალის-  
წინებინათ შემამსუბუქებელი გარემოებანი:  
I. ბრალდებულმა პირველად იქურდა, მსგავსი  
რამ არასოდეს ჩაუდენიაო, II. ჰყავს ქე-  
ვის შვილი, ექვსივენი ცხრილზე რომ დას-  
ხათ, მაღლა ურთი არ შერჩებოა, III. გამ-  
რჯე, ხელგამომავალი მეურნეაო, IV. მოპა-  
რული სიმინდი არაა ბევრი — შეიდი კი-  
ლოაო.

გამოცხადდა განაჩენი. ბრალდებულს შეი-  
დი წლის პატიმრობა მიუსაჯეს. კანონი მკა-  
ცრია, მაგრამ კანონია, რას იხამ! მიხაკოს  
ცოლი გადაირია, ახტა-დახტა, წაიშინა თავ-



მი ხელები. შვილებიც ატირდნენ, აზრიალდნენ. მიმე სურათი იყო. ჰოდა, ყველა რომ დაღონებულა ედგაგართ და ნეშუნს არ ვიღებთ, გოჩა ბაძგარაძემ მიხაკოს უფროს ბიჭს თავზე ხელი გადაუსვა და გაღიმებულმა უთხრა: კიდეე კარგი, მამაშენმა ოცი კილო სიმინდი არ მოიპარა, თორემ ოცი წლის ციხეს მისცემდნენო.

მინანერი:

მცირეოდენი სინდისი თუ მაინც აქვს, ვერძო მესაკუთრემ კოლმურწუნობის კლუბში და კანტორაში ფეხი არ უნდა შედგას. გოჩა ბაძგარაძე კი მოვიდა სასამართლოზე და ნინა რიგებში გამოიჭიმა პატიოსანი კაცივით. რა უნდოდა, ვისი დავალებით მოგვევლინა, ვერ გეტყვი, მაგრამ საკაიკაცოდ რომ არ მობრძანდა, ეს ცხადია.

ვასიკო ბაძგარაძე, 1937 წ., 7 სექტემბერი.

№ 942

...ჩვენი უბნის საფიზენოზე გუშინ საქმიანი სჯა-ბაასი წამოვიწყეთ. გავიხსენეთ დიდი ბეღადის მგზნებარე მონოედება: „გადავაქციონთ“ ყველა კოლმურწუნობა ბოლშევიკურად, ყველა კოლმურწუნე შეძლებულად“.

— შარშან გვალვამ გვიმუხთლა, ჭირნახულის ნათუებმა თავი შეიკცხუნა, შრომა-დღეზე ორი კილო სიმინდი გვარგუნეს, ეს იყო და ეგ! — მოიმწუხრა ფორტია გაბაძემ.

— ხორბალიც ხომ გაგვინანილეს? — შეასხენა გივი ბახტურიძემ.

— 120 გრამი! მამაჩემის ორმოცზე არ მეყო, სუფრა შოთი პურებით რომ დამემშვენიბინა.

— სამაგიეროდ წელს კაი პირი უჩანს მოსავალს, იქნებ გვეშველოს! — ეთქვი მე.

— წინილებს შემოდგომაზე ითვლიანო... ვნახოთ, რა იქნება! — მიპასუხა ფორტია.

— შემოდგომაც კარზე მოგვადგა, მალე ტემა-კრფას შევუდგებით, — სიმინდის ყანას გახუდა გივი.

ამ მუსიაფში რომ ვიყავით, ვერც გავიგეთ, გოჩა ბაძგარაძე და ტარიელ დეკანოიძე ისე წამოგვადგნენ თავებ. ჩვენს იმედიან ლაპარაკს ყური რომ მოჰკრეს, არ ეჭაშნიათ, საუბარი სულ სხვა ლარზე გადაიტანეს.

— თქვენ აქ მშვიდად ზიხართ და იფხანთ ენას, ჩვენი თავმჯდომარე კი რა დღეშია, სულაც არ კითხულობთ! — გვისაყვედურა ტარიელმა მოჩვენებითი ნაღვლიანობით.

— რა სჭირს კალისტრატეს?! — გაიკვირვა ფორტია.

— რაა რა სჭირს, შვიდი დეკეული ბერნადე დარჩენია. შარშან ბულა რომ იყიდა ოსეთში და დიდის აშბით ჩამოიყვანა, ცვერელი გამომგარა ის უბედური და ვერ უხეირებია! — მიუგო ტარიელმა.

— იპ, მეცკვიფიტე ფეხი მართლა გაა-

ბრუნებია-მეთქი! — გაიცინა ფორტია.

— მეტი გადაბრუნება რაჭარს მისწავსებლობის მუხლი ზედა აქვს! — გაიკვირვა.

— მაგისტვის ვინ დალუპავს, კაცო, სხვა ბუღას იყიდიან და საქმეც გამოსწორდება! — უპასუხა გივი.

— არა, ეგრე არ წირავს ჩვენი მღვდელი. დეკეულების მოცდენა კონტრრევოლუციური დანაშაულია და კალისტრატემ პასუხი უნდა აგოს, — მიუჭრა ტარიელმა, — ასეთივე დანაშაული ჩაუდენია ხულოს რაიონის სოფელ დიდ-აჭარის თავმჯდომარეს და კიდეცაა ახლა გამომწვეფული „ვირის აბანოში“.

მე საუბარში არ ჩაერეულვარ. ანკი რა უნდა მეთქვა... ტარიელსა და გოჩასთან კამათს, სჯობია დადგე და ქეიტკირის ეფელს ცურცი აყარო. ისინი მუდამ იმას ეთრობენ, საკოლმურწუნო მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი პრობლემები როგორ გაამასხარონ და გააპუსტიკონ.

ვასიკო ბაძგარაძე, 1937 წ., 28 სექტემბერი.

შენიშვნა:

ტარიელ დეკანოიძე და გოჩა ბაძგარაძე სულაც არ მასხრობდნენ. „კომუნისტში“ (26/IX 1937 წ.) კითხულობთ: „კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მონაწილემ სოფელ დიდ-აჭარის ყოფილმა თავმჯდომარემ ყადირ ხორევეანიძემ დაკითხვაზე აჩვენა: ხულოს რაიონის სოფლის თავმჯდომარის სულეიმან ბეგანიძის მავნებლური დავალების თანხმად კოლმურწუნობაში არ ტარდებოდა მსხვილენება რქოსანი პირუტყვის მეტიზაცია და საკოლმურწუნო გამწვევი ძალის რემონტი. დაგრილების კამპანია 1936-1937 წლებში ჩაიშალა, 1200 მანეთად შეძენილი ბულა სრულებით არ გამოუყენებიათ“.

№ 976

...ადამიანს ლელვისყოფილიდენა ყურები გაუზრდებოდა, სანყენი, გულისმომკველილი და გასაკვირ-გასაოცარი ამბები რომ არ ესმოდესო, ცხონებული ბაბუაჩემისგან გამოიგონია. მართალიცაა. ნუხელ მე რაც გოჩა ბაძგარაძის სახლიდან მოვისმინე, ერთდროულად იყო სანყენიც, გულისმომკველილიც და გასაკვირ-გასაოცარიც. რა დაგიბოლოთ და მოყამულ გუნებაზე დაედექი. გვიანობამდე ეზოში დავბორიალობდი აღწეოთებუღი. სანამ არ მიწყნარდნენ, სანოლს ვერ მივეყარე დაუნქი და ლოგინში შამფურით ვინჯტრიალი. ისე გათენდა, ძლი არ მომკარებია. რა მოხდა ისეთიო, ვინმე უგწური შეიძლება შემომედაოს. უარესი რაღა უნდა მომხდარიყო!.

გოჩა ბაძგარაძეს შინ ქეიფი ჰქონდა. ტარიელ დეკანოიძე ეწვია. კიდეე იყო ორი ელაც, ვერ ვიცანი. რომ შეზარბოშდნენ, სიმ-

ღერის საღერღელი ამაღალით. ჯერ „ახსოვს, ტურფა“ იმღერეს, მერე „ჩემო ჩაპუტკუნე-ბული“ და „მალა მთას მოდგა“, შემდეგ კი ნამოინყის ახალი სიმღერა, დღეს რომ ყველა მღერის:

ავფრინდები ზეცაში,  
ცეცხლს დაეანთებ გენიას,  
გაუმარჯოს დიდ სტალინს,  
ვორიშელოვს, ბერიას!...

უბედურება ისაა, რომ „ბერიას“ მაგივრად ამბობდნენ „ბებიას“. პირველად მეგონა ყური მატყუებს-მეთქი და ისე დაეკიბე, სუნთქვაც კი შევაჩერე. კვლავ „ბებია“ მომესმა ბოლო სიტყვაზე ხმას კი უდაბლებდნენ, მაგრამ „ბებიას“ მაინც გარკვევით გამოთქვამდნენ. ესაოდა, სიმღერაში ცვლილება შეიტანეთო, კიდევ უფრო გახალისდნენ, „ავფრინდებიო“, მიუფინეს და მიუფინეს, სხვა სიმღერები თითქოს სულ გადაავიწყდათ. უკვე ბოლო სიტყვაზე ხმას უნუჯდნენ, დამთავრებისას სიცილს მოაყოლებდნენ ხოლმე, ხარხარებდნენ, ჭიხვინებდნენ და იყვნენ ერთ ამბავში.

ჩვენი უსახლვროდ ძვირფასი და საყვარელი ლაერენტო პავლესძე ბერია, საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის ბოლშევიკების ნაცადი ხელმძღვანელი, რკინისებურ ეტაკაცი, ერთგული სტალინელი... გაოცება: ვარ, გოჩასა და მის თანამზრახველებს ასეთი რამ ჭკუაში როგორ მოუვიდათ? კაი, ვთქვით ჭკუა არა აქვთ, ენა მაინც რაფერ მოუტრიალდათ, ბერიას მაგივრად ბებია რომ წარმოეთქვათ აგერ მე ერთი სიტყვილი გამოვიარე, სანამ ამ ამბავს დაენერდი. ჭირისოფლი ჯერ კიდევ არ შემშრობია.

შეიძლება ვინმე ყველაზე თქვას, ნასვამებ რომ ყოფილან, იმიტომ შემეცდარანო. ვერა. სიმთვრალეო ვერ გავამართლებთ. ხომ გავგონიანთ, მთურაღმა რა თქვა და გულისაო? მინანქრი:

გასარკვევია ამ ორი თანამესუფრის ვინაობა. ცნობებს მოკლე ხანში მოგანდეთო. ვასიკო პატგარაძე, 1937 წ., 4 ოქტომბერი. შენიშვნა:

ამით მთავრდება ვასიკო პატგარაძის ხელმოწერილი ყურცლები.

**დაწერილი ჟურნალს მიღმა**

სეიფის „საგანძურის“ წაკითხვა რომ დავამთარე, უწინარესად აღმასხან პატგარაძის ნახვა განვიზრახე. მას ბავშუობიდან ვიცნობდი. ჩვენ ნავთთნარის ქვემო უბანში ცეცხოფრობდით, ის კი — ზემო უბანში. მახსოვს, პაპაჩემი დიდის ამბით მოიხსენიებდა ხოლმე, პირიანი, გულმართლი კაცია, მოკვდება და სინდისის სამანს არ გადახარჯებს. ამასთან, ნაქები მუერნე იყო, კიდევ დურგლობ-

და. ომის წლებში თოვლმა სახლის თავზე ჩამოგვიტეხა. დედაჩემმა მისი მკურნალობა აღმასხანი მოიყვანა. მთელი უფროსი ხელშეკრევითან, სახლს სახურავი გადახადა და ხელახლა დახურა. სუფრისთან ბევრი ლამაზი კი არ სჩვეოდა. ოღონდ ეს იყო, ღვინოს რომ გადაკრავდა და კარგად შეჭიკჭიკებოდა. „დასაკარგავში“ გადასახლებულ შვილებს გაიხსენებდა, გული აუჭუყდებოდა და ცრემლებს ხელის ზურგით იწმენდდა. „დანომრილი ფურცლებიდან“ უკვე ვიცით, რომ გოჩას მისი შვილია. ვასიკო არსად არ იხსენიებს აღმასხანს მამად, ხოლო გოჩას — მამად, არადა, აღმასხანი მამა იყო, ჩვენს სუფრასთან დაღვრილი მისი ცრემლები ვასიკოსაც ისევე ეუთვნოდა, როგორც გოჩას.

მის შემდეგ, რაც გავსტუმენდით, აღმასხანს აღარ შევხვდებოდით. ცოფია გამშელივ სჯობს და, არც არსადროს მიკითხავს მისი ამბავი. ჰოდა, მასთან ნასვლა რომ დავაპირე, გულში ელდასავით გამჟკრა: ვაითუ, დარდასა და მწუხარებას ველარ გაუძლო და უკვე მზეს მიუფარა-მეთქი.

ნავთთნარის ზემო უბანში რომ ავედი, საფინჯის მივამოურე. გაბურღული ალოობა იყო, ხალხი ყანა-ზურგის შესუოდა, სამასლა-ათოდ და თავშესაქცევადა არ ეცალათ. საფინჯისზე მხოლოდ ორი დედაბერი იჯდა. ისინიც იქ მხოლოდ იმიტომ იყვნენ, იქვე მოთამაშე ბალებისთვის რომ მიეხედათ.

**ზომი რამ, რაც დედამარტა მიაგებს პრილას სადუნიშვილი:**

...რამ, აღმასხან ბაშგარაძე რავა არიო? ბედაშწვარ აღმასხანს კითხულობ, შვილო? ისე იქნა ჩემი შვილებისა და შვილიშვილების დამაინვევარი, რავარც ისაა. დარდა და უბედურებამ დააბეჩავა საცოდავი. ბიჭების გამართლება რომ მოუვიდა, მის მერე კიდევ უფრო დაიზაფრა და დანადელიანდა. თვალდათვალ მოტყდა, მოძაბუნდა. ღმერთო, შეგცოფე და, თავის ჭკუაზეც აღარაა მგონი. დადის, დაბუტბუტებს, ათი რომ დაუძაბო, ერთს არ გაჯავრებს. შვილები უგანგებოდ და უმიზეზოდ დამლუპიან, მე კი მუტუნებოდნენ ქვეყანა დაამხვეს და დააქციესო.

**აღათი ბახტურიძემ ჩაუერთო:**

ბიჭები ომამდე დაუჭირეს სანყალს. ჯერ გოჩა ნაიყვანეს, მერე — ვასიკო მიაყოლეს. სხვებიც ბევრი ნავგარითეს მამინ, დრო იყო ისეთი. ვასიკოს ცოლ-შვილი მაინც დარჩა ორი გოგო ჰავას, ორიენი ციმომწყვეტილი ვარსკვლავები გეგონება.

**პრილასიმ გააგრძელა:**

ყველაფერი კაი მოგცეს ღმერთმა, გოგუები მართლაც კაი ჰყავს. ცოლზე კი რა მოგახსენებო. ქერქება და თავმჩაზე გამოდგა. დაკრა ფეხი და დარყაში გაოხოდა, გოგუ-



ებოც თან წაიყვანა. მოძრავ-უძრავი ქონება, რაც კი რამ გაჩნდა, ყველაფერი ფულად აქცია და წაიღო. ყანა-ვენახს კი კოლექტივი დაეპატრონა.

**აღათიმ დაუშონმა:**

ხო, ცოლი გოუთხოვდა ვასიკოს. მგონი ქალიშვილებიც დაუოჯახებია. დაოჯახებდა, ამა, რა, თინკოც და ლელა ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ, მათ მთავი კი არა, ქალაქშიც გამოურჩელობათ მთხოვნელები. მაღე, ახლა, შვილიშვილებიც აუციცქინდებიან ვასიკოს ფეხზე. ბრალი გოჩასა, უცოლშვილოდ რომ გუდეგო. მერედა, რა უწყინარი და უშანკო ყმანვილი იყო, ბლუნჭველს ფეხს არ დაადგამდა ვაგლახად. ვასიკოს კი არ ჰგავდა. ბედისწერით დაღუპულ ადამიანზე აუტრ რავა უნდა თქვა, თავისი უბედურებაც ვცოფა, მაზა ზოგჯერ ენა მაინც არ გიკავებდა ადამიანს... ვასიკო აბუნარი და აყვია კაცო იყო, შვილა მამა და ძმა ხელში. შენი წილი ქონებით გოჩას რატომ მიგუედლეო, მამას ამიზა გუდეუკიდა.

**პრილასიმ დაუშატა:**

ადრე კვი ძმობა ჰქონდათ. ერთი თხილი რომ ეპოვათ, ერთმანეთს გაუყოფდნენ. გაიყარნენ და კიდევ გოფოურბინათ შავმა კატამ შუამი. აღმასხანმა განაცხადა, მე ცოცხალიც და მკვდარიც უმცროს ბიჭს ვეკუთვნი, ჩემი წილი ყველაფერი მას უნდა დოუმიკვიდროს. ვასიკო გააღარია და გადვიშალა: რავა, მე შენი შვილი არ ვარო? გოჩა განა წილელი კოჭია, ორჯერ მეტი სპაკრმიდაპო რატომ უნდა ჰქონდესო? თუმცა ხანი რომ გამოხდა და ძმა გასაჭირში დაიგულა, ძველმა სიყვარულმა ისევ შეახსენა თავი. დაჭრილ შვილზე აღმასხანმაც კი ვერაფერ თქვა სახეირო საჯაროდ, ვასიკომ კი სულ კაი-კაიები ილაპარაკა.

**გახსენება**

გუშინდელით მახსოვს ის ღამე. მე და ჩემი ძმები ფიცრულ ლოგინზე ვიწვეით თავ-ბოლომდეცულად. ბუხართან დეფა და ბებიას ხსდნენ, მამას ელოდებოდნენ, თანაც ხელსაქმობდნენ. მამა შინ თუ არ იყო, ბავშვები თავს ლაღად ვგრძობდით, ათასგვარ ოინსა და გასართობს ვეგონებდით. როდის-როდის დაწვევოფით და მერე ლოგინშიც არ ვისვენებდით. ასე იყო იმ ღამესაც, მამა რომ მოვიდა, კიდევ არ გვექინა. მის ფეხის მძახე გავისუსეთ, გვანტერტესებდა, რას იტყოდა. კოლმეურნეობის საერთო კრებას რომ უნდა დასწრებოდა, ვიცოფით.

— ეს რა ჰქნა ვასიკომ, რა ჩაიდინა, პირდაპირ გაოცებას ვარი — შესძახა მამამ და ბუხართან სამფება სკამი მიიჩოჩა და დაჯდა. — რომელმა ვასიკომ, კაცო? — ჰკითხა დეამ.

— ბაძგარადემ, აღმასხანის უფროსმა ბიჭმა.

— შაირს იტყოდა მაგი, ცხვეთხანა, ცხვეთხანა — ჩაურთო ბებიამ.

— რა შაირს, შაირობის დრო იყო? — შემოუძახა მამამ, მერე ჩვენსკენ გამოიხედა. კი დარწმუნდა ძინათო, მაგრამ ხმას მაინც დაუწია, — გუშინ რომ განუთში ენტრა ხხა-ლხის განაჩენი", ის განვიხილეთ კრებაზე. დიდი ამბავი იყო. მემარჯვენე გადამხრებულსა და ტროცკისტებზე ილაპარაკეს. რაიკომის მდივანი ესწრებოდა, კალმახელიც, ხუმრობ შენი? ჩვენი სოფლის ტროცკისტები და მავნებლებიც გაიხსენეს. გოჩა ბაძგარადე ვარო, ტარიელ დეკანოიძე ვარო, ნიკა ნიგნაძე ვარო... დროულად აღცვეთეთ მათი კონტრაველუციური და მავნებლური საქმიანობა, მაგრამ კვლავაც ფხიზლად უნდა ვიყოთო... სიტყვა ეძლევა ვასიკო ბაძგარადესო, რომ გამოაცხადეს, ყველა გავშეშდით, ერთმანეთის გულსმგერა გვესმოდა. მთელმა სოფელმა იცის, ვასიკოსა და გოჩას როგორი ძმობაც ჰქონდათ. ხოდა, გვეგონა, ვასიკო მოდებდა სახლიკაცს და სულ გაანოროწყალეხსო. პირიქით, კაი-კაიების თქმა წამოიჩყო. ჩემს ძმას ვველაზე უკეთ მე ვცინობ, არავითარი მავნებლობა მისგან არ წარმოდგება, შეცდომით დააპატრიქსო. რაიკომის მდივანმა უყვირა და ტრიბუნიდან ჩამოაგდო, თვარა კიდევ მეტს იტყოდა.

— კაი, ახლა, ნუ იცი უადგილო ხუმრობა! — შემოუძახა დეამ.


— ბაღნებს გუფიციები, — გადმოგვხდა მამამ.

— ასეთ რამეს სხვა ვერაფერ ბედავს და ვასიკო რამ გადარია? იმთ უმეტეს, სანამ გვერდით ჰყავდა, სისხლი გაუშრო, არ უსვენებდა, წლობით არ ელაპარაკებოდა. დაიჭირეს და ახლა საჯაროდ გამოეცოშმავა? — არ ცხრებოდა დედა.

— ძმამ ძმის ხორცი შექვამა და ძელები უბემი შეინახა, არ გავიგონია, შვილო? — უთხრა ბებიამ.

\*\*\*

აღმასხანის სახლი ბახითის ტყეებისაკენ მიმავალი შარაგზის ნაპირას იდგა. სოკოზე რომ მივდიოდით, იმ სახლის წინ გავივლიდით ხოლმე. თვალს გეტაკებდა ტყრულული ლობით კობტად შემორაგული ეზო, რომლის თავსა და ბოლოში ორი ვეება კაკალი შრი-ალუბდა, ტოტებით თითქმის ერთმანეთს რომ სწედებდნენ და იქაურობას სხივგაუფალი ჩრდილით ფარავდნენ. ზემოთა კაკლის ძირას ქვის ფართო, მაგიდა იდგა. სახლი უკანა მხრიდან შაბაძინით ლურჯად გადამასხანებულ ზვარს გადააყურებდა, საიდანაც აგვისტო-



სექტემბერში ნიფობლების ხმატკობილი კრუ-  
ალი მოისმოდა ხოლმე.

ვასიკოს სახლკარობაც იქვე იყო, მაღალი  
მესერნიანი ღობით გამოყოფილი. ეზოში კა-  
კალი არ ედგა, სამაგიეროდ მსხმოიარე ხე-  
ხილის რიგი რიგს მიჰყვებოდა. სახლი ახალ  
აშენებული ჩანდა, ქვის ბოკონებზე ნაშოდ-  
გმული. ეზოც და ვენახიც შედარებით პა-  
ტარა ჰქონდა, მაგრამ რაც იყო, ყველაფერს  
მზრუნველი მეურნის ხელი ეტყობოდა.

ახლა კი... მეგონა მზარი მექვა-მეთქი, აღ-  
მასხანის კარ-მიდამო ძლივსა ვიცანი. ანკი  
როგორ უნდა მეცნო: ვასიკოს ეზო-კარს ნა-  
სახლარობაც აღარ ეტყობოდა. კოლმეურნე-  
ობას ხეხილი გაეჭება, ვენახიც ამოუძირკვა  
და სიმინდი დაეთესა. ბალახგადავლილ, გაუ-  
თონარ სიმინდს პაანაქება სიცხეში ფოთლე-  
ბი დახუჭუჭბოდა და გასაძოვებელი გა-  
მოიყურებოდა. აღმასხანის ეზოში კაკლები  
აღარ იყო. მათ აფგილას მოშომელებული ვე-  
ლი ჩანდა, ღორებს რომ გადაეჩიქნათ. ღო-  
ბე მოჭველებულიყო, ალაგ-ალაგ კიდევ პი-  
რუტყვს გაერღვია. სახლის წინ დედაღორი  
გამოტილიყო მზიგულზე თავისი გოჭებინა.

მარჯვლი გავრვეით დამაგრებულმა ქიშ-  
კარი შევალე და შევედი. კაკლის ძირას რომ  
ქვის შავიდა იდგა, ახლა ის ღობესთან ეგ-  
დო შუაზე გადატბილი. მივედი და იმ მაგი-  
დაზე ჩამოყვეტი. ვაოვალერებდი იქაურობას,  
თანაც თავა ვიმიედედი: აღმასხანი ან ახლა  
გამორჩედა, ან ახლათ. აღმასხანი არა,  
მაგრამ ვიღაც ბერკაცი კი გამორჩა შარა-  
ცხაზე. ეზოში უცნობი რომ დამინახა, შე-  
მოვიდა და გამომესაუბრა, ვინაობა მკითხა.  
მერე თვითონაც გამომეცნაურა. გვიე ბახ-  
ტურიძის შიამ აღმორჩა — გერასიმე.


**გერასიმე ბახტურიძემ მიახმბო:**

— ვაითუ ტყუილმა ლოდინმა მოგნიოს  
აქ, შვილო! აღმასხანი ამ ბოლო დროს ისე  
თვალნაცემიოთაა, ვერც ასავალს გაუგებ და  
ვერც დასავალს. ყველაფერზე გული აიყარა  
საცოდავმა. ეზო-ყურე რას მიუგავს, ხო ხე-  
დევ? აფსუს, აღმასხანის კარ-მიდამოც მისი  
ვენახი და ხეხილი მუდამ გამორჩეული იყო.  
ახლა საყლოებელს არ იკითხავ? ხარებს შა-  
რაგზაზე რომ მოდენიდა, ღობეს ავეკრებო-  
დით ხოლმე, თარქვა-ბედაურებმა უ მანდ  
უნებურად თავი არ გააქცირებდა უ შეველე-  
ბელ რქებს არ წამოვეგოთო. ერთ რამესაც  
ვიტყვი. განა ცოტაა მაგალითი, კაცი კიი მე-  
ოჯახეცაა, მუხლჩაუხრელი მშრომელიცა და  
სანაქებო მეურნეც, მარა რათ გინდა, კაპი-  
კია მისი ფასი: ადამიანად არ ვარცა. მუზობ-  
ბლობა და მოყვრობა ჩირადიც არ უღირს,  
თვალი სულ საბოროტოდ უჭირავს. აღმას-  
ხანი კი სიკეთით იყო ყელამდე სავსე, მეზო-  
ბლისთვის სულს არ დაინანებდა.

გერასიმე ნამით შეჩერდა და სახეზე რა-  
ღაც ღობილივით გაუქრთა. **ქ რ ქ ე ნ ე ს უ ლ ი**

— შეილო, იქნებ გიცერქმე...  
„იყო“ რომ ვამბობ. იმას ჯვარი ეწეროს  
და, „იყო“ მიცვალეებულზე იტყვიან ხოლმე.  
მეც არ ვიცი, რატომ გამომდის ასე. მარტო  
მე კი არა, ყველა ასე ლამაზაკობს. ალბათ,  
იმიტომ, რომ აღმასხანი ამ ბოლო დროს  
მეზობლობაშიც გამოსხლტა და ნათესაობა-  
შიც აღარავის არ ეკარება, დადის, დაკონი-  
ლობს მარტოდმარტო. თუ გამორეკავებ,  
კი გიტყვიან ორ სიტყვას, თურა და, არც  
იმაზე შეგანუხებებს.

ხო, იმას ვამბობდი... აღმასხანი დიდად კე-  
თილი და ღვთისნიერი ადამიანი იყო. მერე  
რა, ცხოვრების გზა ასეთ კაცს უფრო წაეხე-  
რება ხოლმე ზოგჯერ. ჯერ იყო და, ჩამო-  
მვლელმა სახადმა პოეშები დოუხოცა, „სა-  
პანკა“ ერქვა იმ სახადს. რაღაც შავი ჭირი-  
ვით იყო, ვისაც ეტაკებოდა, მერე მშვიდო-  
ბით... აღმასხანს მარტო ვასიკო გოდოურ-  
ჩა, სხვები კი ერთ დღეს მიამარა ყველა მი-  
ნას. ორი გოგო და ერთი ბიჭი, ანგელოზები-  
ვით ბაღებში. რომ ეხსენებ, ახლაც ტანში  
მზრინავს, ქვა დნებოდა მათი საცოდაობით.  
აღმასხანი მაგარი კაცი იყო, გაუსაძლისს  
გაუძლო. იმ კვირაში ხარები შევაბა და მთა-  
ში წავიდა, შინ ნიფლის მორებით გაბრგინე-  
ბული ურემი მოაჭრაღა. ცოლმაც სიყოჩა-  
ღე გამოიჩინა, იმდენი ქნა, აღმასხანი ერთ  
ბიჭზე არ გადაარჩინა, ნაოლარა ბიჭი შეს-  
ძინა — გოჩა. თუმცა თვითონ სამზეო სულ  
მალე დატოვა, ქმარშვილზე გადაგებულმა  
გულმა უღალატა. დარჩა აღმასხანი ცალფლე-  
ლად, ობოლი ბიჭების იმედად და მათსავე  
იმედიო. ბევრი ქალი ერიგებოდა, მარა ცო-  
ლი აღარ შეირთო, დედინაცვალი შეიღებს  
დამირგვრავსო. დიასახლისობაც თვითონ ითა-  
ვა, ღამით მზარეულობდა და ხაზაზობდა,  
დღითი კი ყანა-ზეარში მიიჩქარავდა უთენია.  
რბაღმა იქნება ოჯახში ხელი წამაშველოსო.  
ვასიკო ადრე დაქორწინა. ჯალაუთელიც გო-  
გო მოაყვანინა. ავი და ქაშფოლარი გამოდ-  
გა ი შერეწებული. გოჩას დედინაცვალივით  
ჩაუფგა ტინში, მის შუეს არ უშვებდა. კი  
ხეხედიბოდიო, რისი მუცლის გვრეშაც ქონ-  
და: გიზრდებდა და ქონებსა გაგვიყოსო.  
აღმასხანმა ერთხანს უთმინა, მერე კი აბუ-  
რაგანი კრა და ვასიკო თავისი ცოლ-შვილი  
ანა ქე გოუშვა ცალკე, თავისთვის. რომ ფი-  
ქრობდა ამ ქრისტესნათლულ შვილს (გოჩას  
ვასიკოსგან განსხვავებით ქრისტესნათლულს  
ენახდა!) დაეაოჯახებ და მუშელებიო, მერე სულ  
დაესხა ცეცხლზე წყალი: ჯერ გოჩა დაუჭი-  
რეს, შემდეგ კი ვასიკოც. დარჩა აღმასხანი  
გასხეპილი კარტანასავით. ახლა კი მოუყვდა  
ბიჭების გამართლება, ტყუილა დაგვიჭერიო,



იტყობინებოან, მარა რაღა დროს, ცოცხალი აღარც ერთი თურმე და აღარც მეორე. შშობლებსთვის ამაზე უბედურება რაღა უნდა იყოს, შეიძლება ჯერ გამოსტაცებ ხელდას და ქვეყანა შეუყრი მამულ-დედულის დამქცევები არიანო, მერე კი დედას ამათი განუთხადებ: სულ ტყუილა დაგვიხოცია, ცანდე მართლები ყოფილანო. აღმასხანი მიტომაც შეიცვალა ერთბაშად. ველარ ვენობი. ადამიანის ასე გადასხვაფერება და ნირის შეცვლა თუ შეიძლებაოდა, არ მეგონა.

— სად იქნება ახლა, ვერ მტყუით? — ვკითხე მოუთმენლად.

— სად? — ჩაფიქრდა ცოტა ხანს გერასიმე, — შეიძლება დარეაში წავიდა. ხუმრობა ხომ არაა, სამი სიდე ჰყავს. ერთი რძლის ქმარი, ორი კი — შეილიშვილებისა. რძალთან უმძრახადაა, ვასიკოს რატომ დააბიჯა გულზე ფეხი და გათხოვდაო. შეილიშვილებთან კი დადის, ისინიც მოინახულებენ ხოლმე ხანდახან.

ხო, მართლა, დამეინწყდა მეთქვა. აღმასხანი რა ჰქნა, იცო? ცოლის გვერდით სამარე გათხარა და შიგ შეილების შემორჩენილი ტანსაცმელი „დაასაფლავა“, ზედ ქვა დაადო, რავარც წესი და რიგია. ქვაზე ოსტატს ამოაკვეთინა: „დაესტირით უსამართლოდ დაღუპულებს“. თიფქოს ახალი მიცვალეზულები ჰყავსო, სასაფლაოზე ხშირად დადის. ზოგჯერ ღამესაც იქ ათეუს. შეიძლება ახლაც იქ იყოს...

\*\*\*

ნაგუთნარი დიდი სოფელია. დიდი აქვს სასაფლაოც, შემადლებულ გორაკზე რომაა გმლილი. ქვემოთ ჩაუდის ნაგუთნური, ზემოთ და მარჯვნივ ვენახებია, მარცხნივ კი — შარავზა. სასაფლაოს ერთადერთი მშენებია ეკლესიაა, თერთად მოქათეთე კედლებით და მძალი სამრეკლოთი. სამრეკლოში ერთ დროს ღედოზარი ირეებოდა და ხალხს ნირვალოცვისთვის მოუხმობდა. მაშინ სასაფლაოც საგულდაგულად იყო შემოღობილი თურმე, ნინილიც კი ვერსად გაძვრებოდა. „ახალი დროსი“ კაცებს ოციან წლებში სამრეკლოდან ზარები ჩამოუყრიათ, ხატები სანაგვეზე მიუგდ მოუგდიათ, საკურთხეველი ნაუბილნავთ, შენობა კი კლუხად გამოუყენებიათ. დროთა განმავლობაში სასაფლაოც ეკლესიასავეთ გაპარტახებულა. ღობე მოურღვევით და ნინაპართა ძვალშესაღადი ნახირის საბალახობად და სათარეზოდ უქცევიათ. მე თვითონ ვყოფილვარ მონმე, საფლავი ღორების ნაჩიქნში რომ გათხრილა. ამიტომ იყო, იქით გაელა ჭირივით რომ მუზარებოდა ყოველთვის. ახლა კი, რაკილა გერასიმემ მითხრა, აღმასხანი შეიძლება იქ იყოსო, მას და-

ვემშვიდობე და სასაფლაოსკენ ამავეთ აღმართს ფეხაქარებით შევყვი, **ერკონესული**  
**ზიზღლიცითქვა**

აღმასხანი სასაფლაოზე აღმოჩნდა. იმ რიადაგზე, კაცის ჭაჭანება არ იყო, ის ჩანდა მარტომდმარტო. გულმოდგინედ საქმიანობდა. ალყაფის ჭიშკარი უკვე გაკვეთებია და ჩამოსაკიდად გამზადებული იდო იქვე. ერთი ბოძიც დაესო, კიდეც გაემადგრებია. ახლა მეორეს ასობდა. თმა გასთეთრებოდა, რილო-ჭრილოდ შეჭადარავებული წვერი კი ისე გაბზურბგნოდა, რომ ღეპარაკობდა, ყებების მოძრაობა ოდნეულა ემჩნეოდა. თვალბში ჯერ კიდეც უკიაფებდა მინაელული ცეცხლი, სქლად გადმოფანჩულ წარბებქვეშიდან ცოცხლად იფურებოდა, სხეულის მკვრივი აღნაგობაც შერჩენოდა. ეცვა. ჯვალს გალიფე შარვლი და შავი „ტელეგრიკა“. რეზინის ნულები გაეხადა და ჩრდილში მიეყარა. ფეხშიშვილი წვეტიან კოლოხებზე ისე მიდი-მოდიოდა, ვითომც არაფერი, შევატყვი, ჩემი მისულა არ ესიამოვნა. საღამო უგულოდ დამიბრუნა. დავიბენი, უკვე აღარ ვიცოდი, როგორ მოქცეულიყავი, რა მეთქვა ისეთი, ბერიკაცის გული რომ მომეგო. ამ საორჭოფო ფიქრში რომ ვიყავი, მომხედა, დამაკვირდა და მძიმედ ამოილაპარაკა.

— გიგი გგონივარ ალბათ, ბიძიკო, არა? — როგორ გკადრებათ, ბატონო აღმასხან, გიგი კი არა, თქვენისთანა კაცი ვინაა, ბავშვობიდან გიცნობთ, — ვუთხარი და ნაბიჯი წინ წავდგი.

— ჭიშკარს რომ ვაკეთებ, ამაზე გეუბნები. ალბათ, ფიქრობ: მოფოლორცებულ-მოლიავებულ სასაფლაოს ჭიშკარი რად უნდა, დააღირე თავი და შედი, საიდანაც მოგესურვოსო, არა? მე კი მგონია, ჭიშკარი საჭირია, ბიძია, ნამდვილად საჭიროა. ამას მიცვალეზულისადმი პატივისცემა მოითხოვს. ამა, ესაა საქმე: განსვენებულები მოკლე გზებით რომ შემოჰყავთ ხან იქიდან, ხან აქედან? წუთისოფელმა ისედაც მოკლე გზა დაგვიბედა და კიდეც უფრო უნდა შევიმოკლოთ? — მითხრა მან და ქვებისკენ ხელი გაინდინა: — ის ჭიკორა ქვა მომანოდე, თუ კაცი ხარ!

ქვა ავიღე, მივიტანე, მერე აღმასხანს ურო გამოყარეთი და ბოძს მე თვითონ დაუწყე გამაგრება.

— ბიჭოს, შენ ქვეც კი მუშაობა ცტოდნია! — შემაქო.

დრო ვიხელთე და ჩემს ვინაობაზე ნამოვიწყე ღამარაკი. სტუდენტი ვარ-მეთქი, როგორც კი ვთქვი, გამოცოცხლდა, თავი შეარხია და წარბებქვეში მიმალული თვლები მთლიანად გამოაჩინა.

— მოდი, აგერ დაესხედეთ, ელაპარაკოთ.

ჩემი გონაც სტუდენტო იყო, შვილი! — მითხრა და შებრუნდა, ქაშკაის კედელზე ჩამოყვდა. ურო ზოდზე მივაუფრე და გვერდით მოვეჯექი. კარგა ხანს ვისაუბრეთ. ამასობაში მზეც ჩავიდა. მეორე დღეს დღილი ისევ სასაფლაოზე მივდი, ქაშკაის გაკეთება მოვამთავრებინე. მერე შინაც რამდენჯერმე ვენივ. ერთხელ დარეაზივ წავყვე, შვილიშვილები მოვინახულებინე.

ბოლო ხანებში უკარება და სიტყვაძვირი გახდა, მუშებნობდნენ აღმასხანზე. ამის მიზეზი აღბათ ისიც იყო, ნამდვილ გულშემატკივარს და ჭირთა გამზიარებელს იქნებ ვერავის პოულობდა. ყოველ შემთხვევაში მე საოცრად მომენდო და მომეთავისა, ცხოვრების დარჯაკში გამოტარებული გული ბავშვური უშუალობით გადაამიშალა.

\*\*\*

აღმასხანმა საუბარში რამდენჯერმე ახსენა „რებატაცია“. ერთი „რებატაცია“ შარშან მოგვივიდა, მეორე კი სულ ახლახან — ორიოცე კვირის წინათ მივიღეთო. კი მივხვდი, რეაბილიტაციაზე ლაპარაკობდა, მაგრამ მაინც ვკითხე:

— ბატონო, აღმასხან, „რებატაცია“ მივიღე, რომ თქვი, ვერ გავიგე რა არის „რებატაცია“

— ნამო, განახებ, შვილო, გაგონილს ნახული სჯობია, — მიპასუხა და ნამოფგა, ეკლესიას მიაშურა. იქ თურმე ლოგინისმაგვარი რაღაც პქონდა მოწყობილი. იმ ადგილას, სადაც წინათ ამბოინი იყო, ქვებზე ფიცარი დავამაგრებია. ფიცარზე ლებობა დეკლარაციის ნაგლეჯი დიდენია, სასთუმლად კი აგური დავუფეს. ლოგინის ქვეშ თავმოკრული პატარა ფუთა მიუშალავს, ქვისთვის ამოუფარებია.

აღმასხანი დაიხარა, ფუთა გამოაძვრინა, თავი მოხსნა და იქიდან ჩვარშემოხვეული რაღაც საგანი ამოიღო. ჩვარი რომ შემოაცალა, სქელი, მაგრამ მომცრო ფორმატის მუქყვანი ნივინ გამოჩნდა. ეკლესიისკენ რომ ნამოვდით, მის შემდეგ ბერკაცს კრინტი აღარ დაუძრავს. ნივინიდან რემინგტონის მანქანაზე გადაბეჭდილი ორი ფურცელი ამოიღო და ისევე უხმოვ მომანოდა. შევატყვე ხელი უთრთოდა. ორივე ფურცელში ერთი და იგივე ეკითხებოდა: „განაჩინი გაუქმებულ და საქმის წარმოება შეწყვეტილ იქნა ბრადდების დაუმტკიცებლობის გამო (სიკვდილის შემდეგ)“. ერთი ფურცელი გოჭას ეხებოდა, მეორე — ვახიკოს.

აღმასხანი კვლავ უხმოვ იდგა და თვალგაუჭებლად შემომყურებდა, თითქოს პაერი არ ყოფნისო, პირი გაეღო და მძიმედ ხუნთქაქდა. მვე ენაჩავარდნილივით ვიდექი, სი-

ტვის თქმას ვერ ვახერხებდი. ანკი, რა უნდა მეთქვა ისეთი, მოხუცის გულში რამე მოხუცობოდა. ესლა მოვიფიქრე, რა უნდა მთქვამო ბილიტაცია კიდევ წავიკითხე, ოღონდ ახლა უფრო ხმაბალა და გამოკვეთილად. თითქოს პირველად მოისმინაო, აღმასხანმა თავში უცებ ხელი შემოიჩრტა და რაღაც შემახრუნენი ხმით ამოიღრიალა:

— ვაი ჩემს თავს, სულ ტყუილა არ დავლუბლუარა...

მხარზე ხელი მოვხვიე და ლოგინზე ჩამოვაჯინე. ხელები თვალზე აიფარა, იდავით მუხლს დებჯინა და გაუჩნდა. სულ მალე შევაშინე, მხრები აუცახცახდა. ტირილდა, ცრემლებს სახელოთი ინმუნდდა.

ტიროს, ნაღველს ამოაყოლებს-მეთქი, გავიფიქრე და გარეთ ფეხაკრფით გავედი. რომ შემოებრუნდი, აღმასხანს უკვე უძინა ისე მოკუნტულიყო, მუხლები ლამის ცხვირზე მიებჯინა.

\*\*\*

იმ დღეს სასაფლაოზე ისეთ მომენტში მივედი, აღმასხანი ღობის მარჯილს ჩამოყრდნობოდა და „დასაკარგავში“ გადასახლებულ შვილების „საფლავს“ დაჰყურებდა. ფიქრი არ დავურღვიო-მეთქი, გავიფრე გულში და მოშორებთი გავჩერდი. გავიდა თხუთმეტოდე წუთი და აღმასხანს ამოჩემებული ნერტილი არ დაუკარგავს. გავიდა ნახევარ საათზე მეტი და კვლავ გაუძრველად იდგა. მეტი დალოდება ველარ შეეფელი და შევსახხე:

— ბატონო აღმასხანი!

ხმაბალა გამომივიდა და გულისხმაში ვერ ჩავაგდე. მივედი, მხარზე ხელი დავადე. დაბნეულად შემომხედა, დამაკვირა.

— ოჰ, შენა ხარ? რას ვფიქრობდი ამ წუთს, შვილო, იცი? — ნამოინყო ყრუ, ნამტირალევი ხმით, — ვთქვათ, ეს მინა ამოყარო ახლა და, თავიანთ ტანსაცმელთან ერთად ბიჭები თვითონაც აღმოჩნდნენ საფლავში? არ გავციკედები სიზრათლით!

ასეთ შემთხვევაში ყოველთვის უძღური ვიყავი, შეპასუხებას ვერ ვახერხებდი. ახლაც უხმოვ შევყურებდი. ისევ მან განაგრძო:

— ეს რა მიყვეს, კაცო, შვილები ცოცხლებიც დამიკარგავს და მკვდრებიც. ხოდა, კიდევ აქვთ შედავებიან: ქვას „უსამართლოდ დაღუპულები“ რატომ დაანერო.

— ვინ გედავება, ბატონო აღმასხანი?

— საბჭოს თავმჯდომარე. „უსამართლო“ ამოშალე, „დავტირით დაღუპულებს“ ქე იყოსო. უსამართლოდ დაღუპვის საბუთი დღეს კი მოგვიდა, მარა ხვალ კიდევ რა მოვა, რა ვკითხო... ესეც არ იყოს, საფლაოზე „უსამართლოს“ ამოკეთა და საქვეყნოდ გამოტანა მაინც არაა გონიერული. ამ არე-



მარტზე ათასი ძალღი და მამაძალღი მიდმოდის, უნემზე სურათი რომ გადაილოს და უცხოეთში გამოაქვეყნოს, ხო იტყვიან საბჭოთა საქართველოში უსამართლობა ყოფილა გამეფებულიო? რის სურათი, რა სურათი, თავმჯდომარეები რას არ მოიგონებენ! რამდენი ხანია ამ სასაფლაოზე დავიარები და უცხო მე არავინ შემიჩინნავს. იპ, სურათს გადაუღებენო! ისე აშენდა მაგის ოჯახი. თანაც რომ დაშემეფერა? ორ კვირამ თუ არ ამოგიშლია, კაცს გამოვგზავნი და ამოვაფხვნიებო. აბა, ერთი გაბედოს და გამოგზავნოს, აქა ვარ მე, ჯერ კი არ მოვმეფარვარ!...

— ახალ საფლავს იქით მეუღლე განისვენებს, არა? — ვკითხვ მხოლოდ იმიტომ, თავმჯდომარისთვის რომ „ჩამომეშორებინა“.

— ხო, ჩემი ოჯახობაა. სიკვდილმა ადრე გამოკრა ხელი უბედურს. თერთონ წამონვა. დავითმა და დაისვენა, მე კი შემატოვა ობლები გასაზრდელად და სადავიდარაბოდ. ვასიკოს უკვე წამოჩირქვინებული ეთქმოდა, გოჩა იყო დღამი, ახალი ფეხაფეშული. სიკვდილის სიკვდე ჩვილმაც კი იგრანო თითქოს, მიცვალეხულს ერთხელე ზურგი რომ შეატყია, მერე აღარ ეკარბოდა. ასწავლეს თუ თვითონ მოიგონა, ვერ გეტყვით. არ მინდა, „ხიხია“ დედა არისო. ესღა ვიღონეთ: იმ უბედურს მეკრძებუ კამფეტები დავუღაგეთ და ბალანა თანდათანობით მივაჩვიეთ. აუბობდებოდა გულზე, კამფეტებს აარამებდა და ისე მალე მომორგებოდა ხოლმე. კამფეტები ვინ მოგვყო, ეკითხებოდნენ. დედიკომამო. მოტირალის მოთქმა-გოდება საჭიროც აღარ იყო, გოჩა გენეადა და გვატირებდა ვვლას. პატარაობიდანვე დაკვირვებული და აზრიანი იყო, იმას მოუკვდეს მამა. ნერაკითხვისთვის სულს ღვდა, სულ ქალადებზე იყო მიციკვინებული. უნდა გენახა, სკოლიდან კაი-კაი ნიშნებს რაეარი სიხარულით მომირბენინებდა ხოლმე. ათი ჯგუფი ისე დაამთავრა, არ მახსოვს მასწავლებელს დავებარებინე და საყვედური ეთქვას. პირიქით, სადაც შემხედებოდნენ, სულ მის ქებაში იყვნენ. იმიტომაც გახდა სტუდენტი. ყველაზე დიდი სასწავლებელი რაა თბილისში, იქ გოულეს კარები. მოიცა, რა პეჭია? უნივერსიტეტი.

— სახელმწიფო უნივერსიტეტი, — დაეაზუსტე მე.

— ხო, სახელმწიფო... აბა!

— მერე ცნობის უქონლობამ შეუშალა ხელი, არა? — ვკითხვ. ერთი დანომრილი ფურცლის ეპიზოდი გამახსენდა.

— რა ცნობის? — გაიკვირა.

— ცნობა კოლექტივიდან ხომ სჭირდებოდა?

— სჭირდებოდა და კიდევ, ჩემი და კესიკოს რომ გამოვეყავით, გრანადი კომლად დაენრე. ხოდა, კერძოდ მე დავარი მარტო, ისინი კი კოლექტივში ჩაენრენ. ეს ისე, თვარა მე და გოჩა მაინც ერთად ვიყავით. უმისოდ ერთი ნელინადი ძლივს გავაძალორე, პირველ კურსზე რომ სწავლობდა, მაშინ. ეპ, ნეტაი კაათ მყოლოდა და მარტოობას გოულდებდი, რავარც იქნებოდა. ფულტყების ანთუბამ დამიჩაგრა. ძლივს გადაურჩა. მერე კიდევ დიდხანს იავადმყოფა ზურეკვერედ. ექიმებმა თქვეს: „ჩიხოტკა“ ეწვევა, ქალას უნდა გაერიდოს, სოფელი გამოაკეთებს და მოაღონიერებსო. მის შემდეგ სულ ჩემთან იყო. ლამაძობით ნივნებს უჯდა, დღისით კი მე მუხმარებოდა. მუშაობამიც მარჯვე იყო, საქმეებს ხელად მომაგულისქორე ბინებდა ხოლმე. ერთ-ორჯერ უჩვილეს: კოლექტივში არ მუშაობს და რისი კოლექტივიაო. ავადმყოფობის ქალადი რომ წარადგინა, იკადრეს და ჩაინფიცტეს ენა.

— ბატონო აღმასხან, ერთი ის მოთხარი გოჩა შინ ტოლ-შეგობრებთან რომ ქვიფობდა ხოლმე, პურმარისს თვითონვე ამზადებდა თუ ემზადებოდა ვინმე?

— ქვიფობდა კი არა! — თავი გაიქინა აღმასხანმა, — ღვინოს სათოფეზე არ ეკარებოდა. გოჩას ქვიფი მე არ მინახავს, მის სულს გუფიცები!

აღმასხანმა კიდევ თქვა რაღაც, მაგრამ ვეღარ გავიგონე. მე ერთი დანომრილი ფურცლის იმ ადგილზე ვფიქრობდი, გოჩა და მისი მეგობრები „ავფრინდები ზეცაში, ცეცხლს დავანთებ გენიას“ რომ ატუგუნებენ და სიმღერის ტექსტს დანაშაულებრივად ამახინჯებდნენ.



ერთხელაც, საუბარი რომ წამოვიწყე, აღმასხანმა შემარეა:

— თუ ჩემი ხატრი გაქვს, „ბატონოო“ აღარ მოთხრა „ბიძია“ დამიძახე, თუშეცა „ბაბუბა“ უფრო შემეფრის, შვილიშვილები მყვანან შენზელა. თუარა და, პირდაპირ აღმასხანი რომ მიწოდო, არც ეს ჩაოგვართმევა უმატიცემლობაში. მე მხოლოდ ის მწყინს, გუშინდელი ლლაპები რომ გამომეფენებინან და რაღაც სისულელებს მომყვორიან.

— ენ გაკადრათ ასეთი რამე? — გაეცვიკრა.

— რა ვიცი, ვინ არიან, ხელიკებოთ პტენა ერთმანეთს. ნენიებებს რომ ეძახიან, იმ უბანში მოვდიოდი გუშინინი. შეეხედიოა და, მიყბი არ ამეფენენ? აღმასხან ბაბუა, ვის უყვირო, ვინ განყენინა, გვითხარი, ჩვენ გუენწორდებოთო, მომყვირებენ, თანაც იყინიან, ხიხიბებენ და არიან ერთ ამბავში, ვინ

მანყენინა და ჩემმა უბედურმა თავმა მანყენინა. ხოდა, ჩემ თავს ვუყვირი და ვუჯავრდები, რა გინდა, შენ ხო არაფერს გიშავებ? იმ დაწყვეტილი ფლიდან, კრებაზე „რეჩი“ რომ მათქმევიწეს, მოსვენება აღარა მავს. ზოგჯერ სიზმარშიც კლამარაკობ, ჩემს თავს ვებრძვი და ვამტყუნებ.

— კრებაზე რა თქვი, თუ გახსოვს ზუსტად, ბიძია?

— იმე, რავა არ მახსოვს!.. აკი გითხარი, ხშირად ვლაპარაკობ-მეთქი. იმ ნალაფებებს რომ გავიხსენებ, მერე ჩემს თავს ვუჯავრდები, ესჯი და ცეცხლზე ვაფებ. ადრე ფიქრში ვმურგობოდი ამას, ახლა ხმაბალა გამომდის ხოლმე ჩემდა უნებურად.

— რა თქვი მაინც კრებაზე ისეთი? — ჩავეძიე მე.

აღმასხანი წამოფდა, წელში გასწორდა და თითქოს ვიღაცას აჯავრებსო, გულმოსულად დაიწყო:

— ამხანაგებო და მეზობლებო! „ხალხის განაჩენი“, აქ რომ გახეთქი წაიკითხეს, საშარტლიანი და დროულია, ტროცკისტებს და მავნებლებს ყოფა ეტყობო. ახლა მათზე... საშინურად, ჩვენს სოფელში აღმოჩნდნენ გადაშხრელები. მათაც საკადრისი მიიღეს. მე, როგორც დამნაშავეს შამას, ბევრი ლაპარაკი და ტილატობილა არ შემეფერია. მოკლედ ვიტყვი, „ხალხის განაჩენს“ მთელი გულით ვიტყნებ და ტაშს ვუკრავ.

აღმასხანი დაჯდა. სანამ რამეს შეევეითებოდი, თვითონვე დაამასწრო, სრულიად შეცვლილი ხმით ამოილაპარაკა:

— იმ დღეს, სანამ კრება დაიწყებოდა, ორი უცნობი კაცი მოვიდა და ნამოყვანა. საბჭოში მივდიოდი. იქ ცალკე ოთახში გამომარტოეს. მე დამაჯინეს, თვითონ კი ბოლთას სცემდნენ, თან შელაპარაკებოდნენ: ამ საღამოს საგანგებო კრებას ვატარებთ, სიტყვით შენც უნდა გამოხვიდე, ესა და ეს უნდა თქვაო. კაათ დამახსოვრე, ერთი სიტყვაც არ შეგეშალოს, თვარა მერე ხო იციო... რაკიკობის მდივანი გვესწრება, კალმახელიძეო. დიდი ზორბა კაცი იყო ის კალმახელიძე, სათვალეები ეკეთა და ლამპის შუქზე შავად იყურებოდა. საშიში ჩანდა. მერე ძილშიც ბევრჯერ დამსიზმრებია. იმ წელს ისიც დაიჭირეს თურმე. მანებელი აღმოჩნდაო, ასე თქვეს.

ვასიკო ჩემზე ადრე უნახიათ და გაუფრთხილებიათ. მე რა ვიცოდინ. ბეჯის ჩარხი უკუდში რომ დაგვიტრიალდა, მის მერე გაუგებრალა დროს!

— ადრე რომ გაგეტო, საქმეს ვითომ ემველებოდა? — წამსცდა ჩემდა უნებურად.

— რა ვიცი, იქნებ კი ემველებოდა. დაჯარიგებდი, რეარც გითხრან, ისე მოიქეცი, ამითათნ ჯოუტობა არას გარგებს, თავი არ

დაიღუპო-მეთქი. თუმცა რას ვიფიქრებდი, გოჩასთვის თავს თუ გადავებოდა, ესაუღამამა გადაიბირე, მის წილ უნებურად დაგატრონო, სულით ხორცამდე შეიფულა. კრებაზე კი აფდა და გამართლება დაუპირა. გოჩა ერთი წინისტეფია კაცი იყო, რომ დაღამებოდა, გარეთ გამოსვლის უწინოდა და რა მავნებლობა უნდა ჩაეფინა, ვერ გამოგიაო. რომ შეატყვეს, ჩვენს დაკვლიანებას არ მიპყვებო, უყვირეს და ჩამოუფახეს ტრიბუნდიდან. მე კი იმავე წუთს დარბაზიდან გამოიყვანეს და კიდევ უფრო მკაცრად გამაფრთხილეს: შენც რომ აურიო და ის არ თქვა, რაც დაგაზებურბინეთ, ძირფესვიანად მოგთხრით და მოგასორსალებო. ერთმა მათგანმა ნაგანიც კი მიჩვენა, უბიდან თავი ამოაყოფინა. ჩემი თავი ჯანაბას, მარა ვასიკოს დაჭერის შემეშინდა. ერთ თვეში მაინც დაატუსაღეს. შეეცადი, სხვაგვარად უნდა შელაპარაკა. აჰა, ის რა სათქმელი იყო...

აღმასხანი ისევ წამოფდა და ახლა უფრო ხმაბალა დაიწყო: „ამხანაგებო და მეზობლებო...“

— აღარაა საჭირო, აღმასხან ბიძია! — შეესძახე და მეც წამოფდექი, მხარზე ხელი დავაფე. მაინც განაგრძო, ოღონდ ხმას დაუნია. რომ დაამთავრა, დაჯდა და თავი ჩაღუნა. ერთხანს ვსდუმდიო.

— იმ კრების ამბებს წულარ გაიხსენებ ხოლმე, ბიძია! — ესთხოვე, რომ ვიფიქრე ცოტა დამშეიდედა-მეთქი. თუმცა თვითონვე ვგრწმობდი, ჩემი თხოვნა ქარს გატანებული სიტყვები იყო, მეტი არაფერი.



მე და აღმასხანი ერთ საღამოს სასაფლარზე მივდი-მოვდიოდი, თანაც ვსაუბრობდით. ერთ ადგილას იგი შეჩერდა, საფლავის ქვას ფეხი დაეფდა და სერიოზული ხმით ჩაქითხა:

— რავა ხარ, სიღბისტრო?

თვითონვე უპასუხა:

— სიღბისტროს რა უჭირს, მე ვიკითხო თუ არა!

— დამინებულ კაცს როგორ შენატრი, ბიძია?! — უსაყვედურე, — შენ და მე, რაც არ უნდა იყოს, ცოცხლები ვართ, ცას და მზეს შევეყურებთ, ბუნების მშეწინიერებით ვტპებთო.

— მე რას მეფრები, ბიძია, ჩემი მგვანე ქვა და კლდე იყოს. დღემუდამ სიკვდილს ენატრობ, მარა სად არის სიზმარში კი ვნახულობ ხოლმე, ცხადად არ მეკარება. ნუხელიც ვნახე, თავზე დამაფდა.

— რანაირი იყო, როგორი სახით წარმოგიფდა? — დაეინტერესადი.

— ჩამოვისვინით აგერ ამ ლოფზე და მო-



გაყვები. მითხრა და „სილიბისტროს“ თავზე ჩამოგდია. შეც გვერდით მივუჯექი.

— სიკვდილი რანაირი იყო? რაფარიც სხვიმის მინახავს, ახლაც ისეთივე დამსინზმრა: სულ მარტო ჩონჩხი იყო, თითის სიგრძე კბილები გადმოყარა და რალაც საფეთარი თვალებით იფურცობდა. მუქარით მი-თხრა: ფუთაში წიგნს რომ-მალავ, უნდა მომცლო.

კი ვიცანი, მარა მაინც ვკითხე: — განა ვინა ხარ, წიგნს რომ მიხოვ?

სიკვდილი ვარო, შემოშიძახა გაბრაზებით. წიგნსაც მოგვემ, ერთი ქორწინების დროინდელი ვერცხლის ქაშარი მაქვს შემორჩენილი, იმასაც გიპოვებ, მხოლოდ ეს გამაგებნი, როდის მკლავ, ამ ოხერ წუთისსოფელს როდის დამატოვებინებ-მეთქი. ჩემი ძალით ხომ ვერ მოგლავ, ავარ სიას გადავსინჯავ და გეტყვიო. გადასინჯა სია და მითხრა: შენ ახლა სამოცდათერთმეტი წლისა ხარ, ცხრა წელიწადი კიდევ უნდა იტოვებო, ოთხმოცად შეასრულოო.

რახან თხმომც წლამდე უნდა ვიცოცხლო, წიგნი რომ რაში უნდა მოგვე-მეთქი, ვუსთორე, წაღდს ხელი წამოეუსკი და გამოვინთო. იკადრა სიკვდილმა გაქცევა. გამხმარი ძვლების ჩხარა-ჩხურით მირბოდა, უკან აღარ იხედებოდა.

აღმასხანმა ჩაიქირქილა. პირველად დავინახე გაციწებული. გამეხარდა. კვლავ დავაპირე საუბრის წამონწყება. ისევ მან დამასწრო:

— მკვდარი ადამიანი საცოდავია. არის გაშოტილი თავისთვის, აღარაფრის ხამბარში აღარაა. სილიბისტროს ახლა რომ რამე გავგებოდეს, არ გადაირევა? თავზე რატომ მაზინხართო, გეყვირებს და სასიკვდილოდაც არ დაგვზოგავს. თერთმე ბარე სამი წელიწადი რომ თავმჯდომარეობდა და მთელ ხალხს თავზე გვაჯდა, ამას კი აღარ ვაინსენებს. ავკაცობა და უღმერთობა ახლა ვის გოუკვირდება, მარა ის მეტის მეტი იყო. ღვთის სივარული და მამამაპუული სალოცავებისადმი თავყანისცემა მას რჯულში არ ეწერა. ამ ეკლესიას რომ უყურებ, პირველად სილიბისტროს გაძარცვა და გააპარტახა.

— რა ქნა, ბიძია, რანაირად გაძარცვა? — ჩავეძვი.

— ხატები მოიპარა და გაყიდაო, თქვეს. რამდენად მართალია, არ ვიცი. მე იმას გეტყვი დაბეჯითებით, რაც ჩემი თვალით ვინახე და ყურით გავიგონე. ეს ამბავი კოლექტივამდე მოხდა. ახალი დროის კაცებმა ეკლესიების დარბევას მიწყვეს ხელი. იმ დღეებში ხმა გაერეცა: პერეცვი ერთი ყოლად უღმერთო და მღვდელ-დაიკენის მოძულე ქაბუკი, გვარად შუაკაიძე, საფდარში შევიდა

და იქაურობა მიანგრ-მოანგრიოო, ხოდა, ხატებმა ის ქაბუკი იმ საღამოსვე წაგვუკოსო. თუმცა გაგიგებაც არის უსაგებო, მერეველი ღვთისმგმობელი ძალღივით იყუფება, პირზე დორბლი გადმოდის და ოჯახის წევრებისა თუ მეზობლებისაკენ კბილებდაკრქილი მიინეცს, სურს ყველა დაცოფოს და დაკვინოს. მსხვილი ჯაჭვით აბია, მარა მაინც შიშობენ არ აიშვასო.

ამ ამბით დაზაფრულები ვყავით. ჩვენი ეკლესიის დასარბევა და გასათახსირებლად რომ შეგვეკრიბეს, ვიდექით და ვუყანობდით. საყდარში შესვლას ვერავინ ვებედავდით. ჩოჩქოლსა და გადაძახილ-გადმოძახილში: არა შენ ადი სამრეკლოზე, არა შენო, სილიბისტროს მიჭექარე ხმა გაისმა, ამ წუთში ავალ და ჩამოყერი ხარებს, ქრისტე-ღმერთმა მე გამაგიფოსო. მართლაც კიბე კიბეზე მოადგაცოცდა სამრეკლოზე და ხარებს ძირს ჩამოუძახა.

მთელი სოფელი შეცბუნებული და გაოცებული რომ შეპურებდა და ხმის ამოღებას ვერავინ ახერხებდა, ისევ მე შევეყირე: გიჟი ხარ შე უბედურო, და ვერ ხვდები-მეთქი. მერე რა, გიჟი და უბედურნი მე დაგერჩი ბოლოს, ღმერთმა სილიბისტროს მაგორად მე დამსაჯა, ბიჭები დამიღუპა, ჯოღაგი და გასაგისი ამომიძირკვა. სილიბისტრო კი ბედნიერი კაცია, სამი ძე და ოთხი ასული დაუდის მზიგულზე, შეილიშვილებსა და ბადიშებს კი სათვალავი არა აქვს.


აღმასხანი ერთხანს სდუმდა, მერე წამოდა და ეკლესიისკენ ჩაფურცებული წაჩაჩუნდა. მეც უხმოდა მიწყევლი.



ერთი სული მქონდა, სანამ ხელს შევაელებდი იმ მუქყდიან წიგნს, აღმასხანი ფუთაში რომ ინახავდა. რეპალიტაციის ფურცლები მან ისევ იმ წიგნში ჩადო და კვლავ ჩვარში შეახვია. მაშინ სულ სხვა ამბავი მაინტერესებდა და წიგნზე სიტყვა ვეღარ გამოუგდე. მეორე თუ მესამე დღეს კი, როგორც კი დრო ვიხელთე, ვკითხე:

— გოჩას ბევრი წიგნი მქონდა აღბათ? — ბევრი მქონდა შეილო. ფანჯრების რაფებზე კოკოლ-კოკოლბებად ელავა. კარადა უნდა ვყოფოდ და ყველა ქალაქად თავი ერთად მოუუყაროო. აღარ დასცალდა. ის რო დაიჭირეს, წიგნებიც წაიღეს. სულ გადაშიქოთეს სახლი და მარანი. ბეღელიც კი მიჩხრიკ-მორჩირეს. ერთადერთი წიგნილა შემომჩრა. გოჩას თავი რო ედო ხოლმე, იმ ბალიშში ვიპოვე შემალული. ტილოში იყო შეხვეული. სასოებით ვინახავა.

— რა წიგნია, ბიძია, ვერ მტყვი? — რა წიგნია? ჩემთვის სულ ერთია, რა



წინგინცა. რალამც გოჩას უყვარდა, მეც მიყვარს. ისე, ასობის ამითელა კი ვიკოდი, ჩემით ვისნაველუ. კარგა ხანია, ნაწერს ვეღარ ვარჩევ, ამდენმა უბედურებამ სინათლე თვალშიც გამოშლია. ვერც ვერავის ვანახვე, მეშინია, არ წამართვან. სახელდობო რა ნიგნია, ვერ გეტყვი. შაირები რაა შიგ ჩაბეჭდილი, ამას კი ვხედეობ, ბევრი მინდვრებია ასობგადაუფელად დატოვებული.

— აღმასხან ბიძია, მე ხომ მენდობი?

— იმე, რავე არ გენდობი. პირში შექება არაა ლამაზი, მარა მინც გეტყვი: მე მგონი ლეთისგან ხარ მოგზავნილი, შვილო, ჭირსა და ტკივილში რა შემეზიარო. ჩემ მეზობლებს კი არ გავხარ. ისინი აბურად მიგაძებენ. ჩემს უბედურებაზე სიტყვას რომ ჩამოვაგდე, ან მიმოყრუებენ, ან ქიღვიობასა და ჯღანვას დამიწყებენ. ცოლი ითხოვე, გულს გადააყრლებო.

აღმასხანი კიდეც აპირებდა რალაცის თქმას, მაგრამ შეეანჯვებინე:

— ჰოდა, თუ მენდობი, მათხოვე ის წიგნი, აღმასხან ბიძია!

— შინ ვერ გაგატან. აგერ ჩემ თვალწინ კი რამდენხანსაც გინდა, დაჯექი და იკითხე! — მითხრა და ფუთა გამოიღო, გახსნას შეუდგა.

მუქყდიანი წიგნი ტიცან ტაბიძის ლექსების კრებული აღმოჩნდა, 1933 წელს რომ გამოიცა.

ტიციან ტაბიძე სამოღვე წლის რეაბილიტირებული იყო, ხოლო მისი პოეზიის ერთ-ტომეული ის-ის იყო გამოქვეყნდა. სოფელში წამოსვლისას შევიძინე, კიდეც ნაეკითხე რამდენჯერმე. ძველი კრებულის კითხვას მაინც დიდი ხალისით შევუდგექი. შემხედა ლექსები, რომლებიც ახალ გამოცემაში, რატომღაც აღარ შეეტანათ. განსაკუთრებით დამინტერესა გოჩას მიერ ფანქრით ფაქიზად წარწერილია შენიშვნებმა. „მაშ გამარჯვება“... ორმოცდაერთი გრადუსი სიცხე რომ მწვავდა და მდგავებდა, თურმე ამ ლექსს ვაპოვებდი. ელტა რომ მოვიკეთე, ექიმმა სიცილით მითხრა: გამჯურნებას მე ნუ მიშადლი, ტიციან ტაბიძემ გადაგაჩინაო... მაშ, გამარჯვება, დიდო ტიციან, დაერჩებით ერთად ჩვენ განუწყურლნი!

„ბუნება ერთ რომელიმე ქვეყანას ან ამა თუ იმ გვარს გამოარჩევს და თავისი სიუხვის მთელ კალთას დააბურტყავს. გალატრონი და ტიციანი, პოეზიის ორი ტიტანი... ერთ გვარში, ერთდროულად, ერთი ხელის დადებამინახე... მეტი სასწაული შეიძლება კიდეც მოხდეს?!”

სტრიქონებს:

„მწარეა ლუკმა საქართველოში პოეტებისთვის უფროა მწარე მინდა, მე ავადგე და უკრებო ჩამოკითხოვო სამშობლო მწარე.“

მინერლი აქვს: „კოლექტივი ისე დაუნდობლად ჩუხავს ტყუებს, აჩანაგებს მდინარეებისა და ღელეების სანაპიროებს, სულ მალე ჯოხსაც ეღარ ევიშოვით, ხელში რომ ავიღოთ და სამშობლო მხარე ჩამოვიტხოვოთ“.

„ბუხარინი, რკოვი... თუნდაც კალმახელიც შესაძლებელია მართლაც გადაგვარდნენ, ჩვენი წყობილების გამოუსწორებელ მტრებად იქცენ. მაგრამ ტიციან ტაბიძე? რა დააშავა ისეთი? საოცარია. აფსუს, რა ლეთიური პოეტი გველულება!“

შენიშვნებიც გააცანის აღმასხანს და რამდენიმე ლექსიც ნაეკითხე.

„მივალ, მივდივარ და მივიმდერი, თან საქართველოს მიმაქვს ოცნება, ვარ გაუთლელი ღერწამის ღერი, ტუჩშიუდებლად რომ იკონცება.“

ეს სტრიქონები ეცნაურა აღმასხანს. ამ შიარს ჩემი გოჩა ხშირად წაიღილინებდა ხოლმეო, მითხრა და თვალები მოუწყლიანდა.

ნაწყვეტები აღმასხანის ნაშრომიდან

ა)

...ვასიკო ბრაზიანი და გულწინწილა იყო, პატარა გოჩას მიზარავდა. ხელი ერთხელეც რომ წააჩვია, მერე სულ უბრალო რამეზე ნაუტყაპუნებდა ხოლმე. შინ თუ ვიყავი, იცოცხლდ, ჩემი შიშით ყოყოვი ქონდა შემდგარი, უბატონოდ ხმას ვერ ცემდა. მარა მუდამ სახლში ხომ არ ვიქნებოდი? იმ დღესაც შინ არ ვიყავი მე უბედური, მთაში ნავედი შემაზე. კინაღამ მომიკლა ბავშვი თურმე. რას ერჩოდა? პაპანაქება სიცხეში, სიოც რომ არ იძროდა, უბრძანებია: გაიქცეო და ქუხაურას წყალი მომიტანეო. ქუხაურა ხო იცი სადღა? ბერისისა და ბაბოთის სახლვარზე. ბარე ორი-სამი ვერსია იქამდე. ახალ წყალს მოგიტანე ვიდან, ქუხაურაზე კი ვერ წავალ, უთქვია გოჩას. არა, ქუხაურაზე უნდა ნახვიდე, თუ არაო... დამურტებია, კიდეც წაწულა გასალახავად. ბალანა გაქცეულა. ვასიკოს კრამიტის ნატეხი აუღია და უსროლია. ზედ კვირისზე მოხვედრია და ყოჩამალა გადავარდნია გულწასული. კიდეც კაი, მეზობლებს დაუნახავს. შეიწინა თურმე ნიფლაკივლი. ძლივს მოუსწერსუმაღებიაო. ვასიკო რამხელა იყო მაშინ? კაი ვიჭგლა იყო, მეორე წელს კიდეც დაეაქორწინე.

ბ)

...გოჩა რომ დააკავეს, ტარიელ დეკანოზი და ნიკა ნიგნაძე მის შემდეგ დაიჭირეს. მათი მშობლები ტურს მიზბუებდნენ და აღარც მესალმებოდნენ: ჩვენი შვილების გაუბედურება

შეიძლება გოჩას ბრალი იყოსო, გამოძიებისას მათზე ალბათ ცუდი რამეები ილაპარაკაო. ვასიკოც რომ დააპატიმრეს, ცოტა მოღებენ: ძმაზეც აუტეს ხო არ იტყოფაო?

ბ)

...ჩემი გოჩა სტუდენტი რო გახდა, თბილისიდან ჩივი სურათი ჩამოიტანა. გამოცდები კათ დიდაპარე და დამსახურქერსო. ცნობილი ფოტოგრაფის ნახელავიო. გვარიც მითხრა, ვერ დავიხსომე. კაი ფოტოებს იღებსო. გვიან შემოდგომაზე, მოსაგელს რო ჩაიკაღიფებ, ქალაქში უნდა წაგყავანო და იმ ფოტოგრაფს შენი სურათი გადაეღებინოო. ამა, ესაა საქმე, დედაჩემის სახე სამუდამოდ დაწყვარტა, ისე წავიდა, სურათი არ დატრენიაო. ხო, იმას გუბუნებოდა: დიდი, გაზეთისხელა სურათი ჩამოიტანა. არ დამითვლია. ასამდე კაცი და ქალი კი იქნებოდა შიგ ჩახატული. შუაში უფრო დიდები იყვნენ, გარშემო კი -- შედარებით მორჩილები. ვკითხე, ვინ არიან ესენი-მეთქი. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები არიანო. ერთზე თითოეუ იფიფო, მთლად უფროსიაო. სურათს თავისი ხელით გაუკეთა ჩარჩო, მინაც თვითონვე ჩასვა. ასეთ საჩივინო რამეებში ხელი ემარჯუებოდა. ნიგნები სადაც ელაგა, სურათიც იქ ჩამოკიდა. ნასიხარი და ნავედმყოფარი რომ იყო იმ სურათზე აყოლებდა ხოლმე გულს. დაიფებდა მაგიდაზე და დაჩრქობოდა...

იმ დაწყვეტილ წელიწადს, დაჭერები რო დაიწყო, გოჩა უკვე გამოჯანმრთელებული იყო და სწავლის გაგრძელებას აპირებდა. ხოდა, ერთ დღეს შევდივარ ოთახში და რას ვხედავ: სურათის ჩარჩოში მინა ამოულია, მიმდგარა და ზოგირით კაცს და ქალს შვესალებავს უსვამს. რას შერები, შვილო-მეთქი, ვკითხე გაოცებულმა. ესენი ტროცისტები და ხალხის მტრები აღმოჩადნო. მთლად უფროსიც-მეთქი? მას კიდევ უფრო მეტი ბრალი ედებოაო.

გავიდა სამი თუ ოთხი კვირა და რამდენიმე სურათი კიდევ წაშალა. შვილო, შენ თუ ასე მიკვიერ, შალე და შალე, სულ მალე მარტო ჩარჩო და მინა შეგრჩება-მეთქი. მეც ეგ მანუხებსო, მიპასუხა დაღონებულმა. მეტი ვერაფერი ვატიმევირე. არ იცოდა ბევრი ლაპარაკი. ათს რო შეკითხოდი, ერთს თუ გიპასუხებდა ენაწყლიანად. „ხო“ ან „არა“, ეს იყო მისი ჩვეულებრივი საუბარი. ვასიკოს კი არ ჰგავდა, ენა რო უსწრებდა და თვალი სულ საოხუნჯოად ეჭირა.

ბ)

...უზოში ორი ისეთი კაკალი მედგა, იტყუდი ნუბი თვალი მომცა და მუდამ მაყურებიაო. იქნებ შენც ხარ გადმოსხეული ჩემს ეზოში. თუმცა მაშინ ბაღლი იქნებოდი, არ

გემასხორება. ჰა, მართლა? ხო, ეგოს თავში იყო ერთი, მეორე -- ბუღოშა. მიუსიყვარულე ძმებივით ხვედნენ ჩველებს მოქმანეთს. აფსუს, რა ჩრდილი შექონდათ? თითქმის მთელ ეზოს ფარავდნენ. ახლა ნიგოზს აღარ იკითხავ? ათასი რო გაგეტება, ერთ ფშუტეს ვერ ნახავდი. ხანამ იმ კაკლებს მოეჭრადი, ხელი არ უნდა გამომბოძოდა? მე შენ გეტყვი და, კაკალი მალე იზრდება! სამიოთხი თაობა მაინც უნდა, ზრდა რომ დაასრულოს. რო ეჭრადი, ნაფოტები იქით ცვიოდა, ცრემლები აქეთ. რავე გავიმეტებდი, მარა... გორგალს ძაფი რო ერთხელეუ გამოეღღევა, მერე სულ იზურდება და იშლება, ვეღარაფერი შველის.. ბიჭები რო დამიჭირეს, მაშინ დავცა მეხი ჩემ კაკლებსაც და სახლ-კარიბასაც... საოცარია, ორ კვირაში სამჯერ ვნახე ერთი და იგივე სიხმარი: ვითომ ქარიშხალი ამოვარდა, კაკლები ერთმანეთს მივაჯახა, ჯერ ტოტები დაუღუნა და დაუშტორია, მერე ორივენი ფეხვებიანად ამოატრიალა.

სიხმარი ვინმეს რო მოუყვე, უარესია, ცუდად ახდებოა. ამიტომ ვერავის ვუშვებდი, ჩემ გულში ვიხარებოდი.

პირველ დასიხმრებაზე ვერ იქნა და ცულს ვერ მოვკიდე ხელი. არადა, ბიჭებზე დარდიც მკლავდა, დარტყანებული მივდი-მოვდიოდი მთელი დღე. მეორედ რო მესიხმრა, ოთხჯერ მივედი ცულით კაკალთან და ოთხჯერ შემოვებრუნდი. ღმერთი სამოხით არისო... მესამე სიხმარმა მთლად გადამრია და გადაშალა... ჯერ ერთ კაკალს მივადექი, მერე მეორეს... მთელი თვე ეჭრადი, მეზობლები გაკვირებულნი გადმოწყურებდნენ. გაგიგებულა საყრდავით, ფიტრობდნენ ალბათ.

\* \* \*

დარყაში რომ წავეყვი აღმასხანს, მისიანებისგან მაშინ ვერაფრის ჩაწერა ვერ მოვახერხე. აღმასხანმა შემიშალა ხელი. საუბარს არ გვაცლიდა, სულ თვითონ უნდოდა ელაპარაკა. ერთი კეთილი საქმე მაინც გავაკეთე: მამამთილი და რძალი შევარიგე. აღმასხანი თითქოს არ იმჩნევდა, მაგრამ ვატყობოდი, შერჩება უხაროდა. რომ მოვდიოდით, გზაში მითხრა: შენ გაიხარე, თვარა ისე მოკვდებოდი, ტასოს არ დაველაპარაკებოდი, თუმცა უმძრახობაც მანუხებდა. ცალი ფეხი სამარეში მიდგოდა, დღეს თუ ხელ გუნა-ნაბაღი უნდა ავიკრა და წავიდე, უბრაად ნასვლა კი არ ვარტა, ეშმაკები უბრებს საიქიოში თურმე გოგირდს უხრჩობლებენო.

ერთი კვირის შემდეგ დარყას კიდევ ევსტუმრე. ახლა უკვე მარტო ვიყავი. ტახიც ვნახე და მისი ქალიშვილებიც. კარტა ხანს ვისაუბრეთ.

**ზოგი რამ მათი ნაამბობიდან**

**ტასო:**

...არა, ბატონო, ნურაინდ იტყვის ბედის-  
წერა არ არისო. მე პირადად ბედისწერა იმ  
ლამის ვიჩნებუნე, ვასიკო კრებიდან რომ და-  
ბრუნდა. დედა, რას ჰგავდა! სახე ნამოფი-  
ვინებული, თვალები ჩასისხლიანებული, ტუ-  
ჩები ჩატეტყვილი... ბავშვივით სლუკუნებდა  
და დროდადრო შუბლზე მუჭის იცემდა: ეს  
რა მომივია, დავიღუპე და ეგ არიო. ენას  
რომ არასოდეს უგვალავდა, ახლა სიტყვას  
უკიდებდა. ძლივს ამოღერდა კრების ამბავი.  
წინასწარი ვიყავი გაფრთხილებული და გო-  
ნებაშიც სიტყვა-სიტყვით მქონდა დალაგე-  
ბული, რა უნდა მეთქვაო. ტრიბუნასთან რომ  
დავდექი და გეზად მოჩერებულ ხალხს თვა-  
ლი გაუხსნორე, თითქოს უცებ ჯადომ შემე-  
კრაო, გონება გადამიბრუნდაო. რა ვთქვი,  
რა ნამოვყარაბტალე, არ მახსოვს. სიტყვა  
რომ შემანყვეტინეს და დარბაზიდან გაოგნე-  
ბული გავიძურნე, მდრედა მივხედი, რამხე-  
ლა შეცდომა ჩავიდინეო. ახლა ვანწირული  
ვარ, ერთ-ორ დღეში შეე გოჩას მიმყალდე-  
ბენო... წარმოიდგინეთ, ბატონო, რა დღეში  
ჩავვარდებოვდი. თავი ვეღარ შევიკავე და  
ცრემლები წამსკდა. თინა და ლეღაე აქე-  
რდებდნენ. ვასიკო პირველად მაშინ გამოვი-  
ტირეთ.

ერთი-ორი დღე კი არა, ბარე სამი კვირა  
გავიდა მშვიდობიანად. რომ გვეგონა შეგვე-  
წინა ღმერთი და გადავტრით, სწორედ მაშინ  
გვიმუხბთლა ბედისწერამ. ვასიკო კოლმეურ-  
ნობაში მოანგარიშებდ მუშაობდა. უკად, შე-  
აღამისას ორი უცნობი კაცი მოგვადგა კარს  
და გავადღვიძა. ვასიკოს უთხრეს: წამო კან-  
ტორაში, შრომადღეების უწყისები გვანახვე,  
ხვალ რაიკომში თათბირია და საქაროდ  
გვჭირდებაო. ვერც კი გამოვემშვიდობეთ,  
ისე წაიყვანეს. ეგ იყო და ეგ, მის შემდეგ  
მისი ასავალ-დასავალი ვეღარ გავიგეთ. კი-  
დევე კაი, ამას წინათ გამართლება მოსულა,  
ჩემს მამამთილს მიუღია. თუმცა რაღა  
დროსა!..

...რაც ახლა გითხარით, ეს რომ ჩემმა გო-  
გობმა გაიგონ, ცეცხლზე დამადებენ. იმ ლე-  
მის ამბავი მათეც კარგად ახსოვთ, მაგრამ  
მაინც მეჩხუბებთან. ნუ ამბობ, სულ სხვა  
რამის თქმას აპირებდა და ძმას თავისდა  
უნებურად მიუმხროო. მამაჩვენი იმათ კი  
არ ჰგავდა, სხვისი ძირი ღობის ჩხირად რომ  
მიარნდათ და მარტო თავიანთი ტყავის გადა-  
რჩენაზე ზრუნავდნენო. საერთოდ იქნებ ასეც  
იყო, რა ვიცი... თუმცა ძმის გამოქომაგებას  
რომ ნანობდა, ჩემი თვალთ ვნახე და რა-  
ფერ დავმალო?

**თინა:**

...მამაჩემი ენაბახელი და ხალისიანი კა-

ცი იყო. უამრავი საოხუნჯო ამბები იცოდა,  
ზოგს თვითონაც იგონებდა. „ქაჩხუჭუჭე“ „ურთ-  
ხელ სამუშაოდან რომ დამჩხუჭუნეს“ „წყაჭხუ-  
თინიყო, კალისტრატეს რა მოუვიდა, იცოო?“  
კოდალა დააჯდა თავზეო. კალისტრატემ უყ-  
ვირა: რაღა მე დამაჯექი, სხვა ხე ვერ ნა-  
ხეო?!

კალისტრატე ჩვენი კოლექტივის თავმჯ-  
დომარე იყო.

...მამა სიმაართლისმოყვარეობით გამოირ-  
ჩეოდა, თანაც რაინდული გული ჰქონდა.  
მთელ ხალხს ენა რომ ჩავარდნოდა და ნკმუ-  
ნის ამოღებას კაციშვილი ვერ ბედავდა, მამამ  
ხმა აღმიღლა, ძმა დაიცვა. ეს მაშინ  
გმირობა იყო, გმირობაზე მეტიც...

**ლეღა:**

...გოჩა ბიძია მამასავით მიყვარდა. თუ ახ-  
ლოს არ იცნობდი, გულჩახვეული და უკარე-  
ბა გეგონებოდა, ისე კი საოცრად კეთილი კა-  
ცი იყო. სადმე რომ წავიდოდა, უტყველად  
სასუსნავს მომიტანდა.

...ერთხელ დამიძახა და ოცი მანეთი მამა-  
ჩუქა, თან დამარჩია: სკოლის დირექტორს  
მოველაპარაკე. მიდი ხვალ მასთან, ეს ფული  
მიუტანე და უთხარი, ესამანელი ბავშვების  
დახმარების ფონდში მინდა შევიტანო-თქო.  
ასეც მოვიქციე. სულ მალე ეს ამბავი რაიო-  
ნულ გაზეთში გამოქვეყნდა, ჩემი სურათიც  
დაბეჭდეს. ის გაზეთი დღემდე მაქვს შენა-  
ხული.

\*\*\*

1958 წლის საზაფხულო არდადეგებზეც  
მშობლიურ სოფელს მივაშურე. რაიონის ცე-  
ნტრიდან ავტობუსს გავყვე. ივლისის წყნა-  
რი, უღრუბლო დღე იყო. მზე ჯერ მხოლოდ  
შუბის ტარზე იდგა, მაგრამ უკვე სიცხე იგ-  
რძნობოდა, ხალხით გაქვდილი ავტობუსში  
სუნთქვა გჭირრდა. ხოდაბუნეი გავიარეთ და  
სოფელ ივანწმინდის შეღმართს შევეყვით.  
ნატუნარამდე კიდევე ჩრებოდა სამი-ოთხი  
კილომეტრი. გამორჩნდა ივანწმინდის სტადი-  
ონი. ბიჭებს უკვე თავი მოუყარათ, ოღონდ  
ჯერ ფეხბურთს არ თამაშობდნენ, შეჯგუ-  
ფებული ჩანდნენ...

ჩემი სოფელის სტადიონი არ გააჩნდა. ფეხ-  
ბურთის სათამაშოდ ივანწმინდაში ჩამოვდი-  
ოდი ხოლმე. ახლაც ბიჭების დანახვა გამე-  
ხარდა. შინ მივალ თუ არა, ჩემოდანს დაე-  
დებ, თახჩაში გადანახულ ბუცებს მოვწახავ  
და მყისვე სტადიონისკენ დავემშვიბი-მეთქი,  
ის იყო გაეფიქრე და მძღოლმა შესძახა:

— სანყალი აღმასხანი, ჩაუგდიათ ხელში  
ამ „ცეცხებს“ და აცეცებენ!

თვალეში დავტაჩე, ახლად შევიმჩინე: შეე-  
ქოჩორა ბიჭების წრეში თერთი თავი ხან  
გამორჩნებოდა, ხან კი ისევე დაიშალებოდა.

მძლოლს ავტობუსი გაეაჩერებინე და ჩავედი. ალმასხანის დანახვამ იმოქმედა თუ ჩემოდნის სიმძიმემ, არ ვიცი, მუხლები მომკვეთა, ფეხს ვერ ავუჭარე. ოციოდე ნაბიჯით რომ მიუახლოედი, ალმასხანმა ბიჭების წრე გამოარღვია. ფეხშიშველი იყო, ტანსაცმელჩამოხეული, შარშანდელთან შედარებით კიდევ უფრო დაჩაჩანაკებული და დაბეჩავეებული...

— მოიცა, ფული უნდა მოგცე! — გამოუდგა უღვაშებიანი ქაბუკი სიცილით. ალმასხანი შერეოდა და ხელი გაუნოდა. მან მუჭში ხურდა ჩაუყარა, თან უბრძანა:

— ახლა ტროცკისტებს დასცხე კრებაზე, სიტყვა თქვი!

— ვიტყვი, ვიტყვი! — თავი დაუქნია მან და თითქოს პირში ცხელი კარტოფილი სჩრიაო, აჩქარებით დაიწყო:

— ამხანაგებო და მეზობლებო, „ხალხის განაჩენი“, აქ რომ გაზეთში ნაიკითხეს, სამართლიანი და დროულია. ტროცკისტებს და

მანებლებს ყოფა ეტირათ. ვხედავ... კამნუხაროდ, ჩვენ სოფელშიც, ადგილობრივ და მხარელები. მათაც საკადრისი შიიღეს. შეროგორც დამნაშავეის მამას, ბევრი ლაპარაკი და ტილატობილა არ შემფერის. მოკლედ ვიტყვი, „ხალხის განაჩენს“ ვინონებ და ტაშს ვუკრავ.

მართლაც შემოკრა ხელი ხელს ერთ-ორჯერ. ბიჭებმაც დასცხეს ტაში, თან აყვირდნენ. ალმასხანი კი შებრუნდა, ვენახისკენ გაიქცა.

— ალმასხან ბიძია, მოიცა, ველარ მიცანი? — მივაძახე. ისე დავიბენი, მზის სათვალეების მოხსნა დამავიწყდა.

მოიხედა, რაეა არ გიცანი, კალმახელიძე ხარო, ერთი შესძახა და ისევ შებრუნდა, კაცის სიმაღლეზე გაბარდნილ ვენახში შეაბიჯა.

სათვალე რომ მიკეთია, კალმახელიძეს ალბათ მიტომ მიმასგავსა-მეთქი, გავიფიქრე და თვალი სინანულით მირავოლე.

სიტყვა

ან

## გონა აბუთიკა

### გავშვთა ეძიი

ძილბურანიდან  
ბაშვის ხმამ  
ელდანაკრავივით გამომაფხიზლა  
და... უმაღვე შვება ვიგრძენი, —  
მე ჩემს სამუშაო მაგიდასთან კი  
არ ვიყავი  
ლამისთევეებით დაქანცული,

თვალისმოსატყუებლად ჩათვლემილი,  
არამედ,  
ზღვის ცხელ ქვიშაზე  
გრძელ ნიაფში მშვიდად ვიწეკი  
და ტალღებთან მოთამაშე ბავშვთა  
ტყარცალი  
ყვავილებივით მეფინებოდა...

• • •

ვით მონაზონი მონასტერს,  
შენც შეეფარე შენს ქმარს,  
და ჩემი კოცნა ლოყაზე  
მზის ამბორივით შეგრჩა.

მწვანე მინდორზე მედაროს  
ფაფარ აყრილი ცხენი.

წლები გაივლის, დაგაშრობს  
ლოცვები, ღმერთის მსახურს,  
არ გაიხსენებ არასდროს,  
ადრე განცილს და ნახულს.

მე მაშინ მკვდარი ვიქნები,  
დამიტირებდა ქარი,  
წამში გაჭრება სიზმარი,  
სულს კვლავ გაგიტობს ქმარი.

მხოლოდ სულ ერთხელ შეგაერთობს  
ლამით სიზმარი შენი:

არც მე დაგიკლებ მცდელობას,  
რომ არ გაგიწყრეს ღმერთი...  
თვით მე, ის წამიც შეყოფა,  
ვით უკვდავების ძეგლი.

### ჩემი წინაპრეში

ჩემი წინაპრები  
კლდეებს ანგრევდნენ  
და ზამთარს არ ებუებოდნენ,  
ჩემი წინაპრები  
აღრიალებულ მხეცებს ზოცავდნენ  
და შიმშილის გრძნობას იკლავდნენ,  
ჩემი წინაპრები  
მომხედურებს ხანჭლებზე აგებდნენ

და სამშობლოს აღდგერძელებდნენ.  
მე კი  
მათი უღირსი შთამომავალი,  
ვზივარ ახლა და ლექსება ვწერ  
არც თუ ისე ნათელ წარსულიან ქალზე.  
ჩემს სამშობლოს კი  
კალიები ანადგურებენ.



ეროვნული

განმანათლებლებს

ის მწარედ ფიქრობს, რომ მიტოვებულს აწი არავინ შეუყვარდება, იგი გაცირიცს ბერწმა ნისლებმა, გახადეს ცივი და უკარება.

მას შეუძლია კვლავაც, დამალოს ბასრი ტკივილი ანდა ღრმა წყლული, მაგრამ არ სჯერა, კვლავ თუ ეწვევა ან სიხარული, ან სიყვარული.

ის გამოფიტა უნაყოფო დღემ, სადღაც გაუქრა ძველი ოცნება, ერთფეროვანი და მოწყენილი, აუტანელი გახდა ცხოვრება.

ლოდინით დაღლილს და გზებზე გაუქრეს არ ართობს რამე, აღარ იზიდავს, აყვავებული აღუბლის ტოტი აღარ ანათებს იმის სიზმრიდან.

ის მწარედ ფიქრობს, რომ ნაღალატარს, აწი არავინ შეუყვარდება, იგი დაწურეს ბერწმა ნისლებმა, გახადეს ცივი და უკარება.

მაგრამ გადივლის ცაზე ღრუბელი, სიცოცხლით სავსე მზე ცინცხლებს გაყრის, და ყველაფერი, და ყველაფერი დაუბრუნდება თავ-თავის ადგილს.

### ნადი...

წადი, მარტო დამტოვე, ისე დიდხანს ვეჩვეოდი მარტოობას, აწი სხვაგვარად აღმათ ვერც გავძლებ.

წადი, შეხვედრისთანვე გათავისუფლებ ჩემი ყველა უბილავი საცეცისაგან შენი წმინდა თვალების გამო, შენი ლამაზი ტუჩების გამო, შენი ბავშვური ფიქრების გამო,

წადი, ნურასოდეს ნუ იფიქრებ ჩემზე, ნურასოდეს ნუ იოცნებებ ჩემზე, როგორც წიგნში წაკითხულ გმირზე, ანდა ფილმში ნანახ გმირზე.

წადი, მე იმისი ღირსი არა ვარ, რომ შენ გიყვარდე.

მე ხომ ზედიზედ ორი დღეც კი არ შემიძლია სიყვარული, ან შემიძლია, მაგრამ აღარ მსურს.

არ ვიცი, სად დავშორდით ერთმანეთს, ჩემი ცხოვრება ასე აეწყო.

არ ვიცი, სად დავშორდით ერთმანეთს, მას შემდეგ კი იმდენი გზა გამოვიარე, შენ არ შეგწევს იმის ძალა უკან რომ დამაბრუნო.

ჩემთვის სიხარული მირაყია, ჩემთვის სიხარული თავის მოტყუებაა.

წადი, შენ არ გაქვს იმის ძალა ჩემი ცხოვრება რომ გაანათო, ჩემი ცხოვრება რომ გაახარო.

წადი, შენი წმინდა თვალების გამო, შენი ლამაზი ტუჩების გამო, შენი ბავშვური ფიქრების გამო,

წადი, შენც არ ავირიო ოცნებებით დაწყობილი გზა, შენი თავიც სადარდელი არ გამიხადო.

წადი...

სოსო გურიძე

• • •

მომრავლებულა  
გზებზე ლენოფა.  
მთლად გადავილია  
კვალი გვირილის.  
იელთან ია  
ჰუვაფი (შეცდომა...)  
შორს მატარებლის  
ისმის კვილი.  
ნაეთსაყუდელშიც  
საყვირს ელიან  
და მოდრეიფე  
გემები დგანან.  
გავკეპრი ტრამალს,  
ტყეს და ლელიანს,  
გაქცევა სადმე  
მიგიყვანს განა?..

ვეურცლავ..

მზერა ბელის, ზაფრი.  
ობლის მონოლოგს ვგალობ.  
შენ, ეს თვითგვემა მძაფრი,  
ვერ მამატიო, ქალო.

ვერ მამატიო, ვერა,  
ეს სინანული ვერთქმის.  
ზაფრი, ზაფრანის მზერა,  
თვალეზდათხრილი ღმერთი...

## მე — ჩემი გზით...

 თეოდორე  
 ბიჭვინთაძე

შენს კალთაზე  
 ჩამთვლემს როცა,  
 სული ჩემი  
 ცაში აღის,  
 ტყვე ვარ ღრუბლის,  
 ცისკრის ლოცვა,  
 ჩუმი ღამის  
 ხუაშიადი.

ვენთო ასე,  
 საკელატრე  
 მოვიპოვო

ლუკმა ოფლით,  
 ჭედზე საბრეს  
 გადამამტვრევს  
 სიავკარგე წუთისოფლის.

შენს მზეს ვჩემობ,  
 ფიანდაზებს  
 ფეხქვეშ მიფენს  
 გზად და ზიდად,  
 აქ მოვკვდები,  
 ამ მიწაზე,  
 აბა, მეტი  
 რალა მინდა!..

დანიელ გრანინი


## ჯერ კვალი არ გამქრალა

I

კვარტალის ბოლოს, როცა ჩვენთან ჩამოვიდნენ ქარხნების წარმომადგენლები თავიანთი განცხადებებით ინსტრუმენტების მისაღებად და ნამდვილი საგრივითი დატრიალდა, უცნობმა ქალმა დაამირცა და დამიწყო გამოკითხვა ვოლკოვის შესახებ, რომელსაც მე უნდა ვიცნობდე, რადგან ვოლკოვთან ერთად ეობრძოდი ლენინგრადის ფრონტზე. ჯერ გადავწყვიტე, რომ ეს რაღაც გაუგებრობა იყო. მე არავითარ ვოლკოვს არ ვიცნობდი. მაგრამ ქალმა დაიგინა — ხომ იყავითო ორმოცდაორში და ორმოცდასამში სამხედრო ნაწილებში ლენინგრადის მისადგომებთან. რას ნიშნავს ნაწილებში? მაინც რომლებში? ქალმა არ იცოდა. ეტყობა, მას ფრონტი ტურისტული კემპინგის მსგავსი რაღაც ეკონა, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს. მან თავისი ნათქვამის დასამტკიცებლად საველე ფოსტის ნომერი დამისახელა, თითქოს მახსოვდა, რა ნომერი იყო ჩვენი საველე ფოსტა. აიღეთ და შეამონეთ, — მომთხოვა მან. ნეტა როგორ უნდა შემემონებინა? თანდათან უფრო მეტად მალიზიანებდა ქალის დაყენება. ხომ გაქვთ ნერილები, — მშვიდად მითხრა მან. რა ნერილები? — შეეძახე. უცებ წარმოვიდგინე, რომ ქალქკარეთ დამჭირდებოდა ნასველა და აგარაკზე სკივრში ქვეა. ამაზე ქალმა მიპასუხა: სპეციალურად თქვენს სანახავად ჩამოვედი საქართველოდან ლენინგრადშიო. სამწუხარო კია, მაგრამ აქ რაღაც შეუდგომია, მე ვოლკოვს არ ვიცნობ, ძალიან დაკავებული ვარ და ვერაფრით ვერ დაგებმარებით-მეთქი — ასე მტკიცედ, ცივად მივანიშნე, რომ საუბარი დამთავრებული იყო.

პასუხად ქალმაც მტკიცედ განაცხადა: გინდათ თუ არა, მაინც გნახათ და სჯობს ნუ მკვამათებით. იმიტომ, რომ მერე თვითონვე

უხერხულად იგრძნობთ თავსო. ქალი ისეთი თვითდაჯერებული იყო, ჩემზე უფრო მშვიდად ამომიანსაც გამოიყვანდა მოთმინებიდან. ავიღე და ყურმილი დაეხეთქე აპარატზე, მაგრამ მაშინვე დარეკა ხელმეორედ. რა გაეწყობოდა, ჩემს ოთახში შემკვეთები ისხდნენ და იძულებული გავხდი, ყურმილი ამეღო. ქალმა მშვიდი ხმით დამიწყო ნამუსში ჩადება: გამახსენა ფრონტული ძმობა, თანამებრძოლების ნაქები ერთგულება, ძალღონეს რომ არ ზოგავენ ერთმანეთის მოსაძებნად, ერთი სიტყვით, მთელი ის შოკოლადის ნაკრები, რომელსაც რადიოთი და სადღესასწაულო ტელეგადაცემების დროს მოგვართმევენ ხოლმე დამტკბარხმინი, გულაჩუყებული ჟურნალისტი ქალები. მე გავეხარდი, არ ვიცი აღბათ რას აღარ ვიტყვოდი, მაგრამ ქალი ყურსაც არ მიგდებდა, ისე დამპირდა უდავო ფაქტებს მოგიყვანოთ. მერე სხაპასუხებით მომეყარა თარიღები, სახელები და უცებ ერთი შემოკლებული სახელი წარმოთქვა, რომელსაც დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ მეძახდნენ, და რომელიც იმათ შემარქვეს, ვისაც ამ ქვეყნად ვეღარასოდეს იხილავს კაცი. იმათ, ვისაც ჩემთან ერთად ეძინათ ყაზარმაში ორსართულიან საწოლებზე, ჩემთან ერთად მიბიოჯებდნენ მშვიდი ულიანოვსკის მოკირწყლულ ქუჩებში და სიმღერას სტვენას აყოლებდნენ. სწორედ იქ, იმ სასწავლებელში მომენება ეს სახელი — ტობა, ანტონ — ანტონა — ტობა, და ასევე მიაღწია ფრონტამდე, სადაც ვეადამდე ადრე გამოშვებული ლეიტენანტები გამოცხადდით. იქ უნდა გვემსახურა სატანკო ნაწილებში, რომლებიც იმდროისათვის უკვე აღარ არსებობდნენ ლენინგრადის ფრონტზე, ყველა ტანკი სისრულ ნერტილად გადაიქცა და ისე იყ-



ნენ მინაში ჩაფლუნნი, მხოლოდ ქვეშეხებიანი კოშკურებილა მოჩანდა.

მას შემდეგ აღარაის უწოდებია ჩემთვის ტობა.

კეთილი, მოპრძანდით-მეტქი, — ვუთხარი ქალს.

და ამის შემდეგ რაღაცნაირად ავირე. რაღა თქმა უნდა, სისუსტე გამოვიჩინე. ვის რა ჯანდაბად უნდა ფრონტის მოგონებები? ან რა საჭიროა? დიდი ხანია, რაც ავუკრძალე საკუთარ თავს ამეუბით ღოღიავობა. მიზეზი მქონდა.

მაგრამ თავი იმით დავიმშვიდე. მაინც ცუდად იმსტრუშენტიბის თხოვნით გათავადება, რომ ურიგოდ ან უფონდოდ გავცე რამე-მეტქი. მუდამ ასეა ხოლმე. საიდანაც, რამისმორიდანაც არ უნდა შემოუარონ, — მგებობარ-ნათესავეები ვართო, თქვენს ცოდთან საავადმყოფოში ვინექიო... — უცებ შეცვლიან, აი, აქ პატარა ქალღმადმუნ მომიწერეთ ხელიო. ისე, ტყუილუბრალოდ, ჩემთან არაფერ ჩამოდიან.

ამან დამამშვიდა. ქალი დავივიწყე და მეორე დღეს რომ მოვიდა, უცებ ვერ მოვისახარე, რომ ის იყო. ისე შემოვიდა ჩემს სორიში, როგორც მორიგი მომსვლელი, ფერფანში რომ ისხდნენ გულგანვრლებულნი. კარზე გაჩერდა და გაოცებულმა შემთვალაიერა, — თქვენ ბრძანდებით დუდარევი? ანტონ მიხეილის ძე?

ეს კარზე ეწერა და ასეთი სულელური შეკითხვით ჯერ არავის მოუშართავს ჩემთვის.

ქალი ჩემთვის ყოვლად გაუგებარი გაკვირვებით მათვალაიერებდა და უცებ ჩაიციანა. უაღგილო, სანყენი იყო ეს ჩავინება. მერე თავი გამაცნო. მისი დაბალი ხმა ოდნავშესაძინევი კავასიური აქცენტით ვიცინა. გვარად ნიორაძე იყო, სახელად ფანა. ამას მოჰყვა ძნელადგამოსათქმელი მამის სახელი და მთხოვა, მხოლოდ სახელით მომმართეთ, როგორც საქართველოში გვეყვიაო. მთლად ახალგაზრდა არ იყო, ორმოცს კარგა ბევრით იქნებოდა გადაცილებული, მაგრამ ჯერ კიდევ ლამაზი, ჯანიანი ქალი იყო, შუბლზე შავი თმა ჰქონდა გადმოყვნილი და ამის გამო უფრო პირქუში, სერიოზული ჩანდა.

სერგეი აღქასანდრეს ძე ვოლკოვი — ჯიუტად იმეორებდა ქალი და ჰიპნოტიზირებით მომტერებოდა ნახშირით შავი თვალებით. მე ისევე ვუთხარი, არ მახსოვს-მეტქი. სიტყვებს „არ მახსოვს“ ქალი უნდობლად შეხვდა. შეუძლებლად მიარჩადა, რომ ვინმეს ვოლკოვი არ ხსოვებოდა. ლუკიანოვი მაინც არ გახსოვთო, არც ლუკიანოვი მახსოვდა. მაგრამ ქალი მაინც არ დაიბნა, პირიქით, თითქოს დაკმაყოფილდა კიდევ.

ამის შემდეგ მშვიდად დაჯდა და მაჩერებუ

სულტანიანი ფორთოხლისფერი საქალღმად დამიფო.

სერგეი ნუქლი

— ეგებ არ გსიამოვნებთ ეს ფორთოხლები სენება?

გულიანად რომ ვუთხრა, იქნებ განმემატრა კიდევ ზოგიერთი რამ, მაგრამ ქალის კილოში საყვედური გაისმა.

— როგორ თუ არ მსიამოვნებს? — ვუთხარი. — ეს ჩვენი სიამაყეა, სულ მოგონებებში არა ვართ!

ქალმა ნერილი გამომინოდა, ძველი ნერილი, რომელიც ზემოდან იდო, ნინასწარ გამზადებული. მეორე გვერდზე რამდენიმე სტრიქონი ხაზგასმული იყო ნითელი ფლომასტერით:

„ჩვენთან ლეიტენანტი დუდარევი სასტიკად გვერინაღმდეგება ამ საკითხში. მისი აზრით, მეომარს სიყვარული მხოლოდ ხელს უშლის ბრძოლაში, აქვეითებს მის ბრძოლისუნარიანობას, აკინებს ვაჟაეცობას. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე, ფანა? ჩვენს საყვარულ ტობას (ასე ვუძახდი) ჯერ ცხოვრებისეული პრაქტიკა არ გაუვლია, შეიძლება ითქვას, იგი სკოლის ლეიტენანტი-თეორეტიკოსია. მე კიდევ ვამტკიცებ, რომ ძლიერი გრძობა შეგნებას ეხმარება. ჩვენ სიყვარულისთვის, ახალგაზრდობისთვის ვებრძვით გერმანულ ოკუპანტებს და ვიცავთ ლენინის დიად ქალაქს“.

იისფერი მელნით, (ახლა რომ აღარავინ წერს), დამრეცი, თანაბარი ხელწერით, (ასევე აღარავინ წერს) დანერლი ნერილი მოგვითხრობდა იმაზე, რაც, ოდესღაც, მე ვიცავი.

ქალის გადატყცილი სახე ადარებს გამოხატავდა, სიცოცხლე მხოლოდ ჩამუქებულ თვალეებში ჩქეფდა, იგი გონებაში იმეორებდა ჩემს ნაკითხულ ტექსტს და სადღაც შავ სიღრმეში ღიმილი გაკრთა. ეს იყო ანარქელი იმ შინაგანი ღიმილისა, რომლითაც ქალი მე მთვარებდა იმ ლეიტენანტს, და მეც (განას თვალებით) ორივე დავინახე: პირველი — გამბდარი, წელზე ფართო ქამარშემოჭერილი, თავზე პილოტურა ეხურა, რომელიც მის გრუხა თმას უხდებოდა, თუმცა კვიცი შენოდა მის მოგარძო სახეს, კირხის ჩექმებში იყო გამოწყობილი, მკურცხლად რომ მიანკარუნებდა ხოლმე ფეხებზე — რძისფერ ვარდისფერი ლეიტენანტი, ჩვეულებრივი პორტრეტტი, რომელიც ქალმა სახელდახედოდ ჩაიხატა გონებაში, როცა აქ მოდიოდა. და მეორე — მელოტი, ლუგებჩამოკიდებული, მტიკიანი მუხლისაგან ცალი ფეხით აკოჭებული, უხალისო, ნაკლებადსაიამოვნო, უნდელი ტიპი, რომელიც სწორედ ის ტობა იყო ნეტა, არ მოელოდა ასეთის დანახვას? აი, ამ ორი ფიგურის შედარებამ წარმოშვა ის ღიმილი. აღბათ, მართლაც სასაცილო იყო. ოდდაათზე მეტი წელი თვითუულ ჩვენგანს

სხვადასხვა მხარეს წაიყვანს. სწორი გზით არაღის მიდის სიბურისაკენ.

— თქვენზეა ეს დაწერილი? — შეითხა ქალმა.

— იქნებ ჩემზეც იყოს, ახლა ძნელი დასადგენია.

— სხვა ანტონ დუდარევი ლენინგრაფში არ არის. თქვენი ხნისა, — დაუმატა მან.

— ვისია ეს წერილი?

— ბორის ლუკიანოვის.

ქალი ელოდა. დაწმუნებული იყო, რომ ვაის წამოვიძახებდა, ცრემლს გადმოვღვრიდი. მაგრამ ჩემს სახეზე ვერაფერი რომ ვერ შეინიშნა, მოიღუბა.

— თუ შეიძლება, განაგრძეთ კითხვა, განაგრძეთ, — მთხოვა მან, — თუთუოდ გაგახსენდებათ...

ქალი თითქოს შთამაგონებდა, მაგრამ მე ცნობისმოყვარეობაც კი არ აღმძვრია. არაფერი არ გამოეხსილა ჩემი გული, რომელიც ცარიელი, დიდი ხნის წინ ჩაკეტილი შენობა იყო. ცოლის სიკვდილის შემდეგ აღარ მივეცივარ მრგონებებს. ზიზღსა მგვრიდა ერთგულება მოგონებისადმი. ბრწყინვალე ჩვეულებაა, მაგრამ მისგან სიმწარელად რჩება.

„ახალგაზრდობა — რა ამყავდ ღღერს ეს სიტყვა. იგი ყოველგვარ ვითარებაში თავისას თხოულობს და აიძულებს ადამიანს, ბოლომდე შესვას მისი სასმელის პატარა დოზა მაინც. ჭანა, მე ერთი ჩვეულებრივი ყმაწვილი ვარ და ამან უფრო უნდა დავაგახლოვოს, რა თქმა უნდა, თუ წინააღმდეგი არა ხარ. რამდენიმე სიტყვა ჩემ შესახებ. დავიბადე 1918 წელს. ომამდე დამბროვეტებლად ვმუშაობდი. დამბროვეტება ჩემი საყვარელი სამუშაოა. დროს მზიარულად ვატარებდი. ჩემთვის ყველზე კარგი დასვენება ცეკვა იყო. მუსიკა ძლიერ მოქმედებს ჩემზე. ბალში, ზამთრობით კლუბში შეიძლება იქნებ ნახებ, ვცეკვაუდი „მგზნებარე გულს“, პოლონურ ტანგოს, შაერს და სხვა მოდურ ცეკვებს. ერთი სიტყვით, მიყვარს სიცოცხლე, მუშაობა და დასვენება. ჭანა, გთხოვთ, გამომიგზავნეთ ფოტოსურათი, ისეთი, როგორიც აპოლონიან ენახე. ვუფდი პასუხს, თქვენის ნებართვით გიგზავნით ჰაეროვან კონკას. ბორისი“.

ვარდისფერ კონვერტზე ბრმად იყო აღბეჭდილი ბრძოლის სცენა. სანიტარი ქალი ქრილობას უხვევს დაჭრილ ჯარისკაცს. მეც ვგზავნიდი ასეთ კონვერტებს. გაურკვეველია, რატომ უნდა დაემშვიდებინა ჩვენი ადრესატები ამ ნახატს. შტემბელი — ათას ცხრაას ორმოცდაორი წლის მაისი.

ის ბლოკდის გახეხულოდ... ფერდობზე ახლამონერილი, უჩვეულოდ მწვანე ბალა-

ხი. ჩვენი ჯარისკაცები დაძვრებოდნენ ფერდობზე, კრფდნენ და ხანმოკლედად აღმავლებში: ჭინჭარს, მფაუნას, სპიქსს, ლექმენს, ცინგისაგან მოღაყლაყებული კბილებით უმ მწვანის, წუნნიდნენ და სიმწარეს რომ გადმოაფრთხებდნენ ხოლმე, წერწყვი სისხლგარეული იყო. გამახსენდა შედეგებული რძის გახსნილი კოლოფი. კოლოფი სანგრის ტახტზე იდგა და ტყვიებს რომ დაგვიშენდნენ, ფიცარფენის ზერელებიდან შიგქვიშა ცვიოდა. აი, ასეთი წერილმანები ჩხარუნებდა ჩემს გამოცარიელებულ თავის ქალაში. იმ დროის სამკერდე ნიშნები. როგორ შევიწროვდა ქრატით განათებული წრე. ყოველი მხრიდან მოაგდა ბინდბუნდი, და შიგ რალაც ჩრდილები, უსახელო ლანდები მოძრაობდნენ.

— გაიხსენეთ?

— ვერა.

— სურათიც მაქვს.

ქალი მოთმინებით, დატრებით მოქმედებდა, იმედი ჰქონდა, რომ გამოცოცხლებდა აშკარად სკლეროზულ ტვინს.

ერთი სურათი ხუთი ექვსზე იყო, მეორე — სულ პატარა, ოფიცრის მონწილისათვის. პირველზე — ყმაწვილს ნიკაპი ზემოთ აუშევრია, გრძელსაჩიხიანი კეპი ახურავს, მხრები სწორკუთხა აქვს, ეკრიშალები — გამოშვრილი, მკერდზე რომელიღაც მეფალი უბრწყინავს. უძილობასა და შიშხილს უკიდურესობამდე გაუშალაშინებია სახე, მაგრამ თავი ვაგაცურად უჭირავს, ტკბება საკუთარი შამაცობით და რწმენით, რომ აუცილებლად გადარჩება. მეც მივგდია სადღაც ასეთი სურათი. ფოტოგრაფი ყვიროდა „გვარდირული ღიმილი!“ ქობის ნახევარი დანგრეულია. ღუმელთან, კუთხეში ლაბადა-კარავია გაჭიმული. აპარატის დასატენად ფოტოგრაფი სარდაფში ჩადიოდა.

— თქვენ უნდა იცნობდეთ მას, — ჯარმუნებელი მითხრა ქალმა და მეც სურათს ჩავაცქერდი.

— ეს რა, ბატალიონის მეთაურის აფიშტანტია? — ვკითხე მე. — ეს ხომ უფროსი ლეიტენანტი ლუკიანოვია? თავიდანვე ასე უნდა გეთქვათ.

ყმაწვილს ოქროსფერი მოხუჭუჭო ქოჩორი ჰქონდა. უცებ მისი ხრინწიანი გადმხარხარება მომესმა. ფრანტი, პიფონი, გუსარი — თანაც თავზეხელალებული, უშიშარი. მეორე სურათზე უკვე კამიტანი იყო. მეორე მხარეს ეწერა: 1943 წელი, ნოემბერი. წელიწადნახევარი გავიდა და როგორ გაზრდილა. ერთი წელი მოწინავე ხაზზე ყოფნა ორ წლად გვეთვლებოდა, თუმცა ოთხ წლად უნდა ჩათვლიათ. სურათებზე ჩანს, რა სწრაფად ეძვრდებოდით. მაშინ ამას დავაგაცეხას ეძახდნენ.



— იცანით! — თქვა ქალმა, — ხომ ხედავთ!

— ახლა სად არის? როგორ არის?

— წარმოადგენა არა მაქვს, — წარმოთქვა ქალმა. მომეჩვენება, რომ მაინცდამაინც არ წუხდა.

— ეს სულ მისი წერილებია?

— ზოგი მისია.

— თქვენა გწერთ?

— მე.

— მაშ, დიდხანს გქონიათ მიწერ-მონერა.

— დიდხანს, — ქალმა თავი დაიქნია, მიხედა, საით ვუმჩინებდი.

— რითი დამთავრდა ეს მიწერ-მონერა?

— ცუდად დამთავრდა, — მხიარულად თქვა მან. — მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი. მე ისე უწერდი, როგორც ჯარისკაცს ფორმტზე, — განმარტა ქალმა, — იყო ასეთი მოძრაობა. გახსოვთ?

— დიახ.

მეც მახსოვდა ასეთი მოძრაობა. იგი პოსტიკალში ჩამოვიდა ჩემთან, მომხიბლავი, მწვანეთვალაობა.

— ვოლკოვიც მის ნაწილში მუშაობდა, — ისევე ისეთი შთაბეჭდილებები ხმით მიტხრა ქალმა, თან ჩემს სახეს თვალს არ აშორებდა. სერგეი ვოლკოვი.

— მერე თქვენსა და მას შორის რაღაც მოხდა?

— ჩემსა და ვის შორის?

— ლუკიანოვის.

— ისეთი არაფერი. კიდევ რა განიტყვებდით?

— ნუ ბრაზობთ. აკი თვითონ გამოვდივით ცნობისმოყვარეობა.

— ჩვენს შორის არაფერი არ მომხდარა.

ქალმა კოპები შეკრა. მოღუშულია უხდებოდა. ტყვილად კი არ იპოვა რაღაც ლუკიანოვიც მასში. ქალებში მარჯვე იყო, კარგად ერკვეოდა.

— ცოცხალია?

— არ ვიცი.

— როგორ თუ არ იცით? — ვკითხე მე. ქალმა გაჯავრებულად გაიქნია შავი ფაფარი.

— თვითონ რატომ არ იცით? ერთად იბრძოდით, ამხანაგები, მეგობრები იყავით, მე კი გახით გვლევით პირიდან ყოველ სიტყვას.

— დიახ, არ მახსოვს. თქვენ მე არ უნდა... აქამდე სად იყავით? ისე გამოცხადებით, მტკვრიც არ დაგაგებიათ, როცა ყველაფერი დავიწყებდას მივცა... — მგონი ავიწყვებ და ყვირილი დავიწყე, თვითონ არ მესმოდა, მაგრამ შევატყვევებ როგორ გასწორდა ნელში განა, როგორ მიეღდურე გამომეტყველებით მიგაგებდა ყურს.

— უკაცრავად კი ვარ, მაგრამ თქვენ აქ

არაფერ შუაში ხართ... — ვუთხარი ქალს.

— კაცმა რომ თქვას, რა გინდათ ჩემთან?

— მე მინდა გამოგკითხოთ სერგეი ვოლკოვის შესახებ. — ქალი მკაფიოდ მჩრდიდა თავში ყოველ სიტყვას.

— ემიჯონებ, რომ ასეთ კაცს არ ეიცნობ.

— მეც მკაფიოდ ვუპასუხე. — სამწუხაროა.

მაგრამ დრო აღარა მაქვს.

ქალი ადგა და ხმაურით დახურა საქალაქი.

— მაშინ მოგიცდით.

— როგორ თუ მომიცდით?

— თუ ვერ გავარკვიე, შინ ვერ დავბრუნდები.

— სამუშაოს შემდეგ დაკავებული ვარ. ისედაც უკვე ყველაფერი გითხარით.

— თუ ლუკიანოვი გაიხსენეთ, ვოლკოვისაც გაიხსენებთ. ქვეითი დაგალოდებით, ვესტიბოლში.

კაბინეტი დახუთული იყო, მომსვლელები იცვლებოდნენ. მე ზღვს ვაწერდი ქაღალდებს, თანაგრძობის ნიშნად თვს ეუკანტურბადი, ვხზავდი, უარს ვუფხებოდი, გვერდზე გაწვედი ქაღალდებს, თვითონ კი მალულად ხელებს ვიკრებდი, რადგან ჩავერთებოდი თუ არა, მაშინვე თითუბი მიშეშებოდა. უკვე ხუთი წელი იყო, რაც ასე მახსენებდა თვს მხრის ქრილობა. გაიღვიძა.

ჩემს პატარა ოთახში მხოლოდ ორი გაქუცული სავარძელი და ძველი სეიფი ეტოვდა სეიფს ყველა ეჯახებოდა. შიგნამლებს ვინახავდი, გოგოები კი — ერთმანეთის დაბაღების დღისთვის ნაყიდ საჩუქრებს. ამ ნახევრადხელი, გადაბრეცილი პანანინა ოთახის დანახვაზე მაშინვე მიხედებოდა ჩემი სამუშაოს ერთფეროვნებას და კონტორის დანარჩენი ორგანიზმის უღიმღამო არსებობასაც. ვერაფრით ვერ დავმშვიდდი. თანას მაგიერად ბორის წარმოვიფიგინე, ისეთი, როგორც ფოტოსურათზე იყო: ქუდიდან გამოჩრილი ქოჩორი, ღვედზე ვარსკვლავი; ალბათ ბორისიც ჩაიქირქილებდა ამ სოროს და მაგიდასთან მჯდარ გამელტებულ საფრთხობელას რომ გადავლებდა თვალს. განა შეიცნობდა ჩემში იმ ლეიტენანტს, რომელსაც უკანასკნელად შეხვდა ესტონეთის შარაკვის გზაჯვარედინზე? მაშინ ჩავახრთინე ბორისის წინ ტანკი „ი ს“, მძიმე, ძლიერი, ლამაზი. ჩვენი კოლონა დასაუღეთისკენ მიდოდა. მე ტანკის კოშკურის გადასანეეღი უკუმი ვიდექი წელზევით გარტო. ტყვიის ქურთუკი მქონდა ნამოსხმული. მხრებზე უფროსი ლეიტენანტის სამხრეულები მკერა. კისრზე ჩამოკიდებული მქონდა შავი მუხარადი და პატარა ლარინგოფონები, რომლებიც აქეთ-იქით ქანობდნენ. სველი მინდვრები, სოფლებში კრამიტის სახურავები,

ცაში ჩიტები უხმოდ დაფრინავდნენ. უხმოდ მიყვროდა და ხელებს მიქნევდა ჩემი ყოფილი ბატალიონი (იქ მხოლოდ მუხლუხების გრუხუნის ისმოდა). ჩვენ მთელი მსოფლიო გველოდა, მიედოდი მის გასათავისუფლებლად, მიგვეკონდა მსოფლიოსთვის სამართლიანობა, თავისუფლება და მომავალი ოცნებებში ვინ აღარ ვიყავი! მომავალი ათასწრად ლეილივება, ციმციმებდა. მერე, რას მიაღწევ, ტოხა, მკითხავდა თანამებრძოლით ბორისა, აქ რას შემომძვრალბარ? ეჰ, ბორია, ბორია, განა შეიძლება ოცდაათი წლის შემდეგ გამოჩენილად და თან ფიქრობდე, რომ ყველაფერი აღმავლობის გზით მიედოდა? რაკილა მაშინ ყოჩაღად ვიყავი, სულ სწორ-ხაზუნად, ზემოთ-ზემოთ უნდა მეველო?

— არა, გეთყვავ, ასე ნუ მოიხზე. ეს არ გაგვიკავ.

— შენ კი არა გთხოვ, შენ რა უნდა მოგთხოვო? — მიპასუხა კოლენსიკოვმა — თქვენი ინსტრუმენტი მუდამ ფუნა იყო და ფუნადვე დარჩა. და მაგისტრისაც თავი უნდა ვიტყვოთ. სადმე მისვლა რომ შემეძლოს, შენ აქ ვეითი და. ტორტით გამომასპინძლებოდი, წინ გამისწრებდი და კარს გამიღებდი, ახლა კი სასაუზმეში უნდა გატარო. ქუა გადამდის და მაინც სულელად ვითვლები.

ის იყო პირი დევადა, რომ კოლენსიკოვი ხელისნის ქნევას მოჰყავ:

— ვიცო, ვიცო, რომ უფარგის მასალას გაძღვევენ და იმასაც ხევენა-მუდარის შემდეგ, რომ დაზგები დემიფოვის დროინდელი გაქვთ.

ასეთი საუბარი გვეკონდა ყოველ წელს. კოლენსიკოვი ერთადერთი დამკვეთი იყო, რომელსაც არ ეშინოდა პირში ეთქვა ჩემთვის, რა ცუდი პროდუქცია გვაქვს. იმავე სიტყვებით აძაგებდა, როგორც ოდესღაც მე ჩვენს დახურულ კრებებზე. ერთადერთი ის აძლევდა თავს ამის ნებას. სწორედ ამიტომ დავძმობილდით. დღის ბოლოს მოდიოდა ხოლმე, მოვრეზობდით ყველა საქმეს და მერე „შროშანი“ მივდიოდით. მე ემასპინძლებოდი, რადგან მსიამოვნებდა სიმარათლის მოსმენა ჩვენი პროდუქციის ხარისხზე, რაზეც ვერავინ ვერ ბედავდა კრიტიკის დაძვრას. მე თვითონ რამდენიმე წლის წინ ნამოვიწყებოდა ხარისხისათვის, მაგრამ დავმარცხდი. არავინ არ ამომივდგა მხარში. მისაყვედურეს — შენივე წარმოების პატრიოტი კი არა, ნამდვილი მებრთე კოლონა ხარ.

თავის ურალში კოლენსიკოვიც ებრძოდა სიყაღებს და მოჩვენებითობას. გათელილი, სუსტი, გაყრცელი-გაღურჯებული, თითქოს გათოშილი კოლენსიკოვი მგზნებარედ ლაპარაკობდა, მოუფრთხილებლად, მის ფიქრსა და

სიტყვას შორის უმცირესი მანძილი იყო, ყოველგვარი ფილტრების გარეშე! მწველად გადმოაფრქვედა ყველაფერს სიტყვებში უკონდა.

— თქვენ გელოდებით.

განა სადარბაზოსთან იდგა, სვეტებს შორის.

— კი მაგრამ, ხომ გაგაფრთხილეთ. მე და ამხანაგი კოლენსიკოვი შეთანხმებულები ვართ. — ვუთხარი მე.

— ღმერთო ჩემო, საჩქარო არაფერი გვაქვს, — შემანყევტინა კოლენსიკოვმა, თან აღფრთოვანებული მიაჩერდა განას, რომელსაც დია ნაცრისფერი ლაბადა ეცვა, შიგ კუბოკრული შარფი მოუჩანდა და მართლაც ეფეტურად გამოიყურებოდა. — ნახემსებას ვაპირებდით, ეს არის და ეს. — გულახდილად გამოუტყდა კოლენსიკოვი.

— არც მე ვიტყვოდი უარს, — თქვა განამ. — ცოტა არ იყოს, მომშვიდა, თუ ხელს არ შეგიშლით.

— მე სულაც არ შემიშლით, — არ დააყვანა კოლენსიკოვმა.

მე მხრები ავიჩრეე.

„შროშანი“ ერთი უღიმღამო კაფე იყო, მაგრამ რეკლამა არა სჭირდებოდა. ეს კაფე თავმუსაფარი გახლდათ ადგილობრივი მესამე ფენის სასმელის მოყვარულებისათვის, და ჩვენს ფირმასაც ემსახურებოდა. აქ მოდიოდნენ: პრემიის დასასვენებლად, იხდიდნენ პატარ-პატარა იუბილეებს, მსჯელობდნენ დელიკატურ საქმეებზე. აქ მოდიოდნენ შაბათობების შემდეგ, შვეტულების შემდეგ, საყუდურის შემდეგ. ადრე თუ გვიან აქ გადმოინაცვლებდნენ ხოლმე ჩვენი სასაფილოს ოფიციალტი ქალები და „შროშანში“ მალევე შეიცვლებოდნენ — უტიფრები ხდებოდნენ, სუქდებოდნენ, ზედმეტს ახდევინებდნენ, მაგრამ ჩვენ, ძველ მუშტრებს, გუნჯალობდნენ.

ნატალია გვემსახურებოდა. ამას წინათ ერთმა მოლდაველმა მომმარაგებულმა აქ აღნიშნა თავისი ნარმატება და ახლა ნატალიამ თვალი ჩამიკრა, გაიხსენა ხმაურიანი, დაუსრულებელი ღრეობა. მან ექსტრა-მენიუ შემოგვთავაზა: ბულიონი, სოსისი კომპოსტოთი, ჩაიჩიანი ბუტერბროდი, ყავა და, რა თქმა უნდა, ზომში — შამპანური კონიაკი. ამ მენიუში საფორმო იყო ყავა, რომელსაც დიდ ჩაიდანში კი არ ხარშავდნენ, არამედ „ჯეზევიში“.

ჩვენგან მოშორებით, სამუშაოს დამთავრების აღსანიშნავად, ნაჩქარევი ნეტარებით ყლურწავდნენ თავიანთ უღუფას სასმელს სხვადასხვა უქნარები. ამ კაფეს მუშტრები იყვნენ: უბოროტო, ხელმოკლე, მაგრამ მიდარი სულის ადამიანები, აქ მუდამ იპოვი-

დი ვინმეს, რომელიც მოგისმენდა, თანაც მასავეთ ვერც ვერავინ თანაგვიგრძნობდა.

— ეს რა, ახალი თანამშრომელია? — თამამად მკითხა ნატალიამ.

— პირადად ჩემი ნაცნობია, — ვუპასუხე მე. — საქართველოდან ჩამოვიყვანა, რომ აქ ესაუბრა.

— კიდევ ამიტომ არის ასეთი სიმშაბითური. თქვენს ხროვაში ასეთი ქალი არ მოვა.

ნატალიამ კოლესნიკოვი გამორიცხა და მე და ფანა შეგვეერთა ისეთი მზერით, რომელშიც ეშმაკმა უწყის, რა იყო.

ჩვენ ვჭამდით, ვსამზავდით, კოლესნიკოვი ქება-დიდებას ასხამდა თბილისს, საქართველოს და ქართველი ქალების სადღეგრძელო წარმოთქვა. მასა და ფანას შორის უცებ დამყარდა ლაღი, უბრალო ურთიერთობა.

— ჩვენს ასაკში ასეთმა ქალმა რაც არ უნდა გვთხოვოს, ეს უკვე ბედნიერებაა, — მსჯელობდა იგი, — მოდით, დავათროთ დუღარევი და გატყდება ეს ჩრდილოეთის დათვი. ჩვენთან, ურალზე... — კოლესნიკოვი ქებას ასხამდა ურალს, საქართველოს და მისი უხეში ზერხი მოქმედებდა. ფანა მოვლბა, მაინადა შეეცდოდა, ეტყობოდა, მოსიეროდა და მე წარმოვიდგინე ის გზა, რომელიც მან ლენინგრადამდე გამოიარა: ფაფოვოცი, რიგებში დგომა, ვაკონში ჯაყჯაყი, ვაკონის ყავისფერი ჩაი (მაინცდამაინც მატარებელი წარმოვიდგინე და არა თვითმფრინავი) — ნუთუ ეს ყველაფერი იმისთვის გამოიარა, რომ მე შემიხედროდა? შეუძლებელია!...

ფანამ უცებ საგზაო ჩანთიდან კოხტად თავმოკრულ პატარა ქალებს ამოღებდა და ინყო. კაკლის მურაბიანი ქილა — მე, ლულვინმურაბიანი — კოლესნიკოს, ორივე ჩვენგანს თითო შეკრულა ჩურჩხელებისა, მისივე გამომცხვარი ნამცხვრებით სავსე ტომსიკა — მე. ამოქონდა და ამოქონდა კარგი მეფოკუსესავეთ პატარა ჩანთიდან. მე დაუვიტინე — მაინც რისთვის? მაინც, რატომ? რის გულსთვის? თანაც მე ტყილუული არ მივჯარს-მეთქი.

ფანამ სიმტიკაცვარეული აღერსიანი ხმით განმიმარტა — თუ თქვენ არ გიყვართ, ცოლს ეყვარება, შეიღებს, სავართოდ, არ ვარგა უარის თქმა, ნესია ასეთიო.

— ახლა უკვე დავალბებული ვიქნები, — ვუთხარი მე. — ეს ქრთამს წაგავს.

— ოჰ, განა ქრთამი ასეთია ხოლმე? — თქვა ფანამ. — ეგ როგორ გვაკადრეთ?

კოლესნიკოვმა ტომიც კი შემოკრა. ფანამ ჩანყო ყველა ძღვენი წინასწარ გამზადებულ პარკებში, რომლებზეც თბილისის ხედი იყო აღბეჭდილი. ერთი პარკი მე, მეორე — კოლესნიკოს, გავრთებოდა, რომ ყველაფერი

წინასწარ განჭვრიტა, ყველაფერი წინასწარ იცოდა.

— მოითმინეთ, — ვუბნობდი მე, — ეს ძღვენი ინფორმაციის წყაროს ეკუთვნის, მაშინ პოლკის მეთაურის მოადგილე სამწყობრო დარგში ცოცხალია, ლენინგრადშია, ის ყველა ოფიცერს იცნობდა. მოდი, დაფურეკოთ, მოგცემთ ტელეფონის ნომერს.

ფანამ თავი გაიქინა:

— მე ინფორმაციის წყარო არა მჭირდება, მე თქვენ მჭირდებათ.

— ოჰ, როგორ გლერს! — წარმოთქვა კოლესნიკოვმა.

კოლესნიკოვი უცებ გადახალისდა. ლამაზმა ქალმა აღაფრთოვანა, დაავიწყდა უყვართობისგან გამოწვეული ათასი გაჭირვება, ეკონომიკის პრობლემები და სხვა მისი საყვარელი თემა. მეც გავიფიქრე, რამდენი ხანია ქალთან არა ვმჯდარეარ რესტორანში-მეთქი, და თუშეა „პროშინი“ რესტორანი არ გახლდათ, მაინც კარგი იყო, თუნდაც ის, რომ ორქესტრი არ გრიალებდა, რომ კოლესნიკოვი ენად გაიკრიფა და შემედლო, კრინტი არ დაემძრა.

— მთელი პატყვი, დიდება ფრონტელებს ხედება, — ამბობდა კოლესნიკოვი. — ჩვენ, რომლებიც მაშინ თბუთმეტ-თექვისმეტი წლისანი ვიყავით, ჩრდილში აღმოვჩნდით, არასრულფასოვნების კომპლექსიდა დაგვტრა. ახლა სულ იმის ახსნაში ვარ, რატომ არ ვიყავი ოშში. ჩვენ გვემოდა, გვეშინოდა, მტრად მძიმე სამუშაოს ვასრულებდით, სამაგიეროდ კი ვერაფერი მივიღეთ. პატარა ბიჭი ჩელი-ახისკის ქარხანაში ვმუშაობდი ძველფეხის აწყობაზე. ის იყო დაწინაურადი, რომ ფრონტელები დაბრუნდნენ, და მუშაბმ ასე...

— ფრონტელებისა ნუ შეგეშურებდათ, — უთხრა ფანამ, — არა ანტონ მავსიმოვიჩ?

— რა საჭიროა წარსულის გახსენება, — ვუთხარი მე. — იქ არც მაჩვენებლებია და ვერც დახმარებას ვეღირსებით იქიდან.

— უნდელი კაცია, ვერ გაუახებთ. თქვენ კი მას უგდებთ ყურს და არა მე, რადგან ეგ ფრონტელია... მე ვიცი, ბატონებო, რომ ხელს გიზღობთ. განა, უარყავით ჩემი ნათქვამი.

— რატომ უარყვო? — მკითხა ფანამ, — გამჭრიახი კაცი ყოფილხართ.

— მაგდებთ? ისნავე, ანტონ, როგორ უნდა ხალხის თავაზიანად გაგდებდა. მაგრამ ვერ ქალების სადღეგრძელო უნდა დავლიო-ჩვენ მათ ვერასოდეს გავუტებთ. ამაში ვერც ლოგია გვიშველის. სჯობს, ენდო, გააყვამ ქალს და ის მიგყვანს. ფანამ ისე მოქუტა თვალები, რომ კოლეს-



ნიკოვი დაიბნა და ჭიქა ისე გამოცალა, არავისთვის მიუჯახუნებია.

კოლესნიკოვი რომ წავიდა, ნახევარი ჭიქა წამსპანური ღვინისხი და კონიაკით შევასვე. ეს საემპარიბო უნდა ყოფილიყო ჩემთვის.

კოლესნიკოვთან ერთად ყველაფერი უფრო აფვილი, მარტივი იყო. საბუდნიეროდ, ჭანა აღარაფერს მეკითხებოდა ვოლკოვზე. ბორისის წერილებსა და ღია ბარათებს მიჩვენებდა. ბევრი იყო, შეიძლებაოდა მთელი კრებადლის, ტოპიური ლეიტენანტის წერილების წაგნის შედეგადა. მაშინვე ის გავიფიქრე, რა სერიი იქნება, თუ ამ ქალიშვილმაც შემოინახა ჩემი წერილები და იმასაც ასევე აქვს წამლის რეზინებით შეკრული-მითქი.

პირველი, ქიმიური ფანქრით დაწერილი ღია ბარათი იუნჯებოდა:

„სალამი ლენინგრადის ფრონტიდან! გამამრჯობათ, ჭანა!

თქვენ გაავრეებულნი აიღებთ ამ ბარათს... უნებურად გაიფიქრებთ, ნეტა ვინ მომწერაო. განგიმარტავთ: მე ვნახე თქვენი სურათი აპოლონ ლოლობურიძესთან, ჩემს თინამებრძოლ მეგობართან—გერმანელ ოკუპანტებთან ბრძოლაში. თქვენ მას კარგად იცნობთ. ვნახე და ზელიდან ვეღარ გავუსვი. დაფინებით დაგვქვეროდით. სისხლი ამიჩქროლდა ძარღვეებში, თქვენს მშვენიერ ნაკეთებს რომ დავცქეროდი...“ და შემდეგაც ასევე გაუსტია. ეშმაკურად არა ბრძენობდა, ჯიქურ მიიწვედა: „ჭანა, ეს ბარათი ჩვენი მეგობრობის საწინდარია, ბევრის წერა რა საქირთა, როცა ჯერ ჩვენი ურთიერთობა გაურკვეველია.“

„თქვენით“ დაიწყო და „შენით“ დაამთავრა.

სუფთად, გაკრული ზელით იყო ნაწერი, ასოები თანაბრად გარბოდნენ.

„სალამი, საყვარელო ჭანა! ერთი წუთი არ დამიყოვნებია ისე გიპასუხებ წერილზე ამჟამად ომის, ფრონტის მონინავე ხაზის მწვავე პირობებში ვცხოვრობ... შენი წერილის ბოლოს, სხვათა შორის, ნართაულად წერ ჰაეროვან კონცანზე. ძალიან სცდები. საუბუდუროდ, არავინ მყავს, ვისთვისაც შემიძლო გამეგზავნა ჰაეროვანი კონცა. ამხანაგები არ მკალია, მეგობრები კი ყველანი ჩემივე სქესისა არიან. თუ ცივად მიიდე ჩემი მოკრძალებული ძღვენი, ეს შენი პირადი საქმეა, ხოლო მე შემდეგში უფრო კეთილგონიერულად მოვიქცევი. აპოლონი ჩემგან ცოტა მოშორებით არის, ჭანა, მე მაინც დიდი იმედი მაქვს, მოუთმენლად ველი კარგ პასუხს და ფოტოსურათს.“

- რატომ ინახავდით ამ ბარათებს?
- არ ვიცი, იქნებ შესაფარებლად.
- შესაფარებლად?
- ნაიკითხეთ, ნაიკითხეთ.

— ეს აპოლონი ვინ არის?  
— ლოლობერიძე. იქნებ გეგონებთ მისი ქალიშვილი, უღვაშებიათი ბიჭი, რომელიც ჩემთვის იმდენად მებრძოლი იყო. ერთი სამკუთხედი მქონდა, თუ ორი. — ჭანამ იყურა. — ჩემი მეგობრის საქმრო იყო. სამინი ვართ იქ, ფოტოზე: ნინო, მე და ის.

— თქვენ გაქვთ ეს ფოტო?

— სადღაც მქონდა... — ჭანამ ქალაღებში დაიწყო ძებნა — აპოლონი მალე დაიღუპა. ორმოცდარი წლის ოქტომბერში შეტყვის დროს მძიმედ დაიჭრა და სამი დღის შემდეგ გარდაიცვალა.

— ორმოცდარი წლის ოქტომბერში? რა შეტყვა იყო? ალბათ, სექტემბერში.

— არა, ოქტომბერში, ზუსტად.

— ყოვლად შეუძლებელია.

— ახლავე თვითონ ნაიკითხავთ. მაშინ მივიღეთ ოფიციალური ქალაღი. — ქალი ეჭვის თვალით მიყურებდა.

— კეთილი, გაეკრევათ მაგას, — ვუთხარი მე. — აქ რაღაც შეცდომა იყო, მაგრამ მე აღარ დავაჩქარე სიმართლის დამტკიცება.

„მივიღე შენი ვრცელი წერილი. ძალიან მომწონდა როგორ მიუკია-მოუკიადავად და მართლაც რომ ცხოვრებისეულად პასუხობ ჩემს კითხვებს. რაკი მე შემძლია იმედი ვიქონია, მაშინ უნდა განავარძოთ მიწერ-მონერა და იქნებ უკეთესად გავიცნოთ ერთმანეთის შინაგანი სამყარო. ეს კია, რომ ჯერ გერაფერს მოგწერ ზედმიწევნით. ფოტოსურათს გამოგიგზავნი, როგორც კი გადავიღებ, ე. ი. თუ მოვახერხებ მოწინავე ხაზიდან ცოტა ხნით ნამოსვლას. ეროვნული განსხვავება სულად არ მანუხებს, მე აპოლონის მიხედვით ვმსჯელობ, ძალიან კარგად შევენწყვეთ ერთმანეთს. საერთოდ, არ ვიცი, რა როლი შეიძლება ითამაშოს ეროვნებამ სიყვარულში. აპოლონი მძიმედ დაიჭრა, არ ვიცი სად გგზავნეს და ცოცხალია თუ არა. ხშირად მომწერე. წერილები აქ მოწარულად გვუზმარებია.“

ჩვენს ასეულში უზბეკები იყვნენ ორნი, ეს კარგად მახსოვს. ერთმანეთში მშობლიურ ენაზე ლაპარაკობდნენ და ამიტომაც დამამახსოვრდა. სხვა ერები ვერ გავიხსენე. მაშინ სრულებით არ გვანტერქესებდა ეს საკითხი.

— აფსუს, რომ თქვენი პასუხების ნაკითხვა არ შეიძლება, — ვუთხარი მე.

— ჩემი პასუხები არაფერ შუაშია ამ საქმესთან.

— რა საქმესთან?

— ჩემს საქმესთან.

ნატალიამ კიდევ მოიტანა ფავა.

— თქვენ თვალს მიხვევთ, ბორისსაც ასე უხვევდით თვალს, — ვუთხარი მე.



— თქვენ საიდან იცით, რომ თვალს ვუხვევდი, თვითონ გიაშობით?

— არა. ამას რა მიხვედრა უნდა.

— ჯერ საკითხავია, ეინ ვის უხვევდა თვალს. განა მის წერილებს ვერ ატყობთ? იოლად წერდა, გული არც კი უფანცქალებდა.

— უფანცქალებდა? — ამ სიტყვამ საფიქრებელში ჩამავადო, ალბათ, არასოდეს ნამომცდენია. ნეტა იგრძნობოდა გულისფანცქალი ჩემს წერილებში? — თქვენ?

— მე... ვფიქრობდი, რომ ფრონტს ვეზმარებოდი.

— დიდი დახმარება კია.

ქალი ახლა ცივად შემომცქეროდა, მომიშორა, ისე ჩამწია სადღაც ქვემოთ, რომ თვითონ ზემოდან შესძლებოდა ეცქირა.

— უნდა მოგახსენოთ, რომ მე დღისით ინსტიტუტში დაედმოდი, საღამოთი კი პოსტალში ვმუშაობდი.

— რა სამუშაოზე? — ვკითხე, ჯერ არ დაეწებდი.

— სანიტრად.

— კეთილი. არც სანიტრები იყვნენ კარგდღეში.

— კოლესნიკოვი მართალია, თქვენ, ფრონტლები, კუდაბზიკები ხართ... აი, ის ფოტო.

ორი, ომისწინააღმდეგ თეთრ კაბებში გამოწყობილი გოგონა, პარკში, ბაღის მერხზე იჯდა, იქვე ოლქანდრი ყვოდა. მათ თავებს ზემოთ ყმანული კაცი აყუდებუდიყო — ანონილი, მოუქნელი, ყრმობაში რომ არიან ხოლმე, როცა უცებ აიყრიან ტანს. ქებიანი ცხვირის ქვეშ უღვაში მოუჩანდა შავად. ერთ გოგონას ნანანავი მკერდზე ქქონდა გადმოგდებული, მგორეს, თმაშეჭრილს, შუბლზეც მოკლად შეეჭრა თმა და ამჟამად მე მიფურცებდა მორცხვი აღფრთოვანებით, თითქოს სიყვარულის ახსნას უსმენდა. მარჯვედ იყო გადაღებული. ოდესღაც მეც ვიყავი გატაცებული ფოტოგრაფიით და ვიცი, რომ ასეთი ფოტო — ბედნიერი შემთხვევაა, გაფრენილი ნამის დატყრა. ვერ გეტყვით, სახეების გამომეტყველება იყო თუ პიზა, მაგრამ ომამდელი კი იყო, იმ წლებისთვის დამახასიათებელი. დიდი ხანია შევნიშნე, რომ ყოველი დრო თავის დაღს ასვამს სახეს. სკოლაში რომ ესწავლებდი, შინ მამაჩემის მოშობლების სურათები ვეიდა კედლებზე. მე მათ არ მოგსწრებოვარ, მაგრამ მიყვარდა მათი არამეტყველური მშვედი სახეების ცქერა. ასეთი სახეები სურათების გაღერებშია შემონახული. ასეა თუ ისე, იმ დანამ მიიპყრო ჩვენი უფროსი ლეიტენანტის ყურადღება. ახლანდელ დანასთან ბევრი არაფერი ქქონდა საერთო ფოტოზე გამოსახულ გოგონას. ყველაფერი გაუხეშდა, ჩაიკატა. დრო თანდათან

აშორებდა დანას იმ, სიყვარულია და ბედნიერებისათვის დაბადებულ ღრმადში ბუნების ჩანაფიქრისგან მიჰყავდა მსუბუქი და დარწმუნაკენ. რა თქმა უნდა, მის ცხოვრებაში სიხარულიც იყო, შრომაც, ბედის საჩუქრებიც, მაგრამ ახლა, ამ ტანსრულ, მბრძანებლურ, მძიმენიკაპა, ოდნავ, მარჯვედ შეღებულსახიან ქალს რომ ვუყურებდი, რომელსაც კარგად შეეძლო თავისი გრძნობების დაფარვა, მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რაც დაკარგული იყო. იქნებ, ცხოვრებამ რაღაც შესწორება შეიტანა ბუნების იმ დადინსწინანდელ ჩანაფიქრში? არა მგონია. მხატვრის ჩაფიქრებული სურათი ნამდვილად უკეთესია იმაზე, რაც მან დახატა. წლები თუ რამეს შეასწორებენ, უთუოდ ისე, როგორც საერთოდ ასწორებენ ხოლმე...

დანამ გულგრილად დამართო ნება, შემეფარებინა იგი იმ გოგონასათვის, რომელმაც ასეთი მგზნებარე გამოხტომებისკენ უბიძგა უფროს ლეიტენანტს. ქალი არ მალავდა თავის ნაოჭებს და შეშუპებულ თვალებს. ახლა კი შემძლო სამაგიერო გადამეხადა იმისთვის, კაბინეტში რომ წაიცინა და მომაჩერდა. უცებ თავი დაიქნია და მითხრა:

— მართალი ხართ, — მის შვე თვალეში ისეთივე ცეცხლი აენტო, როგორც სურათზე იმ გოგონას თვალებში ენთო. და მაშინვე უდავო გახდა მათი მსგავსება. რაღა თქმა უნდა, ჩვენ წლებზე ვერ გავიმარჯვებთ, მაგრამ იგი არ გრძნობდა თავს დამარცხებულად. იქნებ სულაც ეს არის მთავარი ჩვენს უმელო ბრძოლაში.

„სალამი, საყვარელო დანა! შენი ფოტოსურათი პლესიგლასის\* ფირფიტებს შორის ჩავდე, რომ არ დაიფლითოს, რადგან ხშირად ვუფურბე, ეს ჩემი ნუგეზია. თანაც ცუდ გუნებაზე ვარ, აპოლონი მოკვდა. გმირულად დაეცა იმათთან ერთად, ვინც ჩვენი შეტყვის დროს დაიღუპა. ფაშისტური დაეგუფების მოსაპობაში მონაწილეობდა. მედგრად ვეგვართ, თუმცა მონაწილემეგე ძალასა და ღონეს არ იშურებს. ფოტოს ჯერ ვერ გამოგიგზავნი, თვითონვე მიხვედები, რატომაც. ჯერ ცოცხალი და ჯანმრთელი ვარ, ეტყობა, ბედი მწყალობს და უნდა, რომ მე და შენ შევხვდეთ ერთმანეთს. მას უნდა, რომ მოგეხვიო და გულში ჩაგეკრა. ჩვენი მინერ-მონერის აზრი დროის ტყუილად ხარჯვა კი არ უნდა იყოს, და ახალგაზრდობის ორი ნარკომადგენლის კურკური, არამედ წმინდა გრძნობა, რომელიც აუცილებლად გადაიზრდება იდეალურ სიყვარულში. ხშირად მომწერე, ნუ დაივინებ ბორისს, თუ გინდა, რომ მასთან იყო!"

1. გამჭვირვალე პლასტიკა.

მე ისევ შევხვედი პარკში გადაღებულ ფოტოსურათს, ტანწერილ ქართულ ბიჭს ოლეანდრის ბუჩქის ქვეშ. ნამდვილად ვიცი, მაგრამ გულში არაფერმა გაიფარუნა. ეს კია, რომ ბორისის წერაში თარიღის აღწერამ რაღაც გაამხსენა, მაგრამ ამის შესახებ აღარაფერი ვთქვი.

ბორისი მართლაც დაუფიქრებლად, სახელდახელოდ წერდა. ზოგჯერ ძლივს ვიკავებდი სიცილს. ამდენი წლის შემდეგ წერილს უხამსობის ნაღები აჩნდა, რაც ადრე შეიძლება არც იყო.

— ჩემს შესახებ არის კიდევ რამე?

— არის, არის.

რაღაც ჩანაშვლების მიხედვით ფანამ უცებ იპოვა წერილი, სადაც სტრიქონები ხაზგასმული იყო: „ჩვენს ტობას ნაუკუთხე ის ადგილი, სადაც შენ აბათილებ მაგის მსჯელობას სიყვარულზე. ეს, რა თქმა უნდა, თავის აზრს მუდგრად იცავს, მაგრამ მთხოვა მომეწერა, რომ ლექსები მოეწონა. ჩვენს შორის დარჩეს და თვითონაც დაიწყო მინერმონერა ერთ მოსკოველ ქალიშვილთან. ის მალე ასწავლის ჭკუას ამ მოხვედრს“.

— რომელი ლექსები?

ფანას არ ახსოვდა. ორივენი ვაკვირდებოდით სიცილიერებს, ვერაფრით ვერ გავაცოცხლე ის სცენა, სადაც ბორისი მიკითხავდა ნაწყვეტებს ფანას წერილიდან. გამოდის, რომ ჩვენ ვკამათობდით, მე რაღაცაზე ვფიქრობდი, მაგრამ სად გაქრა ეს ყველაფერი? სად ვეძებოთ კვალი? ასეა თუ ისე, მაინც გამოდის, რომ მე და ფანა დიდი ხნის ნაცნობები ვიყავით.

— ხედავთ, — ვუთხარი ქალს, — თქვენც კი გლახლობით მესხიურება.

— ეს ხომ წერილმანია, ეპიზოდი, — უცებ მიპასუხა მან, — თუ ლუკიანოვი გაიხსენებთ, ვოლკოვის მით უმეტეს გაიხსენებთ. მე ვოლკოვის გულისთვის ჩამოვედი თქვენთან.

— რა მოუვიდა?

— სანამ არ გაიხსენებთ, რა აზრი აქვს ამის თქმას?

— რა თანამდებობისა იყო?

— წარმოდგენა არა მქვს. ინტინჯია.

— ეს ომამდე.

ფანამ დიდი ფოტოსურათი გამომინოდა. დავყურებდი სურათს და ვგრძნობდი, რომ ქალი ჩემს სახეს აკვირდებოდა. მისი ლოგია უბრალო იყო: თუ ლუკიანოვი სურათით ვიცანი, ვოლკოვიც უნდა მეცნო, რადგან ისინი ერთად იყვნენ ომში, ეს ქალმა ნამდვილად იცოდა, ისე რომ, მე ვიცნობ ვოლკოს.

— იქნებ ვიცნობდი კიდევ. ვინაა ყველას დაიხსომებ? რამდენმა წყალმა ჩაიარა. თქვენი ვინ არის ვოლკოვი?

— არაფერ.

— არაფერ, — გავიმორე, ჩვენი მზერა შეეჯახა ერთმანეთს, თითქოს დასრულდა ქართულად გავილიმე. — მამაქალიმე არ არის.

ფანა ოდნავ შეერთა, მოიხარა. შემეცოდა.

— ფანა, მე არ ვიცი, რისთვის გინდათ ეს, — რაც შეიძლება გულტრილად დავინჯე, — არ მინდა ჩვეულებრივად. ნუ ამოქექავთ წარსულს, ნუ დაიგინებთ. დამიჯერეთ, როგორც ბრძენმა თქვა: არ უნდა გავაღვიძოთ წარსულის ფეშონები.

ფანა უნდობლად, ეჭვის თვალით მიყურებდა:

— რისი გეშინიათ? — მკითხა მან.

— არაფრისაც არ მეშინია.

— ეჰ... მე კი თქვენი იმედი მქონდა. თქვენ იცით, ვინა ხართ?

— მოდი, ნუ დავინჯებთ... ჩემზე ეც არ მოქმედებს. მე საკუთარ თავზე მეტი ცუდა ვიცი, ვიდრე თქვენ შეგიძლიათ მიხსნათ.

— არ უნდა მოიქცეთ ასე, არა თუ იცნობდით მას, როგორ შეგიძლიათ...—ფანა გაბრაზებულ ულაშაზო ბებერს დაემსგავსა. მტირალა ქალების რიცხვს არ ეკუთვნოდა, მხოლოდ ტუჩები დაეპარნა. — სულელობაა, თავის დამცირებაა ამის თხოვნა...


ფანამ ყავა ბოლომდე შესვა, აიძოლო პატარა სარკე და ფერების აღდგენას შეუდგა. მოურიდებლად აკეთებდა ამას, ერთი ფანქარი, მეორე ფანქარი... და ისევ გადაიქცა მშვენიერ — პირქუშ ქალად, რომელსაც მოველუროვნებიანი სახე ჰქონდა. მე უცდიდი, რას იტყვოდა. ერთხელ მაინც რომ გავეღიმა ჩემთვის, ვკითხა: თქვენ, ტობა, თქვენ როგორღა ცხოვრობთ ან რამე ამის მაგვარი. მაგრამ მე არ ვარსებობდი. მხოლოდ და მხოლოდ ინფორმაციის წყარო ვიყავი, რომელმაც არ ივარგა, მისთვის საჭირო ცნობების მიმწოდებელი. მხოლოდ იმისთვის ვჭირდებოდი ყველას, რომ დამეხსენებინა, რეზერვები შემოვინა, შეკარნახა ვის რამდენსჭირდებოდა, გრაფიკაც შემეგინა. არაფერ არის დამნაშავე, რომ მე სადღაც გადავიკარგე. ჩემი ცოლი იყო ერთადერთი არსება, რომელსაც აინტერესებდა, როგორ ვიყავი რა მომივიდა. მისი სიკვდილის შემდეგ აღარავინ მეკითხებოდა, რა ხდება ჩემს არსებაში რახან სამსახურში დავდივარ, ყველას ჰგონია, რომ ყველაფერი რიგზეა.

ფანამ კონტად შეკრა საქალაქე და ჩანთაში ჩაიძო.

— აქ რა, მხოლოდ ლუკიანოვის წერილებია? — ვკითხე მე.

— მისი და ვოლკოვის, — უგულისყურად მიპასუხა მან.

ფული გადავიხადე და ქუჩაში გამოვედი. ფანას მეტრო სჭირდებოდა და პარკზე გა-



ლით გადავიღე. ჰერეში უხედავ, უხედავ დაფრინავდა ქადრის ფანტელები.

— მამ, ასევე ნახვალთ?

— ენახოთ, — მიპასუხა ქალმა გაურკვეველი ლიმილით.

თითქმის მისული ვიყავით მეტროსთან, რომ ჩემთვისვე მოულოდნელად ვთხოვე, ხვალამდე დამიტოვებთ ეგ საქალაქში, წავიკითხავ, იქნებ რამე გავიხსენო-მეთქი.

ფანას სულაც არ გაკვირვებია.

— რა თქმა უნდა, მოგცემთ, თუ დაგჭირდეთ, მანდა, ქალაქში, ჩემი ტელეფონის ნომერი ნერია, — მშვიდად მითხრა მან.

— როგორ დაგინებოთ?

— ხვალ, თორმეტ საათზე მანეთთან მოდი, მოსახერხებელია თქვენთვის?

მე ცოტა არ იყო დაავიბენი, ეტყობოდა, ქალს ყველაფერი წინასწარ გაეაზრებინა. წესით შინ უნდა მიმეპატივებინა, მაგრამ, როცა ამაზე წამოვიწყებე ლაპარაკი, ფანამ მითხრა:

— უკეთესი იქნება, თუ ხვალ ქალაქში გამომყვებით, რაღაც რაღაცების ნახვა მინდა.

ფანამ საქალაქში მომცა, გამომეთხოვა, არც მადლობა უთქვამს, არც გახარებია და მეტროში გაუჩინარდა.

II

ჩემი ხის სახლი თითქმის ერთი წელი იყო გამოკეტული. ოთახში სიბნელე და ნესტი დაგრევილიყო. დარბაზები გაყავდა და ღუმელი დაწვნიო. მაგიდაზე სამელნე და კარამელის გახსნილი კოლოდი იდო. საიდან გაჩნდა აქ კარამელი? მე არ მიყვარს. მაგრამ ჩემს მეტი ხომ ვერაფერ შემოვიფიქრე აქ. ამ ჩემს ნაკვეთზე შარშანდელი შემოდგომის მერე არ ჩამოვსულვარ. ზამთარშიც არა ვყოფილვარ. ფანჯრის რაფაზე პატარა ფიცარი იდო. ზედ ზეთის წითელი საღებავით წრე იყო შემოსახული. ვერც ახლა გავიხსენებ რამე. რა თქმა უნდა, ჩემივე შემოსახულია ეს წრე. მაგრამ რისთვის? სახლში ყველაფერი ძველებურად დარჩა. მაშის ძებნა დამჭირდა. სკამზე ჩემი ლურჯი ფლანელის ქურთუკი ეკოდა. აღარც მახსოვდა ეს ქურთუკი. კარადში მანქანათმშენებლის ცნობარი დავიხსენებ, რომელიც მთელი ზამთარი მჭირდებოდა. აი, თურმე სად ყოფილა. სამზარეულოში გავედი. თანდათან ვერტყეოდა საკუთარ საგნებს. ზოგი მაშინვე გამახსენდებოდა, ზოგი მოგვიანებით, მაგრამ ფიცრის გარდა ზოგი სხვა რამეც ვერ გავიხსენებ. მათ შორის კარამელიც.

ჩემს უხოსში პირსაბანი ეკოდა. ზუფი ავახადე, შიგნით მშრალი იყო, წინებიც ეყარა და რაღაც მატლები ზუღობდნენ. ჭის ონინარმა გულგამჭირავე დაიჭრიალა. ვედრო ამოვათრიე, წყალი პირსაბანში ჩავახსი და

ლურჯი საბანის გამოშრალი, დახეთქილი ნაღველი ავიღე.

სერენადები

კართანა გადაღრეცილიყოს მტკნარს მუქმას ლიყო, სულ ვაპირებდი გამოცვლას და ვერ მოვახერხე. პირსაბანის ქვეშაც ვაპირებდი ლარის დადებას. ალბათ წელსაც ვერ გადავიტებ-მეთქი, გავიფიქრე. უკვე იმ ასაკში აღარ ვიყავი, როცა დიდდილობით გარეგნება, რომ დღის განმავლობაში ყველაფერს მოასწრებ — იმასაც, რაც გუშინ დაგჩაა გასაკეთებელი და ერთ იმდენსაც.

ეზოს შემოვუარე. სანაგვე ორმოდან სიმყრალე ამოდიოდა. ოდესღაც მინდოდა ტუჩითი გადამეღობა, ცოცხალი ღობე ჩამერგო.

ბაღში ყველაფერი გაველურდა, გაიზარდა, კვლებმა გაიზ-გამოინია, გაიტყუაბა. მინდოდა დამერგო ნეკერჩხლები, ვერცხლისებრი ნაბლები, მაგრამ მხოლოდ ორი ბუჩქი იასამანი დავრგე. იასამანი გაიბუჩქა, გაიზარდა. შეხედეაც არ მინდოდა, რაღაც გაუქმებულს მაგონებდა, არ დამერგო მაინც ეს ბუჩქები.

სახლში დათბა. ფორთოხლისფერი საქალაქში მაგიდაზე დავედი, კარადა გადავექექე. შედეგებული რძის ქილა ვიპოვე და ყავა მოვიხარსე, მაგრამ იმის მაგივრად, რომ ნერილების კითხვა დამეწყო, დევანზე წამოვნიქი. დევანზე ეგდო წიგნი სამყაროზე. დავინყე კითხვა და მივხედი, წაკითხული მქონდა. სურათებით გავიხსენებ. ცოტადა გვრჩება წარსულისაგან, ნეტა როგორი ვიყავი ერთი წლის წინათ, ამ დევანზე რომ ვინიქი და ამ წიგნს ვკითხულობდი? მერე, რატომღაც, წავედი აქედან, და რაღაც იყო ამ კარამელთან დაკავშირებით. აქ ერთი ქალი მოდიოდა, კარგი იყო მასთან ყოფნა და აი, დავშორდი. ყველაფერი დავინწყებას მივიცა, გაუტყებარი გახდა. ისიც გაუტყებარია, რატომ დავშორდი.

მაშინ რომ ეს კარამელები გადამეგდო, ამასაც ვეღარ გავიხსენებდი და ვიჯდებოდი აქ, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყო.

ბორისის წერილები დანომრილი, დასტეხილ დაწყობილი იყო და ზედ რეზინი ჰქონდა გადაჭერილი. ბევრი იყო, ორმოცდაორში და ორმოცდასამში ფანასა და მას ენერგიული მიწერ-მოწერა ჰქონდათ. ბორისი, ჩვეულებრივ ამისზე პასუხობდა, ბევრ მოყვებ ბარათს გზავნიდა, ყოველთვის აღზნებულს და შეუპოვარს. გასაოცარი იყო მისი ენერჯია. ბლკაფის პირველი ზამთრის განმავლობაში ისე გავხდით და დავიშვიეთ, რომ არავითარი ვაკაცური ძალა აღარ შერჩა ჩვენს დასუსტებულ სხეულებს. მხოლოდ იმის ნებისყოფა შეგვჩაა, რაც აუცილებელი იყო, ის გაკვეთებინა — გვესროლა, საგუშაგოები შეგვემონებინა, დაეხმარებოდით სანგრებიდან

თოვლის ამოყრასაში. აპრილში ჩვენთან შეფე-  
ბი ჩამოვიდნენ ლენინგრადიდან, სამკერვალო  
ფაბრიკის მუშა ქალები. ვახშმის შემდეგ ხო-  
რბლის კონცენტრატით, ტუბილი ჩაითა და  
ფლოტის უშველებელი ორცხოობილებით გამა-  
ძღარ, მოთენთილ ქალებს ჩვენს მინურებში  
ჩაეძინათ. ქალები განრთხმულები ინენენ  
ჩვენს ტახტებზე და ნახად ფშვინაფდნენ, ტახ-  
ტებს ყაყისფერი ხავერდი ჰქონდათ გადაფა-  
რებულნი. ჩვენ ღუმელთან ვისხედით ჩვენივე  
მზრუნველობით გულაჩუყებულები. არავინ  
ცდილა ქალებთან მიზრჩებას, მათ მიჭყლე-  
ტას. აზრადაც კი არ მოგვსვლია ასეთი რამ.  
ეს კი იყო, რომ ქალებს ფერ-ხორციეც აღარ  
შერჩენოდათ. მკერდი სულ გაბრტყელებო-  
დათ. რა თქმა უნდა, დედაყაყური მონყობი-  
ლობა შერჩენილი ჰქონდათ, მაგრამ, ნარ-  
მოიდგინეთ, მაინც არ მიგვიწვევდა გული,  
სურვილი აღარაფრისა გვექონდა, გარდა და-  
ნაყრებისა და აბანოში წასვლისა. კიდევ  
მრავალი თვის განმავლობაში აღარ ვიტან-  
ჯებოდით სიხმრებში, არც ქალებზე ვლაპა-  
რაკობდით... მამ, სადაღე! ქონდა ბორისის  
ამისთანა გუნება და გუნება? აფრქვევდა და  
აფრქვევდა ლექსებს, დიდხანს არ ეძებდა,  
პირდაპირ სიმღერებიდან იღებდა:

დაებრუნდი ზრუნვით შუბლდაღარული,  
თუმცა არ მიგრძენია დაქანცვა მკვეთრი,  
შენ კი მელოდი და გულში გამთბარ  
აღრისის სიტყვებს ზოგაფი ჩემთვის.

მეტწილად შეხვედრავ სწერდა, იმ დიად  
დღეზე, გამარჯვების შემდეგ. ფანასთან შეხ-  
ვედრა და გამარჯვება მასთან შერქოდა და  
გამოვიდა მშვენიერი „ერთხელაც“. ნერილე-  
ბის მიხედვით მათი შეხვედრის დროს რა-  
ღაც გაუგონარი უნდა მომხდარიყო. რა თქმა  
უნდა, პირველყოფისა: „გულში ჩაგვირა და  
გათხრა: „ჩემი ხარ!“ ამის შემდეგ სამყარო  
სინათლეებით განათდა, ორკესტრები უკრავენ,  
ბულბულები გალობენ, თვალნინ გადაიშალა  
მწვანე მდელოების აბრეშუმში, მზე პორიზონტს  
იქით აღარ ჩადის, ამავე დროს მთავარეც ანათებს  
მთელი თავისი ფაზებით. ისინი განუწყვეტ-  
ლივ კოცნიან ერთმანეთს, ერთმანეთის წუ-  
რებით ვეღარ ძღებინან, ხელჩაკიდებულები  
დგანან და, ამავე დროს, მაღალ სანოლზე  
წანან.

გადიოდა თვეები. ბორისი დაუღალავად  
აღწერდა შეხვედრის სიხარულს. ვეღარ  
ატყობდა, რომ ერთსადაიმავეს იმიერებდა და  
ერთფეროვანი ხდებოდა. მერე მის აღფრთო-  
ვანებულ კელოს რაღაც დარდი დაეტყო, რო-  
მელიც თანდათან მატულობდა. ფანას ნერი-  
ლებში რომ შეეცებუნებინა რაღაცას, ამათს  
დაუნებდა, რაღაც ფრაზების ციტირებას  
მოჰყვებოდა. არა, რაღაც სხვა ანუხებდა,  
მაგრამ რა, ვერ მივხვდარიყავი. რატომღაც

ბორისი ფანასაგან მოითხოვდა აბალ-აბალ  
დაპირებებს. უნდოდა, რომ ~~სწრაფად~~ დასრულ-  
დებინა თავის ერთგულებაში შემართებას.  
„რა მომელის, როცა შენთან ჩამოვალ?“ ვინ-  
და თუ არა, რომ ჩემი გახდეთ?“ თხოულობ-  
და გარკვეულობას, გარანტიებს, დაბეჯითე-  
ბით, ეჭვიანად მოითხოვდა. მაოცებდა მისი  
ანგარიშიანობა, თითქოს არ უნდა ყოფილი-  
ყო ასეთი. გამომათრია ნეიტრალური ზონი-  
დან, როცა ისე გავითოე, რომ მოძრაობა  
აღარ შემეძლო, გარისკა, თუმცა ვალდებუ-  
ლი არ იყო. თუმცა, ნინა ხაზზე ფრთხილო-  
ბდა, არა რცხვენოდა დაბალ თხრილში გა-  
ღობებულყო, ტყუილ-უბრალოდ არ უშვერ-  
და მკერდს მტერს. რატომ ცდილობდა, აღ-  
თქმა მიეღო ფანასგან, განა ეს უზრუნველ-  
ყოფს სიყვარულს?

ერთ ნერილში ბორისი ფანას კითხვებზე  
პასუხობდა და მაშინ პირველად ახსენა ეო-  
ლკოვი: „დაიხ, ვიცირობ, ცოტა ხანს ერთად  
ვცხოვრობდით სანგარში. შენი მისამართი  
ამოლონს გამოართვა. ჩემი ბრალია, ვეღარ  
მოვითმინე და ვუამბობდი შენზე, სურათიც  
ვაჩვენე და ნაწყვეტებსაც ვუკითხავდი შენი  
ნერილებიდან. გულახდილობის წამს გაუ-  
ზიარე გულის ნაფები. არ ვიცი, რა მოგწე-  
რა, მაგრამ ქალებზე რომ ლაპარაკობს, არ  
ვიზიარებ მის აზრს. არც ცხოვრებაზე მის  
შეხედულებას ვიზიარებ. მე მართალი ვატი  
ვარ, გულწრფელობას ვაფასებ და არა შო-  
რიდან შემოღობა. რაც მჭირდება, პირდაპირ  
ვწერ, ინტიმური ცერემონიები არა მჩვევია,  
აბლაბუდას არ ვქსოვ, არც გრძელ ნერილებს  
ფანა, მე არა ვწერ, მიჩვენია სიმართლე  
მოკლედ მოგწერო, ვიდრე სიყვარულ გრძლად.  
ისე რომ დასკვნა თვითონ გამოიტანე“.

კაცმა რომ თქვას, აქედან დიდიყო ჩვეუ-  
ლებრივი, ცხოვრებისეული ისტორია, რომე-  
ლიც სიყვარულის და ეჭვიანობის მარადიუ-  
ლი კანონების მიხედვით ვითარდებოდა, სა-  
ნამ ჩვენ ტყვეობისა და ყუმაბრების ნამსხ-  
ვერეებში ადგილობრივი მნიშვნელობის  
ბრძოლებში ვმონაწილეობდით, ბრუნოს სპი-  
რალებში გადვიოდით და დანაღმულ მინდუ-  
რებზე გადავიოდით ლენინგრადისაკენ მი-  
მავალი ნალმდამშენების გუგუნში.

შემდეგ ნერილში ბორისი უფრო გაბრაზე-  
ბულად, მაგრამ მაინც თავშეკავებულად წე-  
რდა ვოლკოვზე, თუმცა შეეძლო, უარეს ფე-  
რებში დაეხატა... სწორედ აქ მივაქციე წუ-  
რადღება ხასხასა ნითელი ფლომასტერი  
დაწერილ პატარა ბარათს:

„ძალიან გთხოვთ, ვოლკოვისა და ლუკია-  
ნოვის ნერილები რიგრიგობით წაიკითხეთ,  
ისე, როგორც მე ვღებულობდი მათ. გ.“.  
თითქოს მიხვდა, რომ ბორისის ნერილების  
კითხვა მერჩივნა, რომ ვოლკოვის ნერილებ-

ში ჩახედვას არც ვაპირებდი. ეტყობა, ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გამიზნული — ისიც, რომ ამ მიწერ-მონერვას ნაკვირთხავად, ისიც, რომ საქალაქად ჩემთან აღმონწიწედობდა და ისიც, რომ კარნახი მჭირდებოდა. გამახსენდა, რა მშვიდად გადმოვიცა საქალაქად, თითქოს იცოდა, რომ ზოლოს და ზოლოს, მე თვითონ ვთხოვდი მომეცი-მეთქი. მაინც და მაინც სასიამოვნო არ არის, როცა შენს მოქმედებას წინასწარ განსაზღვრვენ, ისე რომ პრიმიტიული მონყობილობა აღმოჩნდები — დასაქოქი სათამაშო, მწვანე ბაყაყი.

ვოლკოვის წერილები ბევრი იყო, სამი დიდი შუკრულა. დანომრილი, რეგრიგობით დაწყობილი, ოღონდ იმით გამოირჩეოდნენ ბორისის წერილებსაგან, რომ ვოლკოვის წერილები ნაკვეთთან ვახებდი იყო, დაქმუქ-ნულიყო, ეტყობა, ხშირად კითხულობდნენ, ხელჩანთაში ან ჯიბეში დაქმუქდნენ. მე მაგოჯაზე გავშალე წერილები — რალაც პასიანსის მსგავსი გამოვიდა: წერილი, ღია ბარათი, მწვანე კონვერტი, ნაცრისფერი კონვერტი, კობტა, ბეჭდური ნაწერი იყო, ყოველი სიტყვა მკაფიოდ გამოყვანილი. ოკ, როგორ ამ მინდოდა ამის კითხვა! თავს ვერ დავძაბე, ავდექი და გარეთ გავიდი.

სალამოს ჩიტების ფილ-ხივილი ბობოქრობდა სურნელოვან, — მწვანე სითბოში. აი, სად ღელავდა სიცოცხლე!

ნაკვეთის მოუვლელობისა და უპატრონო ბინაგან სიცოცხლე იგებდა, მატულობდა. ყველგან თხუნელას ამოთხრილი მიწის გროვები მოჩანდა, ბილაკები ბალახით დაფარულიყო, განზე ვაწულეყო, აბრეშუმი და ველური ცერცველა გაბატონებულიყო. შევეურებდი ცას, რომელსაც ქალაქში ვერ ნახავ, და ვუდილობდი ამ სალამოს სიმშვიდე გადამდებოდა. ჩიტებმა მოგონებები არ იციან, ვფიქრობდი მე, ბედნიერებაში და ყოველ-დღიურ საზრუნავში ჩაფლულიები გალობენ, ერთმანეთს ეხმარებიან, აბრეშუმი ამ მხოლოდ ანწყო იცის და მომავალი ზამთარი, ესენი გაცილებით უფრო ბრძენები არიან, ვიდრე ჩვენ, რადგან ადამიანები ყელამდე ვართ ჩაფლული წარსულში.

ეს ბრწყინვალე აზრები ძალიან მსიამოვნებდა; მაგრამ ვერა მშველდა. თანდათან უფრო ვეფლობოდი წარსულში, როგორც ქაბოში. ფოტოსურათით გაცოცხლებული ვოლკოვის თუჯის სახე ძალიან მომიახლოვდა. მისი სუფთად გადაპარსული, მრგვალი, კოპებანი თავი რომის იმპერატორების იმ ბიუსტებს მაგონებდა, კამერონის გალერეაში რომ იდგნენ. ტყვიებს ქაბუნის გაუდიოდა ამ ბიუსტებზე, მაგრამ კვალს ვერა ტოვებდნენ. ხმაყ თუჯით წერიალა ჰქონდა: „ღლიტ-

ნანტო დუდარეც, სხვისი წერილების კითხვა უნამუსობაა“ სიტყვა „უნამუსობა“ უნამუსობა. სოსავით ვლერე და ყველაფერი სიტყვითურად მოხდა — მე მოვიქნე ხელი, რომ სახეში მეთხილმა ვოლკოვისათვის, მაგრამ მან ჩამავლო მკლავში ხელი და ისე ამომიტრიალა, რომ ტყვიელისაგან შევევიღე ვოლკოვი ჩემზე ბევრად ღონიერი იყო, მაგრამ მის ნათქვამზე უფრო დამამცირებელი ჩემი შეკვილება იყო.

დაბომბვის შემდეგ დანგრეულ მიწურთან ქალაქის ფურცლები ვიპოვე. უცებ ვერ მოვისაზრე, ვისი მიწური იყო, ავიღე ფურცელი და კითხვა დავიწყე ვერ ჩემთვის, მე-რე ხმახლდა, მასხრად ვიგდებდი ვიციცის სასიყვარულო აბაჯუბდას. ეს განმუხტვა იყო და ყველას გაეხარა, რომ ხარხარის საბაბი მიეცათ; ამ დროს ვოლკოვი მოვიდა და ჩემი ხუმრობა სერიოზულ უსიამოვნებად გადაიქცა. მე მუშტებმოლოდნული მივადრე, მან დამავლო ხელი და გვერდზე გადამისროლა. ყველაფერი ეს ჯარისკაცების წინაშე მოხდა! რველვერზე ვიტაცე ხელი, მაგრამ მაშინვე განზე გამათრეც. იმ დღიდან შევიძულე ვოლკოვი. მევე ბევრი რამ მოხდა, ფრონტის წინა ხაზზე უერთმანეთოდ ვერ ჩამრბა ქაცი, მაგრამ ის წვენა ღრმად ჩამრბა გულში.

რა ოინს არ მოგონებთ ცხოვრება! რაში დასჭირდა განას ამდენი წლის შემდეგ მისი წერილების შემოჩვენება?

ოთახში დავბრუნდი. კარი გაღებული დავტოვე ზღის მხარეს, საიდანაც ისმოდა ნორჩი ფოთლების შრიალი და ჩიტების გაუთავებული ფილ-ხივილი — ჩვენთვის გაუგებარი ლაპარაკი. მაგიდას მივუყვები. რტა რა არის ვოლკოვის წერილებში? ისე დავიძაბე, როგორც ბავშვობაში დასჯის მოლოდინში დავიძაბებოდი ხოლმე. იმისთვის ხომ არ გამომეცხადა განა, რომ პასუხი მოეთხოვა ჩემთვის? ეტყობა, მაინც არსებობს შურისძიების კანონი. დიდი ხანი იყო, რაც მისი ქმედება მაინტერესებდა. ეს კანონი ხან დასტურდებოდა, ხან ირღვეოდა, მაგრამ ვფიქრობდი, რომ ეს დარღვევა კი არა, ჩემი უბედობა იყო, რადგან ამ კანონის ქმედება შეიძლებოდა ფარული ყოფილიყო, ისე, რომ მე არაფერი მოვლოდა. ადრე თუ გვიან, ბოროტება უნდა დაისაჯოს, ოღონდ ყოველთვის დამნაშავეს არ უზღავდნენ სამაგიეროს, შეიძლება მის შვილებს, შვიმომავლობას მიეზღვას, რადგან ბუნებამ რალაც თანასწორობა უნდა აღადგინოს. სამართლიანობა თუ ვერ გაიპარევენ, მაშინ ჩაქნება და ადამიანს ყველაფრის იმედი უნდა გადაუნყდეს. „ანა კარენინას“ ეპიგრაფი: „ჩემი არს შურისგება და მე მივაგო“ სკოლის ასაკიდან დამრჩა გაურკვეველი. რას ნიშნავს ეს? გარდა ღვთა-

ბრისა, მიგნებულია აქ ის კანონი, რომლის მიხედვითაც ჩვენ გვასამართლებენ?..

პირველ წერილში ეწერა, როგორ გააოცა ვოლკოვი ფანას ფოტოსურათმა: „როგორც მიბეზღნით გასაროლა რაკეტის სასროლი პისტოლეტადან“. ის ფოტო ბორისმა გამოსთხოვა აპოლონს და ტაბონს თავზე დაკიდა. (გასაროლა კი მახსოვს — ერთხელ ვიღაცამ გაისროლა მიწურში რაკეტის სასროლი პისტოლეტადან, მართლაც რომ დამაბრმავებელია). ვოლკოვი სურათი დაინახა, ბორისმა ფანას წერილიდან რაღაც ნაწილი და ყველაფერმა ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე — „თქვენმა უმწიკვამ, რომელიც სახიფათოადა შეთავსებული გულშემატკივრობასთან და წერილმანების შეგრძობების უნართან, რაც ჩვენთვის მიუწვდომელია“. ისე ახუტუტებდა, მუუხერხულებოდა კიდეც ნაკითხვა. „ახლა საკმარისია თვალეები დაეხუტო, მაშინვე თვალნი დაშიდგებით. თქვენი სახის ყოველი ნაკეთი შევისნაელე. ვხედავ საყვარლად მოდუნებულ ტუჩებს, თვალეში — სიცოცხლით აღტაცებას. თავს ვირწმუნებდი, რომ წარმოსახვას ავეყვი, მაგრამ ახლა ვხედავ რომ არარეულებრივი არსება ხართ...“


ეს სტრიქონები უსიამოვნოდ მომხვედა გულზე. ვოლკოვის მაღალფარდოვანი გამოთქმები რაღაცნაირად ემთხვეოდა ჩემს შთაბეჭდილებას.

ფანამ უპასუხა. იგი ერთსაც და მეორესაც ხალისიანად პასუხობდა. მიწერ-მოწერა პარალელურად მიმდინარეობდა: ბორისს — თავისი, ვოლკოვისაც — თავისი. განსხვავება იმაში იყო, რომ ვოლკოვი მაღალვა ფანასთან მიწერ-მოწერას.

რიგრიგობით რომ ვკითხულობდი, ვგრძნობდი, როგორ ძლიერდებოდა ქიშკობა. თავიდან უპირატესობა ბორისის მხარეს იყო. მისმა მხურვალე აღიარებამ იმოქმედა. პირველობა მას ეკუთვნოდა. — მეტი ქულა ჰქონდა. გარდა ამისა, ვოლკოვი ნამდვილად გადააჭარბა. ფანამ, ეტყობა, ცივად, გესლიანად უპასუხა. მე იმის მიხედვით ვმსჯელობ, როგორ შეცვალა ვოლკოვი წერილების სტილი. ხუმრობაში ჩაატარა: ეგონა, რომ შეძლებდა, ხოტბა შეესა ჟანასთვის, აღმოსავლურად, რუსთაველის დარად, მაგრამ „სხვისი ხმით მომღერალს, საკუთარი ჩაუნუნებოა“. შემდეგ კი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, ირონიულად დაიწყო თავისი ცხოვრების აღწერა. თავის გრძნობებზე კრინტს აღარ სძრავდა, ჩვენს ფრონტულ თავგადასავლებზე ბორისით სავრთო სიტყვებით კმაყოფილდებოდა, აუტყარებლად ადევნებდა თვალს განვლილ ცხოვრებას, თითქოს შორიდან საზღვრის მიღმა იყურებოდა. ახლაც უნდა გამოვტყდებო, რომ მისი წერილები კარგი საკითხავი იყო.

ლიტერატურულად კარგს კი არ ვხულისხმობ, თვითონ არა ვარ ბეჭდურ-სტრუქტურულად, მისმა ბედმა დამინტერესებდა. მისი ცხოვრებასთან ბრძოლის ისტორიას. იგი ყველა ჩვენგანზე უფროსი იყო, ბევრით, ასე თხუთმეტი წლით მაინც. სულ სხვა თაობას ეკუთვნოდა, თუმცა შესაბამევად არ ჩანდა ასეთი განსხვავება. შიმშილია ყველანი გავთანანსორა. გამჭვარტლული მონურის სიფინროვეში, სანგრებიან ზამთარში, შეფუთვნილები, გათოშილები, ნამქერებით, ღამის განგაშებით, ვახუნების და ნაღმების ნაკლებობით დატანჯულები, ტრილობებისა და ცუდი მომარაგებისაგან დაღუულები, ასაკობრივ განსხვავებას ვეღარ ვამჩნევდით. რით უმეტეს, რომ ვოლკოვი გამოირჩეოდა, გამოვტყდებოდი. თებერვალში — ყველაზე მშვიდ დროს, იგი მარტოკა მოათრევდა ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო ნაღმებით სავე ყუთს. მისი ცხოვრების აღწერის ზოგიერთი დეტალიდან ჩანს, რომ მაშინ დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლისა უნდა ყოფილიყო. იგი ცხოვრების იმ ფენას აღწერს, რომელიც ჩემთვის უცნობია, მაშაშემის დროსა და ჩემი ახალგაზრდობის შორის ხანას. მის წერილებში, რათქმა უნდა, განზრახვა იგრძნობა — ვოლკოვის უნდოდა, ფანა დაინტერესებულყო მისი პიროვნებით. მე მაშინვე მიეუხვედი ამას, მაგრამ ფანა თითქოს ვერ ამჩნევდა, მას ეუხვერხულებოდა ვოლკოვის თხრობის მეთოდური მანერა, მისი ცხოვრების ანალიზი, რომელსაც ვოლკოვი თითქოს სპეციალურად ფანასთვის აკეთებდა. მაგრამ მაინც თავისებურად წერდა.

„ამოდენა ვაგაცი ქალიშვილს შეტისმეტად ქვეიანურ წერილებს სწერს, რატომ? თუ სხვანაირად წერა არ შემიძლია? თქვენს წერილში იგრძნობა, რომ კვლევობას მნამებთ. მოიღ, შევთანხმდეთ, რომ ჩემი ქვეინობა ჩემივე უსახლერო მადის ბრალია. როცა თქვენ წერილებს გწერთ, ამით ცარიელი კუჭის წეას ვიყურებ. ისე რომ, ყველაფერი ზედმეტი კუჭს დააბრალეთ. სხვა მოსაზრებაც მაქვს. სილაღე ადვილი რამ არის. სიყოჩად, უტიფრობა ყოველთვის მომგებიანია. აქაც მსავლედრობებზე, ქვეინანს მეძახიან. არც უფროსებს მოსწონთ ეს. მართლად, რატომ ვარ ასეთი? არ ვიცი. ვცაად, მომსუსულებებინა თავი, უარესი გამოვიდა. სჯობს ისევ ის დავრჩე, რაცა ვარ. იქნებ ჩემი ბიოგრაფიის ბრალია? 12 წლისა რომ ვიყავი, მთელი ჩვენი კლასი კინოში წავიდა, მეც მოვინდომე, ოცი კაპიკი იყო საჭირო. მამას ვმხოვე, მან მიპასუხა, თვითონ გამომიშუავე, მე რე მთხოვე. მას შემდეგ ერთი კამიკი არავის მოუტია ჩემთვის. და



საკუთარი ფული მქონდა. ხედავთ, რა სერიოზულად ჩავთვალე მამის ნათქვამი. ეტყობა, მეტისმეტად სერიოზულადაც. მამა მწონავი მყავდა, დედა მრეცხავი. მამას სოფლის ოთხი კლასი ჰქონდა დამთავრებული, დედამ წერაკითხვა არ იცოდა და მათი წარმოდგენით, ადამიანს განათლება არა სჭირდებოდა, უნდა ემუშავა. რადგანაც მე კანონზე სიარული მიწოდდა, ამიტომ მონტიორთან დავიწყე დამხმარედ მუშაობა. 1920 წელს შიმშილობა იყო და კოლონიაში მოვხვედი“.

ჩვენ კი ლამის პროფესორის შეიღავებულიდით! მას მალევე ეჭირა თავი, ინტელიგენტობა.

„...ჩვენ გულდასმით ვამონებდით სანარცხებს, სადაც სასაფლაოებიდან, ნაფოტას თავებს ყრიდნენ. საკუჭნაოებიდან პროფუქტებს ვიპარავდით. ეტეხდით კლიტეს ან ფანჯარას — ბიჭებს პატარა ნახვრეტი ჰყოფნდათ. ვიპარავდით ორცხობილებს, შაქარს და ალექსანდრე ნეველის ლაფრის სასაფლაოზე ვინახავდით. დღისით ვიყოფდით, საღამოთი კი საშვიარზე სხვა სამუდური მიდიოდა. მაგრამ მაინც მეყო ნებისყოფა სწავლა გამეგრძელებინა, მონტიორი გახვდა, ბოლო კლასებში რომ ვიყავი, დამოუკიდებლად ვიღებდი ხელზე იჯარას, ელექტრონი გამყავდა სახლებში და ფულაც მქონდა. ჩემი თანატოლები ბავშვებად მერყენებოდნენ.“

უცებ გამახსენდა, რომ მოწაფეობისას მე და ჩემი ძმაცავე ელექტრონის ზარების შეკეთებით ვმუშაობდით ფულს. ის გაფუჭებული მოხსნიდა და შეკეთებულს დადგამდა. მე დენის მწყვეტარას ხაოიანი მტკრით ფაფარულ კონტაქტებს ეწმენდდი, კოჭებს მცვლიდი. მომწყინდა დედაჩემთან ფულის გამო ღიჭინი და ხალისიანად ვმუშაობდით. ბავშვებს უყვართ მუშაობა. მაგრამ მე თითხმეტი წლისა ვიქნებოდი მაშინ“.

მეორე წერილში ვოლკოვი სწერდა ფანას, როგორ გაუწია გულმა მუსიკოსსაქენ. მამას დაუშალა, ისე დადიოდა ერთ მოხუც ქალთან „ფორტეპიანოზე დაკერის“ გაკვეთილებზე. მეორე შინ გაუგებს და ერთი ორომტრონი დატრიალდა. ნების წლები იყო, უმუშევრობა... მე დაჩვეული ვიყავი, რომ იმ დროს კინოფილმებში აჩვენებდნენ როგორც მხოლოდ ნებანების და ბანდიტების, რესტორნებში ღრეობის, კერძო ვაჭრობის დროს. ნების წლები უფრო ძველი და ბელით მოცული გვეჩვენებოდა, ვიდრე რევოლუციამდელი დრო, რომელსაც წიგნებიდან ვიცნობდი, იმ სწრაფმავალ დროდან არაფერი ფარჩენილა. არც ჩვეულებები, არც მემუარები, არც ძველები და არც გმირები. ნების თითქოს სუფთად მოკვეთილივით მოისრულეს, მხოლოდ სიმღერებია დარჩა, დედა რომ წაიმღერებ-

და ხოლმე, რაღაც რომანსები, მელოდები უნოტებოდ და უფირფიტებოვქვეყნებოდა ვლივი.

სიზღვიანობა

ვოლკოვი ყველაფერს ჰკიდებდა ხელს, სიმარჯვეს იჩენდა, რომ დამკვიდრებულიყო იმ არც თუ ადვილ ცხოვრებაში. „დობროვისის“ რაღაც კურსები დაამთავრა, ლექციების კითხვა დაიწყო. რა ლექციების წაკითხვა შეეძლო თხოვმეტი წლის ბიჭს, ვერ წარმომიდგენია. რა სამუშაოც არ უნდა ყოფილიყო, ფულისთვის ყველგან მუშაობდა, არაფერს თაკილობდა, მაშინ არ იყო არაპრესტაჟული სამუშაო. „ქიშია მიყვარდა? მიყვარდა. კოოპერატივებში და კერძო დუქნებში ვირობებებს ესაობდი წამლით. ვისხველე. ავტორიტეტული ვირობების მღელვებელი გახვდა. კალატროზად ემუშაობდი — ქვაფენილისთვის ქვებს ვამტრევედი; ვიჯები გზაზე, მუხლებზე წიფსახვევი მქონდა შემოხვეული. საღამოობით დიაგრამებს ვუხახავდი ლექტორებს. ისევე ფულზე მუსიკა მიყვარდა? მიყვარდა. სმენა მქვს? მქვს. მეზობელ ქალს როიალი ჰქონდა და სმენით ვისწავლე იმ დროის ცეკვების დაკრა — პადეპანი, მინიონი, პადეკატრი, შიში, ვალსები, ფოქსები, რამდენიმე გაგრეცლებული სიმღერა: აბა, შემომხვედით, რა ელვანტური ვარ! როგორი ფისი-ფისი, როგორი ფა-ფა, რა პიკანტური.“

ბავშვობაში და ელვანტური ვარ! როგორი ფისი-ფისი, როგორი ფა-ფა, რა პიკანტური.

ტაფირი გახვდა საღამოს წვეულებებზე. ასევე ფული, თან მათმევენენ კიდევ. დაღვით არა ესვამდი. ერთ ჭიქასაც კი. ამიტომაც მივატოვე ასეთი სარგებლიანი სპეციალობა — თაფიორობა, ძალიან მაძალბებდნენ სასმელს. ტორემ ასევე დაფრებოდი ღვარუნად“.

მართლაც, ვოლკოვი არ სვამდა. იგი ერთადერთი ოფიცერი იყო, პოლკოვი, რომელიც არ სვამდა ჩვენს წილ ას გრამ არაყს. დემონსტრატიულად თქვა უარი. სცადეს მასხრად აეგდოთ, მან კი პრინციპები წამოაყენა. აქაოდა, პირველ მსოფლიო ომში რუსი ჯარისკაცები უარყოფდნენ იბრძოდნენ და კარგადაც იბრძოდნენ, არაფი ვერაფერს გვეშველისო და ა. შ. თითქოს ჩვენ გვსაყვედურობდა და ბევრნი აღშფოთდნენ: მეტისმეტს ხომ არ შვრებით, ამხანაგრ ლეიტენანტო, ნაკოების ბრძენება არ მოგწონთ? შესთავაზეს, თუთუნზე ან შპორტებზე გადაგვიცვალო. ბოლოს და ბოლოს თუ არ გინდა დალუვა, იმას მიეცო, ვისაც უნდა, მოიძებნებოდა მსუკრელებიო, ეუბნებოდნენ. მაგრამ ვოლკოვი ჯორზე შეეჯდა — პრინციპებს იცავდა. კიდევ კარგი, რომ კომისარი ბრძენი ვაიცი იყო და კალორიებზე გადაიტანა ლაპარაკი: ჩვენს ბლოკადის პირობებში არაფი იგივე უარია. ამა-

ტებითი კვება და გაუმარჯოს ამ შესანიშნავ ბრძანებასო.

„ტაპიორობას თავი დაეანებე და მეუბოვედ დაიწყე მუშაობა, შლანგით ვრწყავდი ქუჩებს“.

მეუბოვეობის შემდეგ — საზიენლო კურსებზე, შრომის ინსტიტუტში, იქიდან ხაზვის კურსებზე. მხაზველად მოერწო ქარხანაში. შემცირება. ისევე მხაზველად მიიღეს...

სულ ველოდი, როდის მიუახლოვდებოდა იმ ვოლკოვს, რომელსაც ჩვენ ვიცნობდით. ჯერ-ჯერობით ოცდანი წლების მოუწყობელი ყმა-წვილი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ზემოთ-ზემოთ მიდოდა, ცდილობდა, ეპოვა თავისი თავი, მიღწია იქამდე... ისე რომ ვთქვათ, მაინც საით? საით მივბობდეთ ახალგაზრდობაში? აქეთ-იქით ეხეტებოდა ხან ფულისკენ, ხან კი ღირსეული სპეციალობისაკენ. დროის აგიოტაჟის მიხედვით მიიწედა სიმდიდრისაკენ, ეპოქის ბუკის ხმისაკენ — სასწავლებლად.

„მე და თქვენ, ფანა, ერთნაირი მიზანი გვაქვს. თქვენ ცოტათი დაკმაყოფილება არ გინდათ. ეს თქვენი სიტყვები შემწყვარდა. მეც მუდამ ყველაზე მეტი მინდოდა ჩემთვის“.

ძლივს არ გამოვიჭირე რაღაცაზე ვოლკოვი. ამ ფრაზას შევძლო მისი პატივმოყვარეობა დაემტკიცებინა. მთლად ის არ იყო, რასაც ვუბრუნებ, მაგრამ პატივმოყვარეობაც საკმარისი იყო, რომ ამეთვალწინაბინა იგი.

ბორისის წერილიც იმ რიცხვით იყო დათარღლებული. ისხდნენ მუხობელ მიწურებში, წერდნენ წერილებს, ალბათ, ვახშმის შემდეგ, როცა სრულა შეწყდებოდა, დაბნელებოდა და ღუმელის დაწებბა შეიძლებოდა. მიელი დღის განმავლობაში მიწურის ისე გაიყინებოდა, რომ თითები აღარ გვემოწოდებდნენ და წერა კი არა, კოჭივც მუჭში გვექონდა ჩაბღუჯული. დაბალი მიწურები იყო, ბორისი თავს ღუნავდა, როცა შემოდიოდა დაბალ ტურქვეს. სივონროვე იყო, მაგრამ მყუდროდ ვიყავი. დაბრუნდებოდი განწესიდან და დადლილი დავდებოდი ტახტზე. ვიღაც ზის და გამწასტურას კეშსაჟს, ვიღაც ავტომატს ზეთავს. ყოლოსფერი ხავერდოვით ანათებს ღუმელის გავარჯებული გვერდები. დანგრეული ეკლესიისა და მოთრეული კოჭლი სავარძელიც აქა დგას. სხვათა შორის, ხის იატაკზე დგას ეს საგარძელი. იყო ერთ ერთ ჩემს მიწურში ხის იატაკი. დაშაბახსურდა თანაც, თავითი ნაჯახი გიდეფს, რომ არ აგნანონ. ნაჯახი ძვირფასი რამ არის, როცა ზამთარში მიწურში ცხოვრობ.

„გამარჯობა, საყვარელო ფანა! მივიღე შენი წერილი და ორი ფოტოსურათი, ჩემს სიხარულს სახლგარე აღარ ჰქონდა. მართალი

გითხრა, არ ველოდი, რომ შენგან ამისთანა რამეს მივიღებდი (შოდი, შენთვის უნდა მართლი ერთმანეთს, მგონი, ბუკინაში ვიქნებოდალთაი შენ, ფუჭი თქვენ“, ასეა, ფანა) რაღაც ამგვარს. იმედი მაქვს, არ გამოვიჯრდები, რომ „საყვარელო“ დაწერე — სხვაგვარად არ შემიძლია. „შენდამი სიყვარული ღრმად ჩამწვდა გულში“. მშვენიერ გუნებაზე ვარ, მინდა სიცოცხლე, ბრძოლა და იმ წამის მოახლოება, როცა მე და შენ შევხვდებით. ერთ კითხვაზე მიპასუზე, რომელიც ყველაფერს ნათელს გახდის: რა მელის, თუ ოდესმე პირდაპირ შენთან ჩამოვდი? ვიფიქრო თუ არა ჩვენს მიმავალზე? მე და ახოლონი ლენინგრაფში ვიყავით, ა. დუშმას „სამი მუშკეტერი“ ენახეთ. იმედი მაქვს, რომ შენც ნაკითხული გაქვს ეს წიგნი“.

აქ ბორისი შეცდა, ფანას, როგორც პატარა გოგოს, მოწყვლად ექცეოდა; ვოლკოვი კი არ აძლევდა თავს ამის ნებას, იგი დიდი მონიერებით წერდა, იქნებ ძალადაც აზნავდებოდა, და ფანას ნამდვილად მოსწონდა ეს. ვოლკოვი ზოგჯერ თავის ბიოგრაფიას შეწყვეტდა და იმ დიდი ადამიანების ბიოგრაფიებს განიხილავდა, რომლებიც მისთვის სამაგალითონი იყვნენ. ერთ-ერთი მისი ყველაზე საყვარელი ადამიანი ედისონი იყო, ისიც მუშა ყმაწვილი ყოფილა, არავითარი განათლება არა ჰქონდა და ცაში აიჭრა თავისი ნიჭისა და კომერციული სიმარჯვის წყალობით. ნიჭი რომ ჰქონდა, ვოლკოვს ამაში ეჭვიც არ ეპარებოდა, იმაზე ფიქრიც არ უნდოდა, რომ მისთვის ნაკლები ნიჭი გაიღეს, ვიდრე სხვისთვის. ედისონს ოცი წლისათვის სამი გამოგონება ჰქონდა, ხუთკოვი ჩვიდმეტისაა და ოცი წლისთვის უკული გამოგონება ექნება! პატივმოყვარეობა კი არ იყო მისი უბედურება, მისი პატივმოყვარეობა ბავშვური იყო, უბედურება ის არის, რომ იგი სრულიად სერიოზულად ეუბნებოდა ედისონს. საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა ფორმირებდა გაყვება. ქედმალლობისთვის შეიძლება გაგვეკრიცხა ვოლკოვი, პატივმოყვარეობისათვის კი არა ღირდა, რადგან ამის მაგვარი რაღაც მეც მჭირდა, ჩვიდმეტი წლისა რომ ვიყავი. მეც გატაცებული ვიყავი ედისონით. პაპანინი, გრაფტიო და ჩკალოვი იყვნენ ჩემს სიაში და ედისონიც, რომელსაც დღე-ღამეში მხოლოდ ხუთი საათი ეძინა და რა ამოცანისთვისაც არ უნდა მოეკიდა ხელი, ყველაფერი გამოსდროდა... ჩვენი სიმპათიები დაემთხვა და ეს თან მამრახებდა, თან მხარებდა.

ვოლკოვმა ნაკითხა ფურნალ „მეცნიერება და ტექნიკაში“ პარიზსა და ლონდონს შორის საფოსტო კავშირის შესახებ და გადამწყვიტა მისი სრულყოფა. გააკეთა გაფერინილი თვითმფრინავიდან სინათლის სიგნალის მი-



საღები მონყობილობა. ვიფიქრე: ნამდვილად ტყუის, მოჩამბა რალაჲ მეთქი, მაგრამ ვოლკოს ნერიღლი პატენტის ნომერიც დაიწერა — 4467, და ატყობინებდა, რომ მისი გამოგონება ცალკე ბროშურად დაიბეჭდა სსრკ სნკ-ის გამომგონებლობის კომიტეტის გამოცემლობაში. შემდეგი გამოგონებების ნომრებსაც ატყობინებდა თანას — ნეტა, ზემორად ახსოვდა? საქმარისი იყო, რალაცაში უჭვი შემპარუდა, მაშინვე დაადასტურებდა. აქაც შევძლო მოეჩამბა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ არა ტყუოდა და ყველაფერი ზუსტი იყო. 1927 წელს ამა და ამ ფურნალის ამა და ამ ნომერში გამოაქვეყნა ნერღლი თეთინას-ნავლ გამომგონებლებზე. ნარმატებამ ფრთები შეახსა და რადიოში დაიწყო გამოსვლა. იმ დროისათვის ვოლკოვი კონსტრუქტორის თანამდებობაზე მოეწყო. შრომის ბირჯა ვალდებული იყო პატენტის მქონე გამომგონებლები ურიგოდ გაეგზავნა სამუშაოზე. ასეთი წესი არსებობდა. მას არჩევანის უფლება ჰქონდა და ერთ-ერთი ქარხანა აირჩია, სადაც მებტი ხელფასი იყო. მის ქმარსაზე იყფენდ დედა და ძმისწული, რომლის მამა კოლჩაკელებმა ხმლით დაიხებეს. ფულზე ნერდა — ვცდილობდი, შნოიანად მებარჯა, ცხვეების შემდეგ ქალები უტლით მიმყავდა შინ, თან პარკით კანფეტებს მივართმევდი ხოლმეო. ფურნალში რომ ნერიღი დაიბეჭდა, ამან თავარიფ დაახვია და გადაწვიტა, მწერალი გამხდარიყო. ყველაფერი შემინდილია ფურნალ „საჭირისთან“ ლიტერატურული წრე იყო და არსებული და იქ მიიღეს. ვოლკოვი ხაზს უსვამდა, რომ ეს წრე ქალაქის ახალგაზრდა მწერლების საუკეთესო გაერთიანება იყო. თან მუსიკის შექმნაც დაიწყო — 1929 წელს რადიოსტუდიაში შეასრულა საკუსთარი კომპოზიცია — „წყალდიდობა ლენინგრადში“, 1924 წლის წყალდიდობის მეხუთე წლისთავის გამო. მაშინ ასეთ რამეებსაც აღნიშნავდნენ ხოლმე. „მე შემემლო, საშუალო მწერალი გავმხდარიყავი. ამაში თვითონვე დაურწმუნდი. მოდური, პოპულარული, როგორცე პანტელეიმონ რომანოვი, ლევ გუმილესკი, სერგეი სიმონოვი იყვნენ. მაგრამ საშუალო არაფერი მნამს. ვის რაში სჭირდება საშუალო მწერალი?“

ვოლკოვმაც აიღო და ტექნოლოგიურ ინსტიტუტში შევიდა. საღამოობით ფულისთვის ხაზავდა. დასვენების დღეებში კულტურის უნივერსიტეტში ესწრებოდა ლექციებს, დილაადრიან, სწავლის დანებდამდე, სტაფიონზე გაბრძოდა. ყველაფერი ერთად უნდაო, ყველგან ნარმატება უნდა ჰქონოდა. ანტიკური ფილოსოფიის, მუსიკის, ისტორიის, ასტრონომიის და გეოგრაფიული აღმოჩენების ლექციებს ისმენდა, ერმიტაჲი ოცდარვაჯერ და-

ათვალეოდა. ამდენჯერვე იყო ექსკურსიაზე ქალაქში, პეტერბურგის არქიტექტურის მუზეუმში. მას უნდა განესტატებინა მანერის ანპირისაგან, უნდა ჩასწვდომოდა ტიციანის გენიალობას, მიეჩვია ბეთოოვენის მოსმენას, მაგრამ არ მოსწონდა, რომ დირიგორი ზურგ-შექცევით იდგა მასურებლისკენ. არ უნდოდა ყოფილიყო იმ მელომანებზე უარსი, რომლებიც თავისუფლად მსჯელონდა, ვინ როგორ ასრულებს. უნდა სცოდნოდა პლატონი, დემოკრიტი, სენეკა და არ დამხრჩვალყო ამ ნიაღვარში. ეშინოდა, რომ ვერ გახდებოდა ლირსი ინჟინრის სახელისა, რადგან მისთვის „ინჟინერი“ უმაღლესი კატეგორიის ადამიანი იყო. ინჟინერი ვალდებულია იცოდეს ოვიდიუსი, თანავარსკვლავედი „ორიონი“ და ისააკის ტაძრის ისტორია. 1937 წელს ვოლკოვმა მიიღო დიპლომი და ოსტატად გაგზავნეს სამუშაოზე: მერე საამქროს უფროსად დაინიწურეს, იქიდან კი საკონსტრუქტორო ბიუროს ხელმძღვანელად. საკმაოდ სწრაფად მიინედა წინ. ცოტაც და მეტსაც მიაღწევდა, მაგრამ ომი დაიწყო და მოხალისედ ჩაენერა სახალხო ლაშქარში.

...ფანჯარასთან მანქანამ დააპიპინა, კარმა გაიფახუნა, პარმაღმა გაიჭრიალა და ოთახში ჩემი ქალიშვილი შემოიჭრა, უკან ქმარი მოსდევდა. როგორც შევთანხმდით, გზად გამომიარეს, რადგან მეგონა, ამ დროისათვის გავთავისუფლდებოდი. ქალიშვილმა ყვრიმალზე მყოცა, ზედ თავლის ქვეშ, სადაც მომწეოების დროს მყოცინდა ხოლმე და ერთი ნუთით ჩეულებსამებერ მომეზუტა, იცდიდა, როდის გადაუწესვამდი თავზე ხელს და ქეფაზე თმას ავუჩრჩავდო. ამას რომ ვაკეთებდი, შევინძე. ცხლარი გამორეოდა. სულ ცოტა, სამი-ოთხი ღერი იქნებოდა და ალბათ ადვილი ამოსაბრობიცი, მაგრამ, უტყობა, ჯერ ვერ ამჩნევდა. ოდნავ შეეახე ტურები მის ქეფას, შვილმა თვალეში შემოშედა და ეს თვალეები კითხვას გამოხატავდნენ.

— აქ ისეთი საქმე მაქვს, რომ დაყოვნება მომიხდება, საუზმემდე უნდა ნავიკითხო, — ვთქვი მე.

შვილმა თვარი გადაავლო მავდაზე დაწყობილ ნერიღებს, მაგრამ არაფერი მკითხა, თითქოს საქმიანი ქაღალდები ყოფილიყოს. მაშინ მე ვუთხარი:

— საინტერესო ფრონტული ნერიღებია. მერე მოკლედ ვუამბე, რაში იყო საქმე და ვოლკოვის ნერიღებიდან იმ ადგილებს კითხვა დაიწუნე, სადაც ფრონტზე და ცოტა მაინც ჩვენს ნაშინდელ ყოფაზე ეწერა. ეს ნერიღი გახოგერნატორის მანქანაში იყო დაწერილი. მაშინ ასეთებიც იყო — ბენზინის მაგვირად — ხმული ფიჩხი: „ბუნერე“ — დგას ჩემი საველე სამელენე — ნამლის შე-

შა. გარშემო ტყე და ქაობია. გუშინ შემთხვევით მოხვდები ლენინგრადში, იქ რამდენიმე ნიგნის მალახია გაიხსნა. ყველა შემოვიარე და თქვენთვის ვიყიდე ბარათები, ზედ ქალაქის ზედებშია გამოსახული, ქალები ქალაქს ასუფთავებენ და გაზაფხულის მზზე ჩანს, რა დასუსტებულიები არიან. შიმშილი ამიკრებს ადამიანს. მაგრამ ახლა, როცა თავთავიანთი გაყინული სოროებიდან ამოძვრნენ, როცა ერთად არიან და ცდილობენ ქუჩების გასუფთავებას, აღარ ეშინიათ სროლისა. ძალიან უცნაური კია, ისე შეხარბიან მზეს, რომ სროლის დროს უხალისოდ მიდიან სადარბაზოებისა და ქიშირების ქვეშ. სულ ვეძებ თქვენთვის რამე საჩუქარს, მაგრამ ლენინგრადში არაფერი არ არის. ნება მამოვინა რაიმე ნივთი, რაც ჩემს თავს გაგახსენებდათ, რადგან ყოველ ნუთს მოსალოდნელია, რომ ბოლო მომეღოს..."

მამ მილაღატა და ფაცხაფუცხით დაეინწყე კითხვა, ვგრძობდი, რომ მათ არ აინტერესებდათ. ეს მათი ეპოქა არ იყო. მე რომ მალეღებოდა, ის ნვრჩილანები ამით სევდას ჰგვირდა. ჩემი ომი შინაურებისთვის მხოლოდ ჩემივე კონტუზირებულნი თემითი არსებობდა, რომელსაც დროდადრო დაზელა სჭირდებოდა, კიდევ ნაჭრილობები მხრით, რომლითაც ჩემი გოგონები ოდესღაც ამაყობდნენ. ჩემს ომზე მონაყოლი კი უკვე აღარ აინტერესებდათ. როდემდის შეიძლება მაგრამ ორდენის რომ დაეიკადებო — ეს მოსწონდათ, თან ფერობდნენ, რომ მე აღარაფრად მავდებენ, რომ მე დოჟლაპია ვარ, არ ვსარგებლობ ჩემი დამსახურებებით, რომ ნება მივეცი, მივერბი მხოლოდ და მხოლოდ ჯგუფის ხელმძღვანელად და ხელფასიც მხოლოდ ას ოთხმოცდაათი მანეთი მქონდა. სიმე კარის ამყოფს მიყრდნობილი მივდებოდა ყურს. მკრთალი ვარდისფერი, გაქვირითებული, მონყენილი ისე ჰგავს ჩემი შეიღის პირველ ქმარს, რომ ვერ გამეგო, რა აზრი ჰქონდა ქმრის გამოცვლას. ორივე დისერტაციას წერდა, ორივე განსაზღვრავდა თავის წარმატებას თანამდებობით და სამეცნიერო ხარისხით, და სხვის წარმატებებსაც ასევე განსაზღვრავდნენ. ორივე მოსაწყენად მიმტკიცებდა. რომ ეს ობიექტური და საერთო მარტენებელი იყო: მაიორი ისწრაფვის პოლპოლკონიკი გახდეს, პოლკონიკი — გენერალი, კანდიდატი — დოქტორი, დოქტორი — წევროკორი. პატარა თანამდებობა ადამიანის დაბალი ღირსების და იმის მარტენებელი, რომ ის ვერ შეძლებს სამსახურებრივ აღმართვას ასეღას. აღმასვლის ნყურვილი წინ სწევს პროგრესს. მათ მოსწონდათ აღზევება, მალა-მალა სვლა, მიანდათ, რომ დაქვეითება — დამარტება, ხრამში გადარტება.

ახლა უკვე გაფეოტები და იმიტომ ცუთხელობდი. მათ ერთმანეთს ვეფუტუფუტუტე ჩემმა ქალიშვილმა დამამშვიდებუფუტუფუტუტე ქმარს, იქნებ ფიქრობდა: რამე შეიცვლებაო, მე კი ვგრძობდი, რომ ჩემს გამო უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. მე ვოლკოვის მაგივრად მწყინდა. ახლა ერთად ვიყავით. ჩემი ქალიშვილი ფანჯარასთან მივიდა, მოდურ ფეხსაცმელი ეცვა, პლატფორმებიანი (ასე ერქვა) და უფრო მალალი, უფრო თხელი ჩანდა.

როგორც კი მოვათავე კითხვა, სიძემ თქვა — დერეფანში ბოთლებიანი ჩანთა დავტოვეთ.

— კეთილი, — ვუპასუხე მე, — ნადი.

ქალიშვილმა კიდევ ერთხელ მაკოცა და ნამჩურჩულა: „გული ნუ დაგწყდება“.

მე ისევ ბორისის ნერილს მივუბრუნდი, რომელშიც ამოლონის სიკვდილს იუნჯებოდა. „მე და ამოლონი ძალიან კარგ დამოკიდებულებაში ვართ... მინიმედ იყო დაჭრილი, არ ვიცი, სად გაგზავნეს და ცოცხალია თუ არა?“ რა შუაშია აქ კარგი დამოკიდებულება? იქნებ ვანას რომელიღაც კითხვაზე პასუხობდა. შემდეგი ღია ბარათი მონაცრისფრომწვანე იყო, მაზარის ფერი, ზედ მოწოდება იყო დაბეჭდილი: „ნივთი არმიის მეტროლომ უშიშრად გლიტე მტერი!“ ამ ბარათში ატყობინებდა ბორისი ამოლონის სიკვდილს. ის, რაც ვანამ წამიკითხა. პირველი ბარათი, ამოლონის დაჭრას რომ იუნჯებოდა, 18 ოქტომბერს იყო დაწერილი, შეტყუაზე კი ექვს სექტემბერს გადავედი. ეს ზუსტად ვიცოდი, რადგან იმ ბრძოლაში თვითონ მომივიდა კონტუზია. ჩვენ დაეკავეთ რკინიგზის მინაყრილი, გავასწორეთ დაცვის ხაზი და მტერს ზემოთ მოვეციეთ. რამდენიმე დღე ჩვენს მენაშნობაში ვინჯეთ, სანამ გულისწევამ არ გამიბარა. მსუბუქი ჭრილობა მაინც დამინერეს. ხალხი ბევრი დავჯარგეთ, კომსორგი მოგვიკლეს.

ბორისმა, ეტყობა, ამ ოპერაციას მიატმანა ამოლონის სიკვდილი. იმიტომ, რომ აღბათ უტყარი, უაზრო სიკვდილი იყო. მაშინ გვეტყებოდა, რომ ასეთი სიკვდილი უფრო მწარე იყო, ვიდრე ბრძოლაში მოკვლა. მე მანამებდა, პირდაპირ მაშინებდა ერთი შემთხვევა. დივიზიიდან გამომგზავნეს კავშირგაბმულობის მუშაკი რადოს მოსასინჯად. მე და ის მინაყრილთან ვიდევით, მზზე ვთბებოდი. მხიარული, უღვაშა კაცი სხაპასხუპით ისროდა ანელოტებს. გაზაფხული იდგა, აქა-იქ თოვლი მოჩანდა, თოვლი დნებოდა, ყოველი მხრიდან წყლის ჩუხჩუხი და წვეთების წკაპწკაპი ისმოდა. დათოვლილ მინდფრებზე თოვლის ქერქი მინასავით ბრწყინავდა. არის ცხოვრებაში ისეთი წუთები, სა-



მუდამოდ რომ ჩაგრძება მესხიურებაში, ის ფერები, ხმები, სუნეი. ჩვენ ჯუბარები გავიხსენით და ნანატრ მზეს მივეფიცებთ. ფხვქვეშ წყალი გვირახუნებდა. კაცი უცებ გაჩურჩა, თითქოს რაღაცას მიაყურა, მერე შემოტრიალდა ფანჯრისკენ, ცდილობდა უკან მიეხრებოდა. მეც შევბრუნდი და მის მზურას გადავყოყე თვალი. კაცის ზურგზე შავი ჯუბარაჟიდან ცხვრის ბუნვის ბლუჯა გამოიძინდა, გამოძერა და აცხვინდა. — ეს რა არის? — ვკითხვე მუ, გარკვევად ვერ მოვასწარი. კავშირგაბმულობის მუშაქმა დიმილი დაიპირა, თვალის გუგები გაუფართოვდა, ერთი ნაში შეივლიდა, გაცივებული თვლებით „ჩამებლავდა“, მუხლები რბილად ჩავეკა და პირქვე დაეარდა. ნადნობი წყალი აბუხუხუდა მის თავთან. ჩუმმა, უხმო ტყვიამ (ტყუილად კი არ ეძახიან უცაბედს) მეკრძო გუარა და ერთბაშად, უმტკიუნელად აღმოხდა სული, ერთ ბლუჯა ცხვრის ბუნვთან ერთად. არც სახელი და მამახსოვრდა მისი, არც გვარი, არც ნოდება, სახეც არ მახსოვდა, მხოლოდ მისი სიყვდილისწინა გაოცებული გამომეტყველება ჩამჩრა მესხიურებაში. მას შემდეგ კიდევ დიდხანს ვამსგავსებდი. სიყვდილს ზურგიდან ამომძვრალ ერთ ბლუჯა ნაცრისფერ ბუნვს. მე თვითონვე მივბაძე მინას ჩვენი პოლკის სასაფლაოზე, თვითონ მივწერე მის შინაურებს, რა მამაცად დაეცა ბრძოლაში. მინდოდა, უსათუოდ შემელამაზებინა მისი სიყვდილი. ომში დაღუპვა — გარდაუვალი ბოროტებაა, მაგრამ ტყუილბრძოლად რომ მოკვდა, არაბრძოლაში, ამაოდ, ეს სამწინებლად გვეჩვენებოდა, ლამის სამარცხვინოდ. უცაბედი სიყვდილი ომის წმინდა წყლის ბოროტებად მიგვარნდა. მშობლებთან მიწერილ წერილებში, როგორც კი შეგვეძლო, ვალამაზებდით ჯარისკაცების დაღუპვას. სწოლისა და დაბომბვის მაგიერად ბრძოლებს, ლამის გმირობას ვთხზავდით და გვეგონა, რომ რაღაცით მაინც ვანუგეტებდით ნათესავებს. უტყობა, ბორისიც ასევე მოიქცა, როცა ის ქართველი ბიჭი სასიყვდილოდ დაიჭრა.


\*\*\*

1941 წლის ივლისში ვოლკოვი შაშინით და ორი ყუმბარით ხელში წავიდა საომრად „ნოვოგოროდის ოლქის მიწებებზე“. რაც დაწესებული იყო, იმის გარდა ნაილო კრემი და ჯაგრისი, საერთო რვეული, ხაოიანი პირსახოკი, თუნუქის ყუთით კბილის ფხვნილი, ლითონგამგებლობის ცნობარი. „ვიფქრე, თავისუფალ დროს წავიმიყვადინებ-მეთქი“. ასეთი წარმოდგენა ჰქონდა ომზე. ერთი კვირის შემდეგ ცნობარი გადააგდო, მერე რვეულიც მიაყოლა, ფხვნილი გადაყარა, ყუთი კი დი-

ლებისა და ძაფისათვის დაიტოვა. საპონსაც იმ ყუთში დებდა. „ფხვსაქმეზე გარკის ცეცხლის გამასაბლებლად ვიშმარუნ... მუხუხუდავად ამისა, ახლაც კი ვცდილობ, პენი შევიწარმოო. მოგესხენებათ, რომ მე ყველაზე დაბალი წრიდან, მრეცხავების, მებზოვეების წრიდან გამოვედი, ხოლო, რაც ცხოვრებამ მარგუნა, დიდი გაჭირვებით მოვიპოვე და სწორედ რომ ვერ მივეცი თავს უფლებას, ეს დავეარგო. სხვებისთვის უფრო ადვილია. მათ წერა-კითხვის მცოდნე მშობლები ჰყავდათ, ბალიწისპირიან ბალიშებზე ეძინათ და ათწლეუდი დაშთავრებული ჰქონდათ. მე და თქვენ წარმომოხით მეტისმეტად განსხვავებულები ვართ. ბორისი უფრო ახლობელია თქვენთვის, ერთი გუნდიდანა ხართ. ამ მხრივ ძალიან მგრძნობიარე ვარ...“ ჩვენ უწყობი, კუდაბოცა გვეგონა, რომელსაც თავისი ინფინტობით მოქონდა თავი, ის კი თურმე წარმომოხით მეგზოვეების წრიდან რომ იყო, ამით იტანჯებოდა. თან ოთხ გვერდზე გაშანშალებული ჰქონდა თავისი ლენინგრადაში ცხოვრება — წერილმანებაშივე კარგად მოფიქრებული მსუდროება, რაც იმ დროისათვის ფუფუნება იყო.

„...ნიშში უახლესი ქიმიური აპარატურა მატეს, შინ ზოგჯერ ცდას ვაყენებ ხოლმე. მომივა რაიმე იფდა და მაშინვე უნდა შევამოწმო. ჩემს სანერ მაგიდასთან ირიბად დგას პატარა მაგიდა და მიყვარს, როცა ზედ ახალი გაზუები და ჟურნალები აწვია, დგას კამფეტებით სავსე ლარნაკები, შავი ქლიავი რომ არის მოკოლაფი, იმის მსგავსი, და მამცხვარი ასოტრი. მიყვარს, როცა სანერ მაგიდაზე ცოცხალი ყვავილების თავივლი დგას, სავარძელში ვზივარ, ხელს გავიშვერ და ეტაყერიდან ნებისმიერ ცნობარს გადამოვიღებ — Hütte, Chemischer Kalender-ს და სხვებს. რადიოს ჩაერთვ. არ დაგავინყდეთ, რომ მონტორი ვარ. კედლები მხატვრობით მატეს მორთული — იმპრესიონისტები, იაპონელი მხატვრების სურათები, რეიმისის ტაძრის არქიტექტურა, ვრუბელი, რემბრანდტის ჩანახატები — მისი მუდელის, სასკიასი. ფანჯარაზე აკვაროში მიდგას, შიგ პატარა შადრევანია და ვუალისკუდიანი თევზები დაცურავენ. თუ ოცნებას აყვები და კარგი ტელევიზორი ვიპოვე, მაშინ შესაძლოა, თქვენც თეატრიმ ნასტავზე უარი თქვამ და ჩემს ოთახში აჩრიათ საღამოს გატარება“.

როგორ გაუტია! ტელევიზორი თარიღი შევამონე — 1942 წლის ნოემბერი, ეს ნიშნავს, რომ ორმოცდაორ წელს, როცა სანტრის აფუეულ ტალახში გარბობა გვიჭირდა და ძირმაგარები გვანვალებდნენ, ვოლკოვი მალულად, გულში, თავის ტელევიზო-



რიან, რეიმსის ტაძრიან და ვუალისკუდიან სიმყვდროვეში იმყოფებოდა. ეს ხომ ნამდვილი ღალატია, სულიერი ღალატი!

„ჩემის აზრით, ეს არ არის მემჩანობა, რაც თქვენ ძალიან ვაწუხებთ. მეც მემჩანობის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ აქ, ფრონტზე მემჩანობის ჩემიული გაგება შეიცვალა“.

მემჩანობის წინააღმდეგი ყველაა. არავინ იტყვის, მემჩანობას მივესალმებითო. მაგრამ ვოლკოვი არც ისე უბრალო ბუნების კაცი იყო. რა არის მემჩანობა? — ჩაკვირკიტება იგი. რევოლუციამდელი მემჩანობა იყო, რაც იყო, მაშინ მემჩანობის გამოვლინება რევოლუციონერობასთან შეეჯახება იყო. ახლა? ახლა რაღა არის მემჩანობა?

„როცა მშვიდი ცხოვრება და შრომაა — ჩვენთან ხომ ყველა შრომობს — როცა სახლი გაქვს, მყვდროება, თუნდაც ფანჯარაზე ბაღბა იდგეს, იცით, ჭანა, აქედან, სანგრებიდან ეს ყველაფერი ისეთი მშვენიერი ჩანს, რომ ამამი მემჩანურს ვერაფერს დაინახავ.“

ვერ დავეთანხმები თქვენს წინადადებას: „მე ცხოვრებისგან სულ სხვა რამეს მოვიტხოვ“. ცხოვრებისაგან მოთხოვნას რა აზრი აქვს, საკუთარ თავს უნდა მოსთხოვო, მხოლოდ საკუთარ თავს. ცხოვრება ჩვენგან არაფრითაა დავალებული. ჩვენ მივეჩვიეთ, რომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ჩვენზე, მოგვანყოს, უზრუნველგვყოს, ერთ ბენო რამესაც მისგან მოვითხოვთ. აიღე და საკუთარ თავს მოსთხოვე. განა შემიძლია მოგთხოვოთ, რომ შემიყვაროთ? აქ ზოგერთებს ჭკონიათ, რომ ზურგში მყოფები ვაღაფებულნი არიან უყვარდეთ ისინი, უერთგულონ მათ და ა. შ. არადა — რატომ? ჯერ ერთი, ვინც ამას ვითხოვთ, თვითონვე ვცოფავთ... მეორეც — ომი შემონიშნა და არა შეღავათი. მე შემიძლია შევეცადო, მხოლოდ ჩემივე გრძნობების მეშენებით მოგაპოვოთ“.

წინადადებები, სადაც სიტყვა „მოთხოვნა“ ეწერა, უბრალო ფანქრით იყო ხაზგასმული. „გიგზავნით ერთ მუჭა ქვიშა, ლენინგრადადის მიწას, რომელშიც მყარად ვართ ჩაფლულები“.

კონვერტი გამოვფერობ. ხელისგულზე ქვიშის რამდენიმე მარცვლი დამეცა, სასწაულით გაფარჩენილი ქვიშის მარცვლები ბრწყინავენდენ ღამის სუჭზე. ეს ქვიშა თავისთავად სასწაული იყო. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ან იმ ზამთრის თოვლი დამეცა ხელისგულზე ან მაშინდელი ულუფა პურის ნამცეცები. წინა თემასთან დაუკავშირებლად ვოლკოვიმ უცებ კინოზე დამიწყო გულახდილად წერა: „თქვენ ნამდვილად ვერ გამოგივთ, და მამატივთ, მაგრამ წარმოუდგენად კი არა გაქვთ, რა არის ფერადი სტერეოკი-

ნო, რომელიც 1941 წლის მაისში ბიაკოვსკის მოედანზე ვნახე“.

სხვა იფიქრებდა, ვოლკოვიმ კარგად უჭებოდა ჭანას ყოველ წინადადებას, რომ კამათში ჩავთრია, რათა როგორმე ურთიერთობა დაემყარებინა. მაგრამ მე კარგად ვიცოდი, რომ ეს მისი ჩვეულება იყო, რომ არავინ არამფერში არ ეთანხმებოდა, თავისი აზრი ჰქონდა ყველაფერზე. უფროსებსაც კი ჭკუას ასწავლიდა. პოლკის შტაბის უფროსს მან განუმარტა: ჩვენს მიერ აღმოჩენილი კაბელი ექსპლოატივობა, მისი მიზართულება ისედაც ცხადია, პირდაპირ იმ ქვესადგურისაკენ მიდის, რომელიც ჩვენს სამწეო ნაწილთან ახლოსაა; ამიტომ აღარ არის საჭირო შესამონშებლად თხრა, რადგან მალევე კაბელებს არავითარი განშტოებები არა აქვთ და თავისუფლად შეგვიძლია გამოვიყენოთ სატელეფონო კავშირისთვისო. ისე მშვიდად აუხსნა, როგორც მოსწავლეს. შტაბის უფროსს სუნთქვა შეეკრა და მერც განურჩევლად ყველას გეთანხმება ჭკუის კოლოფები ხართო. ახლა კი თანაგრძნობით ეფიქრობდი, რომ გაყინული მიწის თხრა იმის შესამონშებლად, ხომ არავინ შემოუერთდება კაბელსო, მართლაც უგუნურება იქნებოდა. შტაბის უფროსი, ნესიერი მოხუცი, გაჯგამული დადიოდა, თითქოს სახსრებიანი მტანინში ამოძრავებოდა, დაუცხრომლად მოითხოვდა ჩვენგან პატივებს, ცნობებს, სქემებს. პოლკის უფროსი რომ არა, ბოლოს მოგვიღებდა. ახლანდელი საზომით რომ მიუღწევო, ბუზღუნა, მეტად პატივმოყვარე ჩინოვნიკად წარმომიდგა. უფროსს რომ თავისი უმეცრების გამგლავებისა ეშინია, ამაზე უარესი არაფერია.

...ჭანასა და ვოლკოვს თანდათან საფოსტო ყოფა შეექმნა. ვოლკოვის ერთი ფოტოსურათი სადღაც დაიკარგა, ერთი ნერილი სადღაც გზაში გაუჩხირა, სამაგიეროდ, მეორე ნერილი რატომღაც ძალიან მალე მიიღო ჭანამ, ცხრა დღის შემდეგ. საერთო ნაწნობებიც გაურჩნდათ; ეტყობა, ჭანამ რაღაც ჰკითხა ვოლკოვს ლევაშოვისა და მისი მეგობრის ზინას შესახებ, რომელიც მეტე სინაგონთან დაიღუპა და ისიც პასუხობდა. ჭანას მეგობარი სტომატოლოგი დასცინოდა ვოლკოვის ნერილების სტილს, მაგრამ ვოლკოვი თავისას განაგრძობდა: „მე ისეც იმ სტილში მოგწერთ ხოლმე, რადგან ეს ჩემი არსია, თქვენთან მე ისა ვარ, რაც სინამდვილეში“. ვოლკოვი ჭანას ყოველ სიტყვას აწონ-დაწონიდა და, ეტყობა, ქალიშვილს მოსწონდა ეს, ასეთი პატივისცემით ჯერ არავინ მოჰყრობდა.

თითქოს ტელეფონის ჯიხურთან ვიდებოდა ორი ადამიანის საუბრის მხოლოდ ნახე-

ვარი მესმოდა, შეშველო მხოლოდ მეშვით-  
ხავა, რას ეკითხებოდა ყანა, რასა ფიქრო-  
ბდა. „რას წარმოადგენს ქვეშეატიტი ოპტიმი-  
ზმი? ეს ხომ რწმენა არ არის, — უცებ პა-  
სუხოზბოდა ვოლკოვი. — რა თქმა უნდა, თქვენ  
მართალი ხართ, ჩვენ გვწამს, რომ გავიმარჯ-  
ვებთ. მაგრამ იმიტომ არა, რომ რწმენა  
გვიწარმოებს საბრძოლო სულისკვეთებას,  
ე. ი. გვწამს რომ გავიმარჯვებთ. ასეთი  
რწმენა ოპტიმიზმი არ არის. მე ცოლენა მი-  
ჩიქვინია. მე ვიცი, რომ გავიმარჯვებთ.  
ფაშიზმის იდეები აბსურდული და ანტიადა-  
მიანურია, ისინი ვერ გაიმარჯვებენ. მე მე-  
დავუბიან, თემურ ლენგსა და ჩინვისხანს  
იმონშებენ. ისინი მხოლოდ დამპყრობლები  
იყვნენ. ფაშიზმი კი საშინელ იდეებს იყე-  
ნებს, რომლებიც სხვა ხალხებისათვის საზა-  
რელია. ჩვენი იდეები ზოგადსაკაცობრიოა და  
მით უნდა გავიმარჯვონ. აი, ამაშია ჩემი ოპ-  
ტიმიზმი. პესიმისტად ყოფნა მხოლოდ ყმან-  
ვილობაშია სასიამოვნო, და ამაში ცუდი არა-  
ფერია. მაგრამ ჩემთვის უკვე გვიანაა იმედ-  
გაცრუებულად და უბედურად გვრწმობდე  
თავს. ვი შენაველ წამის დაფასება, კარგი  
იქნებოდა, ხმის გაქმენდა და დათანხმება  
რომ მესწავლა“. ამის შემდეგ ვოლკოვი გეს-  
ლიანად აღწერს, როგორ ეჩრება ყველგან  
თავის სიმართლით, ყველას ჭკუას ასწავლის  
და, თუმცა, რასაც ის მოითხოვს, სწორეა,  
მეგალითად, როცა იგი გადალობვის სხვა  
საქმას სთავაზობს, ეს, რატომღაც, ყველას  
სწყენს. სქემის შესახებ არაფერი ვიცი, მაგ-  
რამ მახსენდება ვოლკოვის ბეერი სხვა გუ-  
ლისგამწყალებული ჭკუის სწავლება: ზემდეგს  
უმტკივებდა, რომელი ფაფა უფრო კალო-  
რიული იყო, პოლიტბელის მოადგილეს —  
სად გახსნიან მეორე ფრონტს, ჩვენ შეგვის-  
წორებდა ხოლმე — ეს ამა და ამ ტაძრის  
ფასადი კი არ მოჩანს, არამედ სხვისაო. ვო-  
ლკოვი მართალი იყო და ამიტომ ვერ იტანდ-  
ნენ და არც დაინინაურეს.

ერთ-ერთ ნერილში ვოლკოვი მადლობას  
უხდის ყანას ღია ბარათისთვის, რომელზეც  
ზამთრის სასახლის გისოსი იყო გამოსახუ-  
ლები: „ძალიან კარგია, მაგრამ ამჟამად ეს  
დატალი იქ აღარ არის, იმიტომ, რომ ზამ-  
თრის სასახლის მთელი გისოსი ჯერ კიდევ  
1917 წელს მოხსნეს, ნარეის კარიბჭესთან მი-  
იტანეს და ცხრა იანვრის ბაღთან დადგეს  
ის გარემო კი მისთვის სრულიად შეუფერე-  
ბელია...“

ეს შენიშვნა სრულიად მართებულად მო-  
მჩვენდა. გავიფიქრე, სამწუხაროა, რომ რას-  
ტრელის ჯამაფიქრი დაარღვიეს-მეთქი და  
მაშინვე განმივლდა თავისი აზრმა: ეს რომ  
ფრონტზე ექცვა, ყველას გააღიზიანებდა. მა-  
შინ ვლანძღავდი ჩვენსავე არტილერისტებს,

სამხედრო ვაჭრობას, უფროსებს, მაგრამ  
ჩვენი ცხოვრების კრიტიკის მიმართვე მამრწმენ-  
ნდოდა, არა გვესურდა მასში ჭეჭრის გამოხსენა  
უშვერი სიტყვებით ვლანძღავდი სატე-  
ლეფონო კავშირს, ვოლკოვი კი გვეკითხე-  
ბოდა: რადიო ხომ ჩვენთან გამოიგონეს, მამ  
ურაცოდ რატომღა ვზივართო? ეს სრული-  
ად ლოგიკური მოსაზრება არავის სიამო-  
ნებდა. რატომ არ იტყობინებთან, რამდენი  
ადამიანი კვდება შიმშილით ლენინგრადაში,  
ჩაკეითხებოდა ხოლმე ვოლკოვი კომისარს და  
ქვასავით სლიპინა თავსა ჯიუტი მოხვერი-  
ვით გააშეშებდა. ყანასადმი მიწერილ წერი-  
ლებში უფრო და უფრო ხშირად მხედებოდა  
მისი რისკიანი შენიშვნები. ცუნზურა რომე-  
ლილაც სტრიქონებს ამოშლიდა, მაგრამ ზოგი  
რამ გამოჩნებოდა: „რას იტყობი, ყანა, სა-  
ბჭოთა კავშირის ჰიმნზე? გულახდილად ვამ-  
ბობ, მე „ინტერნაციონალი“ უფრო მომწონს  
ჰიმნად...“ იმ დროს ასეთი გამოთქმებისათვის  
შესაძლო იყო, უსაბამოვნებას გადააქროდა  
ადამიანი.

ნერილში პრიპუტეშკოს გვარში გავიღვა,  
სწორედ რომ გვარით გამახსენდა, მისი სახე  
კი არ წარმოიხდათვალანინ, არამედ ფაფუ-  
კი, მოქნილი ხელები, ქვემეხის საკეტზე რომ  
ენყო. იგი ქვემეხის ტექნიკოსია, გარდა ამის-  
ა, ავტომატებთანაც ფუსფუსებს, დისკები გო-  
ფუჭდება ხშირად. ვოლკოვი დისკების მუშა-  
ობაზე მსჯელობს მასთან და კონსტრუქტო-  
რების შეცდომას დაადგენს. ეს დამაჯერებე-  
ლია და მინაც, რატომღაც, უსიამოვნო. ლე-  
ვაშოვის აზრით, ვოლკოვს დაეტყვივის ნიჭი  
ჰქონდა — თვისება, რომელსაც გადაშენება  
უნერია. ჩვენი უფროსებიდან ერთადერთი  
კომისარი იცავდა ვოლკოვს. ერთი ერეტე-  
კოსი სასარგებლოა, როგორც სანელებელიო,  
იტყოდა ხოლმე კომისარი.

ჩვენი ჩხუბის შემდეგ (ნერილის გამო),  
ვოლკოვი ხაზგასმულად ცივად მიქცევოდა, მე  
კი ვხედავდი, რაც იმალებოდა ამ სიცვიის  
იქით — ზიზღი და უპატივცემულობა, ეს კი  
ყველაზე უფრო მიღახავდა თავმოყვარეობას.  
ერთხელ ვოლკოვმა ტურების ღრეცით მიჩრია  
როგორ შემომენყო დანგრეული ღუმელის  
აგურები ტყვიამფრქვევების ბუდეებისათვის  
და მეც იძულებული ვიყავი, იე გამეცოტე-  
ბინა, რადგან მეტად მარტივი და ხელსაყრე-  
ლი იღვა იყო, მაგრამ თან ვებრაზობდი და  
არავითარი მადლიერების გრწმობა არა მქო-  
ნია. ახლა კი სინანულით გავიხსენე ეს. ვო-  
ლკოვზე ჩვეული წარმოადგენა შემეცვალა, ნე-  
რილებმა გადააადგილეს ფოკუსი, გამოსახუ-  
ლება ბუნებრივი გახდა, გაორდა.

...ეს ნიგნი ალბათ საინტერესოდ მოგჩე-  
ვენებთ, რატომც მომავალ მშენებელს. მეც  
გადაფურცლე იგი. სევეის მომგერელია —

იმისთვის, რომ ნიგნში ბევრი მონაცემები ყოფილიყო და ავტორს საშუალება ჰქონოდა, დასკვნები გამოეტანა, საჭირო გახდა დაენგრიათ ასობით სახლი, ნანგრევებში დაეხოცათ ათათასობით ლენინგრაფელი, ასობით მცხოვრები უჭეროდ დაეტოვებინათ. უშველელმა დანაკარგმა ავტორი დააყრუა. 120 გვერდზე იგი წერს: „მანქანებისა და მათი მომსახურე ადამიანების დანაკარგი უდავოდ ნახლარდებოდა იმით, რომ სამაგიეროდ შესაძლებელი ხდებოდა ქარხნებსა და დაწესებულებებში ნორმალური მუშაობის შენარჩუნება“. გრძნობთ? ავტორს ხომ თვითონაც არ ესმის, რა საზარელი იდევს ქადაგებს? გიანა შეიძლება რითიმე ანახლარდებოდა ადამიანების დაკარგვა? ნორმალური მუშაობით? მამ როგორღა დაეარქვათ ასეთ მუშაობას ნორმალური? ამხანაგო ავტორო, თქვენის აზრით, რამდენი ადამიანის მსხვერპლია საჭირო, რომ დაწესებულებამ იმუშაოს? ამ ნიგნს რომ გადათვალავთ, შიგ მოკლულ კოლეგებს იპოვით. მე მათ ჩემს გადაპარსულ თავზე ვხედავ, სადაც ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე მეტი კოლა, ვიდრე ფრონტის ნებისმიერ მონაკვეთზე. ეს ნიგნი გუშინ მომპარეს, ძლივს ვიპოვე. ჩემს მგებობას ნაულია, სემიონ ლევაშოვს. წინააღმდეგ ვაჩვენე ის ადგილი, სადაც დანაკარგებზე წერია. სემიონი საზრიანი ქაბუკია, მაგრამ მუდამ უკვირს ხოლმე, რომ შეიძლება რამეს სულ სხვა თვალთ შეხედო, ვიდრე წესით მიღებულია. მან დუდაჩევმა და პოლიაკოვმა განიხილეს ეს ადგილი და მომეცვიდნენ. ამ ახალგაზრდებს ქუა მახვილი აქვთ, მაგრამ განუფითარებელი. ყველაფერი სჯერათ. თუ დაბეჭდილია, მაშასადამე, მართალია. ეტყობა, არასოდეს უცდიათ გამოგონებლობა“.

სიცოცხემ ამიტანა, როცა ჩემი გვარი დავინახე, ვოლკოვის ღამაზი ხელით გამოყვანილი. უბრალოდ მახსენა ლევაშოვთან ერთად, მტრულად კი არა, თითქმის სიმშათითაც.

ბორისი როგორღა იქცეოდა? როგორ და, მიხვდა თუ არა ჩემი ბორისი რაც ხდებოდა, წერილების წერას მოუხშირა, ბარათს ბარათზე უგზავნიდა ქალიშვილს. სულ ცდილობდა, გაეგო, რატომ შეეცვალა კილო ფანს. თავისთავზე, ისევე როგორც ერთი წლის წინათ, სწერდა: რომ ძალიან გაუხარდა ფანას წერილის მიღება, რომ კინოში იყო. ვერაფრით მიხვდებოდით, რომ ეს წერილი გაცხარებული ბრძოლების დროს იყო დაწერილი, როცა ბლკადამ ვესნიდით, „პუშკინს“ ვიღებდით და სწრაფად მივიწვევდით ესტრნეთისაკენ. რამდენი რამ გადაგვხდა მაშინ! წერილებში კი კრიტიკაც არა სძრავდა ამაზე. ვოლკოვის წერილებშიც იგივე იყო — არც ერთი სიტყვა ომზე, რატომ — არ ვიცო. ახლა ბევრი

რამ არ მესმის, რა ხდებოდა ჩემს გულში ახალგაზრდობისას.

### სტრუქტურა

მაგრამ ფანას კიდევ უფრო უნებურად მიწერ-მწერა ვოლკოვთან, მაინც მოსწყინდებოდა ბორისის წერილების ერთფეროვნება. მან არ იცოდა წერა. ჩემთვისაც დიდი ტანჯვა იყო წერილების წერა, როცა წერ, შენი საკუთარი ცხოვრება უფერული, აღსანივრად უღირსი ხდება, სადაც გაქრება ხოლმე ამბის მნიშვნელობა. ბორისი ვერ ამჩნევდა, რომ ერთიდაიგივეს იმეორებდა, აგებდა. შელახული თავმოყვარეობა უბიძგებდა, ბრაზობდა და ამიტომ უფრო სულელურად გამოიყურებოდა. იგი სამამულო ომის ორდენით დააჯილდოვეს მიფინარის გადალახვისათვის — სახელკვანი ბრძოლისათვის, გაზეთშიც იყო, ბორისს კი კრიტიკე არ დაუძრავს ამაზე. ვიმეორებ, ბორისი არ თავმდაბლობდა, უბრალოდ, წერა არ ეხერხებოდა, საკუთარ თავზე ლაპარაკი არ შეეძლო. მე კარგად გავუგე ბორისს. ეს სულაც არ არის ღირსება. რამდენჯერმე მიმიპატივეს პიონერულ შეკრებებზე, რომ ომის შესახებ მთავნა რამე მე ეთილინდისიერად ჩამოვთვლიდი ხოლმე დაახლებულ პუნქტებს, რომლებსაც ვტოვებდით, მერე იმ პუნქტებს, რომლებსაც ვიღებდით, ადგილებს, სადაც შეტევაზე გადავიდოდით, ვუამბობდი, როგორი ბრძოლები იყო. ბავშვები მოიწყენდნენ და მეც მომწყინებოდა ხოლმე.

ამხანაგების წრეში ბორისი ანეკდოტსაც გვეტყობდა, იმეორებდა კიდევ. შეეძლო გამოეჯავრებინა ყველა ჩვენგანისათვის — ხმით, მიხრა-მოხრით; მასთან მუდამ მხიარულად ვიყავით, კარგად შეეფერებოდა ჩვენს არამყარ ცხოვრებას. კარ-რ-გია! — ბრძელვით შემოვარდებოდა მიწერში, ტანზე ყინულის ლოლუები ეკიდა, და უცებ მალალ მასრამი პატრუქი მხიარულად დაიბვირებოდა, სინათლე, სითბო იმატებდა. ამომობილი კლუბიდან ყავისფერი ხავერდის ფარდა მოათრია, დაჭრა, დაურიგა სხვა მიწერებსაც, მისივე სიტყვებით, მცუობრული ფუფუნება შექმნა. ფანამ ამის შესახებ არაფერი იცოდა. ბორისი მის თვალში ერთფეროვანი, გონებაშეზღუდული „პუბობინი“ იყო. ვოლკოვის წერილებს ფანა მეგობრებს უკითხავდა, ბორისის წერილები კი არც სხვისთვის წასაკითხად ვარგოდა და არც იმისთვის, რომ ფანას ხელმეორედ გადაეკითხა. ბორისს რომ სცოდნოდა, როგორ მოსწონდა ფანას ვოლკოვის წერილები, თვითონაც გამოიკვებდა თავს, ეცდებოდა. ვოლკოვთან შეტაკების შემდეგ მე ნამდვილად ვუამბობდი ვოლკოვის წერილების სტილზე, ალბათ ვიცინეთ კიდევ, ეს იქნებოდა და ეს. ბორისის აზრით, მუდამ თავდაჭერილი ვოლკოვი იმიტომ აფეთქდა, რომ სინდისის ქენ-

უნა იგრძნო — მან ხომ ისარგებლა ამხანაგის გულახდილობით და ბრაკონიერობა დაიწყო. სწორედ იმ დროს იყო, ბორისის გულიდან რომ აღმოხდა: „სალამი, საყვარელო ჭანა! დღეს ბედნიერი დღეა, ოთხი თვის დუმილის შემდეგ მივიღე შენი წერილი. დიდხანს მანვალე, მაგრამ ბოლოს მაინც ვკითხულობ შენს სიტყვებს. ჩემს ჭანა, მოდი, ნუღარ გამოვდები ერთმანეთს, ეჭვით ნუ დაუწყებავთ გულს ერთიმეორეს, ნუ დაეჩრდილავთ ჩვენს მომავალ ახალგაზრდა ცხოვრებას. შეუძლებელია, შენ რამე ცუდს ფიქრობდე ჩემზე, ამის საბაზი არა გაქვს. ჩემთვის მთავარია, გულახდილი ურთიერთობა გვქონდეს. შენ რაღაცას მიმალავ. ხშირად წარმოვიდგინებ ხოლმე, როგორ მიგიკრავ მკერდზე და გიამბობ ყველაფერს, რაც დამიგროვდა შენი პირველი წერილიდან — ბოლომდე. ჩემმა თანამებრძოლმა დუდარევმა (კიდეც გნერჯი მასზე) შემთხვევით, დაბოძვის შემდეგ, იპოვა შენდამი მონერილი ს. ვოლკოვის წერილი. თუ შეიძლება დანვრილებით მომწერე, რასა გნერს. ტოხას უყვირს, რა ნახავ ვოლკოვის. შენ სცდები, ვოლკოვი ჩემი ახლო მეგობარი არ არის. არ ვიცი, წერილებში რას მივდმოვდება, მაგრამ არც ადრე ვყოფილვართ მეგობრები და მით უმეტეს, ახლა ვერ ვიქნებით. ეტყობა, ისე მოხდა, როგორც ოქენის მოთხრობაში „ბლინები“. აუცილებლად ნაიკითხე. თუ ვერ იპოვი, შემდეგ წერილში გა მოგვიგზავნი. პირადად შე კვლავაც განვაგრძობ ცხოვრებას, ბრძოლას, თან ვიოცნებებ, როგორ შეერთდება ჩვენი გზები. გააკოცე, შენი ბორისი“.

თითქოს უკაბედად გამომიყენა ჭანას გასაკენწლად, თვითონ კი მეტოქის მიმართ აუტი არაფერი გამოუთქვამს, არ ცდილა სახელი გაეტეხა ვოლკოვისათვის. რაინდულად მოიქცა, მხოლოდ ოქენის მოთხრობა უხსენა, პირველად გამოიჩინა თავი ცოდნით, აქაოდა, არც ჩვენა ვართ მთლად ტლუებიო.

და ტყის მახვილთ კვლავ იბადები!

ქართულში არ არსებობს სიტყვა „არისტოკრატია“. ქართველი არისტოკრატია იყო გლეხი. ბერძნულად „გეორგოს“, შიშობოქმედი, თავისი ნათელი ზრდილობითა და ქცევა-ადამიანობით. თავდადებული ბრძოლასა თუ შრომაში... სწორედ ეს გენი ფეოქავს ძალუხად თვით პოეტის ნატურაში...

მწერალი სათუთია აღმომართან პირად ურთიერთობაშიც. ერთი შეხედვით, მკაცრია და უყარება, მაგრამ, სკამარისია, აღმომართობის ნასახი მაინც შეამჩნიოს შენში. თავს არ დაზოგავს შენთვის, თუნდაც თვითონაც არ უღიხნდეს... პოეტის სასიცოცხლოდ აუცილებელი თანადგონა ხვევს, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორსაც. შეწველებია მძიმე ცხოვრებისეულ მომენტებში. ასეთ დროს იგი შრეულ ციხესიმაგრეს მკავს, თავი რომ უნდა შეაფარო განსაცდელის ეშს.

\* \* \*

დაბოლოს, კიდევ ერთი სტრიქონი შემოქმედის

პიროვნული მასიითის წარმოსადგენად: სასტოკად ეწავრება თავისი თავისა და საღმრთო უკველგვარი რველამა, კაცი თვითონვე მკვრივ უნდა ფასობდეს... როცა ვესტუმრე და ვთხოვე, მასუხი გაეცა ჩამდენიმე კოხეცაზე. მხოლოდ მტკობრული ხათრის გამო დამთანხმდა...

გაგლა სარიშვილი მარტოოდენ თავისი სახელებისა და გვარის ამოა გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე და ეს სახელი და გვარი საგნებით საკმარისია საიხილოდ, რომ მწერლის უცველი წიგნი უმოკლეს ზანში ცაქრეს მალაჩიის თაროდან...

...ბევრი მაქვს კიდევ საკითხავი პოეტისათვის, მაგრამ, აწყურად, ვგონებ, კმარა... ნეტავ, რაიმე მნიშვნელოვანის კითხვა ზომ არ გამომჩინება?..

— არა — მასუხობს თანამოსახუბრე, — იმდენი საკუთარი კითხვა აღმტრება ხოლმე, უველა მოგვანზე მასუხის გაცემა რომ შემეძლოს, სულ ცოტა სოკრატე ვიქნებოდი, მე ყი მხოლოდ გაგლა სარიშვილი ვარ...

თითქმის განთიადამდე გრძელდება ხოლმე ჩვენი საუბრები, ზანდაზან დავცოცნებია კიდევ, მაგრამ სათქმელი არ ილევია... ჩვენი მორთვი დიალოგაც დამთავრდა, მაგრამ პოეტისა და მკითხველის საუბარს დასასრული არ უწერია...

## ფრომის ტაძარი

(თარგმანი ლეონტი მელიქიძის მიხედვით)

ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, წრომის ტაძარი, მდებარეობს ხაშურის რაიონის სოფ. წრომის ცენტრალურ ნაწილში მტკვარის მარჯვენა ნაპირზე. ძველი დათარიღებულია VII ს. დასაწყისით (უფრო კონკრეტულად 624-284 წლებს შორის, დათარიღების საფუძველია:

I. წრომის ტაძრის კედლის წარწერა (თ. ფორდანიას კრებული № 1, 1892 წ.).

II. ტაძრის მოზაიკური შემკულების სტილისტიკური ანალიზი

(Я. И. Смирнов, Цромская мозаика, Тбилиси, 1935 г.).

III. ტაძრის მხატვრულ-არქიტექტურული ანალიზი

I. აღნიშნული წარწერა მოთავსებულია ეკლესიის სამხრეთის საკმალი თავეზე, საკმაოდ მაღლა.

თ. ფორდანიას, პირველმა, გამოთქვა მოსაზრება, რომ წარწერაში მოხსენიებული სტეფანოსი უნდა იყოს VII ს. ქართლის მთავარი სტეფანოს II, ხოლო ქარაგმების გახსნის შემდეგ წარწერას კითხულობდა შემდეგი შინაარსით: „წმიდამო ეკლესიამ სტეფანოს უპატონო შეიწყალო“.

ამასთან, თ. ფორდანიას კატეგორიულად გამოიყენებდა წყაროს სხვა შესაძლებლობებს (ქრონიკები, გვ. 89).

გ. ჩუბინაშვილმა, ი. სპირიდოვმა და შემდეგში ჯორჯის უვალა მკვლევარმა გააზიარეს თ. ფორდანიას ინტერპრეტაცია და, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ტაძრის აშენების პერიოდში ფაქტობრივად წარწერის გაზარებას დაუკვედბარეს. სამისო საფუძველი კი რომ არ არსებობდა, ამას ნათელყოფს თვით წარწერა:

ჩქ 7570  
სოხ 7470  
97

წმ ეპარქ  
სოფ გვაი  
შე

როგორც ვხედავთ. „უპატონის“ ნაცვლად იკითხება გვაი, რაც ძალზე დასორბებულია თ. ფორდანიას წყაროებისაგან. ამასთან, გ. ჩუბინაშვილის შრომაში იგი მოცემულია „უპატონის“ ფორმით, ნაცვლად იპატონისა. აღნიშნულ სიტყვას წ. შოშიაშვილი კითხულობს როგორც გაბარაი ან გარბნელი (წ. შოშიაშვილი, ქართული ლაპიდარული წარწერები, I, 1980 წ., გვ. 180-181).

დასაბუთებული არაფერია, რომ წრომის წარწერის სტეფანოსი არ იყო უპატონის ტიტულის მატარებელი პიროვნება. უკველ შემთხვევაში, წარწერიდან ეს არ ჩანს. მაშასადამე, არც იმის მტკიცება იქნება მართებული, რომ წრომის სტეფანოსი იგივე სტეფანოს II, და, აქედან გამოდინარე, არც თარიღის დაწესება შესაძლებელია მისი საშუალებით. წარწერა თავისი მნიშვნელობით, აგრეთვე საკმაოდ მაღლა მდებარეობის გამოც, შინაარსით მოსახსენებელია რიცხვს განეკუთვნება და ტაძრის კედელზე მისი ამოკეთება შეიძლებოდა ტაძრის აშენებიდან დიდი ხნის შემდეგაც.

ამრიგად, „წესტი“ თარიღის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი უსაფუძვლო აღმოჩნდა და ამიტომ უნდა გამოყრაცხოს.

II. ტაძრის საერთოხედილის კონკი შექმნილია მოზაიკური მხატვრობით, რომელიც XX ს. დასაწყისში შეინწყა ლ. ა. სპირიდოვმა. უწყინკენილი მოსაზრებები დღემდე გაზიარებულია ერთსულვანად და, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არაფერ დატყვებულია არგუმენტაციის სისუსტეში. ამ მხრივ ნიშანდობლივია თვით





გ. ჩუბინაშვილის შეხედულებებს წრომის ეკლესიის შეფასებისას. მაგრამ იძულებულია აღიაროს, რომ „ადინწუნული ძეგლების (წმ. გაიანეს ეკლ. ზაგვანო, მრინო, ოძუნი) დეტალური შედარება წრომთან შემდეგ დაკვირვებას გვაძლევს: არც ერთ მთავანში არ არის გამოყენებული ამონაკვლეოთის უსაფარს შემკობა ღრმა ნიშნებით, რაც ახასიათებს წრომს. სომხურის ძეგლებში მნიშვნელოვნად შემცირებულია გუმბათის დიამეტრი, გვერდის კედლები კი გაცილებით მეტადაა დაშორებული გუმბათისკენ კვადრატისაგან... აფხიზეში მოთავსებულია სწორკუთხედის კედლების სისქეში. ყველა სომხურ ეკლესიაში გუმბათი მოთავსებულია არა შენობის ცენტრში, არამედ დასავლეთ ნაწილთან ახლოს“ (შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1971 წ., გვ. 134).

ჩვენი მხრიდან დავუშობთ კიდევ ერთ არსებით განმარტებულ ელემენტს. წრომის ტაძრის საყრდსევის გვერდით სათავსები ჩრდილოეთითა და სამხრეთით გაგანერგებული არის ზუსტად ისე, როგორც ეს ადრექრისტიანული ხანის იმ ბაზილიკებისათვის არის დამახასიათებელი, რომელთაც T-ს მსგავსი ანუ ბერძნული არქაული ქვრის გვერდები ახასიათებთ. მაგალითისათვის დავახელებთ ტყვორს, დვინის კათედრალს, ერერუქის ტაძარს. სომხეთის ამ ეკლესიებს V სს მიაკუთვნებენ და, როგორც ჩანს, კავკასიისა და საქართველოში მსგავსი გვერდების ტაძრები აქნებოდა გვერდებულა.

წრომის ტაძრის არქიტექტურული თემისათვის მეტად მნიშვნელოვანია რუისის ეკლესიის გვერდისთან შედარება. აქვე აღვნიშნავთ, რომ რუისის ეკლესიის უძველესი ფუნა VI ს. დასაწყისით თარიღდება (გ. ჩუბინაშვილი, ხელოვნების ისტორიის საკითხები, I, 1970 წ., გვ. 190).

დათარიღების საფუძველია რუისის ეპისკოპოსის მოწაწილება დვინის 508 წლის საეკლესიო კრებაზე (ეპისტოლეტა წიგნი); თუმცა, კრებაზე დასწრების ფაქტი მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ რუისში საეპისკოპოსო ცენტრი და, შესაბამისად, საეპისკოპოსო ეკლესია 508 წლამდე არსებობდა.

რუისის საეპისკოპოსო ეკლესიისა და წრომის ტაძრის შედარება თვალათლივ გვიჩვენებს დიდ მსგავსებას, რაც უდავოდ ადასტურებს, რომ ისინი ერთ პერიოდში არიან აშენებულნი. წრომისა და რუისის ეკლესიების მხატვრულ-არქიტექტურული თემა იმდენად აბლოსა IV-V სს. ბაზილიკურ ნაგებობებთან, რომ ეჭვგარეშეა, როგორც გუმბათიანი ნაგებობები, ისინი დამოკიდებულნი არიან ბაზილიკური თემისაგან და მის უშუალო გავრძელებას ანუ გარდამავალ სხებობას წარმოადგენენ ბაზილი-

კასა და ცენტრალურ გუმბათოვან ტიპოლოგიკა შორის.

ბიზანტიური

წრომის ტაძრის მხატვრულ-ორნამენტულ რეპერტუარს, თავის მხრივ, კარგად მივსადაგება V ს. ყველა მხატვრული ელემენტი, განსაკუთრებით კი ურთიერთგადაწყვეთი რგოლები, წრეში ჩასმული ჭკვები და ვარდულები ძირითადად დამახასიათებელია იმ ძეგლებისათვის, რომელთა მშენებლობა, ქართული ისტორიული წყაროების თანახმად, IV-VI სს. ივულისსმება. ამდენად, ტაძრის მხატვრული ელემენტები თავისუფლად შეიძლება V ს. მივაკუთვნოთ და ამ მხრივ ვერ ვხედავთ თეორიულ დაპრობლებას წრომის ტაძრის V ს. დათარიღებისათვის.

წრომის ეკლესიის კუთხის ოთახებს გ. ჩუბინაშვილი ორიგინალურ თავისებურებად მიიჩნევს და აცხადებს, რომ მსგავსი მაგალითები მისთვის უცნობია (წრომი, გვ. 41). ჩვენ ზემოთ უკვე დავახელებთ V ს. ერერუქი, რომელსაც ზვერი აქვს საერთო წრომის ტაძართან და, კერძოდ, კუთხის ოთახები; აგრეთვე, სირიის ბიზანტიკლისან ერთ-ერთი V-VI სს. ეკლესია, საბერძნეთის ათენის მახლობლად მდებარე V-VI სს. ეკლესია.

ესაღმა, როცა გ. ჩუბინაშვილი პარალელებს VII ს. ძეგლებში ეძებდა, წრომი მართლაც ორიგინალურად გამოიურებოდა, რადგან ამ დროისათვის მსგავსი გვერდები ხმარებიდან გამოსულია და ისტორიის კუთვნილებად არის ქცეული.

წრომის ტაძრის კიდევ ერთ-ერთი თავისებურება, ამასთან, ეს თავისებურება, გ. ჩუბინაშვილის შეხედულებით, პირველად წრომში იჩენს თავს, გუმბათის ოთხ თავისუფლად მდგარ სვეტებზე დაფუძნება (წრომი, გვ. 41-42).

საქოთხის ამგვარად დასმა თავისთავად სწორად არ მივაჩნია, რადგან თვით წრომის ტაძრის VII ს. დათარიღება სუსტ საურდენებზე იურ აგებული და, როგორც ირკვევა, ამ ბოლო ხანებში, თითქმის ყველა საეპისკოპოსო ძეგლის (მათ შორის საქართველოს იმ ეკლესიებისა, რომლებიც თითქმის წრომის შემდეგ ააშენეს) თარიღების დაწესება და მათზე შემუშავებული შეხედულებების გადაფასება ახლო მომავლის საქმეა.

როგორც ამ საკითხებზე კვლევამ გვიჩვენა, ძეგლების ისტორიის შესწავლისას ყველა შემთხვევაში დასკვნები გამოტანილია წყაროებისა და წარწერების მყდარი ინტერპრეტაციის შედეგად (ბ. მჭედლიშვილი, ბაღნიხანის სიონის საკითხისათვის, შაცვ. № 3, 1984 წ.; მცხეთის სვეტიცხოვანის საკითხისათვის, „ძეგლის მეოპობარი“, № 47, ქალაქ უქარძისა და დაბა ბოდის ლოკალიზაცია, „ძეგლის მეოპობარი“, № 7, 1986 წ.; ზ. კიკნაძე, თ. შირაზაშვილი, ფურ. კრიტიკა,

№ 8, 1984 წ.; ს. ს. კაკაბაძე, მაცნე, № 8, 1984 წ.), მართალია, ამ წერილებს მოჰყვა სახალხო რევოლუცია (თ. საუვატილოძე, ნ. ანდუღაძე, დ. თუმანიშვილი, ნ. ლომაური, მაცნე, № 8, 1984 წ., ვ. ბერიძე ფურ. „მნათობა“, № 7, 1986 წ.), მაგრამ ამ სახალხო წერილებში, როგორც ეს საერთოდ ზღვება ძველი პოეტების შენარჩუნებისა და ავტორებმა ვერ შეხებულს მეცნიერულად დასაბუთებულ დებულებებს წამოყენება.

ამდენად, არც ძველის არქიტექტურული ანალიზი იძლევა უფრომან საშუალებას VII ს. სახარტებლად.

წარმის ტაძრის შესწავლისას მკვლევართა მიერ სრულიად იგნორირებულია ამ ტაძრის პოლიტიკური ისტორია, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, ტაძრის აგების წარმოშობის პირობები, არქეოლოგიური კვლევა და, საერთოდ, ის კომპონენტები, რომლებშიც დახმარების უწყვეტ მჭევრმეტყველო კომპლექსური მდგომარეობის დაზუსტებასა და უარსებების გამოკვლევას.

გ. ჩუბინაშვილის შრომაში ძველის ისტორიის აქვს დაიშინილი შრომად ორი გვერდი, რომლის ნახევარი გულისხმობს წარწერის მცდარ ინტერპრეტაციას ეგება.

არქიტექტურული ძეგლის გამოკვლევისას, ბუნებრივია, დასაწინაშევი დაიხვას კითხვა: ვინ ააშენა და ვისთვის ან რისთვის ააშენეს. ამ კითხვებზე სწორი პასუხის გაცემა ფაქტობრივად ძველის ფუნქციის განსაზღვრის ტოლფასია. ამის მიუხედავად, რომ გ. ჩუბინაშვილს გაწეული აქვს უზარმაზარი შრომა, ჰეგონის შინაგან გავრცელებულ დარბაზში წარმის ტაძრის ფუნქციური დანიშნულება. იყო ეს ძველი აშენების შემდეგ სოფლის ეკლესია, სამონასტრო, საეპისკოპოსო თუ ისე, უბრალოდ, თვითმონაწილე იყო და ააშენეს უდაბნოში, არავისთვის?

წყარობის ცნობების ობიექტური ანალიზის საშუალებით, შესაძლებელი ზღვება, თითქმის ყველა მნიშვნელოვან ძველის ისტორიის გარკვევა და ეს განხილვისა, ვინაიდან ექსტრაორდინარული ეკლესიების აშენებდნენ ქლორის ან ქვეყნიდან და ამიტომაც აშეგარა მოკლებული აღიარებულა ქრონიკებში, აღიბეჭდებოდა ხალხთა მემორიაში, ფიქსირდებოდა სავანეებში ამოკვეთილი წარწერებით.

მცხეთის ქვრის ტაძრის მშენებლობისას წყარობებს ისიც კი აქვს აღნიშნული, რომ მშენებლობა გუარამ ტრისთავს დაუწყო და „წელთაღმის ოდენ აღაშენა“. წარმის ტაძარი აღმშენებდა ზომებით მცხეთის ქვრის ეკლესიას და, უცნაურად ვერჩენება, წარმის ტაძარი აგებული უოფილიყო ამავე სტილში II მიწერა, რომლის დაწვლი, მცხეთის ქვარაბატიონისათვის უღელის აშენება, შეუშინეველი არ დარჩენილი მემორიალებს.

რასაკვირველია, დროთა განმავლობაში ისტორიული ფაქტები მახინჯდნენ და მსხვილების გამო ჰედი ცნობა კარგად არ გამოხატულა. დედ აღნიშნულებასა და აქტუალობას და ამიტომ წყაროთა გადაწერის და სხვადასხვა დროის რედუქტორები აშეარებდნენ ტექსტებს, კონსპექტების ხანაით იძლევიდნენ და, აღმათ, ზნორად თავის დროისათვის უყვე გავრცეობა აშევილებს საერთოდ ამოკლებდნენ ზღვება წარმოცა ეკლესიის ამოკვეთილი წარწერების დიდი ნაწილი და, რაც უფრო ადრე დაზიანდა წარწერა, მით უფრო ადვილად ვახუნდოვანდა ძველის ობიექტური ისტორია. წარმის ტაძრის ზედიც სწორედ აშეგარ ძველია რაცებს განეუფლებება. როგორც ჩანს, ქვრ არაბების მიერ საუკუნეთა მანძილზე დარჩებული ქართლის ეს ნაწილი შემდგომ, თურქობის ხანაშიც, ვერ მოდონებდა და წარმის ტაძრის დიდების განმავლობაში, აღმათ, საყმაოდ დაზიანებულს, პატრონი არა შეკლია.

მართალია, გვიანდელი, მაგრამ საუარადღებო ცნობებია შენარჩენილი წარმის შესახებ. წმინდა რადების ცხოვრებიდან ცნობილია, რომ რადენი, ვახტანგ გორგასლის მეუღლიან მამამძღვე, აწამეს და მოკლეს წარმის. მისი გვაში ქრისტიანებმა წარმისი დაქრადეს. უყვე ეს გაჩემოება იმაზე მიუღიითებს, რომ წარმის ვახტანგ გორგასლის დროისათვის საყმაოდ მნიშვნელოვან დასახლებულ ადგილს წარმოადგენდა. რწმენისათვის დასჯა საბელშიყოფობა რაც აქცავს წარმოადგენდა და დასჯის პარცელურები იმარადებოდა ქვეყნისა თუ რეგიონების მსხვილ ცენტრებში. ისე, მავალითად, იგხო ქრისტიანებების მახლობლად, ეგსტაი მცხეთელი მცხეთიდან თბილისში ჩაიყვანეს. თანა და, არც — რუანაში, ქვითვან წამებულა — შირაში და ა. შ.

რადგან მცხეთის ცნობილია, რომ ყველა ქალქისა თუ მნიშვნელოვან დაბას თავის ეპისკოპოსს მუავდა, ზოლო ტაშისკარიდან რუსისურბნისის საეპისკოპოსოშივე ტრიტორიის ეპისკოპოსი ჰეგონის უცნობია, ვფიქრობთ, აღნიშნული რეგიონის საეპისკოპოსო ცენტრს წარმო წარმოადგენდა. ამასთანავე, დასაშვებია; რომ ვახტანგ გორგასლის ეპოქაში წარმის საეპისკოპოსოს სხვა სახელით იყო ცნობილი.

რადენის ცხოვრება კლდე, ერთი ნაბიჯებით იქვეცს ურადებობას. იგი ვეაუწყებს, რომ რადენი კი დაუსაფლადებიათ წარმისი, მაგრამ, როდესაც სპარსელებმა ქართლი დატოვეს, ვახტანგ გორგასლის ბრძანებით მისი ნეშტი ამოიდებს და გადაახვენეს ნიქოშიში, სადაც ვახტანგ გორგასალმა ეკლესია ააშენა და ეპისკოპოსიც დაუდგინაო (ქართულ ზეღნიწერთა აღწერილობა, I, 1980, გვ. 382, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 199).

საუარადღებოა ქუანწერის თხრობა რადენი

ნის შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ ვახტანგ გორგასალმა „აღშენა ეკლესია ნიქოზისა საგზებელსა თანა ცეცხლისასა და დასუა ეპისკოპოსი, სადაჲგი ეტლა გუამი წმიდისა რაფაელისი, რომელი იწამა სპარსთა მიერ წყობასა ვახტანგისა“ (ქ. ც./ბა, I, გვ. 189).

ჭუანჭერი გაერთოდ არ ახსენებს წრომს. არც ნემსის გადასვენების შესახებ იყის რაზე. მისთვის ცნობილია, რომ სიამისკოპოსო ეკლესია ააშენეს იქ, სადაც „ეტლა გუამი წმიდისა რაფაელისი“. მაშასადამე, სახელწოდებები ნიქოზი და წრომი ამ შემთხვევაში ფარავენ ერთმანეთს. წრომის ეპისკოპოსი ცნობილი არ არის, ნიქოზიელის შესახებ იმავე ჭუანჭერის მწვერვლით ვიცით. ადვინად, უნდა დავასკვნათ, რომ ვახტანგ გორგასალმა დღევანდელ წრომში დამარბულ რაფაელს აუშენა ეკლესია. დღევანდელ ნიქოზში წმინდა რაფაელის ნეშტის გადატანა, რაგორც ჩანს, გვიანდელ (ჭუანჭერის შინაგანობა ხანა) ამბავია, რადგან დღეს ცნობილი ნიქოზის ტერიტორია არ შეესაბამება ცხოვრებაში სახელ მომეტების. აქ უმკველია სხვადასხვა დროს მომხდარა მოვლენების ერთ სპარტევი მოთავსება და გვიანდელ ეპოქოთა ცნობილი ფაქტების გააზრება და არა რეალურა, სინამდვილეში მომხდარის ასახვა.

ამას გვაღიქრებინებს კიდევ ერთი ვარაუბი. ნეშტის გადასვენება წრომიდან ნიქოზში ახსნილია სპარსელების ქართლიდან წასვლით. მაგრამ, ქრისტიანებმა რაფაელის სწორად სპარსელების შიშის გამო დეკრძალეს წრომში და, თუ მტერი ვაცეცალა იქაურობას, აუბნელი რჩება წმინდანის ნეშტის გადასვენებაც. თავისთავად ის ადგილი, სადაც აწაშეს, სადაც დეკრძალეს, უკვე ითხოვდა ქრისტიანებისგან ამ ადგილის გააბატონების, საგანგებოდ აღნიშნავს. ასეთ იქცეოდ, უკვეა შემთხვევაში. ეკლესიების აშენებით გამოხატადუნენ. და, საერთოდ, რატომ უნდა გადაესვენებინათ წმინდანი წრომიდან ნიქოზში, თუ წრომი, როგორც წმინდანის მფლობელი, უკვე თავისუფალი იყო მტრებისაგან?

უკველა ამ მონაცემის საფუძველზე, წრომის ტაძრის ისტორია ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: მხარე, რომელიც ტაშის კარიდან ფრონეს ბეობამდე მტკვრის ორივე ნაპირს მოიცავდა: ანუ რუხისის საეპისკოპოსომდე, საეპოოდ დაწინაურებული იყო ქრისტიანობამდეც, რასაც ზღვდებრისა და დედოფლის მიწების არქეოლოგიური აღმოჩენების დამატებებენ. სწორედ ამ მხარის და, კერძოდ, წრომის, დაწინაურებული მფლობარებით ახსნება აქ ისეთი დიდი და მნიშვნელოვანი ეკლესიის მშენებლობა, როგორც წრომის ტაძარია.

წრომში ნაპოვნია კანელურებიანი სვეტის ნაწილები, რომლებიც, არქიტექტორ გ. ლევაფას განსაზღვრით, აქტმინდორ ხანას განეკუ-

თვნიებან (გ. ლევაფა, ანტიკური ხანის საქართველოს არქიტექტურული ძეგლები, ნ. 11). უკვე ეს გარემოებებიც უნდა გვხმარებოდეს, რომ წრომის ტაძრის სიახლოვეს, წარმართული, ირანული წარმოშობის საკულტო ნაგებობა ივარაუდება.

თ. ყორღანას წრომის ეკლესიის ეწოდა უნახავს სვეტის ძირი, რომელზედაც ამოყარული უოფლა წარწერა: „სახელითა ღვთისათა, წ/სა რაფაელისა“ (ქრონიკები I, გვ. 70), რაც იმაზე მიუთითებს, რომ რაფაელის სახელი უკავშირდება წრომის ტაძარს.

წრომის ტაძრის ეწოდა აღმოჩენილ სტელაზე შესრულებულია წარწერა, რომელიც ასე იკითხება: „ესე ჭუარი ქრისტეის მტე მამასა. ლისმან გრიგოლ ზედა ავმართე, სალოცველად ჩ(უ)ენდა მოსახსენებელად ს(უ)ლისა კურახტელისა ...სა (ნ. შოშიაშვილი, ლაბიდარული წარწერები, გვ. 182).

ამ წარწერას უფრო ადრე ოდნავი განსხვავებით იკითხულობდნენ ალ. ჭავჭავაძე და ნ. ჩუბინაშვილი. იმის გამო, რომ სტელის მერსე წარწერა გვაუწყებს: „ესე ჭუარი ქრისტისი აფუსტისა აემართა მესამება“, მკვლევარები მიდიან დასკვნამდე — რადგან ცნობილია წმინდა რაფაელის წამების თარიღი, სამი აგვისტო, შესაბამისად სტელის წარწერის შინაარსიც წმინდა რაფაელის სახელს უკავშირდება.

«На протяжении второй половины V века и первой половины VI века персы еще не раз и не два появлялись в Картли и ставить стелу с упоминанием христианина раждена, их соплеменника, по разным причинам, естественно, было нежелательно, и, следовательно, можно думать, что она воздвигнута во второй половине VI века — первой четверти VII века.

Указание надписи, что крест стелы Цроми установлен 3 августа, т. е. тогда, когда верующими отмечался поминальный день мученической смерти праведника, угодника Раждена, показывает, что житие Раждена было хорошо известно и, должно быть, написано одним из его современников. Несомненно, из этого жития, из поминальной церковной записи и из народной памяти извлечена дата отмечаемого дня» (Н. Чубинашвили, Хандиси, 1972, зб. 80-85).

ნ. შოშიაშვილი წარწერებს IX ს. ათარღებს და, მიუხედავად იმისა, რომ გამოყენებული აქვს ნ. ჩუბინაშვილის აღნიშნული შრომა, წაიხივს მისეული ვარიანტი სახელი რაფაელის ამოგდებული აქვს. წარწერის დათარი-

დების საფუძველი ნ. შოშიაშვილისათვის პალეოგრაფიული ნიშნებია. როგორც ამ ბოლო ხანებში ირკვევა, ამჟვარი მეთოდი ბევრ დაწესებულებას მოითხოვს და ამიტომაც არ შეგვიძლია დავეთანხმეთ მკვლევარის ზოგიერთ დასკვნებს.

ზემოთ მოტანილი მასალებიდან ზოგი რამ შეიძლება საკმაოდ იუოს და ქერქერობით დაუჭერებელიც. მაგრამ მათი ერთობლივად შექმნება წრომის ტაძარს უფრო რეალურად წარმოაჩენს, ვიდრე ეს დღეს ცნობილია ჩვენთვის. წრომის ტაძარი თავისი მასშტაბებით უმა-

ღლეს ზღლისუფალოა ნახელავია და კათედრის-წინებული მნიშვნელოვანი ედუკაციური საფუძის. მოზაიკის წარწერა „უც ალუქსენდრე კორონების პარით გვაუწყებს ცელსიის აღმართვას. წარწერა მოთავსებულია საკურთხეველში. მოზაიკური შემკულობის ადრექრისტიანული ხანის იერა, ვახტანგ გორგასლის ლეგენდარული პიროვნება. წმინდა რაფაელის მოწამობრივი სიკვდილი და დაკრძალვა წრომში, შემორჩენილი წარწერების შინაარსი, უველადერ ამას მიუვავართ დასკვნამდე, რომ წრომის ტაძარი პროდუქტია V-VI საუკუნეთა მიჯნისა.

201

ტაძარი  
წმინდა  
წმინდა  
წმინდა  
წმინდა

## პავლე ინგოროყვას ფერილები

პავლე ინგოროყვას 14 წერილი, რომლებიც საქართველოს ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ბელნაწერთა ფონდშია დაცული, სხვადასხვა დროსაა შემოსული და მოიცავს დიდ პერიოდს — 1912-1958 წლებს.

ხუთი წერილის ადრესატია ცნობილი ისტორიკოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე მოსე ჭანაშვილი — იმ პერიოდში საეკლესიო მუზეუმის გამგე. წერილები დათარიღებულია 1912-1918 წლებით, როდესაც 19 წლის პავლე ინგოროყვა მუშაობდა წიგნზე — „ძველი ქართული სასულიერო პოეზია“.

ერთი წერილი გამოგზავნილია აბასთუმნიდან თბილისში 1927 წელს აქადემიური ასოციაციის წევრთა სახელზე, მწერალთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარის, ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის კოტე მუყაშვილის გარდაცვალების გამო.

შვიდი წერილი დაცულია პოეტ ალექსანდრე აბაშელის არქივში. აღ. აბაშელთან პავლე ინგოროყვას აქვეშაობდა ხანგრძლივი შემოქმედებითი მეგობრობა. პირველი წერილი დათარიღებულია 1918 წლით, ბოლო — 1949 წლით.

1988 წლით დათარიღებულ წერილში აღწერილია მუშაობის პროცესი მონაგრადიაზე „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, ადრესატია პოეტი რაფაელ გვეტაძე — იმ პერიოდში გამომცემლობა „სუბდერაციის“ დირექტორი.

ბოლო წერილი, რომელიც 1958 წ. დაწერილი, ეხება ქართველი კრიტიკოსისა და პედაგოგის იპოლიტე ვართაგავას შრომის — „XIX ს. დიდი ქართველი პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე“ — გამოცემას. წერილი აღმოჩნდა იპოლიტე ვართაგავას არქივში.

წერილებში მოხსენებული არიან: პავლე ინგოროყვას მეუღლე, მთარგმნელი ქეთევან ბაქრაძე, მწერლები და პედაგოგები: ი. გრიშაშვილი, ს. თავაძე, ვ. კოტეტიშვილი, კ. გამსახურდია, გ. ქიქოძე, ს. ჩიქოვანი, ა. მირცხულავა, ა. ვაწარელია, მთარგმნელები: ლიპსკერცი და ა. ბახინოვი.

### რუსულად დაუშვილი

26. VIII. 1912 წ. ფოთი.  
დიდად პატივცემულო ბატონო მოსე გიორგის ძე!

უკაცრავად ვარ, რომ გაწუხებთ ამ წერილითა, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მოგვისმინო და არ დაიწარბებთ მასუბის მოცემას.


ჩვენს თქვენდამი სათხოვარი შემდეგში გამოხატება:

წლითლს ჩვენ — ერთი მიზეზებისა (წერების ავადმყოფობისა) გამო — ვერ შევძელით უნივერსიტეტში წასვლა და დარჩენილ თავისუფალ დროში ჩვენ სხვათა შორის გვსურს შევისწავლოთ და გადმოვიწეროთ ზოგიერთი

ძე. ქართული ტექსტები თქვენდამი რწმუნებულ მუზეუმის ბელნაწერთაგან და აგრეთვე გვსურს გვეცნოთ უმეუვეოდ ქართულ პაღეოგრაფიას (თუ თქვენ კეთილინებებთ, თქვენი ბელმძღვანელობის ქვეშე).

ამისთვის უმორჩილესად ვთხოვთ გვაცნობოთ თუ რა პირობებში შეგვიძლია მუზეუმში ვიმუშაოთ.

საპიროდ ვრაცხთ აგრეთვე გაწუხეთ რომ, — რადგანაც ტფილისში, ახლო წაცნობთა უყოლობის გამო, უნდა გავჩერდეთ ზოლზე სასტუმროში, — ჩვენთვის — მატრიალურად ძლიერ შევიწროებულისათვის — ბელსაყრელი



იქნება — რამდენადღაც მტის სამეცადინეო სა-  
ათებს დავეთხოვით.

კიდევ დიდის გულმოდგინებით ვთხოვთ ჯე-  
გუვალთ და რამდენადღაც შეიძლება მტე-  
დრო დავეთხოვით სამეცადინეოდ.

სრული გულთითადი პატივისცემით  
სტ. პავლე ინგოროცვა

ჩვენი ადრები:

г. Поты, Гурийск. ул. г-ну Носифу Г.  
Ингорокву, для П. Ингороквы.

P. S. მუზეუმში სამუშაოთ, სექტემბრის  
შუა რიცხვებში ჩამოვალ ხოლმე (შანამდე ექი-  
მებისგან ვერ გავთავისუფლდებით).

ფოტო II/XII 12

დიდად პატივცემულ მოხ გიორგის ძეს  
მოწიწებითი სალამი!

სხვა, მე ვახლდით მარტაღში და ვიძუშავ  
სრული კვრა. Resume ჩემი იქაური ნა-  
მუშევრისა ასე შეიძლება გადმოგცეთ. შევა-  
რულე კატალოგისათა მარტაღის ბელნაწერ-  
ბისა, შევადგინე შედარებით უკეთეს აღწერა  
ბელნაწერთა, რადა თქმა უნდა — სასტო-  
რიო და გადამწერთა შინაწერების გადმოღე-  
ბით. მარტაღის ბელნაწერთა კოლექცია სულ  
შეიცავს 74 №-ს. ამ მუშაობის დროს ბევრს  
ახალს და საგულისხმოერო მასალებს წავაწე-  
და. ასე, მაგალითად, აღმოჩნდა ერთი უცნობი  
პოლოგეტური თხზულება არსენი კალიფსოე-  
ლისა (XI-XII ს.). მის მიერვე თარგმნილი ორი  
კრებული ამჟვე დარგის ნაწარმოებთა, ერთი  
საუფრადღებო კრებული პოპულტიკურ-ასკეტი-  
კური შინაარსის თხზულებათა (XI ს. ბელნაწე-  
რში). ფილოსოფოს მიხეილ პხელდოსი ერთი  
ნაწარმოების თარგმანი და სხვა, სასულიერო  
პოეზიის დარგში, რომელიც მე უახლოესად მა-  
ინტერესებდა, აღმოჩნდა: ერთი იამბიკ ეფრემ  
მციარისა — 1091 წლის ბელნაწერში, ექვსი  
იამბიკ არსენი კალიფსოელისა (XI-XII ს.),  
ერთი იამბიკო სახარების შესახებ (XI-XII),  
გალობანი ახო თბილელისანი, რომელნიც სტა-  
ნიანი და შინაარსის მიხედვით არსენი ბულმა-  
ხიშის ძის კალამს ეუფუნებან (XII ს.) და სა-  
გალობლნი ცრიკოლ ხანძთელისა, რომელიც  
სხანს იმჟვე არსენის ეუფუნის. მაგრამ, უვე-  
ლანზე ძვირფას აღმოჩნდა უმდა ჩაითვალის  
ლიტერატურაში ქერ უცნობი ეფრემ მციარის  
უკეთესი შესავალი — მის მიერ მცნიერებულად  
გამოცემული — დაჯიონის უველა ქრისტიანულ  
ავტორებს კომენტარებისა. შესავალი, რომე-  
ლიც აღმბეჭდულად საინტერესოა, სამწუხაროდ  
დღემდამდე არის დაცული: აქლია ? ფურცე-  
ლი: ჩემ მიერ გადმოწერილი დაცული ტექსტი  
შეიცავს 40 გვერდს. შესავალში მრავალი სა-  
გულისხმოერო ცნობებია მოთავსებული, სხვა-  
თა შორის მასში მოთავსებულია ფრაგმენტი  
ეფრემის მიერ შედგენილი ლექსიკონისა. სხვა-  
ზე — შემდეგ.

დიდად პატივცემულმა ლეონიდემ მოგვცა შე-  
ძლება ვეიმუშავა წიგნთსაცავში საქმეების  
პარობებში და ძლიერად გვეხმარება. უნდა  
ჩვენი შრომის გაცნობით. დღეს შევალთ ველა-  
თში, იქითგან უბისში, და, თუ დრო დაშრისა,  
შესაძლოა ქარტუშშიაც შევიარო.

სხვა, როგორც მაღის „სასულიერო პოეზიის“  
საქმეები ვიხედოვინებთ, ნებასთვის მივდებინ-  
თანვე, დავევალებთ და არ დავიარებთ ამის  
შესახებ ცნობის მოწოდებას შემდეგი ადრე-  
სით, რომელიც ვიხედოვინებ თქვენ უნდა გახ-  
სოვდეთ:

Поты, Гурийская ул. Носифу Ингорокву.  
ჩემზე გადმოსაცემად.

მრავალი მოკითხვა თქვენს დიდად პატივ-  
ცემულს შეუდღეს და წუცას.

თქვენნი დიდი პატივისცემელი და დიდად  
დავალბებული

პავლე ინგოროცვა

ქ. ქუთაისი 18. XII. 1912

დიდად პატივცემულ მოხ გიორგის ძეს  
გულთითადი მოკითხვა!

წარსულ კიარაში ვახლდით გელათში, სა-  
დაც ვიმუშავე დღე ნახევარი. მუშაობამ ბევრი  
რამ ახალი მოგვცა. უპირველესად უკვლისა  
აღმოჩნდა, რომ მშვენიერია „გალობანი ვარძიის  
ღმრთის მშობლისანი“, ჩართული გელათურ  
მე-XIII საუკუნის ბელნაწერში, ეუფუნის ორ-  
ვანე შავთელის კალამს. ის ვარძიება, რომ  
შავთელი დაუწერია ვარძიის ღმთის მშობლის  
გალობანი, ცხადი და შურბუყველი სასუთი  
ამისი, რომ შავთელი თანამედროვეთა თამარის  
და „აბდულმესია“ წარმოადგენს თამარის და  
არასგზით დავით აღმაშენებლის შესხმას. „ვა-  
რძიის გალობანის“ შინაარსის დაკვირვებამ  
დამარწმუნა, რომ ის წარმოადგენს ზოტანს  
(თუმცა სასულიერო მანზე შეწუხობის) აღმა-  
შენავად ქართველების რომელიღაც გამარჯვებ-  
ბისა „თამარამთა ზედა“. ზოტან-საგალობელი,  
სხანს დაწერილია 1218 წელს, სწორედ მაშინ,  
როდენაც, რაკინედადინის ურდოების დამარც-  
ხების შემდგომ, თამარი და შავთელი „აკი  
ჭილოსოფოსა და რიტორი, ლექსითა გამოშა-  
ქელა და მოღვაწეობათა შინა ვანთქმულა“,  
ღვთისაღმი მაღლობის შესწავლად „მოყვადეს  
ვარძიას და ქეროვანი მაღლობა შესწირეს  
ამათ“ (იხ. მარიაშის ვარიანტი, გვ. 406, ვახ-  
ტანგის რედაქციაში არ არის).

იმჟვე მე-XIII საუკუნის კრებულში მოთავ-  
სებულია „გალობანი ღმრთის მშობლისანი სა-  
ვედრებელნი“ იმჟვე განსაკუთრებული სასოხით  
დაწერილინი, რომელთაც დაწერა ილია „ვარძიის  
გალობანი“ და რომელიც სტაღის მიხედვით  
შავთელისავე კალამს ეუფუნის. იმჟვე ბელ-  
ნაწერიდანვე გადმოვიღე გალექსილი ფსალმუ-  
ნების შინაარსი, რომელნიც არსოაზე დაუცავს  
წარწერა „დავითისანი“.

გელათურ სახარებაში, რომელიც გიორგი-  
მთაწმინდელის ავტოგრაფად არის ცნობილი,  
გარდა ცნობილი აკროსტიხიან იამბიკონისა —  
აღმოჩნდა ოთხი ახალი ლექსი, შესანიშნავი  
ფორმისა და შინაარსის მხრივ. თითოეული ამთ-  
განწი შეიქმნა ოთხი მთავრებული.

აგრეთვე აღმოჩნდნენ უფედისი, XII-  
XIII საუკუნის, ვარიანტები ჩემ მიერ მარტ-  
ვილში მოპოვებულ არხენი კალიპსოედის წი-  
ლექსებისა, ლექსები არხენი ივანოვილისა და  
სხვა.

უზისაში, საიდანაც გუშინ წინ დავბრუნდი,  
სხვათა შორის მოვიპოვე უაღრესად ძვირფასი.  
პ ზანიანი ლექსი სახა წყაროსთაველისა  
(XII ს.). რომელიც შეიცავს შესხმას გიორგი  
მტბევარისას. ლექსი გართობულია და მისი  
რითმა თხზულია ამ ზმავითრულობით. რომე-  
ლიც გვხვდება შავთელ-ჩაბრუსაძის ხატებში  
აქ არს გწერს უზისაში შეტრებილ საურად-  
ღებუ საისტორიო მასალაზე, რომელთაც ჩემს  
„პოეტისთან“ პირდაპირი დამოკიდებულება არ  
აქვს...

ამ საღამოს მივებგზავრები ქრუჭის მონას-  
ტრში, ამ მონასტრის წინამძღვარ — გაბრიელ  
არქიმანდრიტთან ერთად, რომელიც გამაცნო  
გიორგი ეპისკოპოსმა. ვნახობ რას მოგვცემს  
ახალს ქრუჭის ხელნაწერები.

აღიე მოკითხვა ღრმად პატივცემულ თქვენს  
მეუღლეს და პატარა ნუციკოს.

მამა არქიმანდრიტი გაბრიელი გულითად მო-  
კითხვას ვიდევნისთ და ამასთანავე დიდს ბო-  
დიშს იხდის, რომ, მისგან დაშორებულნი მო-  
წერების გამო, ვერ შესძლო თქვენს მიერ და-  
ვალებული შრომის შესრულება.

თქვენგან დიდად დავალებული და თქვენი  
ღრმად პატივსმცემელი პავლე ინგოროვია.

P. S. აქ უკუნის დროს მოვაკითხე ქართუ-  
ლი დაბადების XI-XII საუკ. ხელნაწერები,  
რომლებზედაც ცნობები ჩაერთავენ ერთდანიას  
ქრონიკებში (II, 10 გვ.). ამ ხელნაწერებს  
მთელი ისტორია გარდაქმდიით და ქერ-ქერო-  
ბით არა სჩანს, თუმცა დაკარგული არ უნდა  
იყვნენ.

მაგრამ ამაზე შეშფოვო.

პატარა-ცივი, 1 აგვისტო. 18  
ღრმად პატივცემულ ბატონო მოსე  
გიორგის ძე, საღამო და გულითადი  
მოკითხვა!

როგორც გეცოდინებათ, თბილისში მე შეუ-  
ძლოდ გავხდი და სასახულდოდ ექ. ვახტანგ  
დამპაშისის სანატორიუმში მოვიტოვებ. ეხლა  
ცოტათი უკეთა ვგრძნობ თავს. ზღვხულის გა-  
სულს უნივერსიტეტში წასვლას ვეპირები. გე-  
რმანეთში, ქ. მაიდელებერგში. ერთი რამ მაქვს  
სათხოვარი: უნდა შეგაწუხოთ მონორარის შე-  
სახებ. უკვე ახლოვდება ჩემი უცხოეთში გა-  
გზავრების დრო და ფული მისეპირიება. ამი-

სათვის ვთხოვთ დამავალოთ და ჩემ გავიერად  
სათხოვით საცელესიო მუწეუბის კომიტეტს, რაც  
შეიძლება ადრე მომცეს ჩემი წარსულ პრეტენ-  
ციასთანავე ვუგზავნით განცხადებნას საცელესიო  
მუწეუბის კომიტეტისათვის, ვიმედოვნებ, უკველ-  
სავე ამას დამავალებთ და რაც შეიძლება და-  
იქტარებთ.

ამას წინათ საცელესიო მუწეუბის კომიტეტს  
გავუგზავნე განცხადება, რომელშიაც ვთხოვდი  
უფასოთ დაეთმოთ ჩემთვის 30 ნახებელი ეკუმ-  
ლარი ჩემი წიგნისა. ვიმედოვნებ, ამის შესა-  
ხებ არ დაიწარებთ სიტყვას კომიტეტისათვის.  
მოგკითხებ გულწრფელი სიყვარულით დი-  
დად პატივცემული თქვენი მეუღლე და ნუნუ,  
აგრეთვე უცხოში თქვენი ვაჟი.

ღრმა პატივისცემით თქვენი მარად  
პავლე ინგოროვია  
ქრბნობით ჩემი მისამართი ასეთია:  
Через Боржом, Платформа «Гамба-  
шидзе», санаториим д-ра Гамбашидзе,  
П. Ингороква.

გულითადი საღამო, დიდად პატივცემული  
ბატონო მოსე გიორგის ძე!

ამ რამდენიმე ხნის წინათ „ძველი ქართული  
სასულიერო პოეზიის“ მონორარის შესახებ წე-  
რილი მოგწერეთ და თან კომიტეტისათვის  
თხოვს გაახელეთ. მასხუთ არ მიმიღია. კიდევ  
გთხოვთ იმას, რასაც იმ წერტილში ვიწერებო-  
დი. სექტემბერში ევროპაში ვეპირები, უნი-  
ვერსიტეტში, და ფულეები საშინლად მჭირია.  
მამაშვილურად ვთხოვ დამავალოთ და როგო-  
რმე დააქტაროთ კომიტეტის შეუსფერისი გან-  
კარგულება.

გულითადი მოკითხვა დიდად პატივცემულ  
სოფიო ანდრეას ასულს და თქვენს შეილებს.

თქვენგან დიდად დავალებული  
პავლე ინგოროვია  
ფოთი, 26. VIII. 18

ჩემი მისამართი:  
Посею Ингороква, Потт. Гурийская ул.  
собств. д.

ჩემზედ გადმოსაცემად.  
ახასთფანი, 2 სექტემბერი, 1927 წ.  
სოსო გრიშაშვილს, სოლომონ თავაძეს, ვახ-  
ტანგ კობტოშვილს და სხვა ახალს.

ძვირფასო მეგობრებო!  
არ ვიცი რომელი მათგანი იქნებით ამ წე-  
რალის მიღების დროს ტფილისში. გუშინ ნა-  
შუადღევს, ვახუთიბიდან ამოვივიოთე თავწარ-  
დამცემა ცნობა ჩვენი საუფარელი კოტეს გარ-  
დაცვალების შესახებ.

არ ვიცი როგორ გავიზიაროთ ჩემი უსოშო  
მწუზარება ჩვენი მეგობრის, ჩვენი უფროსი ამ-  
ხანაგის, ჩვენი ძვირფასი და დაუფიწუარი კო-  
ტეს დაკარგვის გამო. ცრემლები მახრჩობს,  
ვერ შევრიგებულვარ ამ აზრს, რომ კოტე,  
ჩვენი კეთილშობილი და გულითადი კოტე,

ჩვენს შორის აღარ არის!

აუცილებლად უნდა ჩამოვსულიყავი თბილისში, მაგრამ ავადმყოფობა არ მაძლევს ამის ნებას (26-დან 30 აგვისტომდე) საპოვზაუროდ ვიყავი ვარძიასა და თბილისში, და მოგზაურობიდან მოვბრუნდნენ სასტიკი გაყევება ვწყვიარ, 26-28.80 სიტყვ მაქვს. ამ დღიას სიტყვ ცოტა გამოშვებულა, მაგრამ გაქანთილებამდე ქერ კიდევ შორსაა).

აქ მინდა მოგვლაპარაკოთ რამდენიმე საკითხზე.

ქერ ერთი. გაზრთებში ამოციებით, რომ დაშვარძალავი კომიტეტის აზრით კოტე დასაუღვავებულ უნდა იქნესო ხელოვნების სასახლის ხაღში.

მე ეს უკვლად მიუღებლად მიმაჩნია და ვფიქრობ ამასი თქვენც დაგვითანხმებით. სხვა რომ არა იყოს რა, ხელოვნათა სახლის შენობა შენახვევითი სახლია: რამდენჯერ აღჭრულა საკითხი ბინის გამოცვლის შესახებ, რადგან სასახლე სიშორის გამო მოწყვეტილია როგორც სტამბებს. ისე მწერლების მასას, რაც აძრელებს აქ რედაქციებისა და საგამომცემლო ცენტრის მოწყობას. მიიღი კვირები და ზოგჯერ თვეც ისე გაივლის, რომ ერთი მწერალი არ შემოვილის სასახლეში, ისე რომ საკითხი შესახებ ბინის გამოცვლისა და ხელოვნების სასახლის უფრო დასამზარ ადგილზე გადატანისა, არ არის უქმი კითხვა.

ამის გარდა: ეს, ვფიქრობ, არ იქნება მოსახრებელი და სასურველი არც თვით კოტის პირისუფლებიანათვის. სასახლე ზოგჯერ მიიღი დღით დაკეთილია, ზაფხულობით კიდევ მიიღი თვეებით, და პირისუფლები მოკლედ უფრო იქნებიან საშუალებას იწახლონ მათთვის ძვირფასი ადამიანის საფლავი.

დასასრულ, აქ არის ერთიანი მკრებელობაც. ხელოვნების სასახლეში პირველად დამარხულ იქნა ძაღლი ჩიხისი, და მე ტანში ერთ-ერთელი მივლას, როცა წარმოგადგენ რომ აქვე მოახრებენ მიწას ძვირფას კოტის ნეშტს. მაპატიეთ ასეთი ასოციაცია, მაგრამ ეს წუხელ მიიღი დამე კოშმარად მაღვა.

რომ არ გავაგრძელო სიტყვა, მე დაუშვებლად მიმაჩნია — კოტის დასაღვავება ისეთ შემთხვევით ადგილას, როგორცაა დღევანდელი ბინა მწერალთა კავშირისა. კოტე რასაკვირველია უნდა დავსასფლავოთ პანთეონში, სხადა განისხევენებენ უდროოდ დაღუბული შიო, რომლის მიწა ქერ არ გაშრალა. სადაც ასკენია ვთა და ნიკო ბარათაშვილი.

ამას გარდა — მეორე საკითხზე.

უმიველია უველა თქვენგანს დამოუღებლად დაებადებოდა ასეთი აზრი: აუცილებელია, რომ კოტის უბლოებმა ლიტერატურულმა მეგობრებმა ადენიშნით კოტის სხოვნა რამე ლიტერატურული ქველით. ვფიქრობ საუფეთ-

სო ქველი იქნება დაუყოვნებლივ გამოცემით პირველი წიგნი კრეჭილქველად დადებიან, ორგანო ჩვენი ლიტერატურული შიობისა, რომლის პირველი თავგდომარე ჩვენი ძვირფასი კოტე იყო. ეს პირველი წიგნი უნდა მოუღვენათ კოტის სახელს. კრებულში მოთავსდება კოტის ბიოგრაფია და წერალი მის შემოქმედებამე და ლიტერატურულ საქმეზე. დანარჩენში კრებული იქნება იმ სახისა და იმ მოცულობისა, როგორც ჩვენ წარმოგდენილი გვიქნდა. უნდა ვეცადოთ, რომ ეს კრებულ ლიტერატურის მხრით რაც შეიძლება ღირსეული იყოს.

არის აგრეთვე მეორე მხარეც. კოტის ოქახობა აღბათ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდებამ, და საჭიროა ამ კრებულის წინდა შემოსავალი მის ოქახს გადავსეთ.

ამასთან დაეკვირებით რამდენიმე საკითხი, ასე ვთქვათ. ტაქტიკური ხასიათისა:

1) ეს ოღე კრებულის გამოცემისა კოტისადმი მიძღვნი — ქრქერობით საიდუმლოდ უნდა შევიწახოთ, ვიდრე კრებულის ზეგდას შევუღვებოდეთ. ან უკველ შემთხვევაში საერთო ზარეში მასალებს არ დავაშაღებთ. ამ რჩევას ის გარემოება მაიძულებს, რომ ვნოშობ სხვა და სხვა ქველებმა თავის მიწნებისათვის არ მიითვისონ წახადეთ ეს აზრი კოტის სახელობის კრებულის გამოცემისა და ხელი არ შეგვიშალონ. ბოლოს და ბოლოს ეს კოტის სახელის უპატივემელობა იქნება, რომ ნაცვლად გულით მოძღვნილი შესაწარავისა, რადც ტრადიტული კრებული გამოუშვან.

2) მაგრამ შესაძლია ასეც მოხდეს, რომ მწერალთა კავშირში ჩვენგან დამოუღებლად ვისმე დაებადოს ეს აზრი კოტის სახელობის კრებულის გამოცემისა, — მაშინ საჭიროა ჩვენ დავასწროთ და გამოვაცხადოთ, რომ აკადემიურ ასოციაციის უვეე გადაწყვეტილი აქვს კოტის სახელობის კრებულის გამოცემა, შემდგარი რედაქციე, და მასალები დაშაღებულა. თუ რამე ეჭვი აღდრო, რომ ასეთი კრებულის გამოცემას აიხრებენ, მაშინ აუცილებლად საჭიროა ამთავითვე გამოვაცხადოთ ჩვენი გამოცემის შესახებ.

თუ რომელი გზა აქობებს, ამას თქვენ უფრო დაინახათ მანდ.

ამას გარდა: საჭიროა ამ თავითვე შევუღვეოთ კრებულის მშადებს ვინ მიიღებს კრებულში მონაწილეობას, ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ტფილისში მოვილაპარაკებთ. უკველ შემთხვევაში ჩვენ ხუთი ვიქნებით — და ჩვენი მასალების მშადებს ამ თავითვე შევუღვებთ. ამას გარდა, არისიკო კულმაქის ამ თავითვე სოხოვეთ დამშადოს რამე მოთხრობა.

დანარჩენებთან ქრქერობით ლაპარაკს წუღარ გავმართავთ და ტფილისში შეყრის ღმროს უფრო დაღვებით მოვიზამროთ პირველი კრე-



ბულის მონაწილეთა შესახებ. ბეჭდვას ეს არ დაასრულებს. რადგან ოთხი-ხუთი კაცის მასალები თავიდანვე გვექნება.

ამას გარდა საქაროა ამ თავითვე მოკითხოთ კოტეს დაუხებელი მასალები თუ რამ დარჩა, რომ ამა ვიდეოების სათრეველად არ ვახდენ. ყველა ეს მასალები ჩვენს ორგანოში უნდა დაინახებოდნენ. პირველად.

წერილი გამოგზავნულა. ვჭკარობ — ფოსტას მოსწონს. უმთავრები ჭკონი ვაღმოგვიყოს.

ნახვამდის, შეგობრებო! 15 სექტემბერისათვის თქვენთანა ვარ, ტფილისში.

თქვენი ერთგული პაველ ინფორმაცია  
ძმოს საშა

შენი წერილები მივიღე. შევასრულე. მალტონ და ქუდს პეტრეს ვადასცემ. ბოდიში რომ ვერ ვიპასუხე მიზეზი ორია: 1. მე სოფელში ვარ, სადგური, სადაც საფოსტო განყოფილება ათითორმეტო ვერსტით არის დაშორებული ჩემ ბინაზედ და აქ ჩასავალი ვერ მოვიყალიბებოვრედ სულ არ ვუყავი მშენიანის ხასიათზე. მართალი ვიხსრა — არც ვნდა ვარ.

სხვა ჩემი რა ვიხსრა: — გამოიტე 1-6 (სემენტრი 12 X-ს იყუება). შეუძლოთა ვარ, შეუძლოთა არა ნაკლებ სულად ვინმე სხეულოთ. წაუკოხე შენი „შის სიცილი“ და აი, საშა, ეხლა ვნანობ რომ არ დაგიგვგობრებ.

მოიწერე. მოიწერე ადრესიც, — ევროპიდან იქნებ მოგწერო. ჩემი მისამართი ჭერ ასევეა:

შენი მარად პაველ.  
15 IX 18, სოფ. ბულხნაური (გურია)  
29. I. 1929 წ.

ძმოს საშა

სწორედ გუშინ ვადაწვდა დადებითად შენი წიგნის ამბავი, და დღეს უკვე გამოვითხანე სტამბოდან და დააწყვე ჩვენს საწყობში შეიღასი ცალი შენი წიგნისა.

შენი წერილი მივიღე, მაგრამ დღემდე პასუხი არ მოგწერე. რადგან შენი წიგნის ამბავი გამოკრეველი არ იყო. ეხლა რაკი შეიღასი ცალი უკვე საწყობში დაგვიბნავი, გული საჭულურე მაქვს. ამ ორ-სამ დღეში, ვეცდები რომ ტარაკი ვაღმოვითხანო სტამბოდან.

მაშ ასე, ჩემო კარგო. ცოტათი შეშინებული ვიყავი (უნდა გამოტყდებო) და რაკი საქმე კარგად გათავდა მართალი ვიხსრა თავისუფლად ამოვისუნთქე.

ეკადრ კარგად მოკითეო. აქაურობის დარდი ნუ გიქვს. ხვალ დილით, ბანდეროლით გამოვიგზავნი შენს წიგნს (მინდოდა დღესვე გამომეგზავნა, მაგრამ შენი წერილი, სადაც მისამართი მოწინად წაიკვინები, სხლში დამრჩენოდა). ეკუთვნიას ჩემი ხელით ვადავტეო შენი წიგნის ცალეობი. ყველა შენი შეგობრები ვახარებულეი ვართ წიგნის გამოისვლით, გესალმებიან და გილოცავენ.

შემდეგ წერილებამდე. ჩემო საშა შენი იცი რაკვარ კარგად მოკითებ. ყველა მთავრული. გულთადაი სალაში ტყუილად მისამართე კეთობ. შენი პაველ.

საშა, ამ წერილის დაწერის შემდეგ ვადავითხოვთ მე და ქეთობ შენი წიგნი — და ვილოცავთ ორთავენი მართლაც დიდ პოეტურ გამარჯვებას.

ძმოს საშა! თქვენი წიგნი მშვენიერია, ქეთო.

27. VI. 1929. წ. დაბა

ძვირფასო საშა, უფულოთადესი ძმური სალაში!

ჩამოვდელით. მოვეწყვეთ ჩინებულად. იდუაღური სიწუნარე და იდუაღოთა. უჭრუნველყოფილი ვართ ყოველგვარი მომსახურებათ. აქ მართლაც შეიძლება დასვენოს ადამიანი.

ქეთო უკვე შეუდგა ორბელიანის თარგმანს. ვტიქრობ, ძალიან კარგი უნდა გამოვიდეს.

მე მისტემატიურ მუშაობას შევედგები პირველიდან.

საშა, ჩემი ფინანსური მდგომარეობა კრიტიკულად ვახდება ადრე. ფული უმოწყალოდ ვადანა. დიდი-დიდი ერთი თვე ვაძლო. საშა, ძალიან ვხმობ ამ თხოვნილობე დღის მანძილზე ფულის მოშველიებას. შენი იმდელი ვართ, იყოდრე.

შენი პაველ.

გულითად მოკითხვას ვითვლის ქეთო. მომიკითებ ყველა შინაურები და შეგობრები.

11 ივლისი, დაბა.

ძვირფასო საშას უფულოთადესი სალაში!

მივიღე შენი წერილი. არ მომეწონა, რომ აქამდის საჭურის ამბავი ვერ ვაგირკვეთია. უსათუოდ უკველი საშუალება იხმარე და ერთი თვე ბორჯომში ვაატარე. ზამთრისათვის მომკინდა რაკიმე მარაკი განმრთილობისა. ამას გარდა შენი ღვიძლის ავადმყოფობას (რადა ჩემი გაფრთხილება გქირია) მუდმივი, სისტემატიური მკურნალობა ვჭკირადება.

აქაურთა ამბებისა რა მოგწერო.

მე 2 ივლისს დილით ბორჯომში ვიყავი (ჩემი ძმები — თედორე და სამსონი უნდა წასულეყანე ამასთუმანო და მათ ვახაცილებულად წაიღე), გწავი ვაცვიდო და კარგი პატროსანი გრიაი შემიგდა. შევიდი დღე ვიწედი, მქონდა სიცხე, როგორც წესია. ხველა და მიხეჯანი. მხოლოდ ერთი გამოცდილი ტემპის მეთვალყურეობის ქვეშ, როგორც ქეთოთა, გამოვბრუნდი. გუშინ (10-ს) ავდები, მაგრამ მთლად მოარჩენილი აქამდისაც არა ვარ. მაინც ეხლა არა მიშვას რა, თუმცა სისუსტეს ეხლაც ვჭკრნობ. კიდევ კარგი, რომ ასე მოვრჩი და მდგომარეობა არ ვამართულდა.

ეხლა მუშაობის ანგარიში:

15. VII. 1986 წ.

მთავრობის განკარგულებაში

ქვემო გრიგოლ ორბელიანის თარგმანი უკვე დაამთავრა. ეხლა მუშაობს ბარათაშვილზე.

მეც გრიგოლ ორბელიანის მასალებს გავიყვანი და სისტემაში მოვიყვანე (ტელისიზან მთელი არქივი წამოვიღე გრიგოლის შესახებ — უაღრესად საინტერესო).

შეთვლის სიტუა-სიტუაციით თარგმანის შეწყობა დაიწყო 1 ივლისს, უნდა გამოთავებინა. მაგრამ გრიგოლი მუშაობდა. ის სტროფების მიხედვით მუშაობდა და მისი გამოშვებულა გაეთვლებო ნაწილი, მაგრამ გაცივდა არ ღირს, — ეხლა ვაგრძელებ მუშაობას, — ამ დღეებში დავასრულებ და 15 ივლისს ბორჯომში ჩავალ და იქიდან „დღეგამა“ — ამ მოგზავნი (სიტუა-სიტუაციით თარგმანი არსებითად გადასრულებული აღმოჩნდა, როგორც ნახე უნდა იქნას საკმაოდ გულის გამოწვამლებული საშუალო, ამასთან საკმაოდ ძნელი).

ეს — შენ დავალებათა შესახებ. აქ სრულებით განმარტობთა ვართ. ეს კარგია რასაკვირველია, მაგრამ ეს არის შეგობარებს (არც ისე ბევრი დავარჩა) მოშორებული ვართ, ეს ვაწუხებს.

მე და ქეთო ერთხანს აღტაცებული ვიყავით აქურობით და დამას შევარტეთ: „შე, ლაქებს მოკლებული“, მაგრამ თანდათან რასაკვირველია ლაქები აღმოჩნდა (მა სად გაგონილა ულაქებო შუე?). სხვას რომ თუე დავანებოთ, ჩვენი სახლის გერდით მუშობელი ცხოვრობს წვირლ-შვილიანი, ბავშვები ზოგჯერ მთელი საათობით ტირიან (აი ეხლაც ისინი მათი ტირილის ხმა) და გულგანულებული ქეთო წამოიძახებს ხოლმე: „სადღა შე, მხოლოდ ლაქები!“ მეც ხან ვუბნებები მაგრამ როდესაც ამ ტირილის მუსიკად მოვისვენებო, მე ვუბნებ ხოლმე ქეთოს: „სადღა ლაქები, ულაქებო შუე!“ და ქეთო მეთანხმება.

მომხატურება კარგი ვაქვს, სურსათ-სანოვაგებს სახლის პატრონები ვაწვდიან, ყველაფერს დროულად (თუმცა უხას წამატებით, რასაკვირველია). ეს არის ცუდი, ქეთოს უბედობა შედეგად ვეულოფროსა, აქაც არ ეღიბება მის ვინება.

საშა, მოვითმენდა ველოთ შენს ბორჯომში ჩამოსვლას, უსათოდ უნდა გვიჩახლო, ჩვენც ვინახულებო.

ქეთო გითვლის გულთოდ საღამს — შენ და ყველა შენს შინაურებს, ვინც ტფილისში დარჩა და ვინც ქოშობოთა.

გადეცი ჩემი მოკითხვა კოწიას, გერონტის, სიმონ ჩიქოვანს. შენი კავდე.

P. S. ახედა — დაიარტებულს შესარულდებ, მაშაშვილის ჩამოსვლისთანავე საქმის მოგვარებას არ დაუყოვნებ — ამის იმედითა ვართ.

საშა, მოწერე დაწვრილებითი წერილი, ტფილისის ამბებით გატენილი. ასე მგონია, ერთი წელია, რაც ტფილისიდან წამოყვდი.

აი ეხლა წადვარიდან, გზაგადასასრულით შეთვლის სიტუა-სიტუაციის თარგმანს. თან დარღული აქვს პატარა განმარტებითი ხარათი ტექსტის შესახებ.

აქ ახალი არაფერია. გრიგის შედეგები ისევ დამჩა, თუმცა უკეთ ვარ. საღამს გითვლის ქეთო (ჩემთან ერთად არის ეხლა წადვარში). ველო შენს წერილს (დაწვრილებითს). შენი პავდე. დამა-თბილისი.

20. VII. 1986, დამა

მთავრობის

მთავრე შენი წერილი. დიდად გაგებხარდა, რომ 1 ავისტოდან ჩვენს მხარეში იქნები. ვეშხადებით დასაბეჭდრად. — სახლის კედლები უკვე ვაგწვით, არც ვაუფროფრთვით.

შეთვლის სიტუა-სიტუაციით თარგმანი, ჩემ მიერ 15. VII. გამოგზავნილი, რასაკვირველია უკვე მიღებულია-გაქნება.

ლიფსკუნოვის შენიშვნა, — იქნებ არაა მოკლებული საფუძვლიანობას, მაგრამ მე მაინც იმ არისა ვარ ტექსტი მთლიანად ითარგმნოს. გქონდეს ეს ნაწარმოები, როგორც არის, მთლიანად თარგმნილი. იგი გაკვეთული ეპოქის ისტორიული-ლიტერატურული დოკუმენტია და უსაფუძვლო იქნებოდა მისი შემოკლება ჩვენი გემოვნების მიხედვით.

ამის გარდა ის გაკვეთებანი, რომელიც აფიქრებს ლიფსკუნოვს. იმდენად საგრძნობი არ იქნება, რადგან შეთვლის რეაქოგია იყოფხუთ კარად (როგორც ამის შესახებ ვწერ განმარტებათს ბარათში).

ამას გარდა ბოლოში დართული ბეჭედა ცალკე ნაწარმოებს წარმოადგენს. იგი გაციფით დაიბეჭდება.

უკველივე ამასთან მიიღე მხედველობაში ისიც, რომ ასეთს მთარგმნელს მეორეხელ ვერ იშოვით.

მაშ მისწერე — მთლიანად სთარგმნოს, აქურტი რა მოგწერო, ახალი არაფერია. გრიგო, როგორც იქნა, მოვიშორე. მე და ქეთო ვემუშაობთ თავადულებლივ.

მაშ მოგელიო, ახლა ნახვამის.

ქეთოსგან დიდი მოკითხვა.

გადეცი ჩვენი საღამი შენს შინაურებს, მოგვიყოფხე კოწია და გერონტი.

შენი კავდე

P. S. მაშაშვილი არ მოსვენოთ, ფულის საქმე აუცილებლად კარგივით. მე უკვე კრახისი მაქვს, გაჭირვებით მივადწვებ ამთვის ხალომდებ და ეს არის. — თუ ფული ვერ მივიღე, იმულებული ვიქნები ტფილისში დავმტრუნდე, სხვა გზა აღარ დამჩება.

საღამი მჭირფასო მთავრობის მთავრობის შენი წერილი შენს გამოგზავნილი, მივარჩე რვა დღის დაგვიანებოთ. ეს იმის შედეგია, რომ

ჩვენს ფოსტაში ქართული არ იყიან. შენ მიერ წერილზე აღნიშნული მისამართი „სამკურნალო-სანიტარული სამმართველოს სანატორიუმში“ ვერ გავაყოფ (ჩვენ სანატორიუმს ეძახიან ჩუხულად „Медкомиссия“-ს სანატორიუმს) და წერილი პირველ სანატორიუმში მიტყვნიათ. იქიდან შეგდეგ დაუბრუნებიათ ფოსტაში — ადრესატა ვერ ვიპოვეთ. — და მხოლოდ ამის შემდეგ ამოიტანეს წერილი ჩემთან.

სხვა აქაური ამბებისა რა მოგწერო. ჩემი განმარტების მდგომარეობა არც ისე კარგადაა. როგორც ქეთის ვწერდი. აღმოჩნდა ირმარევი პროცესი (მარტენი — კავერნი. მარტენი კავერნი). ერთხანს სისებები მქონდა, ეხლა აღარა მაქვს.

ჩემი ძვირფასო საშა, აღდე-აღდეზე მოგვლი. თუ სიზინი ჩამოსულია. წუღარ დაუოვრებ ამოსვლას.

ჩემი გულთბილი საღამო ქიტაბს, მედეას, ქეთის, ადგოს. მომიტოვებს სიმონს.

დიდ მოყვარვას ვითვლებს. ანტონ ხანინოვი, რომელიც აქ არის. შენი პაპლე.

20. VII. 1938 წ.

ძვირფასო შაო რაუდენ!

აღბათ ჩვენს ძველ მეგობრობას უნდა მივაწერო. რომ არ მტუქსავე (დაშხატებულად), რომ შენგან ასეთი ტყბილი წერილი მივიდე!

საქმის მდგომარეობა ასეთია.

ღმერთმა იყოს. ზარმაცობა და უქმობა არ გამოიმჩნეია. მაგრამ, როგორც იტყვიან. შინ დახარბებული ვარეთ არ გამოდგებაო. ჭერ ერთი, ახასთუმანში კარგა ხანი სამუშაო პირობები არ მქონდა. საერთო ოთახში ვიყავი და არაფერ მუშაობა. არამედ ჩემგვარი წევრანტონეისათვის — ნორმალური დასვენების საშუალებას აქ აუო. მხოლოდ ცოტა ხანია, რაც სამუშაო კუთხე ვიპოვე და შევედგე მუშაობას.

წერილი ძირითადად დაეასრულე უკვე. მაგრამ გასაკეთებელი კიდევ დამარჩა:

- 1) აღსადგენი მაქვს ის თავი, რომელიც დაუკარგე. ამას ადრევე შევედგები.
- 2) როცა მუშაობა ბოლომდე მივიყვანე. ეხლა ვხედავ გასაკეთებლად ზოგიერთი თავი. ადგილები, ზოგი კონსტრუქციაც არის შესავლელა.
- 3) წერილს სპირდება ლიტერატურულ-ისტორიული გარანდვა I-ის, ჩემთვის ცოტა სამუშაო არაა ამასთან საქირთა წერილის ცოტა შემსუბუქება. რომ საარქივო ნარკვევის ელფერა ჩამოშორდეს და ლიტერატურული ესკიზის აგრა მიიღოს (რასაც ვირველია სამეცნიერო დოკუმენტაციის დაუზიანებლად).
- 4) ამას გარდა დამარჩა შეუესებელი ზოგიერთი ნაკვეთი, როცა მოვდიოდედი, ვითომ საქირთ ლიტერატურა წამოვიდე. მაგრამ წერის

პროცესში ახალი მასალები ვახლა საქირთ. ამე მავალითად. დაშვირდა 1938 წლის შემოდგომა მის მასალები (იგი გამოვიწერე და უნდა მივიღე). მისი მიხედვით ვწერ ცალკე ნაკვეთს. შემდეგ, თანდათანობით დაშვირდა. მთელი წევბა წიგნებისა (კერძოდ ლიტერატურული გარემოს აღსადგენად). ამის შესახებ უკვე მივწერე ტფილისში და რამდენიმე წიგნს ველო ბიბლიოთეკიდან. დაშვირდა საარქივო მასალებიც (ასე მავალითად, ჩვენს კაცოს ვიხოვე გამოგზავნა გრ. ორბელიანის ერთი წერილის პირი. მაგრამ აქამდე არ მიმიღია. აღბათ ჩამოიტანეს) — ზოგჯერ უხარლო შენიშვნებისათვის საბოლოო ფორმის მისცემად — წერაობთან შემოწმება ხდება საქირთ.

აი. ასეთია. ჩემო რაუდენ საქმის ვითარება. ეს პირველი შემთხვევაა ჩემს ცხოვრებაში, რომ ადრეული საქმე ვადაზე ვერ მოვასწარა. ძალიან ვწუხვარ.

მაგრამ იმედი მაქვს, ჩემო რაუდენ. ამას მავალითად მართლაც გულაღალიად. ჭერ ერთი ჩვენი ძველი მეგობრობის მოგონებით და მეორედ ამიტომაც, რომ წლის განმავლობაში ნაზვარად ინვალიდს ადამიანს ძალიან ბევრი მუშაობა მომიხდა. ძალზე დადღალი ვიყავი და ეხლაც ვარ. ვაკეთებ და ვაკეთებ რაც შემიძლია რაც უნდა იყვის ბარათაშვილის რიგაინი ბიოგრაფიის დაწერა არც ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა.

დავიანება, ვეცდები, ხარისხით მიიწე ავანაღურა!

წერილი აგვისტოში იქნება მზად. წიგნს გამოვუშვებო სექტემბერში და სალიტერატურო სეზონს ამ წიგნით ვავხსნით. ეს არ იქნება ცუდი.

როგორც ვიცი, კაცო გავწერელია მოდის ამ ცოტა ხანში აქ ახასთუმანში — და ის იქნება ამ წერილის მოსტრნე. შედამხედველი და დროზედ მომიტოვავი ჩემგან.

მას ასე, ჩემო კარგო რაუდენი კიდევ და კიდევ ვიხოვე ძალიან წუ განმარტებში!

შენი ძმა პაველი ინგოროვაც

დიდად პატივცემული ბატონო აპოლოტი! ვაიციანი თქვენს შრომას „XIX საუკუნის დიდი ქართველი მუხლიანტი ილია ჭავჭავაძე“. რომელიც დიდად საუარადებია.

დადებთ დასკვნას ამ შრომის შესახებ წარვადგენ მწერალთა კავშირში და ვიშუამდგომლებ მისი გამოცემის შესახებ.

ახლა, უველანი მოსკოვის „დეკადის“ ამბებით არიან ვართუდნი. როგორც კი „დეკადის“ ხაქმებებს მორჩებიან, იმედი ამ წიგნის გამოცემის საქმეს მოვაგვარებთ.

გულთბიადი პატივისცემით. პაველი ინგოროვაც.  
2. III. 1938 წ.



## ერი და ეროვნული თვითცნობიერება

რა არის ერი, როგორც ერთმანეთთან ბუნებით დაკავშირებული ადამიანთა კოლექტივი? რას წარმოადგენს მისი საკუთარი სპეციფიკური ეროვნული კულტურა? როგორია ერების აწევი და მოხვეალი?

ამ უაღრესად მტკივნეულ კითხვებზე მრავალი ათეული წლების მანძილზე დღემდე გვაქმოდა უმაღლესი ინსტანციებიდან მომდინარე ავტორიტარული პასუხები; ჩვენ გვაწყოლოდნენ, გვმოძღვრავდნენ, რომ ერი ისტორიული კატეგორიაა ბოლოვადობისა და წარმავლობის ნიშნით დაღდამელი; რომ გარდევალა, და სასურველი და სანებაროც კი, ერებზე გაქრობა მათი ურთიერთშერწყმის შედეგად; რომ ეროვნული საკითხი, ეროვნული პრობლემა საერთოდ შეოტებასისხოვანი საკითხია, მეორე რიგის პრობლემაა ულსაობრივი და ეკონომიკური პრობლემების შემდეგ და ამ უკანასკნელთა გადაწყვეტის შედეგად თავისთავად წუდება, ასწავნა; რომ ეროვნული კულტურა მართოდენ თავისი ფორმითაა ეროვნული, შინაარსით კი ერთგვაროვანი; რომ საბჭოთა კავშირში ეროვნული საკითხი ერთბედი და სამუდამოდ, საბოლოოდაა გადაჭრილი, ამასთან, სანიმუშოდ გადაწყვეტილი და ა. შ. და ა. შ. და უმაღლესი ინსტანციებიდან მომდინარე ამ „ერთყვი ჰემშარიტებების“ შექმნე ცხებობდა და ცხებობდა „ეთერიები“ ერის რაობისა და ერების მოხვეალის შესახებ მედროვეთა, ამიჰვეწის მღვირთა ყურმოჭრილ მოწამსაბურთა მთა.

და იგი ყალბად, უკუღმართად გაგებულ ინტერნაციონალიზმის დროშის ფრიალი, ტამფიანდერი, დაფაზურნა, გუნდრეუს ყვეადა სამაღლობელი დაღდასი ყველაფრის მკე სანიმუშოდ მოგვარებისათვის, ერებისა და ეროვნული კულტურების „გაფურჩქვანაყვავებისა“ და მათი ურთიერთშერწყმეპრობის ხანის მონაწილემადადგომისათვის... და ეს უველაფერი ჩვენში ხდებობდა მაშინ, როცა მსოფლიო მამსტანით არა თუ ერების ურთიერთშერწყმისა და ქრობის ტუნდენციის არ ჰქონია ადგოლო, ამედა, პირიქით, მთელი მომდინარე საფუნრის

მსოფლიო ისტორია მიემართებოდა და მიემართება დღესაც კოლონიური და ნახევარკოლონიური ჩაგრული ერების განთავისუფლების მიმართულებით, ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ნიშნით; როცა მსოფლიო რეკაზე ზედიზედ ჩნდებოდა და ჩნდება ახალ-ახალი ფერები; როცა სულ მკიცრეიტხოვანი, განუთარების დაბალ საფეხურზე მდგარი ერებაც კი, რომელთაც საბელმწიფოებრივი ცხოვრების ტრადიცია არ ჰქონიათ, დამოუკიდებლობისა და ისწრაფვიან და ჰქმნიან თავიანთ სუვერენულ სახელმწიფოებას...

ბუნებრივია, ჩვენში არსებული ზემოაღნიშნული სრული განუკითხაობის, უკიდურესი ეროვნული ნიპილიზმის ბატონობის ხანაში ყველაზე მეტად ზარალდებოდნენ ამილიაციის საფრთხის წინაშე მდგარი პატარა ერები და უნდა ითქვას, განსაკუთრებით ჩვენი „მედნიფრი ერი“, საქართველო, სადაც უკუღმართად, ყალბად გაგებულ ინტერნაციონალიზმს — საკუთარი ეროვნული ინტერესების უგულვებელყოფასა და მისადმი დაღატაც კი — დიდ ხნის ტრადიცია და დიდი გაწავალი ჰქონდა...

რეკ დროს, ცხოვრებას უნდა მოეშადადებინათანდათანობით საჭირო პირობები მწვევე ეროვნული პრობლემების, მოტგვარებელი ეროვნული ურთიერთობების გადაწყვეტისათვის, და არ, საყარობისა და დემოკრატიზაციის ხანაში, ყფიქრობთ, დაღვა დრო ყველაფერს თავისი სახელი ეწოდოს, ყველაფერი თავის ადგილზე დადგეს, მტნარი სიცრუის, დემაგოგიისა და კონტენტურით შეფერადებული, ნახეარ-სიმათლის ადგილი ჰემშარიტებამ დაიკიროს.

ქართველი საზოგადოებრიობა დიდი ხანი ელოდა ისეთ ნაშრომს, რომელშიც საჭირო სიღრმითა და ერთდროით, მთელი მეცნიერული კეთილანდისიერებით იქნებოდა დასაძერი და გამოკვლეული ერისა და ეროვნული კულტურის, ერების აწმყოსა და მოხვეალის პრობლემები. ნაშრომა, რომელშიც თანამედროვე ფილოსოფიური და ჰემანტარული აზროვნების საფუძველზე, ეთიკისა და საერთაშორისო სამართლის კათალიკონებში იქნებოდა გამოკვლეული და დასაბუთებული ყოველი ერის, დიდი ერი იქნება ის თუ პატარა, როგორც ბუნებითი ერთობის საფუძველზე გაერთიანე-



ბული კოლექტივის, შეუვალი საარსებო ინტერესები და უფლებები, მისი ადგილი სხვა ერებს შორის, კაცობრიობის ფუნქციონირების მეთოდების ამჟამად ხელთაა აქვს სწორედ ამგვარი ნაშრომი. ეს არის ნოდარ ნათაძის საბრძოლო წიგნი — „ერი და ეროვნული კულტურა“.

ნაშრომის პირველი თავი („ფილოსოფიური წინამძღვარები“ „მე“ და „ჩვენ“), როგორც წიგნის ამოცანაში ვითარბულობს, სპეციალისტისთვის უფროა გამიზნული, ვიდრე ფართო მკითხველისათვის. აქ ავტორი იძლევა ინდივიდის სოციალურ ფენომენოლოგიას, ადამიანის სოციალური არსის ანალიზს. ნაჩვენებია, რომ ჩვენი მე თავისი არსით სოციალურია, რომ ინდივიდუალური ცნობიერებისათვის მიუცილებელია არიან სხვა მე-ები. იმისათვის, რომ თავისი მიზნები განახორციელოს, ინდივიდი, პიროვნება ერთიანდება სხვა ინდივიდებთან, სხვა მე-ებთან და ქმნის „შიდა-ჯგუფს“. „ჩვენ-ჯგუფს“, რომელიც თავის პარტნერად გულიანობის სხვებს, სხვა „ჩვენ-ჯგუფებს“.

არჩევს რა ჩვენ-ჯგუფთა ტიპებს, ავტორი აღნიშნავს, რომ არსებობს ჩვენ-ჯგუფთა სულ სამი სახეობა: — საერთო მიზანზე აგებული შიდა-ჯგუფი (მეგობართა, მეგობართა ჯგუფი, რომელიც ვაქცინას ეძებს), მსგავსების საფუძველზე გაერთიანებული ჯგუფი (მეგობართა, პროფესიული ჯგუფები — ზეინკლები, პროფესორები და სხვა); ქონებრივი ჯგუფები — მდიდრები, ღარიბები; ბუნებით ან გარემოებით მოყვანილ მსგავსებზე დაყრდნობით აგებული — ერთ-მხრივი ორგანიზაცია, პოეტთა ასოციაცია, ეთნოგენთა ჯგუფი და სხვ.) და, ბოლოს, ჯგუფის შემადგენელ წევრთა ავტომატის საფუძველზე არსებული შიდა-ჯგუფი, ბუნებითი ჩვენ-ჯგუფი (გვარი, ტომი, ერი). პირველი და მეორე ტიპის ჩვენ-ჯგუფის დამახასიათებელი ნიშანია ლიბალიზმი. პრინციპულად — შესაძლებელია მასში ახალ წევრთა შესვლა, ანდა, პირიქით, მისგან გასვლა (შესაძლებელია მდიდარი გაკორტდეს და ღარიბთა ჯგუფში გადავიდეს ან, პირიქით, ღარიბი ბედს ეწიოს, გამდიდრდეს და სხვ.). ავტორის საფუძველზე არსებული ჩვენ-ჯგუფი კი პრინციპულად ჩაყვრილია; ჩემი გვარი ის ადამიანები არიან, რომელნიც ჩემი გვარისაგან არიან შობილი და არა სხვანი. ამ ჩვენ-ჯგუფიდან ვერც ვინმე გავა და ვერც შემოვა. ასეთივე ჩაყვრილი ბუნებითი ერთობაა, ძირითადად, ტომი და ერი, როგორც ჩვენ-ჯგუფი.


ერა ჩაყვრილი ბუნებითი ერთობაა იმიტომ, რომ იგი ძირითადად იმ ადამიანთაგან შედგება, რომლებიც ამ ერში იშვინენ, და ასეთ ერთობადაც განიცდებენ მის წევრთა მიერ (რძალი, ასე ვთქვათ, „ერთგვება“ ამ ჯგუფში და თავის იდე-

ტობას თავისი შეილება ინტენტივით საზღვრავს; ერის წევრებს, მარცხენა მხარეს და სხვა ერის წევრებს შორის ვაიბებული თვისებები აქვთ, როგორც ბიოლოგიურად, ისე კონტინგენტურად (გავრცელებული ფიზიკური ტიპები, ბუნებრივად და ისტორიულად განპირობებული სულიერი წყობა, ზოგადი ორიენტაციების ერთი ნაწილი და სხვა); ერის წევრებს, ძირითადად, მრავალმხრივ ერთიანი ბედი აქვთ და, დასასრულ, საერთო მიზნებით, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჩაყვრილი შიდა-ჯგუფის, ბუნებითი შიდა-ჯგუფის ღირებულებებია, ავტორის მიხედვით, პრინციპულად განსჯავენება ყველა სხვა ტიპის შიდა-ჯგუფთა ღირებულებებისაგან. „ჩემი ბუნებითი შიდა-ჯგუფის“, როგორც ჯგუფის, იდენტობა (მისი, როგორც ერთიანი მთელის, არსებობის შენარჩუნება) მე მიიჩნის არა იმიტომ (ან არა მხოლოდ იმიტომ), რომ იგი კარგია ან რაღაცა სხვა, ჩემი აზრით კარგ მიზანს ემსახურება, არამედ იმიტომ (ან თუნდაც მხოლოდ იმიტომ), რომ იგი ჩემი, მე ვარსებობ ან მართლ როგორც ინდივიდი, არამედ როგორც ჩემი ამ ბუნებითი შიდა-ჯგუფის ელემენტი. ამ ჯგუფის იდენტურობის არსებობა ჩვენთვის იდენტური (ე. ი. საარსებო, პირველადი, ყველა სხვაზე უწინარესი, ფუნდამენტური ა. ბ.) ინტერესია“... (გვ. 56).

ნაშრომის მეორე თავში („ერი და მისი კულტურა“) ერის ცნების ფუნქციონირება, და ამ დიფინიციისათვის საჭირო ფონის შესაქმნელად, ავტორი ანალიზებს ერის, როგორც ერთი მთელის, ფუნქციებს, ერის ერად განმსაზღვრელ შემადგენლობას და ერის მიერ თავისი თავის განსაზღვრის არეს.

ერის, როგორც ბუნებითი ერთობის საფუძველზე შექმნილი კოლექტივის, ერთი უპირველესი ფუნქციაა ეროვნული ტერიტორიის, მიწა-წყლის ფლობა. მიწა-წყლის ფლობა, ცხადია, ერის მატერიალური მიზნის დამახასიათებელი ფუნქციაა და, ამდენად, ავტორის სიტყვით, „ეს ფუნქცია ყოველ იმ თვისების დასაჩვენებლად (ბაუერი და სხვანი), თითქმის საზოგადოებრივი ცხოვრების დეტერმინაციაში ეკონომიკისმიერ ფაქტორის ცნება უსათუოდ გულისხმობიერს ან შესაძლებელს მაინც ხდის კლასობრივი ინტერესების, როგორც მატერიალურის, ფაქტობრივი პრიმატის აღიარებას ეროვნულთან, როგორც იდეალურთან, შედარებით“ (გვ. 69).

ტერიტორიის ერთობლივ ფლობასთან ორგანულად დაკავშირებული ერთობლივი თავდაცვა სხვა ანალიზური ჯგუფთა (სხვა ერთობა) პირისპირ, მაგრამ ერის მიერ თავისი ეროვნული ტერიტორიის ფლობისა და ერთობლივი თავდაცვის ფუნქციების განხორციელების დროს ერის წევრთა შორის არსებული სოლიდარობა



პრინციპულად განსხვავდება არაერთგვარულ სოციალურ წყობებს (თუნდაც კლასებს) შიგნით არსებული ამგვარივე ან რაიმე სხვა საერთო ინტერესით ნაჯარნახევი სოლიდარობისაგან. არაერთგვარული საერთო ინტერესების შემთხვევაში ინდივიდის საკუთარი ინდივიდუალური ინტერესის დაკავშირებას წვეთისასთან სიტუაციური და, ამდენად, შემთხვევითი ხასიათი აქვს. სულ სხვა ხასიათისაა ერის სოლიდარობა თავისი ტერიტორიის ფლობისა და ერთობლივი თავდაცვის საქმეში. ტერიტორიაზე მფლობელობისა და ერთობლივი თავდაცვის ფუნქციების განმახორციელებელი ერი ბუნებით ანუ გარდაუდებლად წინშეებით გაერთიანებული კოლექტივია და არა ოდენ შემთხვევითი, დღეს აღარსებული ინტერესთა ერთობაზე (ანუ პრაგმატულ საფუძველზე) დაკავშირებული ადამიანთა ჯგუფი (ამ თვალსაზრისით ავტორი საკუთარ სემარტლიანად გადმართლებლად მიიჩნევს პეტომან კოქინის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ თითქმისდა კომპროტული კომპანის დამაკავშირებელი ერთობა, როგორც შეგნებულად შეტყობული, ერთგულ ერთობაზე, როგორც ბუნებითი. მაღლა იდგეს. იხ. გვ. 70).

საერთოდაც, მიწა-წყლის ფლობა და ერთობლივი თავდაცვა კოლექტივის მიერ ცხადია, მხოლოდ ამ შემთხვევაშია მყარი, თუ იგი ჩაკეტული კოლექტივია, როცა მასში გააერთიანდებიან გზა იმთავითვე მოკეთილი აქვს, როცა ამ კოლექტივი, წევრები ბუნებითი ერთობის საფუძველზე არიან გაერთიანებულნი (სინხლით ერთობა, საერთო წარმოშობა და სხვ.) და არა რაიმე ხელშეკრულების საფუძველზე ანუ პრაგმატულად დაკავშირებულნი. ამასთან, ტერიტორიის მფლობელობა და ერთობლივი თავდაცვა უნდა იყოს ფარგულფუძვლიანი ინდივიდის მქონე ამ მფლობელობისა და ერთობლივი თავდაცვის განმახორციელებელი ინდივიდებისათვის. ავტორი აქვე შენიშნავს, რომ „ის ღირებულებები, რომელთაც საქმე გვაქვს ერის ფუნქციების განხილვის ამ დონეზე... ანუ ამ ჰვენიად საკუთარი მიწა-წყლის, საკუთარი კოლექტიური „ბინის“ ქონის ღირებულებები, ანუ, ე. წ. „დაბად“ და „შესაბამისად, „პლიერ“ ღირებულებათა რიგს ეკუთვნის (6. პარტმანის კლასიფიკაციით) ანუ იმ ღირებულებათა რიგს, რომლებიც ყველაზე აუცილებელია ადამიანის არსებობისათვის და, ამდენად, მისთვის ყველაზე უფრო ადვილსაწვდომი და ცხადია“ (გვ. 71).

ერთგვარული ტერიტორიის ფლობისა და მის ღირებულებებისათვის დაკავშირებული ის წინაპირობები ასპექტით, რომ მე, როგორც ერში შემავალ ინდივიდს, ერთგვარული ტერიტორიის ფლობით მაქვს ჩემი არსებობის გარანტია ფართო აზრით: მე ვიცი (ვიმედოვნებ), რომ ჩემ

შეამომავალს, იმის გამო, რომ იგი ამ მოდგმისაა, ჩემი მიდაცვლი (ე. ი. უმეცურეურობა) შეამეტებს, მას თავისაგან არაფერად ვერაფერად უტყოს, მიუსაფრად არ დატოვებს. ავტორი დასძენს, რომ ამგვარი მოლოდინი მხოლოდ ბუნებითი მიდაცვლის (ე. ი. ჩაკეტული მიდაცვლის) სპეციფიკა (გვარი, ტომი, ერი) და არა კლასისა (გვ. 72).

ერის, როგორც მთლიანი, შეტყობული კოლექტივის ერთ-ერთი ფუნქციაა ერთგვარული მოსახმარი კულტურის შექმნა და შენახვა. მიხედვით მთლიანი კულტურა ფართო აზრით ანუ ცხოვრების საკუთარი წესი, — საზოგადოების მოწყობის, აზროვნების, ესთეტიკურ საგანთა შექმნის და თვით კომუნიკაციის (სალიტერატურო ენა) ის წესი, რომელიც ამ ერის შემადგენელ ინდივიდთა მეტაქცეზებად საერთო ბუნებითი თვისებებიდან და მათი დღევანდლამდელი ისტორიიდან გამომდინარეობს და მათ ემსახურება. ყოველი ერი თავის ერთგვარულ კულტურას, როგორც მოსახმარი საგანს, ღირებულების ინდივიდს აძლევს. ამ ღირებულებებისგან გამომდინარე, ჩემთვის ჩემი ერთგვარული კულტურა ინტერესის საგანია, მე ამ კულტურის მარადუფროსი. მისი დაცვა და შენახვა მტერს, რაც მხოლოდ ჩემს უფართოებს მიდაცვლით — ჩემ ერთად ვაძლევ.

ერთგვარულად სპეციფიკურ კულტურას, როგორც ერის შეილთათვის ოპტიმალურად მოსახმარი საგანს, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით (ხალხის ცხოვრების მოწყობისთვის, მისთვის ბუნებაზე გამარჯვების მოპოვებას, სასიამოვნოს, სასარგებლოს და ა. შ.), ავტორი აღნიშნავს ტერმინით „კულტურა-თავისთავად“ და მიიჩნევს, რომ იგი ერთგვარული ცნების მთელ მოცულობას კი არ შეადგენს, არამედ მის მხოლოდ ერთ და, ამასთან, არამთავარ ნაწილს. ავტორის სიტყვით, სწორედ ერთგვარული კულტურის-თავისთავად ერთგვარული მთელ მოცულობად წარმოადგენიდან მომდინარეობს ის მუდარი თვალსაზრისი, რომ ხშირად ერის უფლებას იმაში ზედდევს, რომ მან თავისი კულტურა-თავისთავად იქონიოს, რომ ერის უფლებასა და ინდივიდის ერთგვარულ უფლებას კულტურით, როგორც მოსახმარი ობიექტი (ამ ცნების თუნდაც ფართო აზრით), ფარგლავს. სინამდვილეში კი ერთგვარული კულტურა ინდივიდის თვალში არსებობს არა მხოლოდ კულტურა-თავისთავად (ე. ი. კულტურა როგორც მოსახმარი ობიექტი), არამედ როგორც ამავე დროს კულტურა-თავისთვის ანუ კულტურა, რომელსაც ამ ინდივიდისთვის სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. ერთგვარული კულტურის შემოქმედი და მატარებელი ერი ამ კულტურის დენობიერებას და ინახავს არა როგორც მოსახმარი ობიექტს, არამედ როგორც მოსახმარებისაგან



პრინციპულად დამოუკიდებელი ღირებულების მქონე ობიექტს. როგორც ამ ერის უფლებების ჩაღვრაზე, რომ თავისი ბუნებითი ნიშანი ათვისების შესაფერისი კულტურა ქონდა.

მე, როგორც ამ კონკრეტული ბუნებითი შიდა-გაფუძნის ანუ ერის წარმომადგენელ ინდივიდს, ბუნებრივია, მინდა, რომ ჩემი საზოგადოება ისე იყოს მოწყობილი, როგორც ჩემი ერის შინაგან ბუნებას შეესაბამება. ოჯახური ურთიერთობა და სამართალი ისე იყოს აგებული, როგორც ჩემი შიდა-გაფუძნის ამოსავალ ეთერულ და ზოგადანთროპოლოგიურ პოსტულატებს (საწყისებს, პრინციპებს) შეეფერება, ისეთ არმიაში მოეხადოს სამხედრო ბეგარა, რომლის განაწესებები ჩემს და ჩემისთანებულს თანდაყოლილ წარმოდგენებს ითვალისწინებს. ვაჟაკობასა და სიკვდილ-სიკონსტანტებს (და ბ. შ. და ეს ჩემი კაპრიზი უ არაა, ეს ავტორის იმიტონი უ არ მინდა, რომ იგი ჩემთვის სასამოვნო და ხელსაყრელია, არამედ იმიტონი „რომ ეს ცხოვრების ჩემული (ჩვენი) წესია, ჩემი (ჩვენი) ბუნების წესია და მსურს მსოფლიოში ერთ ამ ჩემული წესით აგებულ საზოგადოებად არსებობდეს, ამ უკანასკნელის უბედურესი განსრულების — სუვერენული სახელმწიფოს ჩათვლით“ (გვ. 76). არაქმანური და ინდივიდის, ვილარცა ამა თუ იმ ბუნებითი შიდა-გაფუძნის (ერის) წევრის, უნდაამენტურ ინტერესთა არა-დამაკმაყოფილებელია მისი ეროვნული კულტურის, როგორც ოდენ მისამართი — ობიექტის შენარჩუნების მოთხოვნა. ადამიანის მოთხოვნა ეროვნული კულტურის მიმართ შორს სტრუქტურა მის, როგორც მოსამართი-ობიექტის მოთხოვნას. ადამიანს სჭირდება ის, რასაც მისი სპეციფიკური ეროვნული კულტურა ასაზოგადოებს — ერის სტატუსი სხვაერთა შორის — და მისთვის ამაზე უფროს თქმა მის ფუნდამენტურ ინდივიდუალურ განთი მოთხოვნებზე ძალადობას ნიშნავს“ (გვ. 79). უკველივე ის, რაც ცნობილი და აღიარებულია ეთიკაში და საზოგადოდ, ჰუმანიტარული აზროვნების სისტემაში ინდივიდის უსასრულო თეოლოგიზებულიობა-თეოლოგიზებულიობისა და მისი საშუალებად გამოყენების დაუშვებლობის შესახებ, უუკველია, საესებით სამართლიანად შეიძლება გაეყარკელით ყოველი ბუნებითი შიდა-გაფუძნის, ყოველი ერის მიმართაც. .... ეროვნული თვით-იდენტურობა და მისგან გამომდინარე შეუცვალე ეროვნული ერთგულების, როგორც უმაღლესი სოციალური ერთგულებს, პრინციპი ადამიანს კუცვის ეთიკური მოტივებია, ადამიანის ბუნებითი ვარკვეულობებით სტიმულირებული, მაგრამ სამართლიანობისა და თანასწორობის ზოგადი პრინციპებით რეგულირებული და გამართლებული“ (გვ. 124). თავად ინდივიდს, ვითარცა უსასრულო ღირებულებას

მქონე არსების, უფლებაში შედის ამ ინდივიდის ეროვნული თეოლოგიზებულიობის (იხ. გვ. 165). რაც მხოლოდ სპეციფიკური წესი სახელმწიფოს შექმნით შეიძლება იქნას მიღწეული.

ზემოთქმულიდან ლოგიკურად გამომდინარეობს ის, რომ ერის ავტორიტეტზე მნიშვნელოვანი პირველადი და უმაღლესი ფუნქცია ერთად არსებობს, ერთად უფრო და ეს, ავტორის სიტყვით, სუფლად არ არის ტავტოლოგია, რადგან ერთს უფროს ადეკვატურ ფორმას სჭირდება სუვერენული სახელმწიფო წარმომადგენს. ასეთეთი სპეციფიკური კულტურისა და საეთარე უფროსადმი ნების მკარებელი ვითარება (მოდგმა) ერთა განურჩევლად იმისა, მოეპოვება მის ასეთი სახელმწიფო თუ არა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ქონა-არქონა ერთს ერთად უფროსადმი ნეიტრალური ვითარებაა, ერთს სწრაფვის სუვერენული სახელმწიფოს ქონა-საკენ და უნდა ქონდეს კიდევ ეს სახელმწიფო, რადგან ეს უკანასკნელი ერთობს ერთადერთი ადეკვატური ფორმა“ (გვ. 82).

ერის, როგორც ბუნებითი შიდა-გაფუძნის ავტორის მიხედვით, თავის თავს განსაზღვრავს მხოლოდ მთელი კაცობრიობის ფონზე: ერთი კაცობრიობის პირველადი დაყოფით მიღებული შიდა-გაფუძნისა და ეს ნიშანი ახასიათებს მხოლოდ და მხოლოდ ერს. ბუნებითი შიდა-გაფუძნის არაბუნებითი შიდა-გაფუძნის (პროფესისა, ფუნა, კლასი...) მოცემული კონკრეტული საზოგადოების (სახელმწიფოს, ერის) შიგნით თავსდება და განსაზღვრავს ჩემს მდგომარეობას ჩემთან ამ საზოგადოებაში თანამოქალაქებ ინდივიდებთან მიმართებით. ეროვნული თეოლოგიზებულიობით — იმის თქმით, რომ „მე ამა და ამ ერის წევრი ვარ“, — მე ჩემს ბუნებითი შიდა-გაფუძნის ერთად წარსდგები მთელი კაცობრიობის წინაშე და ამით მე, როგორც ინდივიდი, ვითაყოფილებ ჩემს შინაგან, კანტის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩემი ინტელგებულური ბუნების მოთხოვნილებას, რაც უსასრულობისკენ სწრაფვით მდგომარეობს და რასაც მე მთელი კაცობრიობის თვალთახედვის არეში მოქცევის ფონზე უსასრულო სამყაროში გასვლით ვალწივ მაგრამ თუკა ჩემი, როგორც ინდივიდის, თეოლოგიზებულიობის მოვადენდი მხოლოდდა ჩემი საზოგადოებრივი მდგომარეობით (მონა, მონათმფლობელი, ვაჟარი, გლეხი, მუშა, მეწარმე და ა. შ.). მაშინ მე შეუდევლობად გამოქრებოდა კაცობრიობა და მის ფონზე ადგილის დაკავებას ამოცანა. ამ მეორე თეოლოგიზებულიობის პირველზე წინ დაყენება ნიშნავს ადამიანის ერთი ავტორიტეტზე ფუნდამენტური თვისების — მისი თვალთახედვისა და ინტერესის არეალის პრინციპული შეუზღუდველობის — უგულებელყოფას... მისთვის ამ ფუნ

ნდამენტური ადამიანური თვისების ამბუტაცას" (გვ. 93).

ერში, როგორც ბუნებით შედა-ჩვეუფში, შემაველ ინდივიდებს ახასიათებთ საერთო მიზნები, რაც ამ ერის წარმომადგენელთა ნების საერთო მიმართულებას განაპირობებს, მათ აერთიანებთ საერთო ისტორიული და აშუშო ბედის, საერთო მოსამართლე და სიმბოლური კულტურა, ბუნებით ერთობის განაცდა და სხვა მაკავშირებელი ნიშნები. მაგრამ, ავტორის სიტყვით, ერი მაინც ვერ ჩათვლება მასში შემაველ ადამიანთა მხოლოდ შემოხამოთელილ ნიშნებით შეკრულ ერთობად. მათ ქამად, როგორც წესი, ერი მასში შემაველ ადამიანთა მიერ განიცდილება და აღიქმება როგორც სუბსტანცია და არა როგორც კრებადობა. ჩვენ, როგორც ერის წარმომადგენლები, აღიქვამთ ჭკრ ერს, ამ სუბსტანციას, როგორც მოფუნქტე, ღირებულ და ა. თ. მთელს, და შემდეგ ჩვენს თავს — მის ელემენტებს. ეს კი, თავის მხრივ, იმის მაჩვენებელია, რომ ერი მის წევრთა და სხვათა თვალში განისხაზურება. უწინარეს ყულისა, მისი საგარეო ფუნქციით — სხვა ერთა წინაშე ცალკეულ ერთეულად დგომის ფუნქციით, თავის მსაკვეთთა შორის ერთ-ერთ თანაწორად ყოფნის ფუნქციით. მაგრამ ის, რომ ერი ფუნქციონებს როგორც სუბსტანცია, როგორც საცაცობო ცხოვრების დამოუკიდებელი, თვითცნობიერი და საკუთარი ნებით აღჭურვილი სუბიექტი, როგორც კოლექტიური პიროვნება (მ. შელერის ტერმინი). თავისთავად მეტყველებს იმაზე, თუ რა უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნის, ერის თვითცნობიერების განსაზღვრაში მისი ბუნებითი ერთობის, სახელდობრ, **სახლით** ერთობის ცნობიერებას (გვ. 94).

მაგრამ ბიოლოგიური ერთობა, ფიზიკურ ტიპის ერთგვარობა მაინც ერის ბუნებითი ერთგვარობის მხოლოდ ერთი — ყველაზე მარტივი და ხილული-ქვესახეა. მის უკან დგას სხვა, უფრო ღრმა ტიპის ერთგვარობები — სულიერი და გონითი ერთგვარობები. და ეს ერთგვარობები, როგორც ითქვა, თავიანთ რეალიზაციას ითხოვენ ჩვენებურად მოწყობილი ცხოვრების (საზოგადოებრივი ინსტიტუტები, ტრადიციები, მატერიალური და სულიერი კულტურა, სახელმწიფოებრიობის ფორმები...) საბით, ჩვენი ერის (ჩვენი ბუნებრივი, მშობლიური ერის) მოხმარების საბით, **საჩვენო** (ან ჩვენში) რელიგიის საბით და ა. თ. მე, როგორც გარკვეული ბუნებითი შედა-ჩვეუფის წარმომადგენელს, მინდა ისეთი წესით და ისეთ გარემოში ვიცხოვრო, რომელიც ჩემი ბუნების შესაბამისია. იგულისხმება, რომ A ერმა, რაკი იგი A ბუნების მქონე ინდივიდებისაგან შედგება, თავისი ცხოვრება და თავისი ისტორია A წესით უნდა წარმართოს, ხოლო B ერმა, რომელიც B ბუნე-

ბის ინდივიდებისაგან შედგება. — B წესით, თუ ამ ერთგვარობას ადგილი არა აქვს, კულტურაში, A ერი B ერის წესით ცხოვრობს, ცხოვრება რაგორც B ერის მიერ A ერის უფლებების უშუალო ან გაშუალებული შეღებვა" (გვ. 96).  
ყველა შემოხამოთელილ ერის მახასიათებელი ნიშანთაგან ყველაზე უფრო არსებითთა გამოყოფის გზით ავტორი იძლევა ერის ცნების ამაგვარ დეფინიციას: „ერი არის ადამიანთა პირადა ნაცნობობის არამაგვლისხმებელი და ღირებულებრივად ნიშანდებული კავშირი, რომელიც დამუარებულია სხხლით ერთობის ცნობიერებასა და კაცობრიობის ისტორიულსა და პოლიტიკურ სისტემაში პირისკაცულად თანაწორებულობას წყარად მონაწილეობის ცნობიერებაზე" (გვ. 102). სათანადო აგრემენტების მოხმობით ავტორი დამაჩერებლად ასაბუთებს, რომ ერის სხვა მახასიათებლებზე, სხვა ნიშნებზე უნდა ერიპარაკოთ, როგორც ერის თვისებებზე და არა როგორც მის არსებით ნიშნებზე. ეს ითქმის ერთგული ტერიტორიისა და ერის შესაბამის ისინი ერის ცნებაში თავისთავად, აპრიორულად იგულისხმება. და თუ ერს არ გოაჩნია ერთგული ტერიტორია და საკუთარი ენა, ერის ნებას ძალედ მათი რეალიზაცია დიგი ამორცილებს კიდევ მათი რეალიზაციის (ისტორიის) მთავალით).

ეხება ის ერის, როგორც ბუნებითი შედა-ჩვეუფის, ისტორიისაგან მიმართების პრობლემა, ავტორი აღნიშნავს, რომ ის „სახე“, რომელიც ერი აქვს (ან უნდა, რომ ჰქონდეს) კაცობრიობის პირისპირ, ყველა ერისათვის ერთი და იგივე არაა. იგი ეჭვმდებარება ცვლებადობას — განვითარებასა და დეგრადაციას, ზრდასა და დაქრინებას — და სწორედ ამით (და მხოლოდ ამით) არა ერი ისტორიული კატეგორია, ანუ ისეთი კატეგორია, რომელიც ისტორიის რაღაც გარკვეულ საფეხურზე ჩნდება. მაგრამ, შენიშნავს ავტორი, „ერი ისტორიულია მხოლოდ მის გაჩენას ეხება, როგორც ერთბელობრივ აქტს, და არავითარ შემთხვევაში — მის წარმავლობას. ერის გაჩენა, ისევე როგორც ისტორიის ღდომილებები საერთოდ, შეუქცევადი ზდომილება და მხოლოდ ამ ზოგადი შეუქცევადობის წყალობითაა, რომ ისტორია ისტორია და არა წრებრუნება. საკითხის სინთონისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ანალოგიური ვითარება ბუნების სამყაროდან. სიცოცხლის გაჩენა არაორგანული მატერიისაგან, ადამიანის გაჩენა თივისი წინაპარი ანთროპოიდისაგან და სხვა ამაგვარები სულ ისტორიული და ერთბელობრივი ზდომილებებია. მაგრამ ისტორიულია აქ არ ნიშნავს განჭარვებადობას. ადამიანი, თუნდაც გაჭრებს, მაიმუნად აღარ გადაიქცევა. ასევეა ერის, როგორც ისტორიული კატეგორიის, ისტორიული ბედიც ერები გაჩნდა (თითო ერი—


თითოვერი ისტორიული განვითარების ძალით, მაგრამ აქედან ვერ გამოვლენთ დასკვნას, რომ გარდავლია (ან თუნდაც შესაძლებელია) მათი კვლევა გაჭირობა და კაცობრიობის პირველად გაუღიფრანკებულ მდგომარეობაში დაბრუნება... (გვ. 108).

აქვე ავტორი მკაცრად აკრიტიკებს ფართოდ გავრცელებულ შეხედულებას ნიპოლსტერ თელსაზის... ერის როგორც სოციალური კატეგორიის შეფასებაში, რომელიც მიიჩნევს, რომ ვრა ისტორიულად იგივეა რაც ზურფუაზიული, ანუ კაპიტალისტური განვითარების შედეგად წარმოქმნილი, ერთიან ეკონომიკურ ბაზაზე გაერთიანებული ადამიანთა კრებული. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც ავტორი ამოღებს თავისი იმ პრინციპულად სწორი და სათანადოდ არგუმენტირებული თეზისიდან, რომ ღირებულებრივად ნიშნულბუნებებით შიდა-ჩვეულებად ყოფნა ანუ ურთი-ყოფნა, კაცობრიობის პირისპირ ჩვენ-ჩვეულებად დგომა ადამიანთა ფუნდამენტური, მიუტოლებელი თვისებია. იკვლევს რა ერის ცნებას მის „მეზობელ“ სოციალურ კატეგორიებთან მიმართებაში, ავტორი დამყარებლად ასაბუთებს, რომ ვრა, როგორც კაცობრიობის პირველადი დაუფის შედეგად მიღებული ბუნებითი შიდა-ჩვეულებად, ყველა სხვა სოციალურ დაყოფათა, ყველა სხვა სოციალურ ჩვეულებად (პროფესიული ჩვეულებად, კლასური და სხვა) ფინიარებისა და ეს უკანასკნელად პირველად მისდევნენ... „ეროვნული კლასიფიკაცია ერთადერთია სოციალურ კლასიფიკაციათა შორის, რომელიც ადამიანს კაცობრიობის კონტექსტში ათავსებს, ანუ იმ მაქსიმალურ კონტექსტში, რომელიც კი მისაყვდომია ადამიანის გონებრივი პოპოზონტისთვის და ეგზისტენციალური ინტერესებისათვის. ამ აზრით... ერებად კლასიფიკაცია აბსოლუტურად კლასიფიკაცია სოციალურ კლასიფიკაციათა შორის...“ (გვ. 113).

მაგრამ უმკველია, ეროვნული თვითიდენტიფიკაცია, — კაცობრიობის პირისპირ თავისი ერის წევრის სახით წარდგომა — პიროვნების გონებრივი განვითარების რაღაც გარკვეულ საფეხურს, ინდივიდის ეროვნული თვითცნობიერების რაღაც გარკვეულ დონეს გულისხმობს. შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი ადამიანი (და თითქმის ყველა ერში მრავლად არიან ასეთი პირველადი სოციალური თვითდენტიფიციური როლის გამო ვერ მიდის იქამდე, რომ თავისი პირველადი სოციალური თვითდენტიფიკაცია კაცობრიობის კონტექსტში მოახდინოს. მისი თვალთვლდვის არეში არ შემოდის კაცობრიობა, როგორც ასეთი, სხვა ერები, როგორც მისი ბუნებითი შიდა-ჩვეულების, მისი ერის პარტენერი. მისი თვალთვლდვილი შემოზღუდულია მხოლოდ უშუალოდ მის გარშემო მყოფი სა-

ზოგადობით, თავისი ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობის ასპარეზზე, ყველაფერზე, მაინც მთელი ეგზისტენციალური ინტერესებით მისი ყველა „მეზობელ“ და ყველა „მეგობარ“, „ვეფრობი“ და „ვეფრობი“ ან სხვარის მიგნობათა მოთვსებელი და ყველაფერი ის, რაც მის ყოველდღიურობას არ ეხება, მისთვის ოდენ უნადაგო ანსტრუქცია და უსაქმობოა გამოჩვენება. ამ კაცის ცხოველი ინტერესის აღმძვრელია მხოლოდ ის პრობლემატიკა, რომელიც დაკავშირებულია მის ადგილთან და სტატუსთან მასთან უშუალო კონტაქტში მყოფ მის მსგავს ადამიანებს შორის, ანუ მის წარმართავენ მხოლოდ მისი ის უშუალო მატერიალური და პროფესიული, ფერობრივი და კლასობრივი ინტერესებო, რომელშიც მას თავისი მოწინააღმდეგე-პარტენერი მუდამ უშუალოდ თვალწინ ჰყავს. ბუნებრივია, ამგვარი ადამიანში ეროვნული თვითცნობიერების მეტ-ნაკლებად ცხოველი საბოთ არსებობა მოითხოვს დახმარების გარედას მისობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენებით, მაგრამ, ავტორის სიტყვით, ამგვარი დახმარება გარედას მინც ცნობიერების მანიპულირება იწვევოდა და არა ორგანულად თავად ამ კაცის სულის ძირიდან ამოზრდილი გრძობა.

ავტორი საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ თვალთვლდვილი შემოზღუდვილი შეზღუდულია. ვრა ინდივიდი ეროვნული თვითცნობიერების მინიმალურ დონეზე უკი ვერ მისდევნა, არ არის და არც შეიძლება იყოს განპირობებული ამ ინდივიდის მარტოოდენ სოციალური მდგომარეობით, თუმცაღა იგი უდაოდ დიდი ფაქტორია; ამ შეზღუდულობაში გარკვეულ როლს თამაშობენ თავად ამ ინდივიდის პიროვნული თვისებებიც, მისი ბუნებრივი მონაცემებიც. აღბაღალი მონიშნავლობის, უღიშობაში, დაქვეითებული აქტივობის და ვიწრო ინტელექტის ინდივიდი ნებისმიერი შინაგანი სტრუქტურის მქონე საზოგადოებაში იმ ტენდენციის მატარებელი იწვება, რომ მოიზაროს ეროვნული პასუხისმგებლობისა და მიზანდასახვის ტვირთი, რომელსაც მას გულწრფელი და ღრმა ეროვნული თვითდენტიფიკაცია ატარებს (განსაკუთრებით ძლიერი იქნება მასში ეს ტენდენცია იმ შემთხვევაში, თუ იგი ეროვნულად არაკეთილდღიანი საზოგადოების წევრია). ასეთი პირი ადვილად გადაერთვება ეროვნული ცნობიერებდან (რომელიც მისთვის, არსებობად, მიუწვდომელი აღმოჩნდა) სოციალურ-ფერობრივზე და ადვილად აღიარებს თავის პირველ ჩვენ-ჩვეულებად მასთან პროფესიული (ფერობრივი...) ნიშნით მსგავს ადამიანებს თავის ერში და თავის ერს გარეთ (მსოფლიოში), რათა ეროვნულ ცნობიერებაზე ხელის აღების ფაქ-



ტი: რაციონალიზაცია (ე. ი. გამართლება ა. ს.) მოკლედ" (გვ. 116). უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ აზრით და ამ კონტექსტში საფუძვლიან მართებულია ავტორის მოსაზრება იმის თაობაზე რომ ელექტროსთან ერთად ეროვნული ცნობიერებაც არსებითად მონაცემობრივად ხასიათისაა. იგი უსათუოდ საჭიროებს პიროვნებს გარკვეულ ბუნებრივ წინადაცემებს. — ინტელექტის გარკვეულ დონესა და თვალსაწიერისა და ინტერესების გარკვეულ სიფართოს, თქმულია. ჩაღმა თქმა უნდა, ეროვნული თვითცნობიერების ფორმირების საქმეში არ უნდა დავეთვათ თავისი ფუნქცია და როლი პედაგოგიკას, სწავლებას ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით: საჭირო და აუცილებელია დავებმართო ე. წ. „ბუნებრივ პირობებზე“ მდგომ პიროვნებს თავისი ბუნებითი შიდა-ჩვეულები, თავისი ერის საფარგლო ინტერესებისა და, აქედან გამომდინარე, ერის მიმართ თავისი მოვალეობის გასტობიერებაში: უნდა ეთრებოდნენ მისი „ეროვნული თვითცნობიერების სწრაფად აღზრდისათვის; მტკიცედ უნდა აღუდგეთ წინ ეროვნული გულგრილობისა და ეროვნული ნიჰილიზმის ყოველგვარ გამოვლინებას.

საქმე იმაშია, რომ როგორც ზემოხსენებულ შეზღუდულ გონებისა და ვიწრო თვალსაწიერის მქონე პირობისათვის, ისე ეროვნული გულგრილობისა და ნიჰილიზმის ყველა სხვა ნაირსახეობით შემკობილი ინდივიდებისათვის ნიშანდობლივია თავიანთ გონებაში მრავალგვარი „თავდაცვითი მექანიზმებისა“ და გამართლებათა (რაციონალიზაცია) ავტო-ეროვნული პასუხისმგებლობის ტერიტორიის მოსაზრებლად. საჭიროა ამ „თავდაცვითი მექანიზმების“ დამსხვრება. ამ რაციონალიზაციათა დანერგვა მათი „ავტების წესების“ აღწერა-მხილებების გზით. საჭიროა ინდივიდის გულისა და გონების ეროვნული გულგრილობისაგან წარმართველი მოტივაციების ანალიზი, ეროვნული ნიჰილიზმის ლოგიკის დარღვევა.

სწორედ ამ მიზანს ისახავს ავტორი ნაშრომის მეორე თავის მეტყვე პარაგრაფში „ერი და ინდივიდი“. აქ განალიზებულია ზემოხსენებული „თავდაცვითი მექანიზმის“ ანუ თავის მოტყუების მექანიზმის მოქმედების რამდენიმე სახე.

უპირველეს ყოვლისა დაცირვებისა და ანალიზის საგანია ზემოხსენებული შეზღუდული ეგზისტენციალური ინტერესებისა და ვიწრო ინტელექტის მქონე ინდივიდის გონებაში მომდინარე რაციონალიზაციები, მისი „თავდაცვითი მექანიზმი“. როგორც იტყვა, ამგვარი ადამიანი ვერ მიდის კაცობრიობის, როგორც ასეთის, შემოყვანამდე თავისი უშუალო აქტიურობის სფეროში და, მაშასადამე, მისთვის კაცობრიობის ფონზე არ იკეთება მისი ერი, მი-

სი ბუნებითი შიდა-ჩვეულები. როგორც დასკვნითი. ამ კაცობრიობის მოხლოდ „მისი საზოგადოება“ უნდა იქნებოდეს არსებული მიმართებები. იგი ინტერესდება მხოლოდ თავისი სოციალური მოპილობით, თავისი პროფესიული ან ჩაიმე სხვა სოციალური ჩვეულების (ფუნის, კლასის) „კვიდობით“ სხვა ჩვეულებით (ფუნებთან, კლასებთან...).

ავტორი აღნიშნავს, რომ ერისადმი ამგვარი გულგრილი დამოკიდებულებებისას ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ ორი სხვადასხვა ვარიანტი, ამასთან მიხედვით. ეს ერთი თავდაცვის პირობაზე მდგომია (ე. ი. დანერგული, ასმილაციის საშინაობებს წინაშე მდგარია და ა. შ) თუ, პირიქით, შეტევით პირობაში მდგომი (სხვათათვის ასეთი საშინაობის შექმნელი). პირველ შემთხვევაში ზემოხსენებული ეროვნული ნიჰილიზმის შინაარსობრივი საქმეა, ვაშლილი საბით, ასეთი იქნება: „რა დროს ჩემი ერის ინტერესები, როცა ჩემი შიდა-სოციალური ინტერესების ასეთაა და ასეთ შუქავე კონფლიქტში ვარ გაბეული“. აქ, ავტორის სიტყვით, „ხელის ჩაქვევისა“ და გულგრილობის საგანი ამ პიროვნების ერის ინტერესებია. მეორე შემთხვევაში ეს ლოგიკა ასეთი იქნება: „რა დროს ამ ჩაგრული ერის ინტერესებია, როცა ავტორი, ჩემს საბაში სოციალურად (მატერიალურად) მიჭირს, საკუთარი სოციალური სირთულისათვის ვერ მოპილია“. ამ შემთხვევაში „ხელის ჩაქვევის“ საგანია ამ ინდივიდის ერის პასუხისმგებლობა, მისი მორალური სახე. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მოცემული ერი არც შემტევი და არც თავის დამცველი, გულგრილი ინდივიდის ლოგიკა, ავტორის სიტყვით, ასეთი იქნება: „რა დროს ჩემი ქვეყნის ესა და ეს ერთობლივი ინტერესებია, რა დროს მისი პრესტიჟი და სახელია, მისი ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობაა, როცა სოციალურ სფეროში ასეთი და ასეთი პრობლემების წინაშე ვართ“ (გვ. 127).

ავტორის მიხედვით, ეროვნული გულგრილობის მეორე შესაძლებელი წყარო შეიძლება იყოს მოცემულ ინდივიდში საკუთარი ბუნებითი თიბისადმი პატივისცემის, საკუთარი ბუნებითი გარკვეულობებისადმი (რომელიც მას თავის ერთან საერთო აქვს) ემოციური დამოკიდებულების, საკუთარი (ეროვნული) ვინაობისადმი სიყვარულის თანხუნტე. ზოგადად რომ ვთქვათ, ამგვარი სისუსტის მატარებელ ინდივიდს აკლია ის, რასაც „ქანაღლი ეგვიპში“ ქვედა (ე. ი. საკუთარი ერის ინტერესების წინ დაყენება სხვა ერთა ინტერესების შეუღებად) და თავის მოუცილებელ ბუნებრივ თვისებებთან დაკავშირებული სიამაყისაგან მისწრაფება. ამგვარი ინდივიდის მსუქლობა, გაშლილი საბით, ასეთია: „სულელობა არაა, რა ენაზე იქნება წარწერები

ჩემი დედაქალაქის ქუჩებში? „სულერთი არაა, ჩვენი (ეროვნული) არმია გვირად გამოჩნდება თუ ლაზრად?“ „სულერთი არაა, სხვა ქვეყნების წინაშე თავისუფლების მებრძოლები ვიქნებით თუ მთარაბის მიმტანნი? „სულერთი არაა, გვექნება თუ არა, სულაც, ჩვენი ფერი მსოფლიო რუკაზე?“ „ნეტა ჩემი შვილები გამაზრდევინა“ (ან: „ეს ცხოვრება ლბინით გამატარებინა“, ან: „ეს გამოვლევა დამამათვრებინა“ და ა. შ.). და სხვას არაფერს დავებებ“ (გვ. 127).

ავტორის სიტყვით, „ეროვნული ნიალიზმის ლოგოცა ასეთივე შეიძლება იყოს: ინდივიდს გაცნობიერებული აქვს, რა ევალება და რა მოეთხოვება ურს საერთოდ და კერძოდ მის ურს. მან იცის, რომ ერთა თვითდამკვიდრებულდა ექებოს კაცობრიობის პირისპირ და მის წინაშე, მაგრამ მას თავისი ერისათვის ამის მიღწევა აქვს არა აქვს. იგი, ფიგურალურად რომ ეთვლება, თამაშს უკვე წაგებულად თვლის. შიშობს, სასოწარკვეთლობისაგან თავის დაცვას ვერცხვად, იგი ევედრება რომელიმე ზოგად, საკაცობრიო მიზანს და თავს ირწმუნებს (ზოგჯერ საყვებით გულწრფელად), რომ ამ უკანასკნელთან შედარებით მისი კერძო, ეროვნული ინტერესი შეზღუდული და ახარულია“ (გვ. 127—128).

როგორც უკვე ითქვა, ეროვნული თვითცნობიერება გულსხმობს ადამიანში პაროვნული მონაცემების რაღაცა გარკვეულ დონეს, რომლის ქვეითაც ამგვარი ცნობიერება მისთვის მიუწვდომელი რჩება. ამიტომ „ის, ვინც ამგვარ ცნობიერებას მოკლებულია, ან ეს ცნობიერება აქტიურ პატრიოტებსზე ნაკლებს აქვს და ვინც, ამავე დროს, იცის ან ვერძნობს, რომ ანთი განსჯაეება ზუნებრივი მონაცემების განსჯაეებას ემყარება, შესაძლებელია ნეგატიურად ვანეწყოს სხენებულ აქტიური მამული-შვილების, როგორც თავისებური გონებრივ და სულიერი ელატის, მიმართ. ამგვარი ადამიანის მსჯელობა, ექსპლიკირებული საბით, ამგვარი იქნება: „არც თქვენ მინდინაბთ და არც თქვენი „მამული“. ეშმაკა წაგალოთ ორჯინ!“ ამგვარი ცნობიერების მატარებელიც ექებს ე. წ. „რაციონალიზაციებს“ თავისი პოზიციის შესამაგრებლად — არგუმენტებს, რომლებიც დამტკიცებენ ეროვნული ცნობიერების უსაფუძვლობას, ერის, როგორც სოციალური კატეგორიის, მეორეხარისხოვნებას, მის წარმელობას და ა. შ.“ (გვ. 128).

ნაშრომში განხილულია ეროვნული ნიალიზმის აღმქრელი კიდევ რამდენიმე სხვა შექანისში და მოტივაცია და შესატყვისი რაციონალიზაციები (გამართლებები). და, მათი რიცხვის გაზრდა, ცხადია, შესაძლებელია. ასე მაგალითად, უკველია, რაღაცა თავისებური თავის

მოტყუების მექანიზმი მოკმედებს და რაღაც გარკვეულ რაციონალიზაციებს რექტენს „სწავნით გონებაში კლასობრიობის ტემპტ“ „ქ“ „სწავნით კატეგორიის ადამიანები, რომლებიც არა თუ არ ცნობენ თავისი ერის წინაშე არავითარ მოკალუბასა და პასუხისმგებლობას, არამედ რომელნიც სრულად შეგნებულად და აშკარად, სპევეწოდ დგანან ეროვნული ლატის გზაზე, — თავიანთი სამშობლოს დამპყრობთა, კოლონიზატორთა სანსაბურში იმყოფებიან და თავიანთი ქვეყნის აქტიურ პატრიოტებს საბატრიოტებში ათავსებენ და დისაბურტადაც კი იმეტებენ (სწორედ ამგვარი ვითარებაა აღწერილი და განალიზებული ჩვენი ავტორის ერთ სხვა ნაშრომში. იხ. ნოდარ ნათაძე, ადამიანი ადამიანთა შორის, გამომც. „მეცნიერება“, თბ. 1979 წ. გვ. 83-84). ამგვარ პირთა მიერ თავიანთი „მოღვაწეობის“ გამართლება-რაციონალიზაცია, ალბათ, ის იქნება, რომ მათ ერის სხვა არჩევანი არ გაანია, გარდა დამპყრობელი ქვეყნის ბელტყვით ყოფნისა, რომ ეს არის ერთადერთი სწორი და საბოლოო არჩევანი, რომ ოკუპანტებთან თანაშრომლობით სწორედ ისინი იღვეენ ერს „ფიზიკური განადგურებისაგან“, რომ ეროვნულ-გამთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს რომ გასაქანი მიეცეთ, ისინი ქვეყანას დაღუპავდნენ და სხვა და ა. შ. დი. ახ, მტრის სანსაბურში ჩამდგარი, სამშობლოს მოალატე პარტიცი კი თავიანთ რაციონალიზაციებს აგებენ! ცხადია, ამგვარ პირთა გარკვეულ ნაწილს ინტელექტსა და გონებრივი თვალსაწიერის სიეწროვეს ვერ დავწამებთ. პირიქით, ბევრი მათგანი შესაძლოა საკმაოდ მოწილი ინტელექტისა და ფართო თვალსაწიერის პოლიტიკოსი, დიდი სტრატეგი და ა. შ. იყოს (მაგალითად „ჩვენი“ ციციანოვი და მრავალი სხვა...). ამ პირთა ლეფექტი სხვაგან, ადამიანის სულის უფრო ღრმა, ფუნდამენტურ საწყისებში უნდა ვეძებთ. მოკლედ რომ ვთქვათ, ამგვარ ტიპებს მორღვეულ-მოწილი აქეთ პიროვნების აგებში ფუძე, საწყისთა საწყისი — ზნეობრივი საწყისთა...

ცალკე საუბრის თემაა ერთ პატრიოტიზმი, როგორც ჩანს, შესაძლებელი ყოფილა პატრიოტის ნიღბის ტარებაც კი სრული ეროვნული გულრილობისა და ეროვნული ნიალიზმის პოზიციასზე მდგომ პირთა მიერ. ჩვენთან, საქართველოში, მაგალითად, სწორედ ამგვარ ნიღბოსანთაგან შედგება სტალინისტთა თუ სტალინელთა, სტალინის კულტისა თუ კერძო თავყანისმცემელთა წერ კიდევ მრავალი ცნობიანი არმია. „უახსნოთ ის დიდი კაცი, დიდი ქართველი!“ — იტყვის ამგვარი კაცი გაშლილ სუფრასთან და იწუება თავაწყვეტლი პანეგირიკი თავიანთი თავისთავის ყოველგვარი ანგარიშის მიუღებლად იმის თაობაზე, თუ რა აუ-

წერელი ენება მოაყენა ამ „დიდმა ქართველ-მა“ მათ სამშობლოს, საქართველოს; ყოველ-გვარი ანგარიშის მიუხედავად იმაზე, რომ არც თემურლენგს, არც მურვან ყრუს, არც შაჰ-აბა-სსა და არც საქართველოს ყველა მტერს ერ-თად ჩვენი სამშობლოსთვის არ მიუყენებია ის ზიანი, იმდენი ენება, რაც სტალინი და მისმა გარემოცვამ მოაყენა. მხედველობაში გვაქვს არა მარტო ათეულ და ასეულ ათასობით ადამიან-თა დახვრევა, გადასახლება და დარბევა-დაშინება-დამონება, არამედ — და ეს იყო სტალი-ნიზმის ყველაზე უფრო მიმზე შედეგი (და იგი დღემდე მოგვყვება!) — მოსახლეობის საყო-ველთაო და სრული გამოთავადება, ქართველ-თა ერთგული თვითცნობიერების ნულივან დონეზე დაყვანა.

ასევე ამგვარი ტიპი სტალინს, პანევირი-კით გულს იჭერებს და აჭრებებს თავისი ჩვეულებრივი ცხოვრების გზას, რასაც სხვა არაფერი არ შეიძლება ეწოდოს, თუ არ ეროვ-ნული გულგრილობისა და ეროვნული დაღატაკის გზა. და ეს კაცი არ ასტენებს, და ვერ ასტენებს, ტიას, რადგან დიდი ილანას სიყვარული ეროვნულ ციურთთან, სამშობლოს წინაშე ყოველი ქათ-ველს ეალთადა ასოციირებული, რადგან ჩვე-ნჯან, ქართველთაგანვე მუხანათურად დაღერი-ლი მისი სისხლი მასებს ითხოვს... სტალინის სხენებით კი ამგვარი ტიპი, ჩვენი ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, შექმნად იმყოფო-ლებს თავის ეროვნულ თავმოყვარეობას, ვი-თომდა — „მსოფლიო სახელის მქონე ის დიდი კაცი ქართველი იყო და მეც ქართველი ვიარ“. მაგრამ სტალინის ქართველობასთან ასოციირ-ებული მისი ქართველობა სხვა არაფერს არ ავა-ლებს ამგვარ ტიპს თავისი ერისადმი, თუ არ ისევე სტალინიზმის ანუ ეროვნული დაღატაკის გზაზე დგომის...

მაგრამ არან ისეთი ტიპებიც, რომელნიც თავიანთ შვირ გონებაში ამ ორ პიროვნებას— ღმერთსა და მანონას, ანგელოზსა და სატანას— ერთმანეთთან ათავსებენ, ვინც სტალინს დიდი ილანის იღურ შემყვიდრედ აცხადებს. ლაპარაკ-სე ზედმეტია იმაზე, რომ ამ პირებს არც კეშ-მარტი ილია ენებით და არც სტალინი, მაგრამ რაღა მარტო მათ, საყოველთაო გამოთავადე-ბის, მასობრივი სიკეთის ამ ხანებში განა თვად ჩვენმა შწერლობამ, და მთელმა გონდაკარგუ-ლმა ერმა, ვაუგვანარი მტრებულობით სტალინი არ გამოაცხადე დიდი ილანის სანუკვარ იდეა-ლად, სამშობლოს მხსნელ, ერის წინამძღოლ მომავალ გმირად — ბაზალეთის ტბის ძირას მდგარ ოქროს აკვანში შწოლარე ყრმად?! კეშ-მარტიად რომ უმიძიესია, ღმერთო, ცოდვები და შერცხვენა ჩვენი...

საბუკენზოო ნაშრომში ხაზგასმითაა აღნიშ-ნული, რომ არ არსებობს რაიმე ისეთი ზოგადი

პრინციპი, ისეთი მაღალი მიზანი ღრ მოტევი, რომელიც ინდივიდს ერისადმი უფრო უფროსს, ერის ბედისა და ინტერესებისადმი უფროსს უფროსსა-კენ უბიძგებდეს. „...ინდივიდი ან ეროვნული ცნობიერების პოზიციასზე დგას, ან შესზე დაბ-ლა დგას, რადგანაც მასზე უფრო მაღლა დგო-მა არ არსებობს“ (გვ. 132). თქმული შეეებება რელივიურ და ზნეობრივ მოტივებსა და პრინ-ციპებსაც. დაუშვებელია ერის ეროვნული ინ-ტერესის შეზღუდვა კეშმარტივითა თუ სიკე-თის ზოგადი პრინციპის სახელით. „... ადამიან-ის ბუნებითი ფუნდამენტური მოთხოვნილებე-ბის მთელი ერთი კლასის — ეროვნული მო-თხოვნილებების — წინააღმდეგ მიმართული ქმედება სიკეთე ვერ იქნება. ამის მოთხოვნა ეთიკის სახელით (რადგანდარა ხასიათისა იყო) ამ ეთიკის მიერ გამოყენებული არგუმენტაცი) გონების საეულარ თვითან წინააღმდეგობას ნი-შნავს“ (გვ. 133).

ნაშრომის ზელოს კრიტიკულადაა გაანალი-ზებული ერისა და ეროვნული კულტურისადმი მიდგომა, რომელიც არს იხილავს როგორც ორი სხვადასხვა მიდგომა: ე. წ. ზემანთარული გონით ერთობას და ადამიანთა დამოკიდებუ-ლებას ერისადმი წარმოგვიდგენს მათი ამ გო-ნითი მოთხოვნილებებისა და ფუნქციების თვა-ლსაზრისით (მ. შელერი) და პოზიტივისტური მიდგომა, რომელიც ერს იხილავს მხოლოდ ფა-ქტის დონეზე და არ ცდილობს ერებად ცნო-ბილი კოლმტივების ქვეყის და მათი თვალსა-ზინო ისტორიის უკან მოაგნოს იმ გონით სი-ნამდვილეს, რომელიც მათ ამ ქვეყის განსაზ-ღერავს (პ. კონი).

ავტორის მიხედვით, მრავალი ღირსების მი-უხედავად, მ. შელერის თვალსაზრისს გაანთია არსებითი ხასიათის ხარვეზი, პრინციპული ცალ-მხრივობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ იგი განილვის საგნად იღებს მხოლოდ დიდ ერებს, ჰეგელის სიტყვით რომ ვთქვათ, „მსოფლიო-ის-ტორიულ ერებს და მათ მხოფლიო-ისტორიულ მიხეებს. ამის გამო, შელერის თეორიით, მეტრე ერთა თვითცნობიერების სტრუქტურაში რჩება ვაკუუმი ამ ადგილას, რომელიც დიდ ერთა ცნობიერებაში მისიას უკავია. აქედან კი ან ის დასკვნა უნდა გაეთედეს, რომ მისიის ცნობი-ერება ერის აუცოდებელი ნიშანი არ ყოფილა, ანდა მისიის ცნებში მოცულობა უნდა გაფარ-თოდეს იმასთან შედარებით, რაც იგი არის შელერისეულ მსჯელობაში. ავტორი მხარს უჭერს ამ მეორე გზას. მისი სიტყვით, „მტრე ერებსაც აკვთ კაცობრიობის სისტემაში და კა-ცობრიობის ფონზე თავისი კერძო, ინდივიდუ-ალური, განუყოფელი ადგილის ცნობიერე-ბა (წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ერი არ იქ-ნებოდნენ) და სწორედ ამ უნიკალობის ცნობი-ერებაში მდგომარეობს ერთი არსებითი ნიშან-

თავანი, რომელიც ამართლებს შეღერის მიერ ერისაღმე მიყენებულ განსაზღვრებას (ან, აუ გნებავთ, მეტაფორას) რომ ეს არის (კოლექტიური) პიროვნება, რომელსაც ესა და ეს სპეციფიკური ნიშნები მოუღოს" (გვ. 145).

რაც შეეხება პ. კონის პოზიტვისტურ თავალსაზრისს, იგი, ავტორის აზრით, თავისი არსით ნიჰილისტურია, რადგან, ამ მოაზროვნის მიხედვით, ერი, როგორც სოციალური კატეგორია, სავსებით ისტორიულია წარმავლობისა და რელატივისტურობის აზრით. კონს მიაზნია, რომ ერები ჩნდება კიდევ და ქრება კიდევ, ანუ ხდება მათი შესვლა სხვა, უფრო დიდი ერის შემადგენლობაში. სარეცენზიო შრომის ავტორის აზრით, კონის ეს თავალსაზრისი ფაქტობრივად არაა მართალი. "თუ ერი უფრო გაფორმდა ერთად, იგი სხვა, უფრო დიდს შემადგენლობაში აღარ შედის". კოლმორიტიზმს პერსპექტივა ერთა საზოგადოებზე არსებობაა და არა ზეეროვნულ არმბუნიტუალურებაზე" (გვ. 161; 164).

როგორც სარეცენზიო ნაშრომის შინაარსის ამ ნაკლებად მოცემიდანაც შეიძლება დავინახოთ, ნოდარ ნათაძის წიგნი "ერი და ეროვნული კულტურა" წარმოადგენს ერისა და ეროვნული კულტურის, ეროვნული თვითცნობიერების პრობლემათა შესახებ საფუძვლიან და ღრმა ორიგინალურ გამოკვლევას, რომლის ანალიზიც ჩვენი არ მოიქმნება. კვლევა-ძიებისას ავტორი ითვალისწინებს და ემყარება ფილოსოფიური აზრის უკანასკნელსა და ყველაზე უფრო ღრმადულ მონაპოვრებს, — ფენომენოლოგიურ მეთოდსა და გაგების მეთოდს, რაც საშუალებას გვაძლევს ერისა და ეროვნული კულტურის, ისევე როგორც სხვა ადამიანურ ფენომენთა, კვლევისას ოდენ გარდასვარებით ეს არ შემოვიფარგლოთ, არამედ „დავკითხოთ (და „ავალაპარკოთ“) თავად საგნები“, ვეცადოთ თავად ადამიანის სტრუქტურაში ამო-

ვიკითხოთ ის, თუ რას ნიშნავს, შესთავაზოთ კონს კონცეფცია ამა თუ იმ ერისადმი, რა კონსტრუქციას ეს ერი, როგორც თავისთავადი ღირებულების მქონე კოლექტივი ადამიანებისა და რას წარმოადგენს ამ ერის სპეციფიკური საკეთილმოკულტურა, როგორც თავისთავადი ღირებულების მატარებელი რამ. სწორედ ამ მეთოდოლოგიური წინამძღვარებიდან ამოსვლის შედეგად მიღის ავტორი ერის, როგორც კოლექტიური პიროვნების, წარუვალ-წარუდინებელი, უსასრულო ღირებულებრიობისა და თვითნიშნობრიობის დასაბუთებამდე და ყოველი ერის, დიდი ერი იქნება ის თუ მცირე, საარსებო ინტერესების, მისი თავმოყვარეობისა და უსაფრთხოების ეფიქტურ-სამართლებრივი ასპექტით განხილვადობისა და დამყარების აუცილებლობა-ჭარბობის ჩვენებამდე; ყოველივე იმის, რაც ჰუმანიტარული აზროვნების სისტემაში ცნობილი ინდივიდის უსასრულო ღირებულებაა და მისი საშუალებაა გამოყენების დაუშვებლობის თაობაზე (კანტის კატეგორიული იმპერატივი და სხვა პრინციპები), ყოველ რიგზე ერთეულ (როგორც კოლექტიურ პიროვნებაზე) გავრცელებადობის მართებულობის ჩვენებამდე.

გადაუპარებლად შეიძლება ითქვას, რომ სარეცენზიო ნაშრომი ჩვენი ეროვნული მეცნიერებისა და ჰუმანიტარული კულტურის უდიდესი მონაპოვარია. იგი ჩვენი ეროვნული თვითცნობიერების განვითარების უაღრესად მაღალი დონის მაუწყებელია და, უეჭველია, ამიერიდან თავისი არსებობის ფაქტით, ერისა და ეროვნული კულტურის პრობლემაში ფართო მკითხველი საზოგადოების გარკვევა-გამეცადინებით ფასდაუდებელ წვლილს შეიტანს, დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, დღეს აქამომდე „ჩვენი დაცემული ეროვნული ვინაობის აღდგენის“ საქმეში, ქართველი ხალხის ეროვნული თვითცნობიერების დონის ამაღლებაში.

● რედაქციის მისამართი:  
თბილისი, რუსთაველის ქროსსექტი, № 12.

● ტელეფონები: 8თ. რედაქტორის — 93-55-11,  
8ი. რედაქტორის მოადგილის 93-55-15, კ/მკ  
შდენის — 95-55-13 და განყოფილებების —  
93-55-15; 93-55-17, 93-55-20.

გადაცემა ასაწყობად 20. IX 88 წ. ხელმოწერი-  
ლია დისამბეჭდად 11. XI. 88 წ. ინაწყობის ზომა  
7 $\frac{1}{4}$ X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფი-  
ზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნა-  
ბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო  
თაბაბი 16,58. ფე 09471. ტირაჟი 30.000. შეკ.  
2405. საქართველოს კვ. ცენტრის გამომცემლობის  
სტამბა.

3360 80 333.

100-13



6/145/209.

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ